

სახელმძღვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის

მორეაგირებული

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი 2018

მეორე საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლების 6-14 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის რეკომენდაციები.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს.



ავტორი: მანია მელიქიძე

რედაქტორი: მანია ბოჭორიშვილი

მხატვარი: მაკა ჯეზირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

ISBN 978-9941-8-0689-6



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

წინასიტყვაობა

ქართულ სახელმწიფოს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან მიმართებაში, მკვეთრად ჩამოყალიბებული და მიზანმიმართული პოლიტიკა გააჩნია. განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5. პუნქტი 8).

2017 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიასპორასთან ურთიერთობის მაღალი პასუხისმგებლობითა და დიასპორის წარმომადგენელთა მაღალი ჩართულობით შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი სახელწოდებით „ერთიანი ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა.

ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, საკვირაო სკოლების საქმიანობის მხარდაჭერა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაიწყო „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის მოამზადა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში სწორედ საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების სწავლებასაც გაერთიანებული სწავლების პრინციპით. ამ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაყრდნობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამება ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის მოთხოვნებს და განკუთვნილია 6-14 წლის მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოები აგებულია თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებასა და შესაბამისი საფეხურის მიზნების მიღწევას.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ საკვირაო სკოლების პედაგოგებსა და დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს როგორც პროგრამის, ისე სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

სარჩევი

პირველი ნაწილი

ვისწავლოთ წერა-კითხვა 2

მეორე ნაწილი

თემა 1

დედამინა და გარესამყარო 33

თემა 2

წიგნების თარო 55

თემა 3

რაზე ფიქრობენ ჩვენი თანატოლები 77

თემა 4

სამშობლო 101

თემა 5

მოგზაურობის ციებ-ცხელება 125

თემა 6

ჯანსაღი ცხოვრების საიდუმლო 149

თემა 7

დღიურები 171

თემა 8

ფანტაზია და მარჯვე ხელები 197

დანართი

ზმნური ლექსიკონი 220

გრამატიკული გზამკვლევი 226

ტექსტები 238

2. დაახასიათეთ საკუთარი თავი.

როგორები ხართ? რა გიყვართ და რა არ გიყვართ? რა გაინტერესებთ? რაზე ოცნებობთ? და ა.შ.

3. გაიხსენეთ საქართველოსთან დაკავშირებული საინტერესო ისტორია / ამბავი, რომელსაც უამბობთ ერთმანეთს.

ა) ფოტოსურათის ან „ერთი ნახატის ისტორია“

- მასთან დაკავშირებული ამბავი - როდის და რატომ დახატე ეს სურათი?
- სად და ვისთან ერთად გადაიღე ეს ფოტო?
- რა მოხდა იმ დღეს?

ბ) ის, რაც (ან ვინც) ყველაზე მეტად მენატრება!


- ჩემი მეგობრები;
- ახალი წელი საქართველოში;
- ჩემს სოფელში გატარებული არდადეგები;
- ჩემი სახლი საქართველოში და ა.შ.



4. დახატეთ და წარადგინეთ. ისაუბრეთ თქვენი ნახატების გარშემო.


ჩემი თვალით დანახული საქართველო!

ქვეყანა, სადაც ვცხოვრობ!




5. შეადარეთ თქვენი ნახატები ერთმანეთს. მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება მათ შორის.

ვისწავლოთ ხმოვნები




1. წაიკითხეთ მასწავლებლის დახმარებით.



ა ი ი ა




ა ი ხ ე



ა ი უ თ ო



2. წაიკითხეთ და მოძებნეთ ნახატის შესაბამისი სიტყვა.



ა ი ე ი ო ი უ ი ა ი ე ი ო ი უ

ხ ა ხ ი ხ ე ხ ო ხ უ ა ხ ი ხ ე ხ ო ხ უ



3. მოძებნეთ ნაცნობი სიტყვები და წაიკითხეთ.

ჭიამაია

ხუთოსანი

სახერხი


თეატრი

იადონი

საათი

4. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ნახატებთან. რომელია ზედმეტი სიტყვა?

ია ხე თეა უთო თხა



5. შემოხაზეთ სწორად დანერილი სიტყვები.

- ა) თეა
- ა) ეთო
- ა) თხა
- ა) ხუ
- ბ) თუა
- ბ) უთო
- ბ) ხთა
- ბ) ხე

6. განაცალკევეთ სიტყვები ხაზით.

იათხახეუთოთეაიახეთხაია

7. მოძებნეთ სახელი **თეა** და შემოხაზეთ.

თეაიათათაუთოთეააიათიათეა







8. მოძებნეთ სიტყვები ცხრილში და შემოხაზეთ (ან გააფერადეთ უჯრები).

ია თეა ხე უთო თხა თითი



↓	→	ჯ	ტ	მ	დ	წ	უ	თ	ო	ქ	ხ
		ნ	კ	ი	ა	ბ	ზ	ც	ი	ხ	ე
		თ	ფ	ე	მ	თ	ხ	ა	ო	ს	შ
		ლ	თ	ე	ა	ქ	ფ	ც	ნ	ო	კ
		ი	ო	პ	ტ	ც	თ	ი	თ	ი	რ

გაიხსენეთ სმოვნები!

1. შეავსეთ კროსვორდში გამოტოვებული სმოვნები ნახატების დახმარებით.





1			ს		მ		ნ	
		2		რ	ნ		კ	
		3		ქ	შ		მ	
4	ხ		ტ		ა		ვ	
5	ბ		ღ	რ		ჯ		ნ
6	თ		ფ		ც		შ	
			7	ვ		რ	ნ	
8	ჩ		რ	ჩ	ხ		შ	
9	შ		კ		შ		ნ	
					10	ფ		რ



2. დაასახელეთ ოთხმარცვლიანი სიტყვები.


ვისწავლოთ თანხმოვნები



აი მაიმუნი



აი ნავი



აი თუთა



აი ვანო



3. მოისმინეთ ენის გასატეხები და გაიმეორეთ.

მელამ მოგაგნო მამალო, მურას მოუხმე მალეო!

თეთრი თხა გავათხათეთრე.


ნანა ნინოს ბანანს ჩუქენის.

4. დაასახელეთ საკუთარი სახელები, რომლებიც იწყება მ თ ნ ვ თანხმოვნებზე.

5. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.



- ა) ანო
- ბ) ვანო



- ა) თავი
- ბ) მთა



- ა) თმა
- ბ) მთა

6. მოისმინეთ ლექსი და შემოხაზეთ სწორი ვარიანტები.

რა ჰქვია გოგონას?

- ა) ნია
- ბ) მზია
- გ) ლია


რას მიირთმევენ ბავშვები?

- ა) ბანანს
- ბ) საზამთროს
- გ) მურაბას

ლია საზამთროს მიირთმევს,
თან ეკითხება გიას,
რატომ ზამთარშიც არა გვაქვს,
თუკი საზამთრო ჰქვია?

გიაც საზამთროს მიირთმევს,
თან უპასუხებს ლიას -
ალბათ ზამთარშიც გვექნება,
რაკი საზამთრო ჰქვია.

კარლო კობერიძე



7. წაიკითხეთ ლექსი მასწავლებლის დახმარებით.

8. შეავსეთ გამოტოვებული ასოები.

___ია ___აზა___თ___ო___ მიი___თ___ე___ს

9. შეადგინეთ სიტყვები და დაასახელეთ.


ვინ მეტ სიტყვას შეადგენს?

ბი კი ო ლო ნა კო

ნი ლა კა ლი მი ა

ბა და დე კე ლი

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



აი გალია



აი ხე



აი ტაფა



აი პური



1. მოისმინეთ ენის გასატეხები და გაიმეორეთ.

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს, აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.
 ტატას ბატი ფარფატა ტალახ-ტალახ ტანტალებს.
 ნამნაპკური ნანას ყანა ტანს იმშვენებს თანდათანა.

2. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და დაასახელეთ.

ხერხი გუგული ხელი ალუბალი კუნძული მინდორი

3. დაასახელეთ, რა არის: პინგვინი, პეპელა, კატა, ზამბახი, ხურმა, ველოსიპედი?

4. მოძებნეთ წინა დავალებაში მოცემული სიტყვები და შემოხაზეთ.

→	კ	ო	პ	ყ	ც	ე	დ	ზ	წ	ი
↓	ფ	პ	ი	ნ	გ	ვ	ი	ნ	ი	ტ
	ვ	ე	ლ	ო	ს	ი	პ	ე	დ	ი
	დ	პ	ს	ა	კ	ქ	ზ	ხ	ნ	ო
	რ	ე	ღ	ზ	ა	მ	ბ	ა	ხ	ი
	შ	ლ	ე	ბ	ტ	ნ	კ	ჟ	უ	ყ
	ი	ა	ა	დ	ა	ხ	უ	რ	მ	ა
	ქ	წ	ც	ჩ	ხ	ბ	ჰ	კ	ო	ი

5. აღწერეთ სურათები და დაასახელეთ მათ შორის მსგავსება და განსხვავება.



6. წაიკითხეთ და მიუთითეთ სურათზე.

- ა) ის არის პატარა და ეკლიანი. დგას ხესთან.
- ბ) ეს კატა ზის გამხდარი თაგვის გვერდით.
- გ) ის არის კიკინებიანი და მიდის.
- დ) ეს გოგონა დგას.
- ე) ეს არის კნუტი. კნუტი დგას ხესთან.

7. გაასწორეთ შეცდომები სურათების მიხედვით.

- ა) პატარა და ეკლიანი არის კნუტი.
- ბ) პირველ სურათზე არის მზე, ხე, პატარა გოგონა და გამხდარი თაგვი.
- გ) მეორე სურათზე ხესთან დგას გამხდარი თაგვი და დიდი კატა.
- დ) გოგონა მიდის პირველ სურათზე, ხოლო მეორე სურათზე ის დგას.

8. შემოხაზეთ სწორი დაწერილობა.

- | | | |
|---------------|--------------|---------------|
| ა) ველოსიპედი | ა) სავრძელი | ა) კომპიუტერი |
| ბ) ველოსიპეტი | ბ) სავარძელი | ბ) კომპუტერი |

1. მოძებნეთ არასწორად დაწერილი სიტყვები და მონიშნეთ. გაასწორეთ წინადადებები ზეპირად.

- ა) ეს გიას ველოსიპეტია.
- ბ) ლია და გია საზმთროს მირტმევენ.
- გ) გია ლიას ხმაა.
- დ) მარსკულავები ანათებენ.

2. სწორად გადაწერეთ წინადადებები კალიგრაფიის რვეულში.

გაიხსენეთ ნასწავლი ასოები!

3. შეავსეთ კროსვორდი ნახატების დახმარებით და წაიკითხეთ, რა სიტყვა მიიღეთ გამუქებულ უჯრებში.

The crossword puzzle grid consists of 10 rows and 10 columns. The following words are to be placed in the grid:

- 1** (Across, Row 1, Col 1 to 5): Watermelon
- 2** (Across, Row 2, Col 1 to 6): Goose
- 3** (Across, Row 3, Col 1 to 5): Snail
- 4** (Across, Row 4, Col 1 to 5): Butterfly
- 5** (Across, Row 5, Col 1 to 5): Penguin
- 6** (Across, Row 6, Col 1 to 10): Seal
- 7** (Across, Row 7, Col 1 to 5): Sofa

1. წაიკითხეთ და შემოხაზეთ.

ა) ცხოველები:

კურდღელი ბალი კოლო მელია ზღარბი ლეღვი ვაშლი

ბ) ფრინველები:

ქორი ღორი ქათამი ფარშავანგი ტახი იასამანი იხვი

გ) მწერი:

გედი კოლო ფუტკარი ღიღილო ბუზი ქოქოსი კალია


დ) ყვავილი:

ბალახი ღიღილო იასამანი იადონი გვირილა ენძელა შაშვი

ე) ხილი:

შოკოლადი ქლიავი ფაფა ლეღვი კომში მსხალი ლეკვი

2. მოძებნეთ და შემოხაზეთ (ან გააფერადეთ უჯრები).



ფ	ა	რ	შ	ა	ვ	ა	ნ	გ	ი	ო
ფ	ნ	ო	ქ	ა	თ	ა	მ	ი	კ	ქ
კ	ო	ღ	ო	დ	ს	შ	ც	ლ	ხ	უ
ი	მ	პ	ქ	ღ	რ	უ	ბ	ე	ლ	ი
ო	რ	ფ	ო	თ	ო	ლ	ი	ღ	ვ	ნ
ე	დ	ც	ს	შ	ხ	ჟ	ღ	ვ	გ	ი
ა	ქ	ლ	ი	ა	ვ	ი	უ	ი	გ	ვ

- ფოთოლი
- ფარშავანგი
- ღრუბელი
- კოლო
- ქლიავი
- ქათამი
- ქოქოსი
- ლეღვი

3. შემოხაზეთ სწორად დაწერილი სიტყვები.

ა) ფარშევანგი

ა) ღრუბელი

ა) საქათამე

ბ) ფარშავანგი

ბ) ღრუბლი

ბ) საქათმე

4. მოცემული მარცვლების გამოყენებით შეადგინეთ სიტყვები და დაასახელეთ.

ქ ა მ ე თ ა რ ი ღ ო მ ი ლ ა ს ა ვ ი თ ი

5. ისაუბრეთ სურათის შესახებ მასწავლებლის კითხვების დახმარებით.



- რა ხდება სურათზე?
- თქვენი აზრით, ვისი დაბადების დღეა? საიდან ჩანს?
- ვინ არიან მისულები მისალოცად?
- როგორ გამოიყურება დათვი? აღწერეთ და დაახასიათეთ.
- როგორ სახლში ცხოვრობს ის?
- თქვენი აზრით, ვინ რას ჩუქნის დათვს?
- დააკვირდით სურათს. წელიწადის რა დროა?
- მიულოცეთ დათუჩას დაბადების დღე.

6. წაიკითხეთ ტექსტი და დაასახელოთ, სურათზე მოცემული ცხოველებიდან რომელი არ არის ტექსტში?

ეს დათვი დათოა. ესენი კი მისი მეზობლები და მეგობრები არიან: მაიმუნი პეპე, თაგვი ფეფო, კურდღელი კატო და ზღარბი ზუზუ.

დღეს დათოს დაბადების დღეა. მეგობრების სტუმრობამ ის ძალიან გაახარა. დათოს ესტუმრა და-ძმაც - პატარა ფიქრია და მისი უფროსი ძმა შალვა.

7. შემოხაზეთ სწორი პასუხები ტექსტის მიხედვით.

ვინ არიან პეპე, ფეფო, კატო და ზუზუ?



- ა) დათოს კლასელები
- ბ) უბრალოდ ამხანაგები
- გ) მეზობლები და მეგობრები

რის სახლი აქვს დათოს?

- ა) ქალაქის
- ბ) ქვის
- გ) ხის

8. მოძებნეთ ტექსტში სამმარცვლიანი სიტყვები და გადანერეთ კალიგრაფიის რვეულში.

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები




აი ყარყატი



აი ჩანთა



აი ციცინათელა



აი წიწილა



1. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ყანჩა - ყუნტა აყლაყუნდა,
რიყე-რიყე წალაყუნდა.
აყიყინდნენ ბაყაყები,
- გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

ჩუმად გამცალა ყვინჩილამ
ჩარდახში არა დამრჩა რა...
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი
ჩანთით შინ წაჩანჩალა.

ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! - აცემინებს,
ციცქნა ცხვირი გაუცივდა.

წვიმიანში განწილი
წისქვილის წინ წუხს წიწილი,
- წია, წია! - მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

2. მოძებნეთ არასწორად დაწერილი სიტყვები და მიუთითეთ. სწორად გადანერეთ წინადადებები კალიგრაფიის რვეულში.

- ა) აყაყინდნენ ბაყაყები.
- ბ) ცივი ცუარი ცივა ციდან.
- გ) - ცია, ცია! - მწარედ წივის ციცილი.

3. განაცალკევეთ სიტყვები ხაზით.

ბაყაყიცივირიცაცოცხიჩირიყანჩაწიწილანყალიჩაქუჩიყვავი

1. დააკვირდით ნახატებს და ისაუბრეთ.

- დაასახელეთ, რა არის გამოსახული?
- რომელია ხილი და რომელი - ბოსტნეული?
- ვის ჰგავს ეს ხილი და ბოსტნეული და რით?
- რომელია კაცი და რომელი - ქალი?
- აღწერეთ, როგორები არიან გარეგნულად? რა აცვიათ? რა უკეთიათ, რა აქვთ და ა.შ.

2. თუ გახსოვთ, რომელი წიგნის პერსონაჟები არიან ისინი და რა ჰქვია მათ მეგობარს?



მხატვარი: ამირან ისიანი


3. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვერსია.

ესენი ჩიპოლინოს მეგობრები არიან: მოხუცი მებაღე გოგრა, ფეხსაცმელების მკერავი ყურძენა და მუსიკის მასწავლებელი მსხალა.

4. დააკავშირეთ ერთმანეთთან. ვინ რომელი პროფესიისაა?

- | | |
|---------|----------------------|
| გოგრა | მუსიკის მასწავლებელი |
| ყურძენა | მებაღე |
| მსხალა | ხელოსანი |


ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



აი ჯამბაზი



აი ჭიანჭველა



აი ყირაფი



აი ჰამაკი



1. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

ჯანსულმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვეს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

ყოლოს ყვერიდან
ყინული ყონავს,
ყანგისფერ ყირაფს
შეაყრყოლა.

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვეს სტუმარს ერთად ელისო:
ეკუნას, ელგარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს.

2. განაცალკევით სიტყვები ხაზით.

ჯამიჯამბაზიჭიაბიჭიჭიანჭველახანჯალიყირაფიყოლოჯადოქარი

3. მოძებნეთ სახელი ჯარჯი და შემოხაზეთ.


ჯარჯიჯოხიჯემალიჯამიჯემალიჯარიაბჯარიჯარჯი

4. დააკვირდით ნახატს და აღწერეთ.

5. წაიკითხეთ ლექსი და დააკავშირეთ ნახატთან.

- წრუ-წრუ!
წრუ-წრუ! - წრუნუნებს
პანანინა წრუნუნა,
თხილს და კაკალს მიაგნო,
ერთიც არ დაინუნა.
აქ ხომ ჭამა, სოროშიც
ბევრი წააცუნცულა.

ჯანსუღ ნიქაბაძე



6. მოძებნეთ ლექსში მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და მიუთითეთ.

- ა) ძალიან პატარა, ანუ ___?___
- ბ) იპოვა, ნახა, ანუ ___?___
- გ) ცუნცულით წაიღო, ანუ ___?___

7. მოძებნეთ ლექსში საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა და მიუთითეთ: მოეწონა, ანუ?

8. შეადარეთ ტექსტები ერთმანეთს და შეასრულეთ მოცემული მითითებები.

პირველი

ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა.

მეორე

ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა და ქორს გაუსხლტა. ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა!




ა) წაიკითხეთ ის სიტყვები, რომლებიც არის პირველ ტექსტში და არ არის მეორეში.

ბ) წაიკითხეთ ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში:



გ) მოძებნეთ პირველ ტექსტში ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა და გადანერეთ კალიგრაფიის რვეულში.

დ) მოძებნეთ მეორე ტექსტში ფრინველების სახელები და გაუსვით ქვეშ ხაზი.


1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ფოტოებთან. ჩანერეთ შესაბამისი ციფრი.



1. იმერეთის მთავარი ქალაქი
2. კლდეში ნაკვეთი ქალაქი მესხეთ-ჯავახეთში
3. ქართველი მხატვარი
4. საქართველოს დედაქალაქი
5. ქართული ნუგზარი
6. სოფელი სვანეთში. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დასახლება ევროპაში
7. დიდი ზომის თხა. გავრცელებულია კავკასიაში
8. ქართველი მწერალი, „დედაენის“ ავტორი
9. საახალწლო ტკბილეული საქართველოში
10. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი



2. შეავსეთ კროსვორდი წინა დავლებაში მოცემულ ფოტოებზე დაყრდნობით და წაიკითხეთ, რა მიიღეთ გამუქებულ უჯრებში.



3. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

პინგვინი ბინადრობს ანტარქტიდაში. წყალში სწრაფად დაცურავს, ხმელეთზე კი ნელა და სასაცილოდ დაბაჯბაჯებს. უყვარს ყინულზე სრიალი და სიმაღლიდან ხტომა წყალში. სადილის შემდეგ იძინებს. დედა პინგვინი დებს კვერცხებს და მამა პინგვინს აძლევს შესანახად. მამა კვერცხებს ფეხებში ინახავს.

- ა) სად ბინადრობს?
- ბ) როგორია?
- გ) რა უყვარს?
- დ) როგორ მოძრაობს?
- ე) რას აკეთებს სადილის შემდეგ?
- ვ) რას აკეთებს დედა პინგვინი? მამა პინგვინი?



4. ჩაიფიქრეთ ცხოველი ან ფრინველი და დაახასიათეთ ნიმუშების მიხედვით.

- გარეული ცხოველია. ბინადრობს ტყეში. არის დიდი და დადის ბაჯბაჯით.
- საშიში ცხოველია. ცხოვრობს მდინარეში. აქვს წვეტიანი კბილები.
- დიდი ცხოველია. ჰგავს ცხენს. არის კუზიანი.

მობდენილი პასუხი

ერთმა ვერაგმა მეფემ მეზობელი ქვეყნის ხელმწიფეს შეუთვალა: ისეთი ცხენი გამომიგზავნე, არც თეთრი იყოს, არც შავი, არც წაბლისფერი, არც მონითალო და არც ჭრელი.

მეფეს ჩაეცინა და გათავხედებულ მეზობელს ასეთი პასუხი შეუთვალა: შენი მოსაწონი ცხენი უკვე მომგვარეს. კაცი გამომიგზავნე და ისეთ დღეს წაიყვანე, არც ორშაბათი იყოს, არც სამშაბათი, არც ოთხშაბათი, არც ხუთშაბათი, არც პარასკევი, არც შაბათი და არც კვირაო.

იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი

(დაიბადა 1840 წ.
27 ოქტომბერს სოფელ
ვარიანში –
გარდაიცვალა 1912 წ.
14 ივნისს თბილისში)



ქართველი პედაგოგი, საბავშვო მწერალი და
საზოგადო მოღვაწე; სასკოლო სახელმძღვანელოების
– “დედაენა”, “ბუნების კარი” და ა.შ. ავტორი.

ლექსიკონი

მობდენილი – კარგი, მოხერხებული

ვერაგი - ბოროტი და ეშმაკი

მომგვარე - მომართვი, მომიყვანე

თავხედი – ვისაც არავის და

არაფრის არ ერიდება

შეუთვალა – აცნობა, გააგებინა,

შეატყობინა

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

- თქვენი აზრით, რატომ იყო მეფე ვერაგი?
- რა გააკეთა მეფემ?
- რა პასუხი შეუთვალა ხელმწიფემ გათავხედებულ მეზობელს?

2. დაალაგეთ თანმიმდევრულად: ზეგ, გუშინ, ხვალ, გუშინწინ, მაზეგ

დღეს




დედამინა და გარესამყარო



რა ხდება ცაში?

მოგზაურობა კოსმოსში



დედამინის ზღაპარი

სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება და შექმნა



პროექტი: მოგზაურობა უცხო პლანეტაზე



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია ციური სხეულების შესახებ;
- ციური სხეულების / პერსონაჟების შედარებითი აღწერა-დახასიათება;
- მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემა;
- ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა;
- სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტის შედარება და მათი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა;
- შემოქმედებითი წერა - მოცემული პირობის მიხედვით ტექსტის შექმნა;
- საინფორმაციო/შემეცნებითი ტექსტის გაგება-გააზრება - ტექსტის მთავარი თემა, აზრის ძირითადი აზრი, ძირითადი ინფორმაცია;
- შემეცნებითი ხასიათის მიკროტექსტის შექმნა - რუბრიკების განსაზღვრა, ტექსტის ორგანიზება.

რა ხდება ცაში?

1. როგორია ცა დღისით და ღამით? რას ხედავთ ცაზე ამ დროს? დააკვირდით ფოტოებს და შეავსეთ სქემა.



დღის ცა



ღამის ცა

2. რა იცით მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ? ნაიკითხეთ და შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები ყველა ვარიანტი.

მთვარე არის:

- ა) დედამიწის სხელა
- ბ) დედამიწაზე 4-ჯერ უფრო დიდი
- გ) დედამიწაზე 4-ჯერ უფრო პატარა

მზე არის:

- ა) დედამიწის თანამგზავრი
- ბ) ყვითელი ვარსკვლავი
- გ) უზარმაზარი პლანეტა

ვარსკვლავები:

- ა) უსწრაფესად მოძრაობენ კოსმოსში
- ბ) ძალიან ნელა მოძრაობენ
- გ) ერთ ადგილზე არიან გაჩერებულები

3. გადაამოწმეთ თქვენი პასუხები წიგნის ბოლოს (იხ. დანართი, გვ. 238)

4. ნაიკითხეთ ტექსტი. დაუბრუნდით პირველ გვერდზე მოცემულ ფოტოებს და განსაზღვრეთ ჰორიზონტის მხარეები.

ჰორიზონტის მხარეები დღისით და ღამით

ცნობილია, რომ მზე დღით ყოველთვის ერთი მხრიდან „ამოდის“ და საღამოს მის საპირისპირო მხარეს „ჩადის“. იმ მხარეს, საიდანაც მზე ამოდის, აღმოსავლეთი ჰქვია, ხოლო საითაც ჩადის - დასავლეთი. სამხრეთი ჰორიზონტის ის მხარეა, საიდანაც მზე შუადღისას დაგვნათის. მზიან ამინდში თუ მზისგულზე დავდგებით, ჩვენი ჩრდილი მოპირდაპირე მხარეს „დაეცემა“. ამიტომაც უწოდეს ჰორიზონტის ამ მხარეს ჩრდილოეთი.

როდესაც პოლარულ ვარსკვლავს ვუყურებთ, ჩვენ უკან სამხრეთია, მარჯვნივ - აღმოსავლეთი, ხოლო მარცხნივ - დასავლეთი. პოლარული ვარსკვლავი პატარა დათვის თანავარსკვლავედის ჩამჩის „ტარის“ ბოლოში ყველაზე მოკაშკაშე ვარსკვლავია.

5. დაასრულეთ წინადადებები. ყურადღება მიაქციეთ ფორმის სიზუსტეს.

ამოდის საიდან? - ___იდან
ჩადის სად? - ___ით
ეცემა საით? - ___ით

- ა) მზე ამოდის _____ და ჩადის _____.
- ბ) როცა პოლარულ ვარსკვლავს ვუყურებთ, ჩვენ წინ _____.
- გ) შუადღისას ჩვენი ჩრდილი _____ ეცემა.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

აღმოსავლეთი დასავლეთი ჩრდილოეთი სამხრეთი

ქვეყნის ოთხი მხარე

- რა ჰქვია მხარეს, საიდანაც მზე ამოდის?
- _____.
- იმ მხარეს რა ჰქვია, სადაც მზე ჩადის?
- _____.
- პირით რომ ჩრდილოეთისკენ დადგე, რა მხარე იქნება ზურგს უკან?
- _____.
- შუადღისას რომელი მხრისკენ გადაიხრება ხოლმე ჩრდილი?
- _____.



იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“

1. წაიკითხეთ და მონიშნეთ. რომელია, თქვენი აზრით, სწორი ინფორმაცია?

1. ვარსკვლავები ერთმანეთს არ ჰგავს.
2. ყველა ვარსკვლავი წითელი ან ყვითელი ფერისაა.
3. არსებობენ ცხელი და ცივი ვარსკვლავები.
4. წითელი ფერის ვარსკვლავებს ცხელ ვარსკვლავებს უწოდებენ.
5. ვარსკვლავები მზეზე ასჯერ უფრო პატარები არიან.
6. ყველაზე პატარა ვარსკვლავები თეთრი ფერისაა.

2. შეამოწმეთ თქვენი ვერსიები ტექსტის მიხედვით.

ვარსკვლავები სხვადასხვა ფერისაა. ზოგი წითელია, ზოგი - ყვითელი და ზოგიც - თეთრი ან მოცისფრო. თეთრი და მოცისფრო ვარსკვლავები ძალიან კაშკაშა და ცხელია. ყვითელი ვარსკვლავები თეთრ და მოცისფრო ვარსკვლავებზე გრილია. წითელი ფერის ვარსკვლავები კიდევ უფრო გრილია. მათ ცივ ვარსკვლავებს უწოდებენ.

ვარსკვლავები ზომითაც სხვადასხვანაირია. არსებობენ გიგანტი ვარსკვლავები, რომლებიც მზეზე ასჯერ და უფრო მეტად დიდებიც არიან. ასევე არსებობენ პატარა ვარსკვლავებიც. მათ წითელი ჯუჯები ეწოდება. არსებობს წითელ ჯუჯებზე კიდევ უფრო პატარა ვარსკვლავები, რომელთაც თეთრ ჯუჯებს უწოდებენ. თეთრი ჯუჯა ვარსკვლავი სიდიდით მზის ტოლია.

3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

წითელი		უწითლესი
	მოყვითალო	
თეთრი		
	მოცისფრო	
		უშავესი
ვარდისფერი		

4. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა.

- ა) კაშკაშა ელვარე ბრწყინვალე ცხელი
- ბ) უზარმაზარი გიგანტი მძიმე გოლიათი
- გ) ჯუჯა მსუბუქი ქონდრისკაცი ლილიპუტი

5. გამოიყენეთ წინა დავალება და დაასახელეთ ყველა შესაძლო ვარიანტი. როგორი შეიძლება იყოს:

ვარსკვლავი? მზე? დედამინა? ადამიანი? უცხოპლანეტელი? ცხოველი? საგანი?

6. მოძებნეთ ანტონიმური წყვილები და გადანერეთ რვეულში. უპასუხეთ შეკითხვებს.


გაყინული	ნათელი
მძიმე	გიგანტი
ბნელი	გავარვარებული
ახლო	მსუბუქი
ჯუჯა	შორი

- ა) რას გამოხატავს ეს სიტყვები?
 ბ) დაასახელეთ, რომლები მიუთითებს:
- გარეგნობაზე?
 - მდგომარეობაზე?
 - მდებარეობაზე?

7. გაეცანით განმარტებას და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.


თემა არის ის, რის შესახებაც არის ლაპარაკი ტექსტში. ძირითადი **აზრი** (იდეა) კი იგივეა, რაც ტექსტის ავტორის მთავარი სათქმელი.

- I. თავიდან წაიკითხეთ ვარსკვლავების შესახებ მოცემული ტექსტი და შემოხაზეთ, რა არის მისი მთავარი თემა. ჩაწერეთ ის შესაბამის ადგილას.
 - ა) სამყაროში ვარსკვლავები სხვადასხვა ფერისაა.
 - ბ) სხვადასხვა ვარსკვლავი სხვადასხვაგვარად ანათებს.
 - გ) სამყაროში ერთნაირი ვარსკვლავი არ არსებობს.
- II. გაეცანით სქემას ბოლომდე. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტის I აბზაცი და მისი ძირითადი სათქმელი დააკავშირეთ აბზაცში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციებთან.




III. დაუბრუნდით ტექსტს. წაიკითხეთ II აბზაცი და შეავსეთ მოცემული სქემა.

II აბზაცის ძირითადი აზრი




IV. დააკავშირეთ I და II აბზაცების ძირითადი აზრი ტექსტის თემასთან.

1. დააკვირდით მზის სისტემის პლანეტებს და შეადარეთ ერთმანეთს.



2. ნაიკითხეთ და მიუთითეთ ფოტოზე, რომელია მერკური, ვენერა, დედამინა და მარსი.

მერკური, ვენერა, დედამინა და მარსი სხვა პლანეტებთან შედარებით მზესთან უფრო ახლოს არიან. მზესთან ყველაზე ახლოს მერკურია, თუმცა ყველაზე კაშკაშა და ცხელი პლანეტა ვენერაა. ოთხივე პლანეტა მკვრივია და ქვიანი. დედამინა ერთადერთია მზის სისტემაში, რომელზეც სიცოცხლეა. მისი ზედაპირის უდიდესი ნაწილი წყალს უკავია. გარშემო კი ატმოსფერო, ანუ ჰაერის გარსი აკრავს.



3. დაასახელეთ, რა აერთიანებთ და რითი განსხვავდებიან ეს პლანეტები ერთმანეთისაგან.

4. დაუბრუნდით ფოტოს. თქვენი აზრით, მათ შორის რომელი პლანეტები ჰგავან ყველაზე მეტად ერთმანეთს და რით? ნაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდები.

მარსი ყველაზე მეტად ჰგავს დედამინას, თუმცა მასზე ორჯერ პატარაა. მარსს წითელ პლანეტასაც უწოდებენ ღამის ცაზე მისი შეფერილობის გამო. როგორც დედამინაზე, აქაც იცვლება ნელინადის დროები. დილით აქ ნისლია და მსუბუქად ყინავს, თუმცა ხანდახან ჩვენს პლანეტაზე გაცილებით მეტადაც ცივა. მარსზე დღისით თხელი ღრუბლებით დაფარული კაშკაშა ცაა, ღამით კი ძალიან ყინავს. თვეების განმავლობაში აქ ქარიშხლები მძვინვარებს.

მარსის ზედაპირი უსწორმასწოროა. აქ არის უზარმაზარი მთები. აღმოჩენილია მდინარეებიც. მისი ჩრდილოეთ პოლუსი მშრალი ყინულითა და წყლითაა დაფარული.

5. გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული ცხრილები რვეულში და შეავსეთ.

ა) ცალ-ცალკე აღწერეთ ორივე პლანეტა:

	როგორი პლანეტაა?	რა ხდება ამ პლანეტაზე?
დედამინა		
მარსი		

ბ) გამოკვეთეთ მსგავსება და განსხვავება მათ შორის.

რა საერთოა დედამიწასა და მარსს შორის?	რა განსხვავებაა დედამიწასა და მარსს შორის?
_____	დედამიწა:
_____	_____
_____	მარსი:
_____	_____
_____	_____

1. შეადარეთ ერთმანეთს მარსი და დედამიწა. გამოიყენეთ მოცემული ენობრივი ფორმულები და შეადარეთ ერთმანეთს მარსი და დედამიწა.

- მარსიც და დედამიწაც, **ორივე** ...
- მარსზე ... , დედამიწაზე **კი** ...
- დედამიწისგან **განსხვავებით**, მარსზე ... და ა.შ.



ენის სამყაროში

გაიხსენეთ!

რასთან ახლოს? – დედამიწასთან, მზესთან... ჩემთან, ჩემს მეგობართან...

რისგან შორს? – დედამიწისგან, მზისგან... ჩემგან, ჩემი მეგობრისგან...

2. აირჩიეთ და ჩაწერეთ შესაბამისი სიტყვა.

- მარსი მზისგან _____ (შორსაა / ახლოსაა)
- მერკური მზესთან ყველაზე _____ (შორს / ახლოს) იმყოფება.
- ნატალია ჩემგან _____ (ახლოს / შორს) ცხოვრობს.
- მე ჩემს მეგობართან _____ (ახლოს / შორს) ვცხოვრობ.
- ჩემი სკოლა ჩემს სახლთან _____ (შორსაა / ახლოსაა)

3. მოძებნეთ შეცდომები და გაასწორეთ რვეულში.

- მერკური მზისგან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტაა.
- მარსი მზესთან შორს მდებარეობს.
- მარსი ყველაზე დიდად ჰგავს დედამიწას.
- იუპიტერი ყველაზე დიდია, ვიდრე სატურნი.
- მერკური მზესთან უფრო ახლოსაა, შედარებით ვენერა.

1. წაიკითხეთ და დაასახელეთ: რომელი მიუთითებს მსგავსებაზე და რომელი - განსხვავებაზე?

- ა) ის უფრო დიდია, ვიდრე მე / შენ / ის / ეს ...
- ბ) ის ისეთივეა, როგორც მე / შენ / ის / ეს ...
- გ) ის არის ჩემხელა / ჩემოდენა; ჩემნაირი.
- დ) ის მასზე დიდია / მასთან შედარებით დიდია.

2. მოძებნეთ არასწორი ინფორმაცია და გაასწორეთ.

- ა) მარსი დედამიწისხელაა.
- ბ) ვენერა უფრო პატარაა, ვიდრე – მერკური.
- გ) ვეფხვი ლომივით საშიში ცხოველია.
- დ) რაკეტა თვითმფრინავთან შედარებით უფრო სწრაფია.
- ე) გიგანტი ვარსკვლავები მაინც მზეზე პატარები არიან.

დამახსოვრეთ!

ჩემხელა / ჩემოდენა

მიუთითებს მხოლოდ ზომისა და ფორმის მიხედვით მსგავსებაზე.

3. გადახაზეთ ზედმეტი.

- ა) ჩემხელა, ჩემნაირი, ჩემოდენა, ჩემზე უფრო, ჩემსავით
- ბ) ჩემზე უფრო, ჩემთან შედარებით, ჩემსავით, ჩემზე მეტად

4. დაუბრუნდით წინა დავალებას და დააკავშირეთ ერთმანეთთან. ჩანერეთ შესაბამისი ასო. რომელი მიუთითებს მსგავსებაზე და რომელი – განსხვავებაზე?

- მიუთითებენ მსგავსებაზე. _____
- მიუთითებენ განსხვავებაზე. _____

5. გაეცანით ცხრილში მოცემულ ინფორმაციას, შეადარეთ ისინი ერთმანეთს და დაწერეთ რვეულში.

	როგორი პლანეტაა?	რა ხდება ამ პლანეტაზე?	დამატებითი ინფორმაცია
მერკური	ყველაზე პატარა; მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე;	ზედაპირი - ქვიანი და უდაბნოს მსგავსი; არ იცის ქარები	
ვენერა	ყველაზე კაშკაშა და ცხელი	ზედაპირი - კლდოვანი; მუდამ ქარი ქრის	სიკაშკაშის გამო ხშირად „მფრინავი თევზი“ ჰგონიათ.

გამოიყენეთ:

მსგავსება	განსხვავება
...-ის მსგავსად	...-ისგან განსხვავებით; ...ზე როგორი?
...-ივით // ...-სავით	უფრო ... , ვიდრე ...

ზმნები

1. შეადარეთ ცხრილში მოცემული ზმნები ერთმანეთს. დააზუსტეთ უცნობი ზმნების მნიშვნელობები პირად ლექსიკონში.

ის რას აკეთებს?	ის რას აკეთებს?
ცხოვრობს	იბადება
ბინადრობს	კვდება
არსებობს	გრძელდება
მდებარეობს	ჩნდება
ჩანს	ქრება
მოგზაურობს	ინთება
მოძრაობს	ხდება
ბრუნავს	ნათდება
ტრიალებს	ბნელდება
კაშკაშებს	ლამდება
ანათებს	თენდება
ქრის	ბრუნდება
ყინავს	ტრიალდება

2. გამოიყენეთ წინა დავალება, შეავსეთ ნაკლული წინადადებები კონტექსტის მიხედვით და გადანერეთ რვეულში.

- დედამინა ერთადერთი პლანეტაა, რომელზეც სიცოცხლე ___?___.
- სხვა პლანეტებთან ერთად დედამინაც მზის გარშემო ___?___.
- აბასთუმნის ობსერვატორია სამცხე-ჯავახეთში ___?___.
- ვენერა ყველაზე კაშკაშა პლანეტაა. პლანეტებს შორის ყველაზე მეტად ვენერა ___?___.
- მარსზე ღამით საშინლად ___?___.
- მზის სრული დაბნელება მხოლოდ რამდენიმე წუთს ___?___.
- დღისით ცაზე მზე ___?___.
- ვარსკვლავები მხოლოდ ღამით ___?___ ცაზე.
- როცა მზე ამოდის, ___?___ და, როცა ჩადის _ ___?___.
- ყველა ვარსკვლავი იბადება და ___?___.

3. დაუბრუნდით პირველ დავალებას. მოძებნეთ სათანადო წყვილები და გადაწერეთ რვეულში.

- ა) ერთი მნიშვნელობის: ჩანს – ჩნდება ...
- ბ) მსგავსი მნიშვნელობის: ტრიალებს - ბრუნავს ...
- გ) საპირისპირო მნიშვნელობის: იბადება - კვდება ...

4. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი პირველი დავალების მიხედვით.

რამდენპირიანია მოცემული ზმნები?

- ერთპირიანი
- ორპირიანი
- სამპირიანი

მერამდენე პირია ის?

- პირველი
- მეორე
- მესამე

რომელი პირია ის?

- მოქმედი პირი (სუბიექტი)
- არამოქმედი პირი (ობიექტი)

დაიმახსოვრეთ!

პირნაკლია:

- მდებარეობს
- ქრის, ყინავს, ცივა, ცხელა...
- თენდება, ღამდება
- გრძელდება
- ნათდება, ბნელდება

რომელი დროა გამოხატული?

- წარსული
- ახლანდელი
- მომავალი

პროექტი

5. დაიყავით ჯგუფებად და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება.

წარმოიდგინეთ, რომ მუშაობთ ტურისტულ ფირმაში და ტურისტებს სთავაზობთ კოსმოსში მოგზაურობას. შეარჩიეთ სამი პლანეტა და შეადგინეთ სარეკლამო ბუკლეტი.

გაითვალისწინეთ:

- ა) მოიფიქრეთ და დაარქვით თქვენს ფირმას სახელი.
- ბ) დაასახელეთ და აღწერეთ თქვენ მიერ შერჩეული პლანეტები.
- გ) მიუთითეთ მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია მათ შესახებ.
- დ) დაწერეთ: რითი გაემგზავრებიან და რას ნახავენ იქ.
- ე) გააფორმეთ ბუკლეტი და წარადგინეთ კლასში.

გამოიყენეთ: **გავემგზავრებით + ...-ით / ვნახავთ + რას?**

მოგზაურობა კოსმოსში

1. დააკვირდით სურათებს და აღწერეთ ისინი. შეადარეთ ისინი ერთმანეთს.
2. წაიკითხეთ ტექსტის სათაური და უპასუხეთ სურათებზე დაყრდნობით: სად მოგზაურობს მიუნჰაუზენი?



3. წაიკითხეთ ტექსტი და დააკავშირეთ სურათებთან.

მიუნჰაუზენის მოგზაურობა მთვარეზე

ერთხელ გემით სამხრეთ ოკეანეში მივცურავდით. მეთვრამეტე დღეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ჩვენი გემი პირდაპირ ცაში აიტაცა. ექვსი კვირა დავფრინავდით ღრუბლებში. ბოლოს ერთი მრგვალი კუნძული დავინახეთ. ეს კუნძული იყო მთვარე. გადავედით მთვარის ნაპირზე.

ქვევით, ძალიან შორს სხვა პლანეტა დავინახეთ. იქ იყო: ქალაქები, ტყეები, მთები და მდინარეები. ეს ჩვენი დედამიწა იყო.

მთვარეზე ყველაფერი უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩვენთან არის, დედამიწაზე. ბუზი იქ ცხვირისოდენაა, ვაშლი კი ჩვენი საზამთროსხელა.

4. წაიკითხეთ წინადადებები და დაალაგეთ ისინი თანამიმდევრულად – როდის რა მოხდა.

- | | |
|-------------------------------------|---------|
| ა) სამხრეთ ოკეანეში მივცურავდით. | ___1___ |
| ბ) გადავედით მთვარის ნაპირზე. | _____ |
| გ) დავფრინავდით ღრუბლებში. | _____ |
| დ) საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. | _____ |
| ე) ერთი მრგვალი კუნძული დავინახეთ. | _____ |
| ვ) ჩვენი გემი პირდაპირ ცაში აიტაცა. | _____ |

5. დაუბრუნდით ტექსტის I აბზაცს და შეამოწმეთ.

6. უპასუხეთ შეკითხვებს წინა დავალების მიხედვით.

სად მიცურავდა გემი? რა დაფრინავდა ღრუბლებში? რამ აიტაცა გემი ცაში? როგორი იყო ქარიშხალი? როგორი კუნძული დაინახეს? რის ნაპირზე გადავიდნენ?

7. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

ოკეანეში	დაფრინავდნენ
ნაპირზე	დაინახეს
ღრუბლებში	მიცურავდნენ
კუნძული	გადავიდნენ

სამხრეთი	კუნძული
მრგვალი	ქარიშხალი
სამინელი	ნაპირი
მთვარის	ოკეანე

ცაში	ჩაუშვა
დედამინაზე	აიტაცა
ოკეანეში	დასვა

8. იპოვეთ მსგავსი შინაარსის მქონე სიტყვა.

ნაპირი. ანუ

- ა) თავი ბ) კიდე გ) შუაგული დ) ბოლო

9. გაიხსენეთ ტექსტის პირველი მონაკვეთი და უპასუხეთ შეკითხვებს.

თქვენი აზრით.

- ა) როგორები იყვნენ მთვარის მაცხოვრებლები გარეგნულად? ჰგავდნენ თუ არა ისინი დედამინაზე მცხოვრებ ადამიანებს?
- ბ) როგორები იყვნენ შორეული ვარსკვლავის მაცხოვრებლები?

10. დახატეთ მთვარისა და შორეული ვარსკვლავის მაცხოვრებლები თქვენი წარმოსახვით და აღწერეთ.

პროექტი

მთვარის მაცხოვრებლების ერთი ოჯახი

მოიფიქრეთ: ვინ არიან ოჯახში? რა ჰქვიათ და რამდენი წლისანი არიან ისინი? სადაურები არიან? რას საქმიანობენ? როგორ სახლებში ცხოვრობენ? რით მოძრაობენ ქალაქში და ა.შ.

აღწერეთ მათი ერთი ჩვეულებრივი დღე - რას აკეთებენ დილით, შუადღისას და საღამოს? რით იკვებებიან? და ა.შ.

1. შეადარეთ თქვენი ვარიანტები ერთმანეთს.

2. დაუბრუნდით მიუნჰაუზენს და დაასრულეთ ტექსტის კითხვა.

მთვარეზე ერთი შორეული ვარსკვლავის რამდენიმე მაცხოვრებელი ვნახე. საყიდლად იყვნენ ჩამოსულები. შორეული ვარსკვლავის მაცხოვრებლებს პირისახე ძალღს მიუგავდათ, თვალები ან ცხვირზე ესხდათ ან ნესტოების ქვემოთ. არც ქუთუთოები ჰქონდათ, არც წამწამები და ძილის დროს თვალებს ენით იხუჭავდნენ.

მთვარის მაცხოვრებლები ჭამაზე დროს არ კარგავენ. მუცლის მარცხენა მხარეზე ერთი კარი აქვთ. გააღებენ ამ კარს და შეანყობენ შიგ საჭმელს შემდეგ ჭამამდე. ისინი თვეში ერთხელ ჭამდნენ. საერთოდ, მუცელი მათ ჩემოდნის მაგივრობას უწევს. როდესაც მოესურვებათ, ხსნიან და ხურავენ - რაც უნდათ, იმას ალაგებენ შიგ. არც კუჭი აქვთ, არც ღვიძლი და არც გული.

მთვარის ადამიანებს თითო ხელზე თითო თითი აქვთ, თავი კი ილღის ქვეშ აქვთ ამოღებული. როცა სადმე მიდიან, თავი არ მიაქვთ, სახლში ტოვებენ.

თვალეზიც შეუძლიათ ამოიღონ და ისევ ჩაისვან. როდესაც თვალი ხელში უჭირავთ, ისე კარგად ხედავენ, თითქოს თვალი თავის ადგილას ჰქონდეთ. თუ თვალი დაეკარგათ, ბაზარში ახალს ყიდულობენ. მთვარეზე თვალეზის ბევრი მაღაზიაა და ასე აწერია: „იყიდება თვალეზი იაფად. ბევრია ნარინჯისფერი, წითელი, იისფერი და ლურჯი“. მთვარეზე ყოველ წელს სხვადასხვა ფერის თვალეზია მოდამი. მე რომ მთვარეზე ვიყავი, მაშინ მოდამი მწვანე და ყვითელი თვალეზი იყო.

3. წაიკითხეთ და დაასახელეთ, სწორია თუ არა მოცემული ინფორმაცია. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი ტექსტის მიხედვით.

- ა) შორეული ვარსკვლავის მაცხოვრებლებს მთვარის მაცხოვრებლებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ.
- ბ) მთვარის მაცხოვრებლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვალეზი იყო.

4. რა იყო ყველაზე უცნაური თქვენთვის მათ გარეგნობაში?

5. შეადარეთ თქვენი ნამუშევრები მიუნჰაუზენის მიერ გადმოცემულ ვერსიას. იმუშავეთ რვეულში.



როგორები არიან მთვარის ადამიანები თქვენი ფანტაზიით?	როგორები არიან შორეული ვარსკვლავის მაცხოვრებლები თქვენი ფანტაზიით?	როგორები არიან ისინი მიუნჰაუზენის ვერსიით?

პროექტი

მოგზაურობა უცხო პლანეტაზე

6. გაეცანით ინსტრუქციას და “იმოგზაურეთ” უცხო პლანეტაზე.

წარმოიდგინეთ, რომ მიუნჰაუზენი ხართ. მოიფიქრეთ მენუვილესთან ერთად მსგავსი არარეალური ისტორია, რით მიფრინავთ, ვისთან ერთად მიფრინავთ და დაწერეთ.

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ მიუნჰაუზენის მოგზაურობის ამბავი მთვარეზე და ისე შეუდექით დავალების შესრულებას.

გადაიტანეთ ცხრილი რვეულში. დაარქვით თქვენს პლანეტას სახელი. მოიფიქრეთ შესაბამისი ინფორმაცია და შეავსეთ ცხრილი.

გარემო	იქ მაცხოვრებლები
1. რა არის იმ პლანეტაზე და როგორია ის დედამიწასთან შედარებით? _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____	1. გარეგნობა: როგორები არიან? რითი ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ისინი დედამიწელებისაგან? _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ _____ 3. რას ჭამენ, რა აცვიათ და ა.შ. _____ _____ _____ _____ _____

7. გამოიყენეთ შეთავაზებული დასაწყისი და გააგრძელეთ ამბავი რვეულში.

მოგზაურობა _____ზე

ერთხელ მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ _____ზე მოგზაურობა. ჩავსხედით _____ და გავფრინდით. ვიფრინეთ _____ დღე. ბოლოს მივალწიეთ ჩვენს პლანეტამდე.

გადმოვედით _____დან და უცნაურ სამყაროში აღმოვჩნდით.

8. გააცანით კლასს თქვენი მოგზაურობის ამბავი. დაასახელეთ, ვისი ისტორია იყო:

ყველაზე სასაცილო?

ყველაზე უცნაური?

ყველაზე საინტერესო?

1. წაიკითხეთ პირველი ეპიზოდი «დაჩის ზღაპრებიდან» და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

დედამიწის ზღაპარი

(ოტია იოსელიანის მიხედვით)

1. იყო ცა, მიწა და ადამიანები. ადამიანებმა არაფერი იცოდნენ ჭამა-სმის გარდა. ჭამდა და ჭამდა ადამიანი, რასაც იშოვიდა, გაკეთებით კი არაფერს აკეთებდა. ერთ დღესაც საჭმელი გამოელიათ. ბალახის ჭამა დაიწყეს, მაგრამ არ მოეწონათ. მიწას ფეხებით სცემდნენ – საჭმელი გვინდაო.

ენყინა მიწას: ეს რა ხალხია, ჩემს ზურგზე დადიან, ჩემს გაზრდილ ხის ნაყოფსა და ბალახს ჭამენ და კიდევ მე მცემენო. გაიბერა ბურთივით, გაიბერა და... სწორი ზედაპირი ამობურცა – მთები და მაღალი მწვერვალები გააჩინა.

I. შემოხაზეთ ყველა სწორი ინფორმაცია.

- ა) ადამიანებმა არ იცოდნენ მუშაობა.
- ბ) ადამიანები ყველაფერს აკეთებდნენ.
- გ) ადამიანებს ბევრი საჭმელი ჰქონდათ.
- დ) მშვიერი ადამიანები მიწაზე ბრაზობდნენ.

II. წაიკითხეთ და შემოხაზეთ პირველი ეპიზოდის მიხედვით.

რა იყო ადამიანების შიმშილის მიზეზი?

- ა) მათ არაფრის გაკეთება არ იცოდნენ.
- ბ) მათ სულ ეძინათ.
- გ) ისინი სულ ჩხუბობდნენ.

რა ენყინა მიწას ადამიანებისაგან?

ის, რომ:

- ა) ადამიანები მის ზურგზე დადიოდნენ.
- ბ) ადამიანები მის ნაყოფს ჭამდნენ.
- გ) ადამიანები მას სცემდნენ.

როგორია ამ ეპიზოდში მიწა?

(შემოხაზეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)

- ა) გაბრაზებული
- ბ) მხიარული
- გ) ცნობისმოყვარე
- დ) ნაწყენი
- ე) მონყენილი

როგორები არიან ამ ეპიზოდში ადამიანები?

(შემოხაზეთ ყველა შესაძლო ვარიანტი)

- ა) გაბრაზებულები
- ბ) მხიარულები
- გ) ცნობისმოყვარეები
- დ) ზარმაცები
- ე) მონყენილები

III. ამოწერეთ შესაბამისი წინადადებები და წაიკითხეთ.

- ა) საიდან ჩანს, რომ ადამიანები გაბრაზდნენ?
- ბ) საიდან ჩანს, რომ მიწას ენყინა?

2. წაიკითხეთ მეორე ეპიზოდი და შეასრულეთ დავალებები.

2. - რა ვქნათ, მწვერვალები და კლდეები შევჭამოთ? – იკითხეს ადამიანებმა.

- რა და, ხელი გაანძრიეთ, საქმე გააკეთეთო, - უპასუხა მიწამ.

ადამიანებმა ჯერ ხელით დაიწყეს მიწის თხრა, შემდეგ ხარი და ძროხა შეაბეს გუთანში. მერე ტრაქტორის გაკეთებაც ისწავლეს. აცხოვდნენ ხაჭაპურებს და ჭამდნენ.

I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

რას ნიშნავს - „ხელი გაანძრიეთ“?

- ა) იმუშავეთ
- ბ) ივარჯიშეთ
- გ) იცეკვეთ

რა ასწავლა დედამიწამ ადამიანებს?

- ა) ჭამა
- ბ) გართობა
- გ) შრომა

II. ქვემოთ მოცემული ანდაზებიდან რომელი გამოხატავს პირველი-მეორე ეპიზოდების შინაარსს?

- ა) ბოროტ კაცს ენაც ბოროტი აქვსო.
- ბ) ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამსო.

3. წაიკითხეთ მესამე ეპიზოდი და უპასუხეთ შეკითხვებს.

3. ადამიანებმა საჭმლის გამო ჩხუბი დაიწყეს. სცემდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს. მწვერვალებს გული ეტკინათ ადამიანებზე და დედამიწის ცრემლი თავზე გაეყინათ – ჩამოათოვათ, გაჭალარავდნენ. მანამდე დედამიწა მწვანე – ახალგაზრდა იყო.

ა) რა არის დედამიწის ცრემლი?

ბ) რად იქცა გაყინული „ცრემლი“?

გ) რა იგულისხმება სიტყვებში - «მწვერვალები გაჭალარავდნენ»? შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტი.

- 1) მწვერვალები გათეთრდნენ.
- 2) დედამიწაზე პირველი თოვლი მოვიდა.
- 3) ადამიანების ცუდმა საქციელმა დედამიწა დააბერა.

4. ადამიანები გამოქვაბულებიდან გამოვიდნენ და სახლები ააშენეს. ეზოებს ღობეები შემოავლეს და ფიქრი და ოცნება დაიწყეს.

- ისე გავსუქდით, ეს ადგილი აღარ გვეყოფნისო, - თქვა ზოგმა.
- ფრთები გვინდა და ცაში ავფრინდებითო, - თქვეს სხვებმა.
- ცაში ავფრინდეთ რა, ტოროლები ვართო? – დააყარეს სიცილი იმ სხვებს.

მერე ისევ ერთმანეთს დასცხეს.

- რა მოგივიდათ, რა დაგემართათო! - ამოიოხრა ჭალარა დედამინამ.

- უნდა იმღეროთ, უნდა იმღეროთო! – დაიგუგუნეს მთებმა და ადამიანს სიმღერა ასწავლეს. ზოგმა ლექსების წერა დაიწყო, ზოგმა კი – ხატვა. დასცხეს ხმაშენყობილი სიმღერა. მერე თითის წვერებზე ჩამოუარეს, შიგადაშიგ ფეხის გასმაც კი დაიწყეს, იქნებ მინას შეეხიცინოს და გაცინოსო.

- შენ უბრალო მინა კი არა, დედა ხარ ჩვენი! ისეთი სიკეთე გავგიკეთე, დედამინა უნდა დაგიძახოთო, – თქვეს ადამიანებმა.

- დედამინაო, დედამინაო! – გაიხარეს მთებმა და მწვერვალებმა.

I. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ერთმანეთთან.

- | | |
|------------------------|--------------------------|
| 1. დააყარეს სიცილი. | ა. ბევრი კითხვა დაუსვეს. |
| 2. დააყარეს კითხვები. | ბ. იჩხუბეს. |
| 3. დააყარეს ერთმანეთს. | გ. დასცინეს. |

II. რას ნიშნავს ქვემოთ მოცემული ფრაზები? აირჩიეთ და ჩაწერეთ სათანადო ადგილას.

- ა) ერთმანეთს დასცხეს. _____
- ბ) სიმღერა დასცხეს. _____
- გ) თითის წვერებზე ჩამოუარეს. _____

იცეკვეს
იჩხუბეს
იმღერეს

1. გამოიყენეთ ტექსტი («დედამინის ზღაპარი») და ჩაწერეთ შესაბამისი ეპიზოდების ნომრები.

რომელ ეპიზოდებში არიან ადამიანები:

- ა) გაბრაზებულები? _____
- ბ) მხიარულები? _____
- გ) ცნობისმოყვარეები? _____

რომელ ეპიზოდებშია დედამინა:

- ა) გახარებული _____
- ბ) გაბრაზებული _____
- გ) გულნატკენი _____

2. დაახასიათეთ ადამიანები.

- ა) როდის იქცევიან ისინი ცუდად? სად ჩანს ეს?
- ბ) როდის იქცევიან ისინი კარგად? სად ჩანს ეს?

დავწერეთ შემეცნებითი ტექსტი!

1. ნაიკითხეთ ტექსტები და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები.

I.

იყო ერთი ყინულოვანი ქვეყანა. ამ ქვეყანაში მარტო პინგვინები, თეთრი დათვები და ზღვის ლომები ცხოვრობდნენ. ჰოდა, ამ ყინულოვან ქვეყანაში ერთი ძალიან უცნაური და სასაცილო თეთრი დათვი ცხოვრობდა.

ერთხელაც ამ თეთრ დათვს მოხუზრდა თავის ქვეყანაში ცხოვრება და გადანყვიტა სხვა ქვეყანაში წასვლა.

- მომხუზრდა აქ! აქეთ ყინული, იქით ყინული! აქეთ პინგვინი, იქით პინგვინი! საჭმელიც – სულ თევზი და თევზი. წავალ, უკეთეს ადგილს მოვძებნი. დედამინა დიდია, ადგილების მეტი რა არის?! – უთხრა თეთრმა დათვმა ზღვის ლომს და წავიდა.

ავტორი: თამარ ფხაკაძე

II.

თეთრი დათვი გავრცელებულია ჩრდილოეთყინულოვანი ოკეანის კუნძულებსა და სანაპიროებზე. ის ხშირად მცურავ ყინულებზეც გვხვდება. თეთრი დათვი ერთ-ერთი უდიდესი ცხოველია. მისი მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრია, იწონის 400-დან 700-მდე კილოგრამს.

მისი სხეული დაფარულია თეთრი ან მოყვითალო ხშირი და გრძელი ბალნით.

თეთრი დათვის ძირითადი საკვებია სელაპი, ჭამს აგრეთვე თევზს, ფრინველებსა და მათ კვერცხებს.

საბავშვო ენციკლოპედია

III.

გამარჯობა, ნინო!

როგორ ხარ? როგორ არის შენი პატარა და? მომიკითხე და აკოცე. მე კარგად ვარ.

მივიღე შენი საჩუქარი. ძალიან გამეხარდა. ძალიან საინტერესო წიგნია! ბევრი უცნაური ამბავი წავიკითხე თეთრ დათვებზე. ისინი თურმე სელაპებსაც ჭამენ და ფრინველებსაც. მე მეგონა, მარტო თევზები იყო მათი საკვები.

გუშინ დოკუმენტური ფილმი ვნახე ტელევიზორში თეთრ და მურა დათვებზე. ძალიან მომეწონა. ხვალ კინოში მივდივარ. ახალი ფილმი გამოვიდა – „თეთრი დათვის მხიარული თავგადასავალი“. ძალიან მაინტერესებს.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ასეთი კარგი საჩუქრისათვის.

არდადეგებზე გელოდები. აუცილებლად ჩამოდი.

გკოცნი, ლელა

1. დაასახელეთ, რის შესახებ არის სამივე ტექსტში საუბარი?

2. დააკონკრეტეთ თითოეული ტექსტის თემა. დააკავშირეთ მოცემული ინფორმაციები ტექსტებთან და მიუწერეთ შესაბამისი ტექსტის ნომერი:

ა) ინფორმაცია თეთრი დათვების შესახებ. _____

ბ) საინტერესო საჩუქარი. _____

გ) ერთი თეთრი დათვის ამბავი. _____

3. დაასახელეთ, რომელ ტექსტში (ან ტექსტებში) არის საუბარი თეთრი დათვების საკვებზე? ჩანერეთ, ვინ საუბრობს ამის შესახებ:

პირველ ტექსტში? _____

მეორე ტექსტში? _____

მესამე ტექსტში? _____

4. დაუბრუნდით პირველ ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად არის ყინულოვანი ქვეყანა და რა ჰქვია მას?

ბ) რომელი ცხოველები ბინადრობენ ყინულოვან ქვეყანაში?

გ) როგორი დათვი ცხოვრობდა აქ?

დ) რა მოზღვრდა თეთრ დათვს თავის ქვეყანაში?

ე) რა უთხრა თეთრმა დათვმა ზღვის ლომს?

5. დაუბრუნდით მეორე ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) სად ბინადრობს თეთრი დათვი?

ბ) როგორი ცხოველია ის?

გ) საიდან ჩანს, რომ ის დედამიწის უდიდესი ცხოველია?

დ) რით აქვს მას სხეული დაფარული?

ე) რით იკვებება თეთრი დათვი?

6. რომელ ტექსტში (ან ტექსტებში) ჩანს ავტორის დამოკიდებულება და ემოციები? ჩანერეთ შესაბამისი ტექსტის ნომერი.

7. ამონერეთ ის სიტყვები, რომლებიც დამოკიდებულებასა და ემოციას გამოხატავს.

8. რომელი ტექსტი გადმოგვცემს მხოლოდ ინფორმაციას? ჩაწერეთ შესაბამისი ტექსტის ნომერი.

9. რომელ ტექსტშია (ან ტექსტებშია) აშკარად გამოცემული? ჩაწერეთ შესაბამისი ტექსტის ნომერი.

10. შეადარეთ პირველი და მესამე ტექსტები ერთმანეთს. წაიკითხეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

	პირველი ტექსტი	მესამე ტექსტი
1. გადმოცემულია ერთი თეთრი დათვის მხიარული ამბავი.		
2. გადმოცემულია ერთი პატარა გოგონას ემოცია.		
3. არის პერსონაჟი.		
4. არის მისალმება, მოკითხვა და დამშვიდობება.		
5. არის დიალოგი.		

11. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ტექსტებთან. რომელია:

პირადი წერილი? _____

მხატვრული ტექსტი? _____

საინფორმაციო/შემეცნებითი ტექსტი? _____

12. დაუბრუნდით ტექსტებს (გვ. 51) და ჩაწერეთ მითითებულ ხაზებზე, რა ტიპის ტექსტებია.

13. მონიშნეთ მხატვრული ტექსტები.

წერილი, ზღაპარი, განცხადება, მოთხრობა, ლექსი, მისალოცი ბარათი

14. შემოხაზეთ, სად წაიკითხავთ საინფორმაციო/შემეცნებითი ხასიათის ტექსტებს?

- ა) მოთხრობების კრებულში
- ბ) ლექსების კრებულში
- გ) ლექსიკონში
- დ) ენციკლოპედიაში

1. წაიკითხეთ ტექსტი და დააკავშირეთ მოცემული რუბრიკები შესაბამის აბზაცებთან.

- ა) საცხოვრებელი ადგილი _____
- ბ) საკვები _____
- გ) ფიზიკური მონაცემები _____
- დ) განმარტება _____
- ე) გარეგნობა _____



თეთრი დათვი

1. თეთრი დათვი მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველია.
2. ის გავრცელებულია ჩრდილოეთყინულოვანი ოკეანის კუნძულებსა და სანაპიროებზე. ხშირად გვხვდება მცურავ ყინულებზეც.
3. თეთრი დათვი ერთ-ერთი უდიდესი ცხოველია დედამიწაზე. მისი მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრია, იწონის 400-დან 700-მდე კილოგრამს.
4. სხვა დათვებისაგან განსხვავებით, თეთრ დათვს აქვს გრძელი კისერი და ბრტყელი თავი. სხეული დაფარული აქვს თეთრი ან მოყვითალო ხშირი და გრძელი ბალნით.
5. თეთრი დათვის ძირითადი საკვებია სელაპი, ჭამს აგრეთვე თევზს, ფრინველებსა და მათ კვერცხებსაც.

2. წაიკითხეთ ტექსტში გახაზული სიტყვები და მონიშნეთ, რაზე მიუთითებს ისინი.

- ა) ახასიათებს რაიმეს კონკრეტული ნიშნით (როგორია?)
- ბ) მიუთითებს ადგილს (სად? საიდან?)
- გ) მიუთითებს მიზეზს (რატომ?)

3. გამოიყენეთ მოცემული მონაცემები და დაწერეთ მსგავსი ტექსტი რვეულში. დაიცავით ტექსტის ფორმალური მხარე (დაწერეთ სათაური, გამოყავით აბზაცები რუბრიკების მიხედვით).

დასახელება: მურა დათვი.


განმარტება: მტაცებელი, ძუძუმწოვარი

საცხოვრებელი: ევროპა, აზია, ჩრდილოეთ ამერიკა

ფიზიკური მონაცემები: სხეულის სიგრძე – 2,5 მეტრი,
წონა – 480 კგ-მდე.

გარეგნობა: განიერი თავი, მსხვილი და მოკლე კისერი,
პატარა თვალები და მოკლე კუდი.

საკვები: თაფლი, კენკროვანი ნაყოფი, თევზი, ჭიანჭველა,
შინაური ცხოველი




წიგნების თარო



ჩვენი ბავშვობის წიგნები


ავტორები და პერსონაჟები

„სად ცხოვრობს მეზღაპრე?“



ყველაზე მართალი კაცი და
ტყუილების წვიმა

სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგება-გააზრება და
შექმნა



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია წაკითხული წიგნების გარშემო;
- საკუთარი შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა დროში;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი ქცევის/ მოქმედების მიმართ;
- წარსულის ამბებზე საუბარი და შესაბამისი ენობრივი ფორმების (უწყვეტელი / წყვეტილი) ფუნქციური გამოყენება;
- ტექსტის ილუსტრაციის შექმნა;
- ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მარტივი დასკვნის გაკეთება;
- ბიოგრაფიული ტექსტების გაგება-გააზრება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შედარებითი ანალიზი;
- მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზი - სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის გააზრება; იდიომატური, სიტყვათმეხამებები და იდიომატური გამოთქმები; სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა.

1. რის შესახებ წერენ ბავშვები ფორუმზე. წაიკითხეთ ადგილები, რომლებიც ადასტურებს იმას, რომ წიგნებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მათზე.



სანდრო, 12 წ.

პირველი წიგნი, რომელიც ბოლომდე წავიკითხე, „რობინზონ კრუზო“ იყო. სალამოობით ვკითხულობდი ხოლმე და საკუთარ თავს მასთან ერთად წარმოვიდგენდი იმ უკაცრიელ კუნძულზე...



საბა, 9 წ.

მე კი მიუნჰაუზენთან ერთად მინდოდა მოგზაურობა მთვარეზე, ყველის კუნძულზე. სიზმარშიც ხშირად ვხედავდი, როგორ ვსეირნობდი მთვარეზე იქაურ მაცხოვრებლებთან ერთად.



სოფო, 11 წ.

მასხოვს, ბავშვობაში ძალიან მინდოდა, რომ პეპისავით ცეცხლისფერი თმა და ჭორფლები მქონოდა. ვლცნებობდი, რომ ჩემი საუკეთესო მეგობრები ტომი და ანიკა ყოფილიყვნენ. მინდოდა, მეც მყოლოდა მერი პოპინსი ...



სალომე 11 წ.

ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გახსოვთ? შარშან წავიკითხე და ძალიან მომეწონა. კიდევ რეზო ინანიშვილი მიყვარს ძალიან. მასხოვს, რატომღაც წვიმიან ამინდში ღამით ვკითხულობდი ყოველთვის. დღესაც ასე ვარ. როცა წვიმს, ინანიშვილის მოთხრობებს ვკითხულობ და ბავშვობაში ვბრუნდები.



ერეკლე, 14 წ.

მე განსაკუთრებით ერიკ-ემანუელ შმიდტის „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ მიყვარდა. ერთ პატარა ბიჭზეა, რომელიც უკუჩვენებელი სენით არის ავად. ის წერილებს სწერს ღმერთს და ცაში ბუშტებს უშვებს. მასხოვს, ეს წიგნი რომ წავიკითხე, მერე მე და ჩემმა დამაც დავწერეთ წერილები და საჰაერო ბუშტით ცაში გავუშვი.

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

1. ვისზე მოახდინა შთაბეჭდილება რობინზონ კრუზომ?
2. ვინ არის სალომეს საყვარელი მწერალი?
3. რომელი ნაწარმოები უყვარდა თორნიკეს განსაკუთრებით?
4. ვის უყვარს ღამით კითხვა?
5. ვინ აბრუნებს სალომეს ბავშვობაში?
6. რას ხედავდა საბა სიზმარში?

1. შენზე რომელმა წიგნმა ან პერსონაჟმა მოახდინა შთაბეჭდილება?
2. რომელია შენი საყვარელი მწერალი?
3. შენ რომელი ნაწარმოები გიყვარდა ბავშვობაში განსაკუთრებით?
4. შენ როდის უფრო კითხულობ?
5. შენ თუ გაბრუნებენ წიგნები ბავშვობაში?
6. შენ თუ ხედავ სიზმარში შენს საყვარელ პერსონაჟებს?

ენის სამყაროში

საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა დროში

ახლა	ადრე
მიყვარს, მომწონს, მაინტერესებს... + ის	მიყვარს, მომწონს, მაინტერესებს... + ის
ვოცნებობ + რაზე? - ექიმობაზე, წასვლაზე, მოგზაურობაზე...	ვოცნებობ + რაზე? - ექიმობაზე, წასვლაზე, მოგზაურობაზე...
ვოცნებობ / მინდა + მქონდეს / მყავდეს / ვიყო / იყვნენ ...	ვოცნებობდი / მინდოდა + მქონოდა / მყოლოდა / ვყოფილიყავი / ყოფილიყვნენ...

3. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულში.

- ა) ჩემი ძმა კოსმონავტობაზე ოცნებობს. გ) მე მინდა, რომ უფროსი ძმა მყავდეს.
 ბ) ლუკას უნდა, რომ ძალიან ჰყავდეს. დ) ვოცნებობ, ჯადოსნური ჯოხი მქონდეს.

4. დაასრულეთ წინადადებები.

- ა) ახლა ბევრს ვოცნებობ მოგზაურობაზე, ადრე არ ...
 ბ) ადრე მინდოდა ექიმი ვყოფილიყავი, ახლა აღარ ...
 გ) ბავშვობაში მინდოდა, რომ სწორი თმები ...

5. დაუბრუნდით ბავშვების რეპლიკებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) ვინ წარმოიდგენდა ხოლმე თავს უკაცრიელ კუნძულზე?
 ბ) ვინ ოცნებობდა პეპისნაირ თმასა და ქორფლებზე?
 გ) კიდევ რაზე ოცნებობდა სოფო?
 დ) ვისთან ერთად უნდოდა მოგზაურობა საბას და სად?
 ე) ვინ კითხულობდა წვიმიან ამინდში?

6. გამოიყენეთ მოცემული ფორმულა და უპასუხეთ შეკითხვებს თქვენ შესახებ.

თქვენ რაზე ოცნებობდით? რა გინდოდათ, რომ გქონოდათ? ვინ გინდოდათ, რომ ყოფილიყავით? და ა.შ.

ვოცნებობდი
მინდოდა

}

+
მქონოდა / მყოლოდა / ვყოფილიყავი

წარსულში შესრულებული მოქმედება

ზოგი მოქმედება ხდება თქმის დროს, ზოგი მოხდა თქმამდე და ზოგიც მოხდება თქმის შემდეგ.

- თუ მოქმედება თქმის დროს ხდება, ეს **ახლანდელი დროა**. რას აკეთებს?
დათო ახლა წერს. ნინო ახლა სკოლაში მიდის...
- თუ მოქმედება უკვე მოხდა, ეს **წარსული დროა**. რა გააკეთა?
დათომ გუშინ დანერა. ნინო გუშინ სკოლაში წავიდა.
დათო გუშინ მთელი დღე წერდა. ნინო გუშინ სკოლაში მიდიოდა, მაგრამ აღარ წავიდა...
- თუ მოქმედება თქმის შემდეგ მოხდება, ეს **მომავალი დროა**. რას გააკეთებს?
დათო ხვალ დანერს. ნინო ხვალ სკოლაში წავა...

1. ამონერეთ ბავშვების რეპლიკებიდან საზგასმული ზმნები და სწორად გაანაწილეთ ცხრილში.

ახლანდელი დრო	
წარსული დრო	

2. დაუბრუნდით ბავშვების რეპლიკებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) ერეკლემ და მისმა დამ ერთხელ გაუშვეს საჭაერო ბუშტით წერილები თუ ბევრჯერ?
- ბ) საბამ ერთხელ ნახა სიზმარში მიუნჭაუზენი თუ ბევრჯერ?
- გ) სალომემ შარშან წაიკითხა დუმბაძე თუ წელს?
- დ) სალომემ ერთხელ წაიკითხა წვიმიან ამინდში ინანიშვილი თუ ბევრჯერ?

3. წაიკითხეთ წინადადებები და დააკავშირეთ მოცემულ ინფორმაციასთან.

- ა) ზაფხულში რობინზონ კრუზო წაიკითხა. (რა გააკეთა?)
- ბ) ზაფხულობით წიგნებს კითხულობდა. (რას აკეთებდა?)

1. მოქმედება **ერთხელ შესრულდა**.
2. მოქმედება **არაერთხელ** შესრულდა ანუ **სრულდებოდა** ხშირად, იშვიათად...

რომელ მწკრივზეა საუბარი? დაასრულეთ წინადადებები.

დააკვირდი!

1. თუ რაიმე **მოხდა** ერთხელ, ზმნას ვსვამთ _____ში.
2. თუ რაიმე **ხდებოდა** ხშირად, ზმნას ვსვამთ _____ში.

წყვეტილი: რა გააკეთა?
უწყვეტელი: რას აკეთებდა?

4. გაანაწილეთ ცხრილში ზმნები.

წავიკითხე / ვკითხულობდი; ვწერდი / დავწერე; ვუშვებდი / ვუშვებ;
 ვბრუნდებოდი / დავბრუნდი; ვითამაშე / ვითამაშობდი;
 ვიმოგზაურე / ვმოგზაურობდი; მიყვარდა / შემეყვარდა;
 მომეწონა / მომწონდა; მაინტერესებდა / დამაინტერესა

<p>ეს მოხდა ერთხელ: რა გააკეთე?</p>	
<p>ეს ხდებოდა ხშირად: რას ვაკეთებდი?</p>	

5. დაუბრუნდით ბავშვების ჩანაწერებს და დაუსვით ტექსტში ხაზგასმულ ზმნებს შეკითხვები.

6. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვინ წერს:

- ა) წარსულში არაერთგზის შესრულებულ მოქმედებაზე?
- ბ) წარსულში მომხდარ კონკრეტულ ფაქტზე?
- გ) იმის შესახებ, თუ რას აკეთებს ახლა?

7. შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

- სალამოობით → *ყოველ საღამოს*
- ზაფხულობით _____
- დილაობით _____
- კვირაობით _____
- ორშაბათობით _____

1. დაუბრუნდით წინა გვერდებზე მოცემულ ზმნებს და გადაახარისხეთ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. იმუშავეთ რვეულში.

I.

უწყვეტილი (რას აკეთებდა?)	წყვეტილი (რა გააკეთა?)

II.

ვინიანი ვარ,	მანიანი მინდა,

III.

ერთპირიანი	ორპირიანი	სამპირიანი

2. მოიფიქრეთ და დაწერეთ წინადადებები თქვენ შესახებ.

ერთხელ მოხდა:

1. _____
2. _____

არაერთხელ მოხდა:



1. _____
2. _____

ავტორები და პერსონაჟები

3. რა ასოციაციები გიჩნდებათ ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელის გაგონებაზე? როგორია ის თქვენს წარმოდგენაში? გამოიყენეთ ფოტოილუსტრაცია, მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები, აღწერეთ და დაახასიათეთ ჰანს ქრისტიან ანდერსენი.

ცნობილი საბავშვო მხატვარი; ბუხრის წინ მჯდარი კეთილი, მოხუცი მეზღაპრე; მხიარული; მარტოხელა; ფიცხი და ბრაზიანი; მძიმე ხასიათის მქონე; გრძელცხვირა და შეუხედავი; მაღალი და გამხდარი; კეთილი გულის მქონე; თოჯინების თეატრის რეჟისორი; ცნობილი მოგზაური; მშიშარა; მამაცი და გაბედული ჯარისკაცი.

- ვინ იყო და რას საქმიანობდა ის?
- სადაური იყო? სად ცხოვრობდა?
- როგორი იყო გარეგნობით, ხასიათით?
- რა აინტერესებდა და რაზე ოცნებობდა?



4. გადაახარისხეთ წინა დავალებაში მოცემული სიტყვები სხვადასხვა ნიშნით რვეულში.

- ა) პროფესიული ლექსიკა
- ბ) გარეგნობის აღმნიშვნელი
- გ) ნიშან-თვისების გამომხატველი
- დ) უარყოფითი და დადებითი შინაარსის მქონე

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. უპასუხეთ მოცემულ შეკითხვებს.

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

(1805წ. 2 აპრილი - 1875წ. 4 აგვისტო)

„მსოფლიოს უპირველესი მეზღაპრე“ – ასე უწოდეს ჰანს ქრისტიან ანდერსენს.

დაიბადა დანიის პატარა ქალაქ ოდენსში დარბო ოჯახში. მამა ხარაზი იყო, დედა - მრეცხავი. ბავშვობაც და მთელი ცხოვრებაც მძიმე და სასტიკი ჰქონდა. მეზობელი ბავშვები უცნაური გარეგნობის, აწონილ და გამხდარ, გრძელცხვირა და შეუხედავ ჰანსს ხშირად დასცილოდნენ და სცემდნენ. შეშინებული ჰანსი ადამიანებთან კონტაქტს გაურბოდა და თავს სახლთან ახლოს მდებარე უღრან ტყეს აფარებდა.

ლიტერატორებს მიაჩნიათ, რომ „მახინჯი იხვის ჭუჭული“ მისი ავტობიოგრაფიული ზღაპარია. მიუხედავად ყველაფრისა, ანდერსენს კეთილი გული ჰქონდა და ყველაზე მეტად მას სწორედ ადამიანები აინტერესებდა.

ჰანსმა სკოლაში სიარულს ადრე დაანება თავი და სახლში თოჯინების პატარა თეატრი მოაწყო. თექვსმეტ წლამდე წერა-კითხვა არ იცოდა, სამაგიეროდ თავისი მარიონეტებისათვის ტანსაცმელს საკუთარი ხელით კერავდა და სპექტაკლებსაც დგამდა. მას უყვარდა სიმღერა და კარგად მღეროდა. ოცნებობდა ოპერის მომღერლობაზე. ბავშვობაში ცეკვავდა კიდეც. ყველაზე მეტად კი წიგნები უყვარდა და კითხულობდა ყველაფერს, რასაც კი ნახავდა.

14 წლიდან ის კოპენჰაგენში ცხოვრობდა. ოცნებობდა ოპერის მომღერლობაზე. იმოგზაურა არაერთ ქვეყანაში. მოგზაურობისას წერდა დღიურს და აკეთებდა ჩანახატებს.


ზღაპრებს ღამღამობით წერდა. თავისი ზღაპრებიდან ყველაზე მეტად ზღაპარი „ქალთევზა“ უყვარდა.

- ა) სად და როდის დაიბადა ჰანს ქრისტიან ანდერსენი?
- ბ) ვინ იყვნენ მისი მშობლები?
- გ) როგორი ბავშვობა ჰქონდა ანდერსენს? საიდან ჩანს?
- დ) რას ნიშნავს ავტობიოგრაფია?
- ე) რას აკეთებდა ანდერსენი სკოლაში სიარულის ნაცვლად?
- ვ) რამდენი წლის იყო, წერა-კითხვა რომ ისწავლა?
- ზ) რა უყვარდა და რაზე ოცნებობდა ბავშვობაში?
- თ) რა ეხერხებოდა ანდერსენს ყველაზე უკეთ?
- ი) როდის მუშაობდა ანდერსენი ზღაპრებზე?

2. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ შესაბამისი ინფორმაციით.

რა მოხდა ერთხელ	რა ხდებოდა ხშირად

1. შეავსეთ სქემა რვეულში და გააცანით ერთმანეთს.



2. ჰანს ქრისტიან ანდერსენი წერდა: „ყველაზე საოცარ ზღაპარს ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს“. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ადამიანის ცხოვრებას ზღაპართან?
- ბ) იყო თუ არა თვითონ ჰანს ქრისტიან ანდერსენის ცხოვრება საოცარი ზღაპარი და რატომ?

3. ნაიკითხეთ ნაწყვეტი ზღაპრიდან - „მახინჯი იხვის ჭუჭული“ და ახსენით, რატომ მიაჩნიათ ლიტერატორებს, რომ ეს ანდერსენის ავტობიოგრაფიული ზღაპარია?

მახინჯი ჭუჭუკს ყველა ჩაგრაგდა, დასცინოდა და აბუჩად იგდებდა, საკუთარი და-ძმებიც კი. მხოლოდ დედა იხვს ეცოდებოდა, თუმცა ფიქრობდა, ნეტა, საერთოდ არ გაჩენილიყო. მოკლედ, ვერავინ იტანდა, ფერმის ეზოში ყველა დასცინოდა. გული ეტკინა პანას, მიხვდა, იქ აღარ დაედგომებოდა...

ჰოდა, ნავიდა. სწრაფად გაშორდა იქაურობას და ერთ დიდ ჭაობს მიადგა, სადაც გარეული იხვები ცხოვრობდნენ. გარეული იხვები მას წყალში ბანაობის და იქ სარჩოს შოვნის უფლებას აძლევდნენ, მაგრამ თავი შორს ეჭირათ, მახინჯი იყო. არავინ ელაპარაკებოდა, ყურადღებას არავინ აქცევდა. სანყალი ჭუჭუკი სრულიად მარტო იყო!

გავიდა დრო. ერთ დილასაც ჭუჭუკმა შეამჩნია, რომ გაზრდილიყო, ფრთებიც უფრო დიდი და ღონიერი ჰქონდა. გახარებულმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და ცაში აფრინდა. ერთ მშვენიერ სკვერში მდებარე მოლივლივე ტბაზე დაეშვა, სადაც სამი ულამაზესი გედი დაცურავდა.

- ნახეთ, ახალი გედი მოფრინდა! ნახეთ, ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზია! - ყვიროდნენ ბავშვები.

ახალგაზრდა გედმა ფრთები შეარხია, ყელი მოიღერა და თვალებიდან ბედნიერების ცრემლები წამოსცივდა. როცა მახინჯი ჭუჭუკი იყო, აბუჩად იგდებდნენ, ახლა კი ყველა მას შეჰხაროდა.

4. შეადარეთ მახინჯი იხვის ჭუჭულისა და ჰანს ქრისტიან ანდერსენის ისტორიები ერთმანეთს.

რა მსგავსება არსებობს მათ შორის?

რევაზ ინანიშვილი

(1926 წ. 20 დეკემბერი – 1991 წ. 26 დეკემბერი)

დაიბადა საგარეჯოს რაიონში, სოფელ ხაშმში. ჯერ სოფლის სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თბილისში გადავიდა.

განსაკუთრებულად უყვარდა ბებია. «საცა ის იყო, მეც იქ ვიყავი, საცა მე, ბებიაც იქა. თუ ფეხზე იდგა, კალთაზე ვიყავი მიკრული, თუ იჯდა, კალთაში ვიჯექი. თუ ჟინჟღავდა, რა თქმა უნდა, ზაფხულში, ბებია და მე ვისხედით აივანზე და გადავყურებდით ქვეყანას...» – წერდა ინანიშვილი.

წერა-კითხვა ბებიამ ასწავლა. ისხდნენ სალამოობით ღუმელთან, ბებია წინდას ქსოვდა, პატარა რეზო კი დამარცვლით კითხულობდა. წერდა ფანქრით. ხატვაც ძალიან უყვარდა. ხატავდა პეიზაჟებს, თავისი მოთხრობების გმირებს.



1. დააკავშირეთ სიტყვა „ჟინჟღავდა“ განმარტებასთან.

- ა) წვრილად თოვდა. ბ) წვრილად წვიმდა. გ) ქარი ქროდა.

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) სად და როდის დაიბადა რევაზ ინანიშვილი?
- ბ) საიდან ჩანს, რომ მას განსაკუთრებით უყვარდა ბებია?
- გ) სად ისწავლა წერა-კითხვა ინანიშვილმა?
- დ) რა უყვარდა მას ბავშვობაში?

3. შეავსეთ ცხრილი სათანადო ინფორმაციით.

	დაბადების ადგილი	დაბადების თარიღი	ინტერესები და გატაცებები
რევაზ ინანიშვილი			
ჰანს ქრისტიან ანდერსენი			

4. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) ვისი დაბადების ადგილია ქალაქი კოპენჰაგენი?
- ბ) ვინ დაიბადა სოფელ ხაშშიში?
- გ) სად მდებარეობს სოფელი ხაშში? საგარეჯო?
- დ) სად მდებარეობს ქალაქი კოპენჰაგენი?
- ე) რომელმა მწერალმა შექმნა მარიონეტების თეატრი?
- ვ) ვის უყვარდა სიმღერა? ვის უყვარდა ხატვა?
- ზ) რომელი მწერალი ოცნებობდა ოპერის მომღერლობაზე?
- თ) რომელი ხატავდა საკუთარი მოთხრობების პერსონაჟებს?

5. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

როდის დაიბადა ...?

სად დაიბადა ...?

ვინ დაიბადა 26 დეკემბერს?

ვინ დაიბადა ...-ში?

ვინ იყო ქართველი? დანიელი?

რაზე ოცნებობდა ...

რა უყვარდა ანდერსენს?

ბავშვობაში ვინ დგამდა სპექტაკლებს?

6. გაიხსენეთ ინფორმაციები ანდერსენისა და ინანიშვილის შესახებ. წაიკითხეთ და მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრა. შეამოწმეთ თქვენი ცოდნა ტექსტების დახმარებით.

	რევაზ ინანიშვილი	ჰანს ქრისტიან ანდერსენი
1. ის ქართველი მწერალი იყო.		
2. ის დანიელი მეზღაპრე იყო.		
3. მას განსაკუთრებით ბებია უყვარდა.		
4. ის ძალიან უცნაური ბავშვი იყო.		
5. ის ძალიან კარგად მღეროდა.		
6. მას არ ჰქონდა სკოლა დამთავრებული.		
7. საღამოობით ღუმელთან იჯდა და კითხულობდა.		
8. ბავშვობაში ის თოჯინებისთვის ტანსაცმელს კერავდა.		

7. შეადარეთ რევაზ ინანიშვილისა და ჰანს ქრისტიან ანდერსენის ბავშვობის წლები ერთმანეთს.

რა განსხვავებაა მათ შორის? - როგორ გარემოში იზრდებოდნენ? რას აკეთებდნენ? სად ან ვისთან გრძნობდნენ ისინი თავს დაცულად?

1. წაიკითხეთ ტექსტის სათაური. თქვენი აზრით, სად და როგორ ცხოვრობს მეზღაპრე? ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები ვერსიები და გააცანით ერთმანეთს.

სად ცხოვრობს?

შორს. აქვე ახლოს. მთებში, სადაც ცისფერი ტბებია. დაბურულ ტყეში, სადაც ზღაპრული რაშები და ფასკუნჯები ბინადრობენ. მდინარის პირას, სადაც ოქროს თევზები მას ჯადოსნურ ამბებს უყვებიან...

ვინ არის და როგორია მეზღაპრე?

კეთილი, თეთრწვერა, გამხდარი მოხუცი. მაღალი, სათვალისანი ჯადოქარი გრძელი შავი თმით. პატარა და ჩია დედაბერი. ოქროსკულულებიანი კეთილი ფერია...

რას აკეთებს?

მთელი დღე თევზაობს. დღისით სეირნობს, სალამოს კი ცეცხლის წინ ზის და ზღაპრებს იგონებს. ფრინველებსა და ცხოველებს ესაუბრება. სალამოს პატარა ქობის წინ ზის და ცხოველების ნაამბობს ინერს რვეულში.

2. წაიკითხეთ ტექსტი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

სად ცხოვრობს მეზღაპრე?

(რევაზ ინანიშვილის მიხედვით)

ის ადგილი აქედან შორს არის. ირგვლივ სულ მაღალი ლურჯი მთებია, შუაში კი სწორი ცისფერი ტბა კამკამებს. ლურჯ მთებზე ღრუბლები იზადებიან, პატარა ცელქი ბიჭუნებივით კოტრიალობენ ფერდობებზე, იზრდებიან და მერე ჩვენკენ მოდიან რუხრუხითა და მუქარით. ტბა კი სარკეა ბუნებისა. ყველას უყვარს შიგ მზერა და კეკლუცი - მთებსაც და ღრუბლებსაც, მთვარესაც და ვარსკვლავებსაც, ყვავილებსაც და ხეებსაც.

დილდილაობით, მზე რომ ამოსვლას დააპირებს, ამ სიბნელიდან ნისლივით მსუბუქი მოხუცი გამოდის. ხელში გრძელტარიანი ანკესი უჭირავს, ცუკცუკით გაივლის ტბის ნაპირზე გადებულ ფიცარნაგს და მის წვერზე ფეხმორთხმული ჯდება. ტბა აქ უამრავი ფერითა და წვრილი თევზით არის სავსე.

მოხუცი გაუნძრევლად ზის, გაუნძრევლად უჭირავს ანკესიც. მხოლოდ წითელი ტივტივა თრთის და, როცა ტივტივა ჩაიძირება ღრმად, მოხუცი ამოსწევს ანკესს და მზეზე აბრჭყვიალებულ თევზს სწრაფად იჭერს ჰაერში. ასე თევზაობს სალამომდე. სალამოს კი უნთია ცეცხლი პანანინა ქობის წინ, ხარისხაზე ჩამოკიდებულ ქვაბში იხარშავს საჭმელს.

გამოდიან კურდღლები, მელიები, ციყვები, მაჩვები და ტურები. შეკრავენ ცეცხლის ირგვლივ წრეს. სხედან მორჩილად და სათითაოდ ჰყვებიან თავთავიანთ ამბებს. მოხუცს კი გაშლილი აქვს სქელი, ვეებერთელა რვეული და წერს მათ ნაამბობს, ანუ როგორც ჩვენ ვუნოდებთ - ზღაპრებს. მაღლა ღამეში შეკარგულ ვერხვებზე კი ნაღვლიანი ქოტი ზის და თვალვებდახუჭული ითვლის წუთებს: ჭუუტ! ჭუუტ! ჭუუტ!

3. წაკითხეთ ტექსტი თავიდან, მონიშნეთ თქვენთვის უცნობი / გაუგებარი სიტყვები და შეავსეთ ცხრილის პირველი სამი სვეტი.

უცნობი სიტყვა	კონტექსტი	ჩემი განმარტება (როგორ მესმის მე)	სალექსიკონო განმარტება

4. წაკითხეთ და შეადარეთ სხვების ნამუშევრებთან - ვინ რომელი სიტყვა ამოწერა და როგორ განმარტა, დაემთხვა თუ არა განმარტებები, რა დაემთხვა და რა - არა.

5. მასწავლებლის დახმარებით შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი.

6. წაკითხეთ და დაასახელეთ, ვინ არის.

დიდცხვირა ჩია ბერიკაცი ბუხართან იჯდა და თავის თავგადასავალს უამბობდა ირგვლივ შემოკრებილ ხალხს. უცნაურ ამბებს ყვებოდა. ხალხი კი მის ნაამბობზე სიცილით იხოცებოდა.

„მიკვირს, რატომ არ გჯერათ? სად მე და სად ტყუილი! ჩემისთანა მართლის მთქმელი კაცი დედამინაზე არ დაიარება!“ - ამბობდა ჩია ბერიკაცი და არხეინად განაგრძობდა თავისი უჩვეულო ისტორიების მოყოლას.

7. დააკვირდით რუკას და დაასახელეთ ქვეყნები, სადაც მიუნჰაუზენმა იმოგზაურა. მიუთითეთ, რით მოგზაურობდა მიუნჰაუზენი.



1. წაიკითხეთ მიუნჰაუზენის უჩვეულო ისტორიები და შეასრულეთ მათ ქვეშ მოცემული დავალებები.

ადამიანი ყუმბარა

იტალიის შემდეგ თურქეთში ვიყავით. თურქეთიდან ეგვიპტეში წავედით და ბოლოს ისევ იტალიაში დავბრუნდით. ერთ ხანს იტალიაში ვცხოვრობდი. შემდეგ ინგლისში დავსახლდი. ერთხელ ლონდონის მიდამოებში ვსეირნობდი. ზაფხულის დღე იყო. მზე საშინლად აცხუნებდა. ერთ ძველ ზარბაზანს წავაწყდი. შევძვერი ზარბაზნის ლულაში და დავიძინე. ამ დროს ერთმა ინგლისელმა მეზარბაზნემ ეს ზარბაზანი გაისროლა და მეც ყუმბარასავით გავვარდი. ერთი გლეხის ეზოში თივის ზვინში ჩავერჭე და სამი თვე იქ ვიყავი.

ა) საიდან ჩანს, რომ ძალიან ცხელი ზაფხული იყო? წაიკითხეთ შესაბამისი ფრაზა.

ბ) მონიშნეთ სწორი ვარიანტი.

სად წააწყდა ზარბაზანს მიუნჰაუზენი?

- ა) ლონდონის ქუჩებში
- ბ) ქალაქგარეთ
- გ) გლეხის ეზოში

რა არის თივის ზვინი?

- ა) გამხმარი ბალახის დიდი გროვა
- ბ) ხის დიდი კასრი
- გ) ბალახის შესანახი ადგილი

ვეშაპთან შეხვედრა

კუნძულ ცვილონიდან სამხედრო გემით ამერიკაში გავემგზავრე, სადაც არც ნიანგებია და არც ლომები. ათი დღე მივცურავდით. გზად ერთ უზარმაზარ ვეშაპს დავეჯახეთ, რომელსაც წყალზე ეძინა. გამოიღვიძა ვეშაპმა, ჩაავლო კბილები ჩვენს გემს და აქეთ-იქით აცურავებდა ოკეანის ზედაპირზე. დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, რომ თავი მუცელში ჩამივარდა. წავივლე თმაში ხელი და, როგორც იქნა, ამოვათრიე.

ა) მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერეთ.

მაგრად მოჰკიდა, ანუ _____

ბ) განმარტეთ, რას ნიშნავს ფრაზა - „წავივლე თმაში ხელი“?

გ) მონიშნეთ სწორი ვარიანტი. რას ნიშნავს გამოთქმა - „ენა მუცელში ჩამივარდა“?

- ა) ენა გადავყლაპე
- ბ) ხმა ვერ ამოვიღე

დ) მიუნჰაუზენი ამბობს, „დაჯახება ისეთი ძლიერი იყო, თავი მუცელში ჩამივარდა“. პირდაპირი მნიშვნელობით ამბობს ის ამას, თუ - არა? საიდან ჩანს?

ყველის კუნძული

ერთხელ ჰოლანდიური გემით გავემგზავრე შორეული ზღვებისკენ. შუა ოკეანეში ამოვარდა გრიგალი. სად მივცურავდით, ვერ ვხვდებოდით. სამი თვე აქეთ-იქით გვახეთქებდა ოკეანის ტალღები. ერთ მშვენიერ დილას კი რას ვხედავთ? ზღვა თეთრად ქათქათებს. ქარსაც რაღაც ნაზი და საამური სურნელი მოაქვს. ერთი საათის შემდეგ ნავსადგურში შევედით, სადაც წყლის ნაცვლად რძე იდგა. სწრაფად გადმოვედით ნაპირზე და რძის ზღვას დავენაფეთ. კუნძული, რომელსაც ჩვენი გემი მიადგა, საუკეთესო ჰოლანდიური ყველისა იყო.

ა) მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერეთ.

ძლიერი გამანადგურებელი ქარი, ქარიშხალი, _____

სიამოვნების მომგვრელი, სასიამოვნო, _____

სასიამოვნო სუნი, არომატი, _____

თევზის მიერ ჩაყლაპული გემები

ყველის კუნძულიდან წამოსულებმა დიდხანს ვიბორიალეთ უცნობ ზღვებში. ერთხელ ჩვენს გემს უზარმაზარი და საშინელი ზვიგენები და ვეშაპები შემოესივნენ. ერთ ვეშაპს წყალი მოსწყურდა, გაალო პირი და წყალთან ერთად ჩვენი გემიც გადაყლაპა.

ვეშაპის მუცელში ისეთი სინყნარე იყო, როგორც ნავსადგურში. მისი მუცელი გემებით იყო სავსე. ეს ვეშაპი დღეში ორჯერ სვამდა წყალს. გაალებდა პირს და ხახაში ზღვის წყალს ისხამდა. ჩვენი გემი კი ვეშაპის მუცელში ამ დიდ ტალღებზე ცურავდა. ჩვენ გარდა იქ ინგლისელი, შვედი და პორტუგალიელი მეზღვაურებიც იყვნენ. ათი ათასამდე კაცი იქნებოდა. ბევრი უკვე რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა იქ. სულ 75 გემი იყო იმ ვეშაპის მუცელში.

როგორც იქნა გამოძვერით ამ ვეშაპის მუცლიდან ყველა. როგორც გავარკვიეთ, კასპიის ზღვაში ვიყავით. იქ როგორ მოვხვდით, დღესაც არ ვიცი - კასპიის ზღვა ხომ დახურულია და არც ერთ ზღვას არ უერთდება! ყველის კუნძულიდან წამოყვანილი სამფეხა მეცნიერის აზრით, ვეშაპი კასპიის ზღვაში ერთ-ერთი მიწისქვეშა არხით მოხვედრილა.

ა) უპასუხეთ შეკითხვებს.

1. როგორ აღმოჩნდა ვეშაპის მუცელში?
2. რა ხდებოდა იქ?
3. რომელ ზღვაში მოხდა ეს ამბავი? სად მდებარეობს კასპიის ზღვა?
4. როგორ აღმოჩნდა ვეშაპი კასპიის ზღვაში?

ენის სამყაროში

1. ჩანერეთ ორი სიტყვით.

უმშვენიერესი, ანუ _____

უთბილესი, ანუ _____

უზარმაზარი, ანუ _____

საუკეთესო, ანუ _____

უარესი, ანუ _____

2. გაიხსენეთ და შეავსეთ ცხრილში გამოტოვებული ადგილები.

ქვეყანა	ეროვნება	წარმოშობა
ამერიკა		
იტალია	იტალიელი	
თურქეთი		
ეგვიპტე		
ინგლისი	ინგლისელი	
		ჰოლანდიური
	შვედი	
	პორტუგალიელი	

3. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

პროფესია	განმარტება
მებაღური	ბადით თევზის დამჭერი, მეთევზე
მოგზაური	
მეზარბაზნე	
მეცნიერი	
მეზღვაური	
სამხედრო	

4. შეავსეთ ცხრილი ტექსტებში მოცემული ზედსართავი სახელებით ნიმუშის მიხედვით. იმუშავეთ რვეულში. განმარტებები ჩანერეთ თქვენი საჭიროების მიხედვით.

ზედსართავი სახელი	კონტექსტი	რაზე მიუთითებს?	განმარტება
1. უზარმაზარი	უზარმაზარ ვეშაპს	გარეგნობა	ძალიან დიდი
2.			

5. შეავსეთ ნიმუშის მიხედვით. წაიკითხეთ და დააზუსტეთ დავალება მასწავლებლის დახმარებით.

ზმნა	მოქმ.პირი	კითხვა	რიცხვი	დრო
1. გავემგზავრე	მე	რა გავაკეთე?	მხოლოდითი	წარსული
2. მიემგზავრებოდი				
3. წავედით				
4. ვსეირნობდი				
5. დავიძინე				
6. მივცურავდით				
7. ამოვარდა				
8. შემოესივნენ				
9. გამოვძვერით				

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და წაიკითხეთ.

- ა) მე და ჩემი ძმა ტყეში _____, როცა ძლიერი წვიმა _____.
- ბ) ღია ზღვაში გავცურე და რას _____, ჩემ წინ ვეშაპი _____.
- გ) იმ სახლში ადრე ერთი უცნაური ოჯახი _____.
- დ) ბავშვობაში ჩვენ ხშირად _____ სოფელში დასასვენებლად.
- ე) გუშინ ძალიან დაღლილი ვიყავი და ადრე _____.

7. უპასუხეთ შეკითხვებს წინა დავალების მიხედვით.

- ა) როდის სეირნობდნენ ისინი ტყეში?
- ბ) რა დაინახა მან, როცა ღია ზღვაში გაცურა?
- გ) რას აკეთებდნენ ისინი ბავშვობაში ხშირად?
- დ) რატომ დაიძინა მან გუშინ ადრე?

პროექტი

1. დახატეთ ყველის კუნძული თქვენი წარმოსახვით და აღწერეთ.

მოიფიქრეთ: ვინ არიან ყველის კუნძულის მაცხოვრებლები, როგორები არიან, რით იკვებებიან, სად და როგორ სახლებში ცხოვრობენ, როგორი გარემოა კუნძულზე, როგორია ყველის კუნძულის ფლორა და ფაუნა და ა.შ.

2. შეადარეთ თქვენი ვარიანტები ერთმანეთს.

3. დააკვირდით ნახატებს და შეადარეთ ისინი თქვენს ნამუშევრებთან. დაასახელეთ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.



4. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.

ყველის კუნძულზე

ყველის კუნძულის მცხოვრებნი უმეტესად ყველით იკვებებოდნენ! კუნძული დაფარული იყო ვენახებით, მაგრამ თავისებური ყურძენი ესხა. მუჭით რომ გამონურავდი, ყურძნის წვენი მაგიერ რძე გამოდიოდა. იქ შვიდი რძისა და ორიც გემრიელი ლუდის მდინარე ვნახეთ.

პურს არ აცხოვენ. უკვე გამომცხვარი იზრდება ხეზე. ბევრი ხე ვნახე თაფლაკვერებით დახუნძლული. ყველის კუნძულზე სეირნობის დროს შვიდი რძის მდინარე აღმოვაჩინეთ.

კუნძულის მაცხოვრებლები მაღალი და ლამაზი ხალხია. სამი ფეხი აქვთ და ამ სამი ფეხით რძის ზღვის ზედაპირზე თავისუფლად დადიან.

განსაკუთრებით გამაკვირვა ჩიტის ბუდეებმა. წარმოუდგენელი სიდიდის იყო. მაგალითად, არწივის ბუდე ძალიან მაღალ სახლზე უფრო დიდი იყო. ბუდეში ხუთასი კვერცხი ვიპოვეთ. თითო კვერცხი კაი დიდი კასრისოდენა იქნებოდა. ერთი კვერცხი გავტეხეთ, იქიდან ბარტყი გამოძვრა, ბარტყი ჩვენებურ მოზრდილ არწივზე ოცჯერ დიდი იყო.

- ა) რით განსხვავდებოდა ყველის კუნძულის ყურძენი ჩვეულებრივი ყურძენისაგან?
- ბ) რატომ არ აცხობდნენ პურს ყველის კუნძულზე?
- გ) რით გამოირჩეოდნენ კუნძულის მაცხოვრებლები?
- დ) რამ გააკვირვა მიუნჰაუზენი კუნძულზე?

5. მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერეთ.

- ა) სხვებისაგან განსხვავებული, ანუ _____
- ბ) უხვად მოსხმული, მსხმოიარე, ანუ _____
- გ) შეუძლებელი, არაჩვეულებრივი, ანუ _____

6. დაუბრუნდით თქვენს ნამუშევრებს და შეადარეთ მიუნჰაუზენის მიერ გადმოცემულ ვერსიას. იმუშავეთ რვეულში.

	შენი ფანტაზიით?	მიუნჰაუზენის ვერსიით
ყველის კუნძულის ადამიანები		
ყველის კუნძულის გარემო		

7. გაიხსენეთ მიუნჰაუზენის მოგზაურობა მთვარეზე. გამოიყენეთ ტექსტები და შეავსეთ მოცემული ცხრილი.

	მთვარეზე	ყველის კუნძულზე
გარემო		
მაცხოვრებლები		
დამატებითი ინფორმაცია		

8. ვინ იყო ბარონი მიუნჰაუზენი სინამდვილეში? შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები და გააცანით ერთმანეთს.

- ა) გამოგონილი პერსონაჟი ბ) რეალური პიროვნება გ) მწერლის პროტოტიპი

9. გაეცანით შემდეგ გვერდზე მოცემულ ინფორმაციას და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდები.

„მე, მართალია, ბევრ დაუჯერებელ ამბავს გაიამბობთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემს ისტორიებს ჭეშმარიტებასთან საერთო არ აქვს!“

ბარონი მიუნჰაუზენი

ვინ იყო ბარონი მიუნჰაუზენი სინამდვილეში?

კარლ ფრიდრიხ იერონიმ ბარონ მიუნჰაუზენი დაიბადა 1720 წლის 11 მაისს ბოდენვერდერში, გერმანელი პოლკოვნიკის - ოტო ფონ მიუნჰაუზენის მრავალშვილიან ოჯახში (ჰყავდა 7 და-ძმა).

ბარონი მიუნჰაუზენი რეალური პიროვნება იყო. სახელად იერონიმ კარლ ფრიდრიხ მიუნჰაუზენი ერქვა. ის იყო მამაცი მეომარი, სახელგანთქმული მონადირე და კარგი მთხრობელი, ახალგაზრდობაში ერთხანს რუსეთში ცხოვრობდა და რუსეთ-თურქეთის ომშიც მონაწილეობდა. ომის დამთავრების შემდეგ გერმანიაში დაბრუნდა და ეზოში უზარმაზარი პავილიონი ააგო. ვახშმის შემდეგ პავილიონში მეგობრებსა და მეზობლებს საოცარ თავგადასავლებს უყვებოდა.



დღეს ბოდენვერდერში დგას მიუნჰაუზენის ძეგლი, მის ეზოს კი ისევ ამშვენებს ძველებური პავილიონი, რომელსაც ახლა „სიცრუის პავილიონს“ ეძახიან.



1. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა. საიდან ჩანს? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1. ბარონი მიუნჰაუზენი სამხედრო პირი იყო.			
2. ის ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა.			
3. ყველა სიამოვნებით ისმენდა მის საოცარ ისტორიებს.			
4. მის თანამემამულეებს სჯერათ, რომ მიუნჰაუზენი სიმართლეს ლაპარაკობდა.			

2. დააკვირდით სურათებს და აღწერეთ ისინი მასწავლებლის კითხვების დახმარებით.


3. წაიკითხეთ და დააკავშირეთ სურათებთან.

- ა) ერთ ტრიალ მინდორში ვეშაპები ბალახობდნენ.
- ბ) მათ ღრუბელზე კოცონი გააჩაღეს.
- გ) ერთ ქალაქში უცებ გოგრის სეტყვა წამოვიდა.
- დ) ადამიანები ცისარტყელას ბილიკებით ცაში ადიან.
- ე) ერთხელ ერთი ცრუპენტელა რძის მდინარეში ყველის ნავით მიცურავდა.



4. დააკავშირეთ წინა დავალებში გამუქებულ სიტყვებთან.

- ა) ადამიანი, რომელიც სულ იტყუება
- ბ) ძალიან ვიწრო გზა
- გ) ციდან წამოსული ყინულის პატარა მარცვლები



5. თქვენი აზრით, ვის ეკუთვნის ეს ისტორიები? რატომ ფიქრობთ ასე? წაიკითხეთ მომდევნო გვერდზე და შეამოწმეთ.

ტყუილების წვიმა

(შემოკლებით)

ცხრათვალა მზე პირს იბანდა,
თან შავ ღრუბლებს **სცემდა ლახვარს.**
ხის ქვეშ ორი ცრუპენტელა
ტყუილს თხზავდა ახალ-ახალს:

- ამასწინათ, წვიმის შემდეგ,
მგზავრი შემხვდა ათიოდე,
ცისარტყელას ბილიკებით
მეცხრე ცაზე ადიოდნენ...
- ეგ რა არის! ერთხელ, ძმაო,
ვნახე, მაგრამ, ო, რა ვნახე!
დიდ მინდორში ვეშაპების
ფარა იდგა მოზალახე!

- მახსოვს, ერთხელ რძის მდინარე
გადავცურე ყველის ნავით,
თან გზადაგზა კარაქს ვდღვებდი,
ვიყავ მართლაც სანახავი.
- მე ისეთი რამ შემემთხვა,
ეს აქამდეც უნდა მეთქვა,
ერთ ქალაქში ვსეირნობდი,
წამოვიდა გოგრის სეტყვა.

- მე და ჩემი მეგობრები
ქარიშხალშიც მოვხვდით შარშან,
ცაში დიდხანს გვატრიალა,
ფოთლებივით გვათამაშა.
როცა ჩადგა, როცა იქნა
და **მოვითქვით** ოდნავ **სული,**
ვხედავთ, მაგრამ რასა ვხედავთ,
ღრუბელზე ვარ დასკუპული!
ის ღრუბელი სეტყვის იყო,
ტრიალებდა სოფლის თავზე,
უცებ ჭკუა მოვიხმარე,
ასეთი რამ მოვისაზრე.
ზედ კოცონი გავაჩაღეთ,
წამსვე წვიმის ჩქერად იქცა,
იმ ჩქერს ცურვით ჩამოვყევით,
დავუბრუნდით დედამიწას...



12 აგვისტო, 1934 წ. – 13 ნოემბერი, 1999 წ.

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის
თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო
ფაკულტეტი.

სამსახიობო მოღვაწეობასთან ერთად
ემსახურებოდა საყმაწვილო ლიტერატურას.
ბავშვობიდან წერდა ლექსებს. მისი ლექსები
თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ესტონურ
და აზერბაიჯანულ ენებზე.

ლახვრის ჩაცემა -

ა) ლახვარი - გრძელტარიანი საომარი
იარაღი ბასრი წვერით, შუბი

ბ) ლახვარი ჩაარტყა

გ) აქ: შლიდა ღრუბლებს

სულის მოთქმა -

ა) შესვენება

ბ) ცხოვრების პირობების გაუმჯობესება

გივი ჭიჭინაძე

რაზე ფიქრობენ ჩვენი თანატოლები



ვინ მინდა, რომ ვიყო და რატომ?

მხიარული განცხადებები

წიგნი თუ კომპიუტერი?

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

თქვენი თანატოლების შემოქმედება



საშუალო ადგილი
სახელი და გვარი
კარგისა

მისამართი
ტელეფონი:
მობილური:
ელფოსტა:



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- საკუთარი თავის/სხვისი აღწერა-დახასიათება წარსულსა და აწმყოში. გარეგნობისა და ხასიათის, ინტერესებისა და საქმიანობების შედარება - როგორი იყო და ახლა როგორია? რა უყვარდა, აინტერესებდა... და ახლა რა უყვარს, აინტერესებს? რას აკეთებდა, სად დადიოდა, რით ერთობოდა და ახლა რას აკეთებს, რა აინტერესებს, სად დადის და ა.შ.;
- პროფესიებთან დაკავშირებული ლექსიკის გაგება და მისი მიზნობრივი გამოყენება;
- ინტერაქცია სასურველი და საინტერესო პროფესიების შესახებ;
- არგუმენტირებული მსჯელობა კომპიუტერის დადებით და უარყოფით მხარეებზე;
- საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და პოზიციის გამოხატვა და სხვების პოზიციების შეფასება;
- სავიზიტო ბარათის შექმნა.

1. გადაახარისხეთ მოცემული სიტყვები ცხრილში ნიმუშის მიხედვით.

სიკეთე კეთილი ყურება მასწავლებლობა სიზარმაცე ცურვა უხეშობა
 ზარმაცი უხეში ჯიუტი ექიმობა ჟურნალისტობა სიჯიუტე მსახიობობა
 მომღერლობა მზარეულობა თამაში კითხვა სეირნობა ერთგულება სიმამაცე
 ფეხბურთელობა ერთგული თამამი შიში მთამსვლელობა გართობა მხიარული
 ცნობისმოყვარეობა ცნობისმოყვარე მშიშარა პოლიციელობა ისტორიკოსობა
 მხიარულება მეზღვაურობა მოგზაურობა

თვისება / ხასიათი რა?	თვისება / ხასიათი როგორი?	პროფესია	მოქმედება
სიკეთე	კეთილი	მასწავლებლობა	ყურება
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____

2. დააზუსტეთ თქვენთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობა და ჩაინერეთ პირად ლექსიკონში.

3. შეარჩიეთ სათანადო სიტყვები პირველი დავალებიდან და შეავსეთ წინადადებები. წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

- ა) ჩემი მეგობარი ძალიან _____ ბიჭია.
- ბ) ჩემს ძმას ძალიან მოსწონს _____. მას უნდა, რომ ისტორიკოსი გახდეს.
- გ) _____ ყველაზე მეტად არ მომწონს ადამიანში.
- დ) ყველაზე მეტად ფეხბურთის _____ მიყვარს.

დააკვირდით!

მინდა ვიყო / გავხდე + ვინ?

ექიმი ↙
 ისტორიკოსი
 მეზღვაური...

მიყვარს, მომწონს, მაინტერესებს... + რა?

ექიმობა ↙
 ისტორიკოსობა
 მეზღვაურობა...

4. წაიკითხეთ და ჩაწერეთ მოკლე პასუხები.

- ა) შენი საუკეთესო მეგობრის სახელი;
- ბ) სასკოლო საგანი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს;
- გ) სასკოლო საგანი, რომელიც ყველაზე ნაკლებად გაინტერესებს;
- დ) პროფესია, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს;
- ე) თვისება, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგწონს შენში;
- ვ) თვისება, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს ადამიანში;
- ზ) ერთი რამ, რისი კეთებაც ყველაზე მეტად გიყვარს;
- თ) სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად გახსენებს შენს ბავშვობას;
- ი) სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად გახსენებს საქართველოს.

Blank rounded rectangular boxes for writing answers to question 4.

5. გაცვალეთ მენწყვილებმა ნაწერები. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები პასუხების მიხედვით და უპასუხეთ სრულად.

ნიმუში:



ვინ არის ერეკლე?

ის ჩემი საუკეთესო მეგობარია.

რატომ დაწერე ისტორია?

ისტორია ყველაზე მეტად მიყვარს.

რას გახსენებს სიტყვა ბებია?

ბებია მახსენებს ჩემს ბავშვობას.

1. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვინ არის?

- ბ) ის მუშაობს სკოლაში და ასწავლის ბავშვებს.
- გ) მას მოსწონს ლამაზი სახლები. ის აშენებს სახლებს.
- დ) მას უყვარს ზღვა. ის მუშაობს გემზე.
- ე) ის მუშაობს რესტორანში და ამზადებს გემრიელ საჭმელებს.
- ვ) ის მუშაობს ატელიეში და კერავს ქალის ტანსაცმელს.
- ზ) მას უყვარს მანქანის ტარება. ის ემსახურება მგზავრებს.
- თ) მას უყვარს ხატვა. ის ხატავს ლამაზ სურათებს.
- ი) ის მუშაობს საავადმყოფოში. ის მკურნალობს ავადმყოფებს.
- კ) ის მუშაობს პოლიციაში. ის იცავს წესრიგს.
- ლ) მას უყვარს ცხოველები. ის მკურნალობს ცხოველებს.
- მ) მას უყვარს მცენარეების მოვლა. ის მუშაობს ბაღში.
- ნ) ის წერს მოთხრობებს.

1. ვეტერინარი
2. მკერავი
3. მძღოლი
4. მეზღვაური
5. გამყიდველი
6. მზარეული
7. მშენებელი
8. მხატვარი
9. მებაღე
10. ექიმი
11. მასწავლებელი
12. პოლიციელი
13. მწერალი

2. წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხები. რა ჰქვია ადამიანს, ვინც:

მუსიკას წერს?

- ა) კომპოზიტორი
- ბ) არქიტექტორი
- გ) მუსიკის მასწავლებელი

თმას ჭრის?

- ა) სტომატოლოგი
- ბ) ელექტრიკოსი
- გ) პარიკმახერი

პურს აცხობს?

- ა) მეცხვარე
- ბ) მეპურე
- გ) მზარეული

ხანძარს აქრობს?

- ა) პოლიციელი
- ბ) ინჟინერი
- გ) მეხანძრე

როლს თამაშობს?

- ა) მწერალი
- ბ) მომღერალი
- გ) მსახიობი

თევზაობს?

- ა) მეხანძრე
- ბ) მეპურე
- გ) მეთევზე

ყვავილებს ყიდის?

- ა) მებაღე
- ბ) მეყვავილე
- გ) დიზაინერი

ტელევიზიაში მუშაობს?

- ა) ჟურნალისტი
- ბ) მსახიობი
- გ) გამყიდველი

3. აირჩიეთ და ჩაწერეთ, ვინ არის.

დიზაინერი / მწერალი / მუსიკოსი / მსახიობი

- ა) ის გიტარაზე უკრავს და მღერის. _____
- ბ) ის გამოდის სცენაზე ან მას იღებენ ფილმში. _____
- გ) ის ქმნის ახალ მოდელებს. _____
- დ) ის წერს საბავშვო მოთხრობებს. _____

4. შეავსეთ დიალოგებში გამოტოვებული ადგილები.

- ვინ გინდა, რომ _____?
- მინდა, _____ ექიმი.
- რატომ _____, რომ ექიმი იყო?
- _____, _____ მომწონს
ექიმის პროფესია.

- შენ _____, რომ იყო?
- მე _____, ვიყო მზარეული.
- _____ გინდა?
- იმიტომ _____, რომ მიყვარს
გემრიელი საჭმელები.

5. მოიფიქრეთ და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები. ვინ გინდათ, რომ იყოთ და რატომ?

გამოიყენეთ!

მინდა, რომ ვიყო ... იმიტომ, რომ ...

მიყვარს / მომწონს / მაინტერესებს
ხატვა, კერვა, ცხოველები, მანქანის
ტარება, მცენარეების მოვლა, ზღვა,
ლამაზი სახლები, გემრიელი საჭმელები
...

მიყვარს / მომწონს / მაინტერესებს
ექიმის, მზარეულის, მეზღვაურის,
მხატვრის, მებალის, მშენებლის,
ვეტერინარის, მკერავის, მძღოლის ...
პროფესია.

6. ისაუბრეთ საკუთარი ოჯახის წევრებისა და ნათესავების შესახებ – ვინ არიან და რას საქმიანობენ?

1. წაიკითხეთ ტექსტი და შემოხაზეთ სწორი წინადადებები. გაასწორეთ მცდარი წინადადებები.

ლევან გიორგაძე სანდროს მამიდაშვილია. ის ოცდახუთი წლისაა. ლევანი თბილისელია, მაგრამ მუშაობს ქალაქ გორის საავადმყოფოში. ის თვალის ექიმი და ბავშვებს მკურნალობს.

- ლევან გიორგაძე დაიბადა გორში. _____
- ლევანი ბავშვების ექიმა. _____
- ის მკურნალობს კბილებს. _____

2. შეავსეთ ანკეტა ტექსტის მიხედვით.

სახელი, გვარი:	
ასაკი:	
პროფესია:	
სამუშაო ადგილი:	
დაბადების ადგილი:	

3. დააკვირდით სავიზიტო ბარათის სტრუქტურას და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული მითითება.

სამუშაო ადგილი

სახელი და გვარი

პროფესია

მისამართი

ტელეფონი:

მობილური:

ელფოსტა:

სავიზიტო ბარათის მოდელზე დაყრდნობით, **მოიფიქრეთ** მისამართი, მობილურისა და სამსახურის ტელეფონების ნომრები. შეგიძლიათ ასევე მიუთითოთ ლევან გიორგაძის ელექტონული ფოსტის მისამართიც.

მისამართი: _____

ტელეფონი: _____

მობილური: _____

ელფოსტა: _____

4. წაიკითხეთ და შეადარეთ სხვების სავიზიტო ბარათებს.

სად მუშაობს ლევან გიორგაძე და ვინ არის ის პროფესიით?
 რომელი საავადმყოფოა და სად მდებარეობს ის?
 კიდევ რა ინფორმაციაა მის სავიზიტო ბარათზე მითითებული?

5. დაამზადეთ სავიზიტო ბარათები თქვენთვის და თქვენი ერთ-ერთი კლასელისთვის.

პირველ რიგში, შეარჩიეთ პროფესიები.

ვინ გინდა, რომ გამოხვიდე შენ?

ვინ უნდა, რომ გამოვიდეს მას?

მოიფიქრეთ თქვენთვის სავიზიტო ბარათის მონაცემები. ჰკითხეთ და ჩაინერეთ მსგავსი ინფორმაცია თქვენი კლასელისგანაც:

- სამსახურის დასახელება
- მისამართი
- მობილურისა და სამსახურის ტელეფონის ნომრები.
- შეგიძლიათ ასევე მიუთითოთ ელექტრონული ფოსტის მისამართიც.

6. ბოლოს მოიფიქრეთ ბარათის დიზაინი, გააფორმეთ სათანადოდ და გააცანით ერთმანეთს.

1. წაიკითხეთ ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის მოთხრობიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და შეასრულეთ დავალებები.

მე, ბებია, ილიკო და ილარიონი

მოთხრობის მთავარი გმირია ზურიკო ვაშალომიძე, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს მოხუც ბებიასთან ერთად. ქვემოთ მოყვანილი ეპიზოდის მიხედვით, ზურიკომ დაამთავრა სკოლა და მიიღო სკოლის დამთავრების ოფიციალური მოწმობა – სიმნიფის ატესტატი. რა პროფესია უნდა აირჩიოს ზურიკომ? – აი, რაზე საუბრობენ ბებია, ზურიკო და მათი ერთგული მეზობლები – ილიკო და ილარიონი. ამ საუბრის შემდეგ ზურიკო ტოვებს სოფელს და სწავლის გასაგრძელებლად ქალაქში მიდის.



სკოლის დირექტორმა მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში გადმოგვცა სიმნიფის ატესტატები.

სახლში რომ მივედი და ბებიას ატესტატი ვაჩვენე, ბებიამ გულში ჩამიკრა. აწი რაღა მომკლავსო, - თქვა და ცრემლებით დაასველა ჩემი ატესტატი. მერე უცებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ირიბად გადმომხედა, ატესტატი მაგიდაზე დადო და ოთახიდან გავიდა. ვერაფერი ვერ გავიგე, რის გაკეთებას აპირებდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბებია ეზოში შემოვიდა. იგი წინ მოუძღვებოდა ილიკოსა და ილარიონს. სამივენი ოთახში შემოვიდნენ.

- დასხედით, მეზობლებო! – თქვა ბებიამ. ილიკო და ილარიონი დასხდნენ...

- რა ქენი, ბიჭო, კიდეც რა უბედურება ჩაიდინე? – მკითხა ილარიონმა.

- არაფერი, სიმნიფის ატესტატი მოვიტანე, - ვთქვი მე და ატესტატი გავუწოდე...

- რადგანაც მასეა, გადავწყვიტოთ, ახლა რა ქნას, სად მოენყოს, რა პროფესია აირჩიოს, ასე შიშველი გადარეულივით ხომ არ წავა ქალაქში, რაღაც გეგმა ხომ უნდა ჰქონდეს კაცს? – თქვა ილარიონმა და გადახედა ილიკოს.

- რომელ ფაკულტეტზე აპირებ შესვლას, ბიჭო? – მკითხა ილიკომ. მე მხრები ავიჩიჩე.

- ჩემი შვილშვილი ექიმი უნდა გამოვიდეს! – თქვა ბებიამ. – მოვხუცდი აწი და მოვლა-პატრონობა მინდა!

- მაინცდამაინც მაგის ხელიდან გინდა მოკვდე? – თქვა ილიკომ.

- მე მგონი, ისტორიულზე აჯობებს. ისტორიკოსები თანამდებობის პირები გამოდიან! – თქვა ილარიონმა.

- იურისტობა ჯობია! – თქვა ილიკომ. – ხომ ხედავ ჩვენი მოსამართლე. დასახლდა კაცი. ჩვენს სოფელში რომ ჩამოვიდა, ცალ-ცალი კალოში ეცვა. ახლა ტყავის პალტოში და რეზინის ჩექმაშია გამოჭიმული.

- მაგის საწყალი გულის ამბავი რომ ვიცი, კაცს ვერ დაიჭერს და რად გინდა?

- იქნებ ლიტერატურულზე შესულიყო, ლექსის წერა ეხერხებოდა და ენაგატლეკილიც არის, მეტი რა უნდა! – დაიწყო ილიკომ ლაზღანდარობა.

- რამე ისეთი არ არსებობს, პირდაპირ პროფესორი რომ გამოვიდეს? – იკითხა ბებიაჩემმა.

- როგორ არა, ჩემო ოლლა, მაგი ინსტიტუტი ილიკოს აქვს დამთავრებული.... – თქვა ილარიონმა.

- მაინც სად გინდა შეხვიდე, შე უპატრონო, აღარ იტყვი? – შემომივლია ილიკომ.

- მე საარტიტოზე მინდა! – ვთქვი უცებ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

- დამეფსოს თვალები, მრავალცოლიანი გინდა გამოხვიდე? – შემიცხადა უცებ ბებია.

- ვაი შენს პატრონს! – თქვა ილიკომ.

საუბარმა გათენებამდე გასტანა. ბოლოს ილარიონის აზრმა გაიმარჯვა. ზურიკელა ეკონომიკურზე უნდა შესულიყო, რათა მომავალი ცხოვრება ეკონომიკურად და მატერიალურად უზრუნველყოფილი ჰქონოდა.

ა) შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ბებია ილიკო და ილარიონი მოიწვია იმისათვის, რომ:

- ა) აჩვენოს მათ შვილიშვილის სიმწიფის ატესტატი;
- ბ) ისაუბრონ ზურიკოს სკოლის ამბებზე;
- გ) ერთად გადანყვიტონ ზურიკოს მომავალი პროფესია;
- დ) გაიგონ ზურიკოს ინტერესების შესახებ.

ზურიკოს უნდა, რომ გახდეს:

- ა) რეჟისორი;
- ბ) მხატვარი;
- გ) ოპერატორი;
- დ) მსახიობი.

რას ნიშნავს «ენაგატლეკილი»?

- ა) ადამიანს, ვინც ბევრს ლაპარაკობს;
- ბ) ადამიანს, ვინც თავისუფლად ლაპარაკობს;
- გ) ადამიანს, ვინც შეუჩერებლად ლაპარაკობს;
- დ) ადამიანს, ვინც მრავალ ენაზე ლაპარაკობს.



ბ) დაასახელეთ, რომელ პროფესიაზე საუბრობენ ილარიონი? ზურიკო? ბებია? ილიკო?

გ) მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრა. გაასწორეთ მცდარი წინადადებები ტექსტის მიხედვით.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
1. ბებიას არ აინტერესებდა შვილიშვილის მომავალი.			
2. ილიკო და ილარიონი სოფლის ცენტრში ცხოვრობდნენ.			
3. სოფლის მოსამართლეს ორსართულიანი სახლი ჰქონდა.			
4. ზურიკელას სურვილმა ყველა გაახარა.			
5. მეზობლებმა საუბარში მთელი ღამე გაათიეს.			
6. ყველას სურდა, რომ ზურიკელას უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდა.			

2. წაიკითხეთ ჯანი როდარის მხიარული ლექსი და შემოხაზეთ, რას ნერენ კატები თავიანთ გაზეთში.

კატების გაზეთი

საინტერესო ამბავს
 არ შევსწრებივარ ასეთს:
 კატების ჯგუფი სტამბავს
 თურმე საკუთარ გაზეთს.
 ბეჭდავენ გაგრძელებებით
 მოთხრობებსა და ზღაპრებს,
 კატების ცხოვრებიდან
 ლექსებს და ახალ ამბებს...
 არ უყვართ გაზარმაცებულ
 კატებს ყველაფრის კითხვა,
 განცხადებებს კი გაშლიან
 და ჩასცქერიან დიდხანს...



- 1. რეზუსებს
- 2. მოთხრობებს
- 3. ზღაპრებს
- 4. კროსვორდებს
- 5. ლექსებს
- 6. ახალ ამბებს
- 7. ენის გასატეხებს
- 8. განცხადებებს

3. წაიკითხეთ კატების განცხადებები და დაასახელეთ, რომელი განცხადების ავტორი რა პროფესიისაა.

ვეძებთ სამსახურს!

ვასწავლი კნუტებს სიმღერას.
 ცაცა

ვმკურნალობ შინაურ ცხოველებს.
 ფისო

ვმუშაობდი კატების რესტორანში და ვაცხოვდი მარწყვის ტორტებს.
 ციცი

ვმუშაობდი კატების სკოლაში, ვატარებდი სკოლის ავტობუსს.

ფასო

ვარ კარგი მეკარე. ვთამაშობდი თეთრი კატების გუნდში.

ფოფო

ძალიან მიყვარს კნუტები. ვმუშაობდი ბაღში და ვამზადებდი გემრიელ საჭმელებს.

ციცა


ვმუშაობდი თევზების მაღაზიაში და ვყიდდი ცოცხალ თევზს.

ფეფე

კატებისათვის ვკერავდი ლამაზ კაბებსა და შარვლებს.

ცუცა

4. მოძებნეთ განცხადებების პატრონი კატები და ჩაწერეთ სახელები.



1. წაიკითხეთ დიალოგი და მონიშნეთ ყველა სწორი ვარიანტი.

- ლუკა, როგორი ბავშვი იყავი პატარაობისას?
- ძალიან გამხდარი და სასაცილო.
- წყნარი ბავშვი იყავი?
- არა, პირიქით, ძალიან ცელქი, მხიარული და ცნობისმოყვარე ვიყავი. წყნარი ახლა ვარ.
- რა გიყვარდა და რა გაინტერესებდა ყველაზე მეტად?
- ყველაფერი მაინტერესებდა. ყველაზე მეტად კი ზღაპრების კითხვა და მულტფილმების ყურება მიყვარდა. კიდევ ხატვა მიყვარდა, ჩემს საყვარელ ზღაპრის გმირებს ვხატავდი ხოლმე.
- ყველაზე ძალიან რომელი ზღაპარი გიყვარდა?
- ანდერსენის „მამაცი კალის ჯარისკაცი“.
- ახლა აღარ კითხულობ ზღაპრებს?
- როგორ არა, ახლაც ძალიან მიყვარს და ვკითხულობ.
- რაზე დადიოდი პატარაობისას?
- ცურვაზე დავდიოდი... მეორე კლასში ვიყავი, ცურვაზე რომ მივედი. ახლა ფეხბურთსა და ხატვაზე დავდივარ.
- ზაფხულობით სად ისვენებდი ხოლმე?
- ბებიასთან და ბაბუასთან სოფელში. ახლა მეგობრებთან ერთად დავდივარ მთაში.
- რითი ერთობოდი იქ?
- რა ვიცი, ბევრი რამით - ვთამაშობდით, ტყეში ვსეირნობდით, მდინარეში ვბანაობდით.



როგორი ბავშვი იყო ლუკა?

- ა) ცოტა მსუქანი და ხუჭუჭთმიანი
- ბ) ძალიან გამხდარი და სასაცილო
- გ) მხიარული და ცნობისმოყვარე
- დ) წყნარი და მშვიდი

რა უყვარდა და რა აინტერესებდა ყველაზე მეტად?

- ა) უცნაური ამბები ცხოველებზე
- ბ) ზღაპრების კითხვა და მულტფილმების ყურება
- გ) ფეხბურთის თამაში
- დ) ხატვა

რაზე დადიოდა?

- ა) არაფერზე არ დადიოდა
- ბ) მარტო ფეხბურთზე
- გ) მარტო ცურვაზე
- დ) ფეხბურთსა და ხატვაზე

სად ისვენებდა ზაფხულობით?

- ა) ბებიასთან სოფელში
- ბ) ჯერ ზღვაზე, მერე მთაში
- გ) თავის ბიძაშვილებთან
- დ) ხან - სად, ხან - სად

რითი ერთობოდა იქ?

- ა) სეირნობდა ტყეში
- ბ) სეირნობდა გემით
- გ) ბანაობდა მდინარეში
- დ) თამაშობდა

2. გამოიყენეთ ფოტო და დიალოგი, გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ ინფორმაციით ლუკას შესახებ.

	ადრე	ახლა
გარეგნობა		
თვისება / ხასიათი		
ინტერესები		
დასვენება და გართობა		

3. გამოიყენეთ ცხრილი და ისაუბრეთ ლუკას შესახებ: როგორი ბავშვი იყო? ახლა როგორია? რა უყვარდა და რა აინტერესებდა ადრე? ახლა რა უყვარს და რა აინტერესებს? რაზე დადიოდა ადრე და ახლა რაზე დადის? სად ისვენებდა ადრე და რით ერთობოდა? ახლა სად ისვენებს და ვისთან ერთად?

4. გამოიყენეთ მოცემული შეკითხვები და ჩამოართვით ინტერვიუ ერთ-ერთ თანაჯგუფელს. ჩაინიშნეთ პასუხები, დაწერეთ მის შესახებ რვეულში და წაიკითხეთ.

როგორი ბავშვი იყავი გარეგნობით და ხასიათით?

რა გაინტერესებდა ყველაზე მეტად?

რისი გაკეთება გიყვარდა და არ გიყვარდა ყველაზე ძალიან?

სად და ვისთან ერთად ისვენებდი შარშან? რით ერთობოდი იქ?

რაზე დადიოდი? ახლა რაზე დადიხარ?

ენის სამყაროში

ზმნა თავისი შინაარსით სხვადასხვა რამეს გამოხატავს, კერძოდ:

1. გამოხატავს **მოქმედებას**: ბიჭი თამაშობს ფეხბურთს; ის მიდის სკოლაში; ლია ირუჯება მზეზე...
2. გამოხატავს **მდგომარეობას**: ის ზის, მე ვდგავარ; ბებია წევს; ბავშვები სკოლაში აღიან...
3. გამოხატავს **გრძნობას, სულიერ მდგომარეობას, ინტერესს**: ჩემს ძმას უყვარს ხატვა; მე მეშინია მამლის; დათოს აინტერესებს სპორტი...
4. გამოხატავს **ვინმეს ან რაიმეს ქონას/ყოლას**: მე ორი ძმა მყავს; ჩემს ძმას ველოსიპედი აქვს; მამაჩემს ახალი მანქანა ჰყავს...

1. დაასახელეთ, რას გამოხატავს ზმნა კონკრეტულ წინადადებაში. ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი.

- ა) ბიჭს პატარა შავი ლეკვი ჰყავს. _____
- ბ) მოხუცი ქალი ზის სკამზე. _____
- გ) დედა ნამცხვარს აცხობს. _____
- დ) გიორგის უყვარს ხატვა. _____

1. მოქმედებას
2. მდგომარეობას
3. გრძნობას, ემოციას, ინტერესს
4. ვინმეს ყოლას ან რაიმეს ქონას / ყოლას

2. გაანალიზეთ მოცემული ზმნები ცხრილში ნიმუშის მიხედვით და დაასახელეთ: რას გამოხატავს კონკრეტული ზმნა? იმუშავეთ რვეულში.

მიყვარს მე ის; ვხატავ მე მას; ვწევარ მე; მაქვს მე ის; ვერთობი მე; ვთამაშობ მე მას; მომწონს მე ის; მაინტერესებს მე ის; ვარ მე; ვდგები მე; მეშინია მე; ვჭამ მე მას; ველაპარაკები მე მას; მიჭირს მე ის; ვწერ მე მას მას; მინდა მე ის; ვზივარ მე; ვდგავარ მე; მყავს მე ის; ვსწავლობ მე მას; ვუხატავ მე მას მას; ვუგზავნი მე მას მას; ვუსმენ მე მას; ვისვენებ მე; ვეთამაშები მე მას მას.

მოქმედება	მდგომარეობა	გრძნობა-აქტმა	ქონა / ყოლა
ვხატავ მე მას	ვწევარ მე	მიყვარს მე ის	მაქვს მე ის

ზმნის ტიპები

მოქმედების შემსრულებელ პირს (სუბიექტს) სხვადასხვა ზმნაში სხვადასხვა ნიშანი აქვს. ამ მხრივ, ყველა ზმნა ქართულში ორ ჯგუფად ერთიანდება - ვინიან და მანიან ზმნებად:

1. ვინიანია მოქმედებისა და მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (ვწერ, ვხატავ, ვირუჯები, ვერთობი, ვარ, ვდგავარ, ვზივარ...)
2. მანიანია ზმნები, რომლებიც გამომხატავს გრძნობას, სულიერ მდგომარეობას და ქონა/ყოლას (მაქვს, მყავს, მომწონს, მიყვარს, მეშინია...)

3. დაუბრუნდით მეორე დავალებაში მოცემულ ზმნებს და გადაახარისხეთ ნიმუშის მიხედვით. დაასახელეთ, რომელ პირში დგას სუბიექტი და ობიექტი ვინიან და მანიან ზმნებთან.

ვინიანი ზმნები	ვხატავ მე მას;
მანიანი ზმნები	მიყვარს მე ის;

4. ჩასვით სუბიექტი და ობიექტი შესაბამის ბრუნვასა და რიცხვში და შეავსეთ წინადადებები. ყურადღება მიაქციეთ ზმნის ფორმას.

მხატვარი/პორტრეტი:

_____ ხატავს _____.

მასწავლებელი/გაკვეთილი:

_____ ატარებენ _____.

ბიჭი/ველოსიპედი:

_____ ჰყავს _____.

თომა/ბუნება:

_____ აინტერესებს _____.

ფოტოგრაფი/სურათი:

_____ იღებს _____.

მზარეული/კერძი:

_____ ამზადებენ _____.

წარსული განგრძობითი დრო

(უწყვეტელი - რა აკეთებდა?)

წარსულში შესრულებული მოქმედება ორგვარად გამოიხატება. ეს ნიშნავს, რომ არის წარსულის ორი ფორმა:

1. წყვეტილი - **რა გააკეთა მან** გუშინ/ერთი საათის წინ...? - დაწერა, დანვა, დაჯდა...
2. უწყვეტელი - **რას აკეთებდა** ის გუშინ/ერთი საათის წინ...? - წერდა, ხატავდა, წვებოდა, ჯდებოდა...

თუ მოქმედება არ არის დასრულებული, ან გარკვეული სიხშირითა და ინტენსივობით მიმდინარეობდა, ვიყენებთ **უწყვეტლის** ფორმას:

- ა. დათო მთელი დღე **წერდა** დავალებას (არ ჩანს, დაასრულა თუ არა დათომ წერა).
- ბ. ის ყოველთვის ასე **აკეთებდა**: ჯერ მეცადინეობდა და შემდეგ **თამაშობდა** (ჩანს მეცადინეობისა და თამაშის ინტენსივობა/სიხშირე).

დაიმახსოვრეთ! წარსულში შესრულებული მოქმედების გადმოსაცემად სიხშირის გამომხატველ სიტყვებთან ვიყენებთ უწყვეტელს:

ხანდახან / დროდადრო / არასოდეს / ყოველთვის... + უწყვეტელი

1. შეცვალეთ ნიშნის მიხედვით.

რას აკეთებს?

თამაშობ-ს	თამაშობ-დ-ა
კითხულობ-ს	_____
ცეკვავ-ს	_____
ხატავ-ს	_____
უყურებ-ს	_____
წერ-ს	_____

რას აკეთებდა?

დარბის	დარბ-ოდ-ა
დახტის	_____
მღერის	_____
ტირის	_____
იცინის	_____
დადის	დადი-ოდ-ა

2. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულში (უწყვეტელში): რას აკეთებდა ის გუშინ?

ის მღერის და ცეკვავს. ის _____.

ის წერს და კითხულობს. ის _____.

ის დარბის და თამაშობს. ის _____.

ის უყურებს და იცინის. ის _____.

3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ წინა დავალების მიხედვით: რას აკეთებს ის ახლა? რას აკეთებდა ის გუშინ/წინათ?
4. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი. როდის ვიყენებთ უწყვეტელს?
- ა) როცა ვლაპარაკობთ წარსულში დასრულებულ მოქმედებაზე.
 - ბ) როცა ვლაპარაკობთ წარსულში დაუსრულებელ მოქმედებაზე.
5. გამოიყენეთ სიხშირის გამომხატველი სიტყვები და შეავსეთ ცხრილი ჯერ თქვენი და შემდეგ თქვენი მეწყვილეების პასუხებით.

გაიხსენე, რას აკეთებდი, როცა 5 წლის იყავი?

არასოდეს ხანდახან იშვიათად ხშირად ყოველთვის

რა სიხშირით:	მე	ჩემი მეწყვილე
უყურებდი მულტფილმებს?		
თამაშობდი ბურთით / თოჯინით?		
კითხულობდი წიგნებს?		
უსმენდი ზღაპრებს?		
სეირნობდი ველოსიპედით?		
იჯექი კომპიუტერთან?		
ხატავდი?		
იძინებდი გვიან, 11 საათზე?		
სადილობდი სკოლაში?		
დადიოდი ზოოპარკში?		

6. შეადარეთ თქვენი და თქვენი მეწყვილეების პასუხები ერთმანეთს და ისე გააცანით სხვებს.

რას აკეთებდი შენ და რას აკეთებდა შენი მეწყვილე?

ნიმუში:

მე ხშირად ვუყურებდი მულტფილმებს, დათო იშვიათად უყურებდა.
მე და დათო ხშირად ვუყურებდით მულტფილმებს.

7. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და დაასრულეთ წესი.

როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, სიხშირის გამომხატველ სიტყვებთან ვიყენებთ ...

- ა) წყვეტილს (რა გავაკეთე?) ბ) უწყვეტელს (რას ვაკეთებდი?)

წიგნი თუ კომპიუტერი?

1. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

მსოფლიოს მოსახლეობის 35%-ზე მეტი კომპიუტერის სისტემატური მომხმარებელია. მათ შორის ნახევარზე მეტს კი ბავშვები და მოზარდები შეადგენენ.

- ა) რას ნიშნავს კომპიუტერის „სისტემატური მომხმარებელი“?
- ბ) როგორ ფიქრობ, ბევრია თუ არა 30-35%?
- გ) შენი აზრით, აქედან რამდენი პროცენტისთვის არის კომპიუტერი:
 - I. გასართობი საგანი?
 - II. ინფორმაციის წყარო?
 - III. კომუნიკაციის საშუალება?
- დ) შენთვის რას ნიშნავს კომპიუტერი? დაასახელე შენთვის მისაღები ვარიანტი.
 - I. ძალიან მომწონს და თავისუფალ დროს სულ კომპიუტერთან ვატარებ.
 - II. არ მიყვარს და არ მაინტერესებს.
 - III. იშვიათად ვზივარ კომპიუტერთან.

2. წაიკითხეთ ბავშვების რეპლიკები და დაასახელოთ, ვინ არის, ვინც:

- ა) საუბრობს მხოლოდ კომპიუტერის უპირატესობაზე;
- ბ) საუბრობს მხოლოდ წიგნის უპირატესობაზე;
- გ) საუბრობს ორივეზე.



ძალიან მიყვარს წიგნების კითხვა. ჩემი აზრით, წიგნს ვერაფერი შეცვლის. მართალია, კომპიუტერი დღეს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ წიგნების კითხვა უფრო მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, რომ წიგნიდან ბევრი ისეთი ინფორმაციის გაგება შეგიძლია, რასაც კომპიუტერში ვერ ნახავ.



მე არ ვეთანხმები წინოს. ჩემი აზრით, კომპიუტერი უფრო მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ კომპიუტერის საშუალებით დღეს ყველაფერს გააკეთებ. წიგნზე უფრო სწრაფად და მარტივად გაიგებ ინტერნეტით ყველაფერს. მოკლედ, კომპიუტერის გარეშე დღეს ვერაფერს მიაღწევ.



ჩემი აზრით, წიგნსაც და კომპიუტერსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რისთვის იყენებ. მე კომპიუტერს ინფორმაციის მოსაძიებლად ან გასართობად ვიყენებ. ლიტერატურის კითხვა კი კომპიუტერში არ მიყვარს. ამ შემთხვევაში, კომპიუტერს წიგნი მირჩევნია. თან კომპიუტერთან დიდხანს ჯდომასაც ვერ ვიტან, ვიღლები და თვალებიც მტკივდება.

3. დაუბრუნდით ნინოს მოსაზრებებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) თვლის თუ არა ნინო, რომ კომპიუტერი ზედმეტია?
- ბ) საიდან ჩანს ეს? ამონერეთ შესაბამისი ინფორმაცია ტექსტიდან.
- გ) რას ნიშნავს ნინოსთვის წიგნი? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- 1) გართობას
- 2) სიამოვნების მიღებას
- 3) ინფორმაციის წყაროს

4. რას ფიქრობს თორნიკე? ნაიკითხეთ მოცემული წინადადებები და შემოხაზეთ სწორი ინფორმაცია. გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია რეპლიკის მიხედვით.

- ა) თორნიკე ეთანხმება ნინოს.
- ბ) თორნიკეს აზრით, კომპიუტერი წიგნთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია.
- გ) მისი აზრით, კომპიუტერი ცოდნის მიღების საუკეთესო საშუალებაა.
- დ) მარტო კომპიუტერით ვერაფერს მიაღწევ.

5. რას ნიშნავს თორნიკესთვის კომპიუტერი? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

- ა) ის ინფორმაციის მიღების ერთადერთი გზაა.
- ბ) ყველაფერია.
- გ) ის ცოდნის მიღების ერთ-ერთი საშუალებაა.

6. ჩანერეთ ცხრილში - რაში ეთანხმებით თორნიკეს და ნინოს და რაში - არა.

ვეთანხმები იმაში, რომ	
არ ვეთანხმები იმაში, რომ	


7. დაუბრუნდით ანასტასიას რეპლიკას და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) როგორია ანასტასიას პოზიცია?
- ბ) რა შემთხვევაში ანიჭებს ის უპირატესობას წიგნს და რა შემთხვევაში - კომპიუტერს?
- გ) როდის გრძნობს თავს კომფორტულად?
- დ) რატომ ვერ იტანს ანასტასია კომპიუტერთან დიდხანს ჯდომას?

1. წაიკითხეთ და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტიდან
1. ანასტასია ხშირად უგზავნის იმეილს თავის მეგობრებს.			
2. მისთვის კომპიუტერი, ძირითადად, ინფორმაციის წყაროა.			
3. ანასტასია ცოტა დროს უთმობს კომპიუტერს.			
4. ანასტასიას კომპიუტერში საინტერესო ფილმების კოლექცია აქვს.			
5. ანასტასიას უჭირს კომპიუტერის გამოყენება.			
6. ანასტასიას მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს.			

2. დააკვირდით მოცემულ სქემას. თავიდან გაეცანით წინოსა და თორნიკეს მოსაზრებებს და შეაფასეთ მათი არგუმენტები.



თქვენ როგორ ფიქრობთ:

- დამაჯერებელია თუ არა მათი არგუმენტები?
- თქვენთვის რომელი არგუმენტია უფრო მეტად მისაღები?
- თქვენ თავად რა მიზნით იყენებთ კომპიუტერს?
- თქვენი წინსვლისთვის რომელი უფრო გეხმარებათ - წინი თუ კომპიუტერი?

თქვენი თანატოლების შემოქმედება

3. წაიკითხეთ და მონიშნეთ სწორი პასუხები. გააცანით სხვებს თქვენი ვერსიები და დააზუსტეთ პასუხები მასწავლებლის დახმარებით.

წვლილი აქლემი

წვლილი აქლემი უდაბნოში დახეტიალებდა. კაქტუსზე ერთი ქვიშის საათი იყო დარქობილი. საათი აქლემმა ოაზისში გადააგდო და ექაურობას გაეცალა. გზაში გაახსენდა, რომ იმ საათში მისი წარსული, აწმყო და მომავალი იყო ჩაქსოვილი.

უკან მობრუნდა, თან ძალიან სწყუროდა და ექ წყალიც დალია. ქვიშის საათი მუცელში ჩაჰყვა. ამოღება უნდოდა, მაგრამ ამაოდ.

წვლილი აქლემი წარსულში დაიკარგა...

ლექსო ნოდია, 9 წლის

“წაკადული”

საყმანვილო ჟურნალი, 2006 წ.

წვლილი მიუთითებს:

- ა) ფერზე და არის შავმონითალო;
- ბ) გარეგნობაზე და ნიშნავს პატარას;
- გ) თვისებაზე და ნიშნავს მოწყენილს.

ოაზისი არის:

- ა) წყლით სავსე აუზი;
- ბ) ადგილი უდაბნოში, სადაც მარტო კაქტუსებია;
- გ) ადგილი უდაბნოში, სადაც წყალია და მცენარეები ხარობს.

4. წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია, მიუწერეთ კი აწ არა და დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.

- ა) აქლემმა წყალი ოაზისში დალია.

საიდან ჩანს? _____

- ბ) აქლემმა წყალთან ერთად საათიც გადაყლაპა.

საიდან ჩანს? _____

- გ) აქლემმა საათი უკან ამოიღო.

საიდან ჩანს? _____

1. დაუბრუნდით ტექსტს და დააკონკრეტეთ, რა იგულისხმება ხაზგასმულ სიტყვებში.

- ა) იქაურობას, ანუ რას? _____
- ბ) მისი, ანუ ვისი? _____
- გ) უკან, ანუ სად? _____
- დ) იქ, ანუ სად? _____

2. წაიკითხეთ წინადადებები და შეასრულეთ დავალებები.

ა) გზაში გაახსენდა, რომ იმ საათში მისი წარსული, აწმყო და მომავალი იყო ჩაქსოვილი.

- 1. რომელი საათი იგულისხმება „იმ საათში“? _____
- 2. შეუწყვეთ მოცემულ ზმნას პირები და დაასახელეთ, რომელია სუბიექტი და რომელი - ობიექტი.
 - გაახსენდა _____
- 3. რა გაახსენდა გზაში აქლემს? _____
- 4. თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება საათს წარსული, აწმყო და მომავალი?

3. გიყვართ ოცნება? რაზე ოცნებობთ ყველაზე ხშირად? რას იზამდით, ჯადოსნური ჯოხი რომ გქონდეთ? წაიკითხეთ მოცემული ნაწარმოები და ნახეთ, რაზე ოცნებობს მისი ავტორი.

რაზე ვოცნებობ

ლამით, როდესაც ჩემს საყვარელ ბალიშზე დავდებ თავს, ვიწყებ ოცნებას. აბა, როგორ არ ვიოცნებო, როცა კაშკაშა მთვარის შუქი ანათებს ღამის წყვდიადს.

იდუმალ სიჩუმეში ჩანთქმული ხან ფერიას კაბაში წარმოვიდგენ ჩემს თავს, ხან მძინარე მზეთუნახავად, ხან ჯუჯების მეგობარი ვარ.

მაქვს ყოვლისშემძლე ღამაზი ჯოხი, დავკარი ერთ წიგნს და გაკვეთილი ნასწავლია, დავკარი მეორეს და იგივე განმეორდა.

არა, არ მომეწონა ეს ოცნება! მერე რაღა ვაკეთო? მირჩევნია, ლექსები თვითონ ვისწავლო და მათემატიკის სახალისო გაკვეთილებიც უინტერესო არ გავხადო.

მარიამ ღვალაძე
ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლა,
IV კლასი
“ნაკადული”
საყმაწვილო ჟურნალი, 2006 წ.

4. ვინ არის მარიამ ღვალაძე? სად და როდის დაიბეჭდა მისი თხზულება?

5. კონტექსტის დახმარებით გაარკვიეთ ტექსტში ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა.

სიტყვა	კონტექსტი	განმარტება შენი სიტყვებით
წყვედიანი		
იდუმალი		
ყოვლისშემძლე		

6. წაიკითხეთ და დააკავშირეთ შესაბამის სიტყვებთან და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

- ა) ის, ვისაც ან რასაც ყველაფერი შეუძლია _____
- ბ) ძალიან ბნელი _____
- გ) მალული; უხილავი; გამოუცნობი _____

7. უპასუხეთ შეკითხვებს ტექსტის მიხედვით.

- ა) ვინ იწყებს ოცნებას?
- ბ) როდის იწყებს ის ოცნებას?
- გ) რა იწვევს გოგონაში ოცნებას?
1. საყვარელი ბალიში
 2. ღამის წყვედიანი
 3. კაშკაშა მთვარის შუქი
- დ) ვინ არის ხოლმე თავის წარმოდგენაში მეოცნებე გოგონა?
- ე) რა არის გოგონას ოცნება?
1. ჰქონდეს ყოვლისშემძლე ღამაში ჯოხი;
 2. ჯადოსნურმა ჯოხმა ასწავლოს გაკვეთილები;
 3. ჯოხის ერთი დაკვრით იცოდეს გაკვეთილები.
- ვ) რატომ არ მოსწონს თავისი ოცნება? რა არ უნდა გოგონას?

8. წაიკითხეთ წინადადება და უპასუხეთ შეკითხვებს.

მაქვს ყოვლისშემძლე ღამაში ჯოხი, დავკარი ერთ წიგნს და გაკვეთილი ნასწავლია, დავკარი მეორეს და იგივე განმეორდა.

- ა) რა იგულისხმება სიტყვა „მეორეში“?
- ბ) რა განმეორდა? დააკონკრეტეთ სიტყვა „იგივე“ კონტექსტის მიხედვით.
- გ) შეუწყვეთ ზმნებს პირები და დაასახელეთ, რომელია სუბიექტი და რომელი - ობიექტი.
- მაქვს _____
 - დავკარი _____
 - განმეორდა _____
- დ) საიდან ჩანს, რომ ჯოხი ყოვლისშემძლეა?

ენის სამყაროში

სახელს შეიძლება ახლდეს სიტყვები, რომლებიც ამ სახელს გარკვეული ნიშნით ახასიათებენ. ამ სიტყვებს ჰქვია **მსაზღვრელები**.

მსაზღვრელი შეიძლება იყოს: ერთი, ორი და ა.შ.

პატარა კუნძული

ერთი პატარა კუნძული

ქალაქის უბნები

ქალაქის ძველი უბნები

ერთ ადგილას ადრე პატარა კუნძული იყო. მას მადათოვის კუნძულს უწოდებდნენ.

1. დაშალეთ მოცემული მსაზღვრელ-საზღვრულები ნიმუშის მიხედვით და დაუსვით მსაზღვრელებს სათანადო შეკითხვები.

ნიმუში: დიდი ჟღალი აქლემი.

1. დიდი აქლემი (როგორი აქლემი?)
2. ჟღალი აქლემი (რა ფერის აქლემი?)

ა) ერთი ქვიშის საათი.

1. _____
2. _____

ბ) ჩემს საყვარელ ბალიშზე.

1. _____
2. _____

გ) კაშკაშა მთვარის შუქი.

1. _____
2. _____


დ) ყოვლისშემძლე ლამაზი ჯოხი.

1. _____
2. _____

ე) მათემატიკის სახალისო გაკვეთილები.

1. _____
2. _____


სამშობლო



რა არის სამშობლო?

სამშობლოს მონატრება

ლევლის ქართული მამული



„თეთრი დათვი და მურა დათვი“

თბილისის დაარსება

საქართველოს მეგობრები

პროექტი: წერილი სამშობლოში




ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია სამშობლოს შესახებ;
- გარემოს აღწერა (რა არის? როგორია? სად მდებარეობს?); შედარებითი დახასიათება;
- სივრცეში ორიენტაციის გამომხატველი ენობრივი მარკერების გაგება და მათი ფუნქციური გამოყენება;
- რთული რიცხვების გაგება და გამოყენება;
- საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება - ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრობათა გაგება, მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; მარტივი დასკვნების გამოტანა;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი ქცევის/მოქმედების მიმართ;
- მარტივი გეგმის მიხედვით წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა;
- პირადი წერილის შექმნა.

რა არის სამშობლო?

1. რა არის თქვენთვის სამშობლო? გამოიყენეთ მოცემული სიტყვები, სიტყვათშეხამებები, ფრაზები და ისე უპასუხეთ შეკითხვას.

მონატრება; ჩემი მშობლების სახლი; მეგობრები; ნათესავეები; ადგილი, სადაც დავიბადე და გავიზარდე; ჩემი წინაპრების მინა; უცნაური შეგრძნება, როცა სხვა ქვეყნიდან იქ ვბრუნდები; „ენა, მამული, სარწმუნოება“ (ილია); სამშობლო ფესვებია, რომელსაც ყველგან გრძნობ; „სამშობლო მხოლოდ მინდორი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა“ (გურამ დოჩანაშვილი) ...



2. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები.

რა არის სამშობლო?

(ნოდარ დუმბაძის წერილიდან „სამშობლო“)

1. სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.
ახლა აღარ მახსოვს კარგად, რომელ კლასში ვიყავი - მეოთხეში თუ მეხუთეში.
- დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო, - ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.
- სამშობლო... სამშობლო... - ადგილი, სადაც დავიბადე და...
- კიდეც? - ჩამეკითხა მასწავლებელი.
ძალიან დიდხანს ვიფიქრე.
- დაჯექი, დუმბაძე, - მითხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღირსე.
- არ დამინეროთ, მასწავლებლო, ორი. ვიცი და ვერ ვამბობ, - შევეხვეწე მე და ტირილი დავინყე.

ა) უპასუხეთ შეკითხვებს.

1. რა იყო 9-10 წლის ნოდარ დუმბაძისთვის სამშობლო?
2. „ვიცი და ვერ ვამბობ“, - ამბობს მწერალი. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ასეთი რამ?

2. სამშობლოს ასაკი არ გააჩნია ისევე, როგორც დედას და დედასავით მარადიულია... არასოდეს არ კვდება, უკვდავია.

მაინც რა არის სამშობლო?

იქნებ რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია - „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!“ ან იქნებ აკაკის „განთიადია“ სამშობლო? ან ვაჟას სიმღერა – „სამშობლოს არვის ნავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!“

ვფიქრობ, სამშობლო დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ არის, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახია“, პაატა სააკაძე, ქეთევანის დაშანთული მკერდი, თამარის გვირგვინი და „ვეფხისტყაოსანია“ ...

იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია - ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.

კიდევ რა არის სამშობლო?

თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება - ეს არის სამშობლო.

კიდევ? თბილისის პატარა უბანი, დილიდან საღამომდე რომ ვერ გახვალ ქუჩის ბოლომდე, იმდენი მეგობარი შეგხვდება, მოგიკითხავს და მოგეაღერებს.

როგორც ჩანს, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

ა) უპასუხეთ შეკითხვებს.

1. რომელ ქართველ პოეტებს ახსენებს ნოდარ დუმბაძე?
2. ვინ იყვნენ დავითი, დემეტრე, ქეთევანი და თამარი?
3. რა იცი პაატა სააკაძის შესახებ?
4. ეთანხმებით თუ არა სიტყვებს - „დედას ასაკი არ გააჩნია და არც არასოდეს კვდება“. ახსენით, როგორ გესმით ეს ფრაზა.
5. რატომ ჰგავს ვაზთან ურთიერთობა ლოცვას? ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს - „დაჩოქილი“ და „ცაში ხელაპყრობილი“ და ისე უპასუხეთ.

ბ) გაავლეთ პარალელი გურამ დოჩანაშვილის სიტყვებთან: „სამშობლო მხოლოდ

მინდორი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა“. თქვენი აზრით, ტექსტიდან რომელი ადგილი ჰგავს ამ განმარტებას და რატომ?

გ) მოძებნეთ საქართველოს რუკაზე კავკასიონის ქედი და განმარტეთ სიტყვები:

„კავკასიონის უზარმაზარი თეთრი ფაფარი“. რისი თქმა სურს მწერალს?

დ) რას ნიშნავს გამოთქმა - „ყელში ბურთი რომ გაგეჩხირება“? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

1. ტირილი რომ მოგინდება
2. ხმას რომ ვერ ამოიღებ
3. ცუდად რომ გახდები

- 3.** - მეგობარო, გაჩერდით ერთი წუთით, რა არის სამშობლო? - ვაჩერებ ქუჩაში გამვლელს.
- მე მეკითხებით? - მეუბნება განცვიფრებული გამვლელი.
 - დიახ, თქვენ, იქნებ არ იცით?
 - როგორ არ ვიცი, მაგრამ ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...
 - დიახ, ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...
 - ასე უცბად, დაუფიქრებლად, ქუჩაში სამშობლოსთვის სიკვდილი შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო, არ შეიძლება, ბატონო, - მპასუხობს ის და ჩქარი ნაბიჯით მცილდება...

ა) მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და ამოწერეთ.

გაოცებული, გაკვირვებული, _____

გზაზე მიმავალი, _____

ბ) რა უპასუხა გამვლელმა მწერალს? რა შეიძლება გააკეთო დაუფიქრებლად და რისი თქმა არ შეიძლება დაფიქრების გარეშე? ეთანხმებით თუ არა მას?

- 4.** - იქნებ შენ მაინც მითხრა, რა არის სამშობლო? - ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას.
- მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს, ნენა... სამშობლო ალბათ სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ამ ქვეყნიდან ყველა კაცი სიცოცხლით გაუმძღარი.

ა) უპასუხეთ შეკითხვებს.

1. რას პასუხობს ბებია შვილიშვილს?
2. არის ეს ზუსტი პასუხი? საიდან ჩანს?

1. დაუბრუნდით პირველ დავალებას და თავიდან უპასუხეთ შეკითხვას: რა არის თქვენთვის სამშობლო?
2. დაუბრუნდით ტექსტს. შეავსეთ ცხრილი და დაასახელეთ, რა არის ნოდარ დუმბაძის, უცნობი გამვლელისა და მწერლის ბებიათა თვალთა და გულით დანახული სამშობლო?

რა არის სამშობლო?

ნოდარ დუმბაძე	
მწერლის ბებია	
გამვლელი	

3. წაიკითხეთ ლექსები და შეადარეთ ერთმანეთს.


„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო;
რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო;
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი;
ძველი ტაო, იმერხევი,
საინგილო და ლაზეთი;
მთიულეთი საარაკო
და აჭარის ზღვა და მდელი;
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო!“
ავთანდილ არაბული

„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩვენია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო -
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“.
დუტუ მეგრელი

4. შეასრულეთ დავალებები.

- მონიშნეთ ავთანდილ არაბულის ვარიანტში საქართველოს ის კუთხეები, რომლებიც დასახელებულია დუტუ მეგრელის ლექსში.
- მოძებნეთ ლექსში დასახელებული კუთხეები საქართველოს რუკაზე და მიუთითეთ.
- ჩამოთვალეთ, რომელი კუთხეები არ არის მონიშნული რუკაზე. როგორ ფიქრობთ, რატომ?
- შეავსეთ სქემა ლექსში მოცემული საქართველოს ისტორიული მხარეებით.



ეს ჩემი საქართველოა!

„საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!
თითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!“ –

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

1. დააკვირდით რუკას და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.



2. გამოიყენეთ რუკა, გაიხსენეთ მხარეები და შეავსეთ წინადადებები.

შავი ზღვა თურქეთი კავკასიაში აზერბაიჯანი სომხეთი რუსეთი

საქართველო _____ მდებარეობს. დასავლეთიდან მას ესაზღვრება _____
_____, ჩრდილოეთიდან – _____, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – _____,
სამხრეთიდან კი – _____ და _____.

3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

სად მდებარეობს საქართველო?
რამდენი ქვეყანა ესაზღვრება საქართველოს?
რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს სამხრეთიდან?
რომელი ზღვა აკრავს? და ა.შ.

საიდან?
სამხრეთიდან
სად? საით?
სამხრეთით...

4. დააკავშირეთ სურათები ტექსტის ნაწილებთან. მიუთითეთ, რომელი წინადადებები დაგეხმარათ ყველაზე მეტად?


ა. კავკასია მდებარეობს შავ, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. ჩვენი სამშობლო სამხრეთ კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთიდან – თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – აზერბაიჯანი.



ბ. კავკასიას ორ ნაწილად ყოფს კავკასიონი. ესენია: ჩრდილოეთ კავკასია და სამხრეთ კავკასია. კავკასიონი თოვლითა და მყინვარებით დაფარული ულამაზესი მწვერვალებია. მისი უმაღლესი მწვერვალია იალბუზი. იალბუზის შემდეგ კი ყველაზე მაღალია მყინვარწვერი, რომელიც საქართველოში მდებარეობს.



გ. საქართველოს დედაქალაქია თბილისი. თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე მტკვრის ხეობაში არის გაშენებული. მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. ეს ორი ნაწილი ერთმანეთს ხიდებით უკავშირდება.



5. წაიკითხეთ და მონიშნეთ სწორი ვარიანტი.

ა) ტექსტის რომელ ნაწილშია მოცემული ინფორმაცია:

- 1) კავკასიის შესახებ?
- 2) საქართველოს შესახებ?
- 3) კავკასიონის შესახებ?

ბ) თქვენი აზრით, მოცემული სათაურებიდან რომელი გამოხატავს უკეთ მთლიანი ტექსტის შინაარსს და რატომ?

- 1) კავკასია
- 2) საქართველო
- 3) კავკასია და საქართველო

1. წიკითხეთ და შემოხაზეთ არასწორი ინფორმაცია.

- ა) კავკასია მდებარეობს სამ ზღვას შორის.
- ბ) კავკასია იყოფა ორ ნაწილად – აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიად.
- გ) კავკასიას ორ ნაწილად ყოფს იალბუზი.
- დ) კავკასიონი ტყეებითა და ჩანჩქერებით დაფარული მთებია.
- ე) საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს.
- ვ) სამხრეთ კავკასიის უმაღლესი მწვერვალია მყინვარწვერი.
- ზ) საქართველოს დედაქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.

2. გაასწორეთ წინადადებები ტექსტის დახმარებით რვეულში და წიკითხეთ.

ენის სამყაროში

3. შემოხაზეთ სწორი ფორმები და უპასუხეთ შეკითხვას სრულად.

- ა) სად მდებარეობს საქართველო? - 1. კავკასიაზე 2. კავკასიაში.
- ბ) სად მდებარეობს თბილისი? - 1. აღმ. საქართველოდან 2. აღმ. საქართველოში
- გ) საიდან მოედინება მდინარე მტკვარი? - 1. თურქეთზე 3. თურქეთიდან

4. გამოიყენეთ კითხვითი სიტყვები და ხაზგასმულ სიტყვებს დაუსვით შეკითხვები.

სად? საიდან?

- ა) საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს.
- ბ) საქართველოს სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი.
- გ) თბილისი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში.


5. დაასრულეთ სიტყვები კონტექსტის მიხედვით და წიკითხეთ.

1. საქართველო სამხრეთ კავკასია_____ მდებარეობს.
2. ჩრდილოეთ_____ საქართველოს ესაზღვრება რუსეთი.
3. ჩვენს ქვეყანას სამხრეთ_____ ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი.
4. სამხრეთ_აღმოსავლეთ_____ საქართველოს ესაზღვრება აზერბაიჯანი.
5. საქართველოს დედაქალაქია თბილისი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველო____მდებარეობს.

6. დაუსვით ხაზგასმულ სიტყვებს შეკითხვები.

- ა) საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს.
- ბ) საქართველოს სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი.
- გ) თბილისი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში.

7. შეავსეთ სათანადო ინფორმაციით.



8. დამატებითი ინფორმაცია თბილისის შესახებ:

9. ისაუბრეთ საქართველოს შესახებ: სად მდებარეობს? რომელი ქვეყნები ესაზღვრება და საიდან? რა ჰქვია დედაქალაქს და სად არის ის გაშენებული? და ა.შ.

სამშობლოს მონატრება

1. წაიკითხეთ ტექსტი და ამონერეთ სათანადო ინფორმაცია ცხრილში. დაასახელეთ მსგავსება და განსხვავება მათ შორის.

თეთრი დათვი და მურა დათვი

(თამარ ფხაკაძის მიხედვით)

ერთხელ ერთ ყინულოვან ქვეყანაში ერთი თეთრი დათვი უზარმაზარ ყინულზე წამოგორდა და ფიქრი დაიწყო. ხან პინგვინებზე იფიქრა, ხან – ზღვის ლომებზე, ხან რაზე და ხან რაზე და ბოლოს, აი, რა მოიფიქრა:

- მომბეზრდა აქ! აქეთ ყინული, იქით ყინული! აქეთ პინგვინი, იქით პინგვინი! საქმელიც – სულ თევზი და თევზი. წავალ, უკეთეს ადგილს მოვძებნი. დედამინა დიდია, ადგილების მეტი რა არის?!

ასეც მოიქცა. ადგა და წავიდა.

სწორედ ამ დროს ერთ თბილ ქვეყანაში მურა დათვი ერთი ტყის პირას, ხასხასა მოლზე იწვა და ფიქრობდა:

- უჰ, მომბეზრდა! აქეთ ტყე, იქით ტყე! აქეთ შინდი, იქით პანტა! ყოველდღე თაფლი და თაფლი. მომწყინდა! დედამინა დიდია, ადგილის მეტი რა არის? წავალ და უკეთეს ადგილს მოვძებნი. ადგა მურა დათვი და წავიდა.

	სად ცხოვრობენ?	რით იკვებებიან?
თეთრი დათვი		
მურა დათვი		

2. დაასახელეთ, რომელია - მურა თუ თეთრი დათვი?

- ა) ის ტყის პირას, ხასხასა მოლზე იწვა.
- ბ) ის უზარმაზარ ყინულზე იყო წამოგორებული.
- გ) მას აღარ სურდა ყოველდღე შინდის, პანტისა და თაფლის ჭამა.
- დ) ის პინგვინებსა და ზღვის ლომებზე ფიქრობდა.

3. დაალაგეთ თანამიმდევრულად – რა მოხდა პირველად, შემდეგ და ბოლოს.

- ა) დათვები სხვა ქვეყანაში წავიდნენ. _____
- ბ) დათვებმა ფიქრი დაიწყეს. _____
- გ) დათვებმა წასვლა გადაწყვიტეს. _____

4. რა მოხდა შემდეგ? დააკვირდით სურათებს და დაასახელეთ.



5. ნაიკითხეთ გაგრძელება და შეადარეთ თქვენს ვარაუდთან.

იარა თეთრმა დათვმა, ბევრი იარა. იარა მურა დათვმა, ბევრი იარა. შუა გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ.

- ჰეი, ძმობილო, საით გაგიწევია? – შესძახა თეთრმა დათვმა.

- მომწყინდა ერთ ადგილას ყოფნა. სხვა ადგილი უნდა ვნახო! – უპასუხა მურამ, - შენ საით მიდიხარ, ძმობილო?

- მეც მომწყინდა, - მიუგო თეთრმა დათვმა, - ნავალ, უკეთეს ადგილს ვნახავ.



იარა მურა დათვმა და ჩავიდა ყინულოვან ქვეყანაში. მიიხედა, მოიხედა, - მოეწონა. ჯერ პინგვინთან მივიდა, შემდეგ – ზღვის ლომთან, მაგრამ ყველა გაიქცა. მათ მურა დათვი პირველად ნახეს და შეეშინდათ. სულ მარტო დარჩა მურა. სიცვივისაგან კანკალი დაიწყო. მერე მოშივდა. თვალელებში სულ შინდი, პანტა და თაფლი ელანდებოდა, მაგრამ იქ ყინულების მეტი არაფერი იყო. წამოვიდა მურა დათვი უკან, თავის მხარეში.

იარა თეთრმა დათვმა, იარა და ერთ ტყეში მივიდა. მიიხედა, მოიხედა, - მოეწონა. მზე ჩახჩახებდა. ერთი ყინულიც კი არ იყო ირგვლივ. ჯერ კურდღელთან მივიდა, შემდეგ – ზღარბთან, მაგრამ ყველა გაიქცა. თეთრი დათვი პირველად ნახეს და შეეშინდათ. სულ მარტო დარჩა თეთრი დათვი. ძალიან დასცხა. მერე მოშივდა. თვალელებში სულ ყინულივით ცივი თევზი ელანდებოდა, მაგრამ ტყეში ხეების მეტი არაფერი იყო. წამოვიდა მურა დათვი უკან, თავის მხარეში.

6. ნაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) რომელი ქვეყნიდან რომელ ქვეყანაში წავიდნენ დათვები?
- ბ) რა ნახეს დათვებმა სხვა ქვეყნებში?
- გ) რომელ ცხოველებს შეეშინდათ დათვების და რატომ?
- დ) რატომ დაბრუნდნენ დათვები უკან?

1. წაიკითხეთ ამბის დასასრული და თავიდან უპასუხეთ შეკითხვას: რატომ დაბრუნდნენ დათვები უკან?

შუა გზაზე ისევ შეხვდნენ დათვები ერთმანეთს.

- საით გარბიხარ, ძმობილო? – ჰკითხა მურამ.

- საით და ჩემი ყინულები მომენატრა! – უპასუხა თეთრმა დათვმა, - შენ საით გარბიხარ?

- საით და მეც ჩემი ტყე მომენატრა! – უპასუხა მურა დათვმა. დაემშვიდობნენ ერთმანეთს და შინისაკენ განაგრძეს გზა.

2. შეადარეთ მურა დათვისა და თეთრი დათვის ისტორიები ერთმანეთს. მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება მათ შორის, ჩანერეთ ცხრილში და წაიკითხეთ.

რით ჰგვანან და რთი განსხვავდებიან თეთრი დათვი და მურა დათვი ერთმანეთისაგან?

	მსგავსება	განსხვავება
თეთრი დათვი		
მურა დათვი		

3. დაუბრუნდით დათვების ამბავს. გაიხსენეთ თავიდან ბოლომდე და ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაალაგეთ თანამიმდევრულად – როდის რა მოხდა.


- ა) დათვები ისევ ხვდებიან ერთმანეთს. _____
- ბ) თეთრი დათვი თბილ ქვეყანაშია. _____
- გ) დათვები უკან ბრუნდებიან. _____
- დ) დათვები თავიანთი ქვეყნებიდან მიდიან. _____1_____
- ე) დათვები ხვდებიან ერთმანეთს და საუბრობენ. _____
- ვ) მურა დათვი ყინულოვან ქვეყანაშია. _____

4. გამოიყენეთ წინა დავალების გეგმა და გადმოეცით ამბის მოკლე შინაარსი ჯერ თხრობით და შემდეგ წერილობით.

ენის სამყაროში

5. დააკვირდით და შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

- ა) თბილი ქვეყანა → თბილ ქვეყანაში
- ბ) ხასხასა მოლი
- გ) უზარმაზარი ყინული
- დ) შავი ზღვა
- ე) დიდი სახლი
- ვ) მწვანე ტყე



6. შეავსეთ წინადადებები და გადანერეთ რვეულში.

ყინულოვან / ყინულოვანი

ეს არის (როგორი?) _____ ქვეყანა. (როგორ?) _____
ქვეყანაში თეთრი დათვი ბინადრობს.

თბილი / თბილ

ეს არის (როგორი?) _____ ქვეყანა. (როგორ?) _____ ქვეყანაში მურა
დათვი ბინადრობს.

დიდი / დიდ

ეს არის (როგორი?) _____ სახლი. (როგორ?) _____ სახლში ჩემი
მეგობარი ცხოვრობს.

მაღალ / მაღალი

ეს არის (როგორი?) _____ მწვერვალი. (როგორ?) _____ მწვერვალზე
ჯიხვი ბინადრობს.

7. მოძებნეთ შეცდომები და გაასწორეთ.

- ა) თეთრი დათვი უზარმაზარი ყინულზე წამოგორდა.
- ბ) თეთრ დათვს მობეზრდა თავისი ქვეყანაში ცხოვრება.
- გ) მურა დათვი თბილი ქვეყანაში ცხოვრობს.
- დ) მურა დათვი ყინულოვანი ქვეყანაში წავიდა.

ლევილის ქართული მამული

8. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

„ლევილი, საფრანგეთი, 1930-იანი წლების შუა პერიოდი. ზაფხულის ერთ კვირა დღეს, შატოში ტრადიციულ შეკრებაზე, სტუმრებს პარიზიდან და ლევილის სხვა და სახლებებიდან ელოდებიან. ლობიო დიდი ქვაბით უკვე დადგმულია, ეზოში ხილს კრეფენ, ზოგი ხის ჩრდილში სუფრას აწყობს. დიდი მაგიდა თანდათან ივსება: ღომი, სულგუნი, საცივი, მჭადი, ფხალეულობა, ტყემალი, ჯონჯოლი...

სმაურში ვიღაც ქართულ სიმღერასაც წამოიწყებს.

იქვე სადღეგრძელოც ისმის: „გაისად ამ დროს – საქართველოში!“ - იგონებს ნუცა თაყაიშვილი-გორდელაძე, ნოე რამიშვილის შვილიშვილი



- ა) რომელ პერიოდს იხსენებს ნუცა თაყაიშვილი-გორდელაძე?
- ბ) რა ხდება ამ დროს შატოში?
- გ) ვინ არიან შატოს სტუმრები ეროვნებით? საიდან ჩანს?
- დ) სად იშლება სუფრა? რით უმასპინძლებიან სტუმრებს?
- ე) როგორ ფიქრობთ, რისი თქმა უნდოდათ მათ ამ სადღეგრძელოთი?

9. ნაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდი.



ლევილი (Leuville-sur-Orge) საფრანგეთში, პარიზიდან 37 კილომეტრში მდებარე დაბაა.

ნეორენესანსულ სტილში ნაგები ეს შენობა მარკიზ ფრანსუა ოლივიეს, სავარაუდოდ, XV საუკუნეში აუშენებია.

ფოტოები გურამ შარაძის არქივიდან
დაცულია თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში

ლევილის ქართული მამულის ისტორია 1927 წლიდან იწყება, როცა 1921 წლის მარტში საფრანგეთში დროებით გახიზნული საქართველოს ეროვნული მთავრობის მოლოდინი არ გამართლდა - მიხვდნენ, რომ საქართველოში სწრაფად ვერ ბრუნდებოდნენ და გადაწყვიტეს პატარა მამულის ყიდვა. ლევილის მამული, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენდა, 2016 წლის 23 სექტემბერს საქართველოს დაუბრუნდა.

1. დააკვირდით ლევილის შატოს ფოტოებს და ისაუბრეთ მათ შესახებ მასწავლებლის კითხვების დახმარებით.

2. წაიკითხეთ ტექსტი და დააკავშირეთ ფოტოებთან.



რიკულებიანი ჭიშკრიდან კარგად მოჩანს დიდი მწვანე სივრცე, მაღალი ხეები და მინაზე დაყრილი ყვითელი ფოთლები. შატოს ამშვენებს საუკუნოვანი ცაცხვის ხეივნები, ულამაზესი ბაღი, ტყე და გარშემო ძველი გალავანი.

ლევილის მამული დაახლოებით ოთხ ჰექტარზეა გაშენებული. ბაღის ცენტრში ქვით და აგურით ნაშენები, ღია თამბაქოსფერი ორსართულიანი შენობა დგას მანსარდით. სახურავი რუხი კრამიტითაა დაფარული, საიდანაც სხვენის ფანჯრები და საკვამურები მოჩანს. მთავარი შენობის გარშემო, ერთმანეთის მიყოლებით პატარა, ერთსართულიანი სახლებია ჩამწყვილებული. ცენტრალურ შენობასთან საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამფროვანი დროშაა აღმართული.




3. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) სად მდებარეობს ლევილი და ვის უკავშირდება მისი აშენება?
- ბ) როდის და როგორ აღმოჩნდა „ლევილის შატო“ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის ხელში?
- გ) როგორი გარემოა ლევილის მამულში? რა ამშვენებს შატოს?
- დ) აღწერეთ სახლი - სად დგას, რამდენსართულიანია, როგორია, რა აქვს და ა.შ.

თბილისის დაარსება

4. გაეცანით სქემაზე მოცემულ ინფორმაციას. თქვენი აზრით, რა კავშირშია ისინი თბილისთან?




5. უპასუხეთ შეკითხვებს. ჩაწერეთ, რა იცით და რა - არა აქედან.

- ა) რას ნიშნავს ნადირობა? მიმინო? ხოხობი? გოგირდის აბანო?
- ბ) ვინ იყო ვახტანგ გორგასალი?
- გ) რა არის თბილისი? რატომ ჰქვია ქალაქს თბილისი?
- დ) სად არის გოგირდის აბანოები?

ვიცი	არ ვიცი

6. დააკვირდით ფოტოებს და დააკავშირეთ პირველ დავალებასთან.



1. შემოხაზეთ სწორი ვარიანტები.

- ა) ვახტანგ გორგასალი იყო საქართველოს მეფე.
- ბ) ვახტანგ გორგასალი მეფობდა თხუთმეტი საუკუნის წინ.
- გ) თბილისი დაერქვა განსაკუთრებულად თბილი კლიმატის გამო.
- დ) მიმინო და ხოხობი ცხელ წყალში მოიხარშნენ.
- ე) ვახტანგ მეფეს მოეწონა ეს ადგილი და თბილისი ააშენა.

2. წაიკითხეთ ლეგენდა და შეამოწმეთ. გაასწორეთ მცდარი წინადადებები.

ლეგენდები თბილისის დაარსების შესახებ

ლეგენდის თანახმად, ეს ამბავი მე-5 საუკუნეში მოხდა. თბილისის ტერიტორია ტყით ყოფილა დაფარული. ქართველ მეფეს, ვახტანგ I გორგასალს, ნადირობის დროს შველი დაუჭრია. დაჭრილი შველი ცხელ წყაროში განბანილა და განკურნებული გაქცევია მონადირეებს (სხვა ვერსიით, მეფის მიმინო თავს დასცხრომია ხოხობს, ფრინველები ცხელ წყაროში ჩაცვივნულან და გაფუფქულან). ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ადგილის ხელსაყრელი მდებარეობის გამო მეფეს ტყე გაუკაფავს და იქ ქალაქი გაუშენებია.

„თბილისი“ სწორედ ამ წყაროების გამო უწოდეს ქალაქს. შემდგომში ამ ადგილზე გლგირდის აბანოები გაშენდა. ეს ადგილი თბილისის ისტორიული უბანი - აბანოთუბანია.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) რა მოხდა: ერთი ვერსიის თანახმად? მეორე ვერსიის თანახმად?
- ბ) რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ვერსიებ შორის?
- გ) რა ჰქვია იმ ადგილს, სადაც ეს ამბავი მომხდარა?
- დ) თბილისის რომელ უბანშია აბანოთუბანი?

4. ჩანერეთ თბილისის დაარსების ვერსიები და წაიკითხეთ.

პირველი ვერსია	მეორე ვერსია

ენის სამყაროში

1. ჩანერეთ სათანადო ადგილას და წაიკითხეთ.

ასი ოთხასი ცხრაასი ორასი შვიდასი ხუთასი სამასი ექვსასი რვაასი

100	200	300	400	500
ასი				
600	700	800	900	1000
				ათასი

2. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

155	ექვსას ოცდაცამეტი
247	შვიდას სამოცდაჩვიდმეტი
365	ას ორმოცდათხუთმეტი
417	რვაას ოცდაერთი
520	ორას ორმოცდაშვიდი
633	ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი
777	ოთხას ჩვიდმეტი
821	სამას სამოცდახუთი
999	ხუთას ოცი

3. მოძებნეთ და ჩანერეთ შესაბამისი ციფრი.

~~125~~ 247 305 411 539 617 728 863 973 1105

ოთხას თერთმეტი	_____	ათას ას ხუთი	_____
სამას ხუთი	_____	ხუთას ოცდაცხრამეტი	_____
ას ოცდახუთი	<u>125</u>	ორას ორმოცდაშვიდი	_____
შვიდას ოცდარვა	_____	რვაას სამოცდასამი	_____
ექვსას ჩვიდმეტი	_____	ცხრაას სამოცდაცამეტი	_____

4. შეცვალეთ ციფრები სიტყვებით.

- ა) თვითმფრინავში სულ 136 მგ ზავრი იჯდა. _____
- ბ) ბიბლიოთეკაში 435 ახალი წიგნი მოიტანეს. _____
- გ) ახლა 2018 წელია. _____
- დ) დედაჩემი დაიბადა 1966 წელს. _____

საქართველოს მეგობრები - ჯანი როდარი

1. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

1. გული მეუბნება, აი ნახავ, წაიკითხავენ პატარები ქართულად ამ შენს ზღაპრებს და მოწონებითაც მოეწონებათ, გართობითაც გაერთობიანო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ქართული სიტყვა მაინც ვიცოდე წამლად! აბა ეს საქმეა? მართლა სირცხვილია და მეტი არაფერი!


ა) რომელ ზღაპრებზე საუბრობს მწერალი? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

- 1) ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები
- 2) ლიტერატურული ზღაპრები
- 3) წეროს მოტანილი ზღაპრები

ბ) რა მიაჩნია მწერალს სირცხვილად?

გ) ვისზე საუბრობს ჯანი როდარი?

2. კარგი, მე არ ვიცი, ნუთუ შინაც არა მაქვს რა ისეთი, ქართული ლაპარაკი რომ შეეძლოს? როგორ არა, შინ თბილისის პატარ-პატარა ხედები და ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების კარგა მოზრდილი წიგნი მაქვს. სხვას ვერაფერს ვიტყვი, იშვიათი სურათებია. ერთზე რთველია გამოხატული, ვაზებს უფრო დიდი მტევნები ასხია, ვიდრე მერთვლებს თავები აქვთ, ყურძნის მარცვლები კი იქ მოტრიალე ხალხის თვალებზე დიდებია. აი, ყურძენი თუ გინდა, ამასა ჰქვია! მეორე სურათზე მთვარე მოჩანს: მთვარე კი უკვე ჩვენებურია, ზუსტად ისეთივეა, როგორც რომში.



ა) რა იცის ჯანი როდარიმ საქართველოს შესახებ და საიდან?

ბ) ფიროსმანის რომელ ნახატებზე საუბრობს ის? რას ამბობს მათ შესახებ?

3. სანაძლეოს დავდებ, ქართველი ბავშვებიც ისეთივენი არიან, როგორც რომაელი, მილანელი და ნეაპოლელი ბავშვები: მხიარულები, ანცები, საყვარლები. რაღა ბევრი გავაგრძელო, იტალიელ ბავშვებსაც ვენაცვალე და ქართველებსაც. აბა, რაღა თქმა უნდა, რუსებსაც და ფრანგებსაც. ბავშვი ბავშვია, გინდა ევროპელი იყოს და გინდა ამერიკელი, გინდა აზიელი და გინდა აფრიკელი, გარჩევა როგორ შეიძლება!

მე მთელი დედამიწის ბავშვები გულში მისხედან და თვალში რომ ჩამიცვივდნენ, ხელს არ ამოვისვამ. პატარები მთვარეზე ანდა მარსზეც თუ არიან, იმათაც კარგსა და კეთილს ვუსურვებ. სანინააღმდეგო ალბათ არც თქვენ გექნებათ.

- ა) როგორი დამოკიდებულება აქვს მწერალს ბავშვებთან?
- ბ) როგორები არიან ქართველი ბავშვები მის წარმოდგენაში?
- გ) როგორ გესმით ხაზგასმული ფრაზა?

4. კაცია და გუნება, კარგი ზღაპარი ქვეყანას მირჩევნია. ზღაპრებს რომ არ ვიგონებდე, მაშინ ან სათამაშოებს გაგითლიდით, ანდა ვიოლინოს დაგიკრავდით. რა ვქნა, გაჟეჟილს გატეხილი სჯობს: ტყეში და ზღვის პირას ხეტიალიც გიჟივით მიყვარს. წარმოდგენა არა მაქვს, რატომ ამაში გასამრჯელოს არაფერს იძლევიან.

საყვარელო პატარა ქართველებო, გისურვებთ ამ წიგნის გულიანად წაკითხვას და საღსალამათობას. გაიზარდებით კარგები, თქვენს ქვეყანასაც გამოადექით და მთელ ქვეყნიერებასაც. შრომაში მუდამ სიხარული გენახოთ და მეგობრები არ გამოგლეოდეთ.

რა საბრალო და საცოდავია, ვისაც მეგობარი ვერ უპოვნია! საკვირველია, გარშემო რატომ არ გაიხედ-გამოიხედავენ? თუ გული გულობს, მეგობარს რა გამოლევს!

ჩვენ რა, მეგობრები არა ვართ? აბა, მაშ რა! აი, ამიტომაც ვაწერ ხელს.

თქვენი მეგობარი ჯანი როდარი

ა) რას ნიშნავს გამოთქმები? მონიშნეთ სწორი ვარიანტები.

კაცია და გუნება:

- ა) მარტო ადამიანს აქვს განწყობა;
- ბ) ყველას თავისი ხასიათი აქვს;
- გ) კაცებს თავისი ხასიათი აქვთ.

გაჟეჟილს გატეხილი სჯობია:

- ა) ღიად და პირდაპირ თქმა ან ქმედება;
- ბ) რაღაცის ბოლომდე გატეხვა;
- გ) საქმის ბოლომდე მიყვანა.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს.

- 1) რა პროფესიის იქნებოდა ჯანი როდარი, მწერალი რომ არ ყოფილიყო? საიდან ჩანს?
- 2) რას უსურვებს იტალიელი მწერალი ქართველ ბავშვებს?
- 3) რას ამბობს მეგობრობაზე? როგორია მისთვის უმეგობრო კაცია?
- 4) რით ადასტურებს მწერალი საქართველოსთან და ქართველ ბავშვებთან მეგობრობას?

გ) მოძებნეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა და დაასახელეთ: **ჯანმრთელი, ჯანსაღი, ანუ ...**

1. ნაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ჭრელი წინდები

ერთხელ მწერალი რევაზ ინანიშვილი იტალიაში გაემგზავრა. მის შვილებს, მაშინ ჯერ კიდევ პატარა ბიჭებს - კოტეს და დათოს - ძალიან უყვარდათ იტალიელი მწერლის ჯანი როდარის წიგნები „ჩიპოლინოს თავგადასავალი“ და „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“, ამიტომ მამას ჯანი როდარის გოგონასთვის ბოდბისხევის ბაზარში ნაყიდი ჭრელი, კახური წინდები გაატანეს.

წინდები წითლები იყო, მალაყელიანები, ზედ სხვადასხვა ფერის ფიფქები ეყარა, მუხლებთან ფუნჯებიანი შესაკრავები ეკიდა.

რომში რევაზ ინანიშვილს წარუდგინეს ერთი ტანმორჩილი, უბრალოდ ჩაცმული კაცი და უთხრეს:

- ეს მწერალი ჯანი როდარიაო.

რევაზ ინანიშვილმა იმ კაცს ხელი ჩამოართვა, ამოიღო ჩანთიდან წინდები და უთხრა: - მე ქართველი ვარ, საქართველოში ძალიან უყვართ „ჩიპოლინო“ და „ჯელსომინო“, ამიტომ ჩემმა ბიჭებმა ეს წინდები თქვენს გოგონას გამოუგზავნესო.

წინდები, რომ გაშალა, ჯანი როდარის სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

- ვიცი, ეს თქვენი მთებიდანაა, კავკასიონის მთებიდან. მე ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში, ძალიან მიყვარს ქართველი ხალხი, - თქვა და საჩუქრისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

მეორე დღეს ჯანი როდარის ქალიშვილი - პატარა, ლამაზი გოგონა - ჩვენებური წინდებით წავიდა სკოლაში.

რევაზ ინანიშვილის მიხედვით

- ა) ვისი ინიციატივით წაიღო წინდები ინანიშვილმა და ვისთან?
- ბ) სადაური წინდები იყო და როგორი? სად შეიძინა მწერალმა ეს წინდები?
- გ) როგორი იყო ჯანი როდარი გარეგნობით?
- დ) რა იცის ჯანი როდარის საქართველოს შესახებ და საიდან?

2. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.


ვინ არის – რევაზ ინანიშვილი თუ ჯანი როდარი?

	რევაზ ინანიშვილი	ჯანი როდარი
ის იტალიელი მწერალია.		
მის შვილებს ძალიან უყვარდათ მისი ნაწარმოებები.		
მან საჩუქრად კახური ჭრელი წინდები წაიღო.		
ის ტანმორჩილი, უბრალოდ ჩაცმული კაცი იყო.		
მას ძალიან მოეწონა წინდები.		
მას ძალიან უყვარს ქართველები.		
მისი გოგონა ჭრელი წინდებით წავიდა სკოლაში.		

პროექტი

წერილი სამშობლოში

3. გაეცანით წერილის სტრუქტურას.



4. წაიკითხეთ (გვ. 123-124) და მიუთითეთ, რომელია წერილი და რომელი – მისალოცი ბარათი.

1

გამარჯობა, რეზო!

როგორ ხარ? მე კარგად ვარ. მე და ანა ახლა ლუკასთან ვართ სოფელში. ხომ იცნობ ჩემს დეიდაშვილს, მესხეთში რომ ცხოვრობს? ძალიან ლამაზია სოფელი ტოლოში. აქ კარგად ვერთობით. მე ცხენით ვსეირნობ, მდინარეში ვბანაობ და ვთევზაობ. მაია და ანა კი მინდორში ყვავილებს კრეფენ და ლამაზ თაიგულებს აკეთებენ.

შენ როდის ჩამოხვალ საქართველოში? რომ ჩამოხვალ, აუცილებლად წავიდეთ ტოლოში, ძალიან მოგეწონება.

მომიკითხე ნინო მამიდა და გურამი ბიძია.

შეხვედრამდე!

თომა

1. წაიკითხეთ და დაასახელეთ:

ა. რა აქვს საერთო მისალოც ბარათსა და წერილს.

1. მისალმება
2. მიმართვა
3. მოკითხვა
4. მილოცვა და სურვილი
5. ამბავი
6. დასასრული

რეზო,

2

გილოცავთ დაბადების დღეს!
გისურვებთ ბევრ სიხარულს.

ანა და თომა

ბ. რა არის წერილში და არ არის მისალოც ბარათში.

2. დაუბრუნდით თომას წერილს და დაასახელეთ:

- ა) რომელია მისალმება?
- ბ) რომელია მიმართვა?
- გ) რომელ წინადადებებშია მოკითხვა?
- დ) რამდენ აზრს მოიცავს ინფორმაცია, რომელსაც გადასცემენ ანა და თომა?
- ე) რომელია დამშვიდობება?

3. დაწერეთ წერილი საქართველოში.

მოიფიქრეთ:

- ა) ვის მისწერთ წერილს (ნათესავს, მეგობარს, ბებიას და ა.შ.);
- ბ) რას მისწერთ წერილში (გააცნობთ: თქვენს თანაკლასელს, მეგობარს, თქვენს სოფელს და ა.შ.).

გაითვალისწინეთ:

- ა) არ დაგავიწყდეთ წერილის სტრუქტურის დაცვა (მისალმება, მოკითხვა, ამბავი, დასასრული);
- ბ) სწორად შეარჩიეთ მისალმების, მიმართვისა და მოკითხვის შესაბამისი ენობრივი ფორმულები.

მოგზაურობის ციებ-ცხელება



მოგზაურობის სურვილი

ცნობილი მოგზაურები და მოგზაურობები

ჯუშბერ ლეჟავა - მსოფლიოს მოქალაქე



სად გინდა, რომ იმოგზაურო?

აღმოაჩინეთ საქართველო!

პროექტი:
მარტივი გზამკვლევის შექმნა



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია მოგზაურობის გარშემო;
- საუბარი დაგეგმილი მოგზაურობის შესახებ - სად წავა, რას გააკეთებს, რას ნახავს, რას დაათვალიერებს და ა.შ.;
- გარემოს აღწერა-დახასიათება;
- დიალოგების გაგება, შედგენა და გათამაშება;
- დროსა და სივრცეში ორიენტირება - შესაბამისი ენობრივი მარკერების გაგება და ფუნქციური გამოყენება;
- შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა - სურვილი, შესაძლებლობა, რჩევა და აუცილებლობა (მეორე კავშირებითი და მისი ფუნქციები);
- მსაზღვრელის ფუნქციური გამოყენება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის (საინფორმაციო, ბიოგრაფიული - მოგონებები, პორტრეტები...) წაკითხვა და გაგება-გააზრება.

მოგზაურობის სურვილი

1. უპასუხეთ შეკითხვებს: რატომ მოგზაურობენ ადამიანები? თქვენ გიყვართ მოგზაურობა? მოგზაურობთ თუ არა? სად გინდათ, რომ იმოგზაუროთ და რატომ?

გამოიყენეთ თქვენთვის მისაღები ინფორმაცია და ისე უპასუხეთ შეკითხვას.

ზოგისთვის / ჩემთვის ეს არის ჰობი, გართობა, დასვენება, ახალი ინფორმაციის წყარო...

მინდა ვიმოგზაურო + ...-ში იმიტომ, რომ

ძალიან ლამაზია, საინტერესო ქვეყანაა;

მომწონს იქაური ბუნება / სამზარეულო / კულტურა...

მაინტერესებს უცხო ქვეყნებისა და კულტურის გაცნობა / იქაური სამზარეულოს გასინჯვა / ღირშესანიშნაობების დათვალიერება / ციხე-კოშკების, ტაძრების... ნახვა



კომპასი

ბინოკლი

2. რა არის მოგზაურობისთვის საჭირო? ნაიკითხეთ და დაასახელეთ თქვენთვის მისაღები ყველა ვარიანტი.

სურვილი დრო ფული ზურგჩანთა კომპასი ბინოკლი ფოტოაპარატი
კამერა რუკა მხოლოდ აუცილებელი ნივთები საჭირო მედიკამენტები

3. გაანალიზეთ მოცემული სიტყვები სწორად.

1. მოგზაური 2. სამოგზაუროდ 3. მოგზაურობს 4. მოგზაურობა

ა) ჩემი მეგობარი ხშირად _____.

ბ) მე ძალიან მიყვარს _____.

გ) _____ ბევრ უცხო ქვეყანას ათვალიერებს.

დ) ის იტალიაში მიდის _____.

4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები. ჩანერეთ შესაბამისი ციფრი და გადანერეთ რვეულში.

1. ეგვიპტეში 2. პირამიდებს 3. ეგვიპტური
4. ფოტოებს 5. სამზარეულოს



თორნიკე

მიყვარს _____ კულტურა. ჩემი ოცნებაა _____ ნასვლა. გავსინჯავ
იქაურ _____, დავათვალიერებ _____ და პირამიდებთან გადავიღებ _____.



სოფო

1. კოშკებს 2. კახეთს 3. საქართველოში
4. ძველ უბნებში 5. კახურ 6. სვანეთს

ძალიან მინდა _____ მოგზაურობა. ფეხით შემოვივლი _____ და ვნახავ
სვანურ _____. ვესტუმრები _____, გავსინჯავ _____ ჩურჩხელებს. გავისეირნებ ქალაქის _____.

5. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვინ არის.

- ა) მას უნდა სვანეთში ნასვლა.
- ბ) მას აინტერესებს კახური ჩურჩხელების გასინჯვა.
- გ) მას უნდა პირამიდების დათვალიერება.
- დ) მას უყვარს ქალაქის ძველ უბნებში სეირნობა.
- ე) მას უნდა პირამიდებთან ფოტოების გადაღება.
- ვ) მას აინტერესებს სვანური კოშკების ნახვა.
- ზ) მას უნდა ეგვიპტეში მოგზაურობა.

უნდა / აინტერესებს / მოსწონს...
რა?
ნასვლა, გასინჯვა, ნახვა,
სეირნობა, დათვალიერება...

6. მოცემული ზმნებით შეავსეთ ნაკლული წინადადებები.

აინტერესებს მოსწონს ყიდულობს სეირნობს ათვალიერებს იღებს სინჯავს

- ის _____ ქალაქის ქუჩებში.
- ის _____ ფოტოებს.
- მას _____ მატარებლით მოგზაურობა.
- მას _____ ქალაქის ღირშესანიშნაობები.
- ის _____ უცხო კერძს.
- ის _____ ქალაქს.
- ის _____ მარკებს.

ენის სამყაროში

1. გაიხსენეთ და შეავსეთ.

მეზღაპრე / სახლი

დანიელი _____

დანიური _____

მწერალი / ხაჭაპური

ქართული _____

ქართველი _____

ენა / მსახიობი

ფრანგი _____

ფრანგული _____

2. გაასწორეთ შეცდომები და წაიკითხეთ სწორად.

- ა) მე მიყვარს **კახელი** ჩურჩხელები.
- ბ) **ქართველი** ენა ძალიან ლამაზია.
- გ) ჩემს მეგობარს მოსწონს **იტალიელი** არქიტექტურა.
- დ) ასტრიდ ლინდგრენი **შვედური** საბავშვო მწერალია.
- ე) გუშინ **ფრანგული** მხატვრების გამოფენაზე ვიყავი.
- ვ) მათ **ჩინელი** კერძები გასინჯეს.

3. ააწყვეთ წინადადებები და წაიკითხეთ.

- ა) მე სიყვარული კულტურა ეგვიპტე
- ბ) ჩემი ოცნება ეგვიპტე ნასვლა

გაეცანით!

მომავალი დრო

(მყოფადი: რას გავაკეთებ? / რას გააკეთებს?)

რას გავაკეთებ მერე, ხვალ / ზეგ / მაზეგ, შემდეგ, ერთი საათის შემდეგ, მომავალ ორშაბათს / კვირას / თვეს / წელს, გაისად...?

ვესტუმრები რას? – საქართველოს, კახეთს...

ვიმოგზაურებ სად? – საქართველოში, კახეთში...

4. შეავსეთ ნაკლული ადგილები.

რას გავაკეთებ მერე?

	მოგზაურობა	ნახვა	სტუმრობა	ყიდვა
მე	ვიმოგზაურებ		ვესტუმრები	ვიყიდი
შენ		ნახავ		
ის			ესტუმრება	
ჩვენ		ვნახავთ		
თქვენ				იყიდით
ისინი	იმოგზაურებენ		ესტუმრებიან	იყიდიან

5. გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში.

- ა) მე ვიმოგზაურებ კახეთში. _____
- ბ) ის ესტუმრება ეგვიპტეს. _____
- გ) იყიდი შენ ბილეთებს? _____
- დ) ის ნახავს სურათებს. _____

6. დაასრულეთ წინადადებები.

- ა) ბავშვები ყიდულობენ მარკებს. ხვალ ბავშვები _____
- ბ) ნიკა საქართველოში მოგზაურობს. ნიკა მალე _____
- გ) როდის ესტუმრებით თქვენ იტალიას? შენ როდის _____

7. შეავსეთ მოცემული ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

საწყისი	ანმყო რას აკეთებს ის ახლა?	მყოფადი რას გააკეთებს ის მომავალში?
1. გა-სინჯვა	სინჯავს	გა-სინჯავს
2. გა-სეირნება	_____	_____
3. გადა-ღება	_____	_____
4. და-თვალიერება	_____	_____

ცნობილი მოგზაურები და მოგზაურობები

1. გაეცანით ინფორმაციებს და დააკავშირეთ მოცემულ ადამიანებთან. ვისზეა საუბარი?

თომას კუკი ჯუმბერ ლეჟავა ფილემს ფოგი ჩახრუხაძე

- ა) მან დააარსა ისტორიაში პირველი ტურისტული სააგენტო.
- ბ) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მას უწოდეს „მაგელანი“, „ვესპუჩი“, „მოგზაურობის მეფე“ და „კუნძულტომია ველოსიპედისტი“.
- გ) მან მარკო პოლოზე ადრე იმოგზაურა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში.
- დ) ის იყო პირველი ადამიანი, რომელმაც დედამიწას 80 დღეში შემოუარა.

2. პირველ დავალებაში მოცემული ინფორმაციებიდან რომელი არ შეესაბამება, თქვენი აზრით, ისტორიულ სინამდვილეს? ნაიკითხეთ ტექსტები და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდი.

1. 1850 წელს პირველი ტურისტული სააგენტოს დამაარსებელმა ინგლისელმა მენარმემ თომას კუკმა სააგენტოს კლიენტები პარიზში გამოფენაზე წაიყვანა. 1860-იან წლებში ტურები მოეწყო შვეიცარიის, იტალიის, ეგვიპტისა და აშშ-ის მიმართულებით. 1872 წლიდან კი ტურები უკვე მთელი მსოფლიოს გარშემო დაიწყო. მათ შორის იყო მთელი ამერიკის კონტინენტი, იაპონია, ტურნე ჩინეთსა და ინდოეთში, რომელიც 222 დღეს გრძელდებოდა.


სააგენტო მგზავრებს ბილეთით, საკვებითა და დაბინავებით უზრუნველყოფდა. იქვე გახსნილი იყო მაღაზიაც, რომელშიც სამოგზაურო აქსესუარები იყიდებოდა, მათ შორის გზამკვლევები, ჩემოდნები, ტელესკოპები და ფეხსაცმელები.



2. ქართველი სპორტსმენი, მოგზაური და გინესის რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა მსოფლიოში ერთადერთია, ვინც მარტოდმარტომ შვიდჯერ შემოუარა დედამიწას ველოსიპედით. მან 4 ათასი დღე გაატარა მოგზაურობაში. 1993-2003 წლებში ველოსიპედით შემოიარა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 240 ქვეყანა. ორჯერ იყო ანტარქტიდაზე, იმოგზაურა გრენლანდიაშიც. ველოსიპედით გაიარა მსოფლიოში არსებული ყველა უდაბნო. პირველმა გადაკვეთა ამაზონის ჯუნგლები. გადაცურა სამი ოკეანე, 150-მდე ზღვა, ყურე და სრუტე, 1000-ზე მეტი მდინარე და ტბა. გადაიარა უამრავი უღელტეხილი.

ჯუმბერ ლეჟავა მოგზაურებიდან პირველია, ვისაც იუნესკომ „მსოფლიო სპორტსმენის“ წოდება და საპატიო დიპლომი გადასცა.

3. მე-13 საუკუნეში თამარ მეფის კარზე მოღვაწე ქართველმა პოეტმა ჩახრუხაძემ იმოგზაურა იმდროისათვის ცნობილ სამივე კონტინენტზე. მოგზაურობა დაიწყო სპარსეთიდან. შემდეგ ინდოეთში ჩავიდა, ინდოეთიდან კი გზა ჩინეთისკენ გააგრძელა. მოინახულა პეკინი, იქიდან გადავიდა მონღოლეთში. შემდეგ კიევის რუსეთის გავლით დასავლეთიდან დაუყვა შავ ზღვას და ჩავიდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გაყოლებით გაეცნო საბერძნეთს, იტალიას, საფრანგეთს, ესპანეთს, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო ქვეყნებს. შემოუარა წითელ ზღვას და მიაღწია მექას, ბასრას, ბაღდათსა და თავრიზს. მოგვიანებით მსგავსი მოგზაურობა ნაწილობრივ გაიმეორა ვენეციელმა ვაჭარმა და მოგზაურმა მარკო პოლომ.



4. ფრანგი მწერლის, ჟიულ ვერნის სათავგადასავლო რომანში - „80 დღე დედამიწის გარშემო“ - აღწერილია მდიდარი ინგლისელის მისტერ ფოგის, მისი ფრანგი მსახურის, პასპარტუსა და მათი მეგობრების მოგზაურობა 1872 წელს დედამიწის ირგვლივ 80 დღეში.

3. წაიკითხეთ და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს ტექსტში
ჯუმბერ ლეჟავამ მეგობართან ერთად იმოგზაურა დედამიწის გარშემო.			
მან საერთო ჯამში 11 წელი და 4 თვე გაატარა მოგზაურობაში.			
ჯუმბერ ლეჟავამ ყველა კონტინენტი შემოიარა.			
შეერთებულ შტატებში მან ზაფხულში იმოგზაურა.			
ჯუმბერ ლეჟავა იყო ევროპისა და აფრიკის 240 ქვეყანაში.			
მოგზაურობა დაიწყო 54 წლის ასაკში.			
ჯუმბერ ლეჟავამ გაიარა საჰარისა და გობის უდაბნოები.			

1. შეამოწმეთ თქვენი დავალება ტექსტის დახმარებით.
2. დაუბრუნდით ცხრილში მოცემულ მცდარ ინფორმაციას და გაასწორეთ ზეპირად.
3. გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი რვეულში და შეავსეთ წინა გვერდებზე მოცემული ტექსტების მიხედვით.

	პროფესია	ეროვნება	მოგზაურობის მარშრუტები	დამატებითი ინფორმაცია
თომას კუკი			1850 წელს: 1860-იან წლებში: 1872 წლიდან:	
ჩახრუხაძე				

4. შეავსეთ ცხრილი გამოტოვებული ფორმებით.

საწყისი	წყვეტილი რა გააკეთა მან უკვე?	ანწყო რას აკეთებს ის ახლა?	მყოფადი რას იზამს ის მერე?
1. დაწყება	_____	იწყებს	_____
2. ჩასვლა	_____	ჩადის	ჩავა
3. გაგრძელება	_____	აგრძელებს	_____
4. მონახულება	_____	ნახულობს	მონახულებს
5. გაცნობა	_____	ეცნობა	_____
6. შემოვლა	_____	უვლის	_____
7. მიღწევა	_____	აღწევს	_____

5. მონიშნეთ ჩახრუხაძის მოგზაურობის მარშრუტი რუკაზე და გადმოეცით: საიდან იწყებს ის მოგზაურობას, სად მიდის, რომელ ქალაქებს / ქვეყნებს ნახულობს, სად ჩადის და რით, რომელ ზღვას უვლის გარშემო და ა.შ.

ჩახრუხაძე მოგზაურობას იწყებს ...

6. შეცვალეთ დრო. გამოიყენეთ მყოფადის მწკრივის ფორმები და გადმოეცით თავიდან: საიდან დაიწყებს მოგზაურობას, სად წავა, რომელ ქალაქებს / ქვეყნებს მონახულებს, სად ჩავა და რით, რომელ ზღვას შემოუვლის გარშემო და ა.შ.

ჩახრუხაძე მოგზაურობას დაიწყებს ...

7. ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ პოეტი ჩახრუხაძე. გადმოეცით მომავალი მოგზაურობის მარშრუტი: საიდან დაიწყებთ მოგზაურობას, სად წახვალთ, რომელ ქალაქებს / ქვეყნებს წახავთ, სად წახვალთ და რით, რომელ ზღვას შემოუვლით გარშემო და ა.შ.
მოგზაურობას დაიწყებთ ...

ჯუმბერ ლეჟავა - მსოფლიოს მოქალაქე

8. გაეცანით ინფორმაციას ჯუმბერ ლეჟავას შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) სად და როდის დაიბადა?
- ბ) ვინ იყო ეროვნებით?
- გ) რით გაიცნო მსოფლიომ ჯუმბერ ლეჟავა?
- დ) ვინ იყო ის პროფესიით?
- ე) სპორტისა და მოგზაურობის გარდა, კიდევ რა აინტერესებდა მას?
- ვ) რა ჯილდოები მიიღო ჯუმბერ ლეჟავამ ორი ათას ორ და ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდ წლებში?
- ზ) ვინ მიანიჭა მას „მოგზაური დიპლომატის“ სტატუსი და როდის?
- თ) რისი ელჩი იყო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა?



დაბადების თარიღი: 23 ივლისი, 1939 წ.

დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო

გარდაცვალების თარიღი: 25 ივლისი, 2014 წ.

საქმიანობა: ინჟინერი, გინესის რეკორდსმენი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორ-გამომცემელი

ინტერესთა სფერო: მოგზაურობა, მეცნიერება, მწერლობა, ფოტოგრაფია, ცეკვა, ხატვა

წოდებები და ჯილდოები: საქ. სახელმწიფო პრემია 1987 წ.

„მოგზაური დიპლომატის“ სტატუსი 1993 წ. საქ. საგარეო საქმეთა სამინისტრო

„მსოფლიო სპორტსმენის“ წოდება და საპატიო დიპლომი 1999 წ. იუნესკო

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი 2002 წ.

გაეროს კეთილი ნებისა და ბუნების დაცვის ელჩი

9. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ინტერესთა რომელ სფეროებზეა საუბარი მოცემულ ინფორმაციაში?

ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობის დროს სულ 50 000-ზე მეტი ფოტო გადაიღო. გადაღებული აქვს 200 საათზე მეტი ვიდეომასალა. შექმნა 7000-გვერდიანი დღიური. შეისწავლა მსოფლიო ხალხთა ისტორია, კულტურა და ტრადიციები.

10. როგორ ფიქრობთ, რა იყო ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის მთავარი მიზანი? მონიშნეთ თქვენი ვერსიები და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

- ა) გინესის რეკორდის დამყარება
- ბ) სხვადასხვა კულტურის შესწავლა
- გ) ექსტრემალურ პირობებში ადამიანის შესაძლებლობების შესწავლა

1. წაიკითხეთ მცირე ნაწყვეტი ჯუმბერ ლეჟავას მოგონებებიდან და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები. უპასუხეთ შეკითხვებს.

„ამაზონის ჯუნგლები რომ გავიარე სამხრეთიდან ჩრდილოეთით, მსოფლიოში ცნობილმა მოგზაურმა, ჩემმა ოპონენტმა დეივ კრუზმა მითხრა: - ჯუმბერ, როგორ გაბედე ბრაზილიის გავლა, მე ბრაზილიელი ვარ და ერთი კილომეტრიც კი არ მაქვს აქ გავლილი იმიტომ, რომ ეს შეუძლებელიაო.

-45 გრადუსიან ცინვაში გავიარე ანტარქტიდა და ციმბირი. 2 400 კმ ვიარე ყველაზე მაღალ ტემპერატურაზე - +51 გრადუსზე პაკისტანის უკაცრიელ უდაბნოში, სადაც თავშესაფარიც კი არსად არის. 3 700 კილომეტრის გავლა მომიწია საჰარის უდაბნოში უძლიერესი ქარისა და საშინელი ქვიშის წვიმის დროს.

ჩემი მოგზაურობის მთავარი მიზანი იყო იმის დამტკიცება, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა. სწორედ ამიტომაც გავდიოდი ყველა კონკრეტულ ქვეყანას იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელ ექსტრემალურ პირობებში.“

- ა) რა მიმართულებით გაიარა ჯუმბერ ლეჟავამ ამაზონის ჯუნგლები?
- ბ) რატომ იყო ამაზონის ჯუნგლების გავლა განსაკუთრებული?
- გ) რა პირობებში გაიარა ლეჟავამ ანტარქტიდა და ციმბირი?
- დ) რომელი უდაბნოები გაიარა მან და რა სირთულეები შეხვდა მას იქ?
- ე) რით გადიოდა ამ ყველაფერს ჯუმბერ ლეჟავა?

2. დაუბრუნდით ჯუმბერ ლეჟავას მოგონებებს და შეასრულეთ მითითებები.

I. გაეცანით გობისა და ტაკლა-მაკანის უდაბნოების შესახებ ინფორმაციებს და შეადარეთ ისინი ერთმანეთს. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ.



გობის უდაბნო ორი ქვეყნის - მონღოლეთისა და ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. სიტყვა „გობი“ მონღოლური წარმომავლობისაა და „უნყლო ადგილს“ ნიშნავს. ჩინელები მას უნაპირო ზღვას უწოდებენ. თავისი ფართობით გობი აზიის უდიდესი უდაბნოა. ის ასევე მსოფლიოში ყველაზე ცივ უდაბნოდაც არის მიჩნეული. ზამთარში ტემპერატურა -40°-მდე ეცემა, ხოლო ზაფხულში +40°-ზე მეტიც კი შეიძლება დაფიქსირდეს. ზამთარში თოვლი და ყინული უდაბნოში არცთუ უჩვეულო მოვლენაა ისე, როგორც ზაფხულის აუტანელი სიცხე. ტემპერატურის ასეთი დიდი სხვაობა ხშირია დღე-ღამის განმავლობაშიც.



ტაკლა-მაკანის უდაბნო ცენტრალურ აზიაში, ჩინეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვიშიანი უდაბნოა. მისი სიგრძე 1000, ხოლო სიგანე 400 კილომეტრს შეადგენს. ტაკლა-მაკანიც ცივი უდაბნოების რიცხვში შედის. 2008 წლის ზამთარში, უდაბნო 4 სმ სისქის თოვლით დაიფარა, ხოლო ტემპერატურამ -26 გრადუსი შეადგინა.

	გობის უდაბნო	ტაკლა-მაკანის უდაბნო
მდებარეობა		
ფართობი		
მახასიათებლები		
დამატებითი ინფორმაცია		

II. ნაიკითხეთ ჩანაწერები და დაასახელეთ - რა დაემართა და რამ გადაარჩინა ლეჟავა გობისა და ტაკლა-მაკანის უდაბნოებში? უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

1. „ორჯერ გავიყინე, აქედან ერთხელ გობის უდაბნოში, ქარბუქის დროს. ნაბიჯს ველარ ვადგამდი, ველოსიპედის საბურავებმაც დაიშვა. მივანვინე ველოსიპედი და მეც მივწექი, დავდე თავი და გავითიშე. თვალი რომ გავახილე, იურტაში, ქერის კარავში ვიყავი. გადავრჩი. ვიცოდი, რომ გადავრჩებოდი. იმედი არასდროს დამიკარგავს“.

2. „ტაკლა-მაკანი პირველმა მე გავიარე ველოსიპედით. ეს წარმოუდგენელი იყო. ჩრდილს ვერსად იპოვი იქ. ერთხელ წნევა დამივარდა. წნევის ასანევად ქვიშა ამოვთხარე, ჩავწექი შიგნით და ზემოდან ქვიშა გადავიფარე. ამ დროს ყველგანმავალი გაჩნდა. ორი პოლიციელი გადმოვიდა. ერთმა წყლით სავსე ბოთლი გადმოიღო და მომანოდა. დავლიე. პოლიციელები წავიდნენ. უფრო ცუდად გავხდი. ველარ შევძელი ველოსიპედზე დაჯდომა, გადმოვვარდი. მივხვდი, რომ მონამლული ვიყავი. უკვე ღამდებოდა. ფეხზე ვერ ვიდექი, მაგრამ მაინც დავინწყე ბრძოლა გადარჩენისათვის. იმედი არ დამიკარგავს. ძლივს ავიარე პატარა ფერდობი და რას ვხედავ, დაბლა კარავია გაშლილი. ახალგაზრდა გეოლოგების პატარა ჯგუფი იყო. ხელის აწევა მოვასწარი და დავეცი, გონება დავკარგე. კიდევ კარგი, რომ დამინახეს, თორე ვერაფერი მიშველიდა. ოთხი დღე მკურნალობდნენ ჩინელი ახალგაზრდა მეცნიერები“.

III. დააკავშირეთ ხაზგასმული სიტყვები მისი მოგზაურობის მთავარ მიზანთან.

IV. გამოიყენეთ მოგონებები და დაახასიათეთ ჯუმბერ ლეჟავა.

სად გინდა, რომ იმოგზაურო?

1. წარმოიდგინეთ, რომ სამოგზაუროდ მიდიხართ: ა. მთაში, ბ. უდაბნოში, გ. უცხო ქვეყანაში.

- ა) მოცემული ნივთებიდან შეარჩიეთ სამი ყველაზე აუცილებელი ნივთი სამივე მოგზაურობისათვის. რომელ ორ ნივთს წაიღებთ: მთაში? უდაბნოში? უცხო ქვეყანაში?
 ბ) დაასაბუთეთ, რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი.



2. დააკავშირეთ ერთმანეთთან.


კომპასით	ვივლი მზეში.
თერმოსით	დავიძინებ.
პირსახოცით	ვისეირნებ.
მზის სათვალით	გავარკვევ გზას / მარშრუტს.
ზურგჩანთაში	გავინათებ გზას სიბნელეში.
კარავში	წავიღებ წყალს / ცხელ ჩაის.
ფოტოაპარატით	გავიმშრალებ ხელ-პირს.
ჯაგრისით	გადავიღებ სურათებს.
ფარნით	ჩავალაგებ ნივთებს / ტანსაცმელს.
ველოსიპედით	გავიხეხავ კბილებს.

3. დაუბრუნდით პირველ დავალებას და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი. პასუხებისას გამოიყენეთ წინა დავალებაში მოცემული ფრაზები.

რატომ წაიღებთ ამ ნივთს? რისთვის არის ეს ნივთი საჭირო? რას გააკეთებთ ამ ნივთის გამოყენებით?

4. შეადგინეთ ფრაზები ნიმუშის მიხედვით და გადანერეთ რვეულში.

ნიმუში: მინდა ნავიდე / შემიძლია ნავიდე



5. გამოიყენეთ წინა დავალება და ქვემოთ მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები.

ნიმუში: მინდა ვიმოგზაურო ეგვიპტეში / შემიძლია ვიმოგზაურო ეგვიპტეში.
მინდა ვნახო პირამიდები / შემიძლია ვნახო პირამიდები...

საქართველოში კახეთში თელავს ქალაქის ძველ უბნებში
იქაური სამზარეულო // კახური შოთის პური და გუდის ყველი ფოტოები
ისტორიული ძეგლები მზის ჩასვლა ალაზნის ველზე

6. წაიკითხეთ დიალოგი.

- სად გინდა **იმოგზაურო**?
- მინდა ვიმოგზაურო ეგვიპტეში.
- იცი, იქ რა უნდა **ნახო**?
- შენ რას მირჩევ?
- გირჩევ, ნახო პირამიდები, **გაისეირნო** აქლემით.
დაათვალიერო ულამაზესი ხედები და **გადაიღო** ფოტოები. იმოგზაურო ნილოსის სანაპიროზე.
- კიდეც სად შემიძლია **ნავიდე**?
- შეგიძლია **ვესტუმრო** წითელი ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქ ჰურგადას.
- იქ რა უნდა **გავაკეთო**?
- კარგად უნდა **დაისვენო**, **გაისეირნო** გემით,
გასინჯო ზღვის პროდუქტები.



7. გამოიყენეთ მეხუთე დავალებაში მოცემული მასალა და შეადგინეთ მსგავსი დიალოგები.

მომავალი დრო
(მეორე კავშირებითი: რა გავაკეთო? რა გააკეთოს?)

გამოხატავს:

- 1. **აუცილებლობას:** უნდა ვესტუმრო კახეთს.
- 2. **შესაძლებლობას:** შემიძლია, ვესტუმრო კახეთს.
- 3. **რჩევას:** გირჩევ, ესტუმრო კახეთს.
- 4. **სურვილს:** მინდა, რომ ვესტუმრო კახეთს.

1. დააკავშირეთ ერთმანეთთან. რას გამოხატავს მოცემული წინადადებები - აუცილებლობას, რჩევას, შესაძლებლობასა თუ სურვილს?

- ა) გირჩევ, ეწვიო სვანეთს!
- ბ) შეგიძლია, ეწვიო სვანეთს!
- გ) გინდა, რომ ეწვიო სვანეთს?
- დ) უნდა ეწვიო სვანეთს!

2. შეცვალეთ წინადადებები მოცემული პირობების მიხედვით და წაიკითხეთ.

1. ხვალ საქართველოში მივმგზავრებით.

- ა) გამოხატეთ აუცილებლობა: _____
- ბ) გამოხატეთ სურვილი: _____
- გ) გამოხატეთ რჩევა: _____
- დ) გამოხატეთ შესაძლებლობა: _____

2. მალე საქართველოს ვესტუმრებით.

- ა) გამოხატეთ სურვილი: _____
- ბ) გამოხატეთ რჩევა: _____
- გ) გამოხატეთ შესაძლებლობა: _____
- დ) გამოხატეთ აუცილებლობა: _____

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

მინდა ანუ **სურვილი მაქვს:** მინდა, (რომ) წავიდე; მინდა, (რომ) გავაკეთო ...

უნდა ანუ **აუცილებელია:** უნდა წავიდე, უნდა გავაკეთო ...

3. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

საწყისი	მომავალი 1 მყოფადი	მომავალი 2 - მეორე კავშირებითი			
		აუცილებლობა	შესაძლებლობა	სურვილი	რჩევა
ხატვა	დახატავ	უნდა დახატო	შეგიძლია, დახატო	გინდა, დახატო?	გირჩევ, დახატო
წასვლა					
წაკითხვა					
დაჯდომა					
გართობა					
ნახვა					

4. შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მე დავათვალიერებ ქალაქს. —————> მე მინდა დავათვალიერო ქალაქი.

- ა) მე ვიყიდი ბილეთს. ბ) მე ვნახავ მწვერვალებს. გ) მე გავსინჯავ კერძებს.
 დ) მე გადავიღებ ფოტოებს. ე) მე ვნახავ ფილმს. ვ) მე წავიკითხავ წიგნს.

5. ჰკითხეთ მეწყვილეს და შეავსეთ ცხრილი.

ყველაზე ძალიან:	მეწყვილის სახელი _____
რა გინდა, რომ ნახო?	
სად გინდა, რომ იმოგზაურო?	
ვის გინდა, რომ ესტუმრო?	
რომელ ქვეყანას გინდა, რომ ესტუმრო?	
რა გინდა, რომ იყიდო?	
რით გინდა, რომ იმოგზაურო?	
სად გინდა, რომ წახვიდე?	

6. გამოიყენეთ წინა დავალება და გააცანით თქვენი მეწყვილის სურვილები კლასელებს.

ნიმუში: **ლუკას (მას) უნდა, რომ** იმოგზაუროს საფრანგეთში, წავიდეს მთაში...

ესტუმროს ნათესავენს, იმოგზაუროს მანქანით, წავიდეს საქართველოში, იყიდოს ახალი ტანსაცმელი...

1. აირჩიეთ და ჩაწერეთ.

- ა) მე უნდა _____ ნახატები (დავათვალიერებ / დავათვალიერო)
- ბ) მე _____ საქართველოს (ვესტუმრები / ვესტუმრო)
- გ) მე მინდა _____ აფრიკაში (ვიმოგზაურებ / ვიმოგზაურო)
- დ) მე _____ მეგობრებთან ერთად (გავერთობი / გავერთო)

2. შეავსეთ ცხრილი.

	დათვალიერება	ნახვა	გასინჯვა	გადაღება	სეირნობა
მე	დავათვალიერო	ვნახო	გავსინჯო	გადავიღო	ვისეირნო
შენ	_____	_____	_____	_____	_____
მან	დაათვალიეროს	_____	_____	_____	_____
ჩვენ	_____	_____	_____	_____	_____
თქვენ	_____	_____	_____	_____	_____
მათ	დაათვალიერონ	_____	_____	_____	_____

შეადარეთ ერთმანეთს და დაიმახსოვრეთ!

მინდა ანუ **სურვილი მაქვს:**
 მე მინდა, რომ ვნახო ეს ფილმი. / მას უნდა, რომ ნახოს ეს ფილმი.

უნდა ანუ **აუცილებელია:**
 მე უნდა ვნახო ეს ფილმი! / მან უნდა ნახოს ეს ფილმი!

3. გადაიყვანეთ მესამე პირში.

ნიმუში: მე მინდა, რომ დავათვალიერო. —————> მას უნდა, რომ დაათვალიეროს.

მე უნდა დავათვალიერო. —————> მან უნდა დაათვალიეროს.

- ა) მე მინდა, რომ ვიმოგზაურო.
- ე) მე მინდა, რომ წავიდე.
- ბ) მე უნდა გადავიღო ფოტო.
- ვ) მე მინდა, რომ ვნახო.
- გ) მე უნდა გავსინჯო ეს კერძი.
- ზ) მე უნდა ვიყიდო ფოტოაპარატი.
- დ) მე მინდა, რომ შევჭამო ნაყინი.
- თ) მე უნდა ვესტუმრო თბილისს.

მოგზაურობა უცხო ქვეყანაში

4. აირჩიეთ ერთ-ერთი ქვეყანა. გაეცანით იმ ქვეყნის შესახებ მოცემულ ინფორმაციას და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი.



კაბადოკია



მექსიკა

მინისქვეშა და კლდეში ნაკვეთი ქალაქები – აივნისანი გამოქვაბულები, შიდა გვირაბები

გორემეს ეროვნული პარკი – მუზეუმი ღია ცის ქვეშ

გარემო – ულამაზესი მთები, ღრმა ხეობები, უცნაური ფორმის კლდეები, გაშლილი მწვანე ველები, არაჩვეულებრივი პეიზაჟები

გართობა – საჰაერო ბურთით გასეირნება უძველესი დასახლებების თავზე, ცხენით სეირნობა

სამზარეულო - თურქული ტკბილეული: ბაქლავა, რაჰათ-ლუხუმი, შერბეთი

ღირსშესანიშნაობები - პალენკეს სასახლე და მაიას იეროგლიფები, უძველესი მზისა და მთვარის პირამიდები, მაიას ცივილიზაციის ნანგრევები, მეხიკოს ეროვნული მუზეუმი - აცტეკების გიგანტური ქვის კალენდარი

გარემო - მთებით გარშემორტყმული ულამაზესი ხეობები, კანიონები და უდაბნოები, ქათქათა სანაპირო, ფირუზისფერი ზღვა და პალმები

მექსიკური სამზარეულო - ქათმის ფახიტასი, უგემრიელესი სანებელი - გუაკამოლე, მექსიკური კარტოფილი

ჩანერეთ, რომელი ქვეყანა აირჩიეთ: _____

რას ნახავ?	
რას დაათვალიერებ?	
სად გაისეირნებ?	
რას გასინჯავ?	
რას გადაიღებ?	
კიდევ რას გააკეთებ?	

1. ჰკითხეთ მეწყვილეს, რომელი ქვეყანა აირჩია მან და შეავსეთ ცხრილი მის მიერ არჩეული ინფორმაციით.

ჩანერეთ, რომელი ქვეყანა აირჩია თქვენმა მეწყვილემ: _____

რას ნახავს ის?	
რას დაათვალიერებს ის?	
სად გაისეირნებს ის?	
რას გასინჯავს ის?	
რას გადაიღებს ის?	
კიდევ რას გააკეთებს ის?	

2. გამოიყენეთ ცხრილები და ისაუბრეთ თქვენი და თქვენი მეწყვილეების გადანწყვეტილებების შესახებ.

- სად, რომელ ქვეყანაში ან ქალაქში **გინდა შენ** წასვლა / მოგზაურობა? რას ნახავ, რას დაათვალიერებ იქ? კიდევ რა შეგიძლია შენ იქ გააკეთო?
- სად, რომელ ქვეყანაში ან ქალაქში **უნდა მას** წასვლა / მოგზაურობა? რას ნახავს, რას დაათვალიერებს იქ? კიდევ რა შეუძლია მას იქ გააკეთოს?



გამოიყენეთ!


მე მინდა, რომ ვიმოგზაურო ...
 მინდა, რომ იქ ვნახო /
 დავათვალიერო...

გიორგის უნდა, რომ იმოგზაუროს ...
 მას უნდა, რომ ნახოს /
 დაათვალიეროს ...

აღმოაჩინეთ საქართველო!

3. ნაიკითხეთ ბავშვების რეპლიკები და შეავსეთ გამოტოვებული ფრაზები. დაასახელეთ შესაბამისი ასო.

- ა) მისი ფერები სადღესასწაულო ჩირაღდნებით განათებულ ზღაპრულ გარემოს ჰგავს.
- ბ) ამიტომ გირჩევ, ყველა კუთხეს ეწვიო და ყველა კუთხეში აღმოაჩინო უნიკალური ქვეყანა - საქართველო!
- გ) თამარისა და რუსთველის მისტიურ სამშობლოს,
- დ) მაშინ აუცილებლად უნდა ნახვიდე ჩემს დედულეთში - სვანეთში.



სანდრო

გირჩევ, ესტუმრო ჩემს კუთხეს - მესხეთ-ჯავახეთს. მოინახულებ ცოცხალი ისტორიის უნიკალურ ძეგლებს, _____(1), ულამაზეს კამკამატბებს, უზარმაზარ ოქროსფერ ლოდებს, მზესავით ნათელ მთვარესა და ვარსვლავებით დახუნძლულ ცას.




კოტე

გიყვარს ბუმბერაზი მთები, მაღალი კლდეები და თვალუნვდენელი მწვერვალები? თუ ჩემსავით გიზიდავს უძველესი კოშკები და იდუმალი ციხესიმაგრეები, _____ (2), გაისეირნებ ცხენებით, დააგემოვნებ სვანურ სამზარეულოს.



ქეთო

გინდა, მოხვდე ფენტეზის სამყაროში? გირჩევ, ეწვიო სამეგრელოს და ნახო მარტვილის კანიონი. ბუნების ნამდვილი საოცრებაა. _____ (3). გაივლი დადიანების ისტორიულ ბილიქსა და დიდი ლოდებისაგან აშენებულ კიბეს. გაისეირნებ ნავით და დატკბები მთის მდინარის კანიონის ულამაზესი ხედებით. აუცილებლად გვეწვიეთ მარტვილში!



ელენე

საქართველოს მხარეები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ გგონია, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობ. ამ დროს კი ეს ერთი პატარა ქვეყანაა. ნახავ ერთ მხარეს, მერე მეორეს, მესამეს და აღარ იცი, რომელი ჯობია - პირველი, მეორე თუ მესამე. _____ (4)

4. ნაიკითხეთ ხაზგასმული სიტყვები და დაასახელეთ, რა არის ცალკეულ შემთხვევაში გამოსატული - სურვილი, რჩევა, აუცილებლობა თუ შესაძლებლობა?

1. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.

	სანდრო	კოტე	ქეთო	ელენე
მისთვის საქართველოს ყველა კუთხე განუმეორებელია.				
ის ცხოვრობს დასავლეთ საქართველოში.				
ის არის სამხრეთ საქართველოდან.				
მას განსაკუთრებით იზიდავს დედამისის მშობლიური კუთხე.				

2. გაცანით ბავშვების პირად მონაცემებს და უპასუხეთ შეკითხვებს.



სტივი, 14 წლის, ამერიკა

უყვარს მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით აინტერესებს კულინარიული ტურები. აგროვებს უძველეს რეცეპტებსა და კულინარიულ ტრადიციებს.



მანუელი, 15 წლის, ესპანეთი

ჰყავს ქართველი მეგობრები. ძალიან მოსწონს ქართული ფოლკლორი. უნდა, უფრო მეტი გაიგოს საქართველოს შესახებ.



ქეითი, 13 წლის, ინგლისი

უყვარს კითხვა და უცნაური და გამოგონილი ამბების მოყოლა. მისი საყვარელი წიგნია „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“.

- სადაურები არიან სტივი, მანუელი და ქეითი?
- რა უყვარს სტივს? რას აკეთებს ის უცხო ქვეყნებში?
- რისი სურვილი აქვს მანუელს და რატომ?
- რა უყვარს ქეითს? როგორია, შენი აზრით, ქეითი?
- ვის ჰყავს ქართველი მეგობრები?
- ვინ არის დაინტერესებული გასტრონომიით?

3. გაცანით სიტუაციასა და ბავშვების პირად მონაცემებს და შეასრულეთ მოცემული დავალება.

სტივმა, მანუელმა და ქეითმა გაიმარჯვეს კონკურსში და საჩუქრად მიიღეს ერთკვირიანი მოგზაურობა საქართველოში.

- ვინ რომელ არჩევანს გააკეთებს სანდროს, ქეთოს, კოტეს ან ელენეს შემოთავაზებიდან და რატომ?

ენის სამყაროში

მსაზღვრელ-საზღვრული

(ეს სახლი, დიდი სახლი, ორი სახლი, პირველი სახლი, ჩემი სახლი, ძმის სახლი, ქვის სახლი...)

მსაზღვრელი შეიძლება იყოს: **ერთი, ორი და ა.შ.**

პატარა კუნძული
ქალაქის უბნები...

ერთი პატარა კუნძული
ქალაქის ძველი უბნები...

ერთ ადგილას ადრე პატარა კუნძული იყო. მას მადათოვის კუნძულს უწოდებდნენ.

4. დაუსვი კითხვა მსაზღვრელს. გაანაწილე მოცემული მსაზღვრელ-საზღვრულები ცხრილში ნიმუშის მიხედვით.

~~ერთი ადგილი~~ საქართველოს დედაქალაქი ეს ქალაქი მარტვილის კანონი
სვანური კოშკი პირველი ადგილი მხატვრის სურათი ორი მხარე მეხუთე კლასი
მთის მდინარე ულამაზესი მთები ქართველი მწერალი უამრავი ძეგლი
რუსთაველის სამშობლო ულამაზესი ხედი სხვადასხვა ქვეყანა ჩემი კუთხე

მსაზღვრელის კითხვები	მსაზღვრელ-საზღვრული
რომელი?	ერთი ადგილი
როგორი?	
რამდენი?	
მერამდენე?	
სადაური?	
ვისი?	
რისი?	

1. მოძებნეთ წინადადებაში მსაზღვრელი, გაუსვით ქვეშ ხაზი და ჩაწერეთ, რამდენია.

- გავისეირნებ ქალაქის ძველ უბნებში. _2_
- დავათვალიერებ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. _____
- გავსინჯავ იქაურ სამზარეულოს. _____
- გადავიღებ ბევრ ლამაზ ფოტოს. _____
- ვნახავ სვანეთის ულამაზეს მაღალ თოვლიან მწვერვალებს. _____
- წავალ ერთ პატარა მწვანე კუნძულზე. _____
- ვესტუმრები გასართობ პარკს. _____

2. დაშალეთ მსაზღვრელ-საზღვრული ნიმუშის მიხედვით და დაუსვით მსაზღვრელებს სათანადო შეკითხვები.

ნიმუში: ქალაქის ძველი უბნები.

- 1. ქალაქის უბნები (რისი უბნები?)
- 2. ძველი უბნები (როგორი უბნები?)

იქაური გემრიელი კერძები.

- 1. _____
- 2. _____

ბევრი ლამაზი ფოტო.

- 1. _____
- 2. _____

სვანეთის ულამაზესი მაღალი თოვლიანი მწვერვალები.

- 1. _____
- 2. _____
- 3. _____
- 4. _____


ერთი პატარა მწვანე კუნძული.

- 1. _____
- 2. _____
- 3. _____

პროექტი

3. დაუბრუნდით სტივს, მანუელსა და ქეისს.

- ა) აირჩიეთ ერთ-ერთი და მოიფიქრეთ მისთვის დამატებითი ტური საქართველოში. თქვენ რომელ კუთხეში შესთავაზებთ მას გამგზავრებას და რატომ?
- ბ) მოძებნეთ ინტერნეტში თქვენ მიერ შერჩეული კუთხის შესახებ საინტერესო ინფორმაციები. შეავსეთ სქემა მოძიებული ინფორმაციით და გააცანით ერთმანეთს.



წავიკითხოთ და გავიაზროთ!

1. წავიკითხოთ ტექსტები სვანეთის შესახებ და შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები.

„სვანეთში ისეთი მაღალი მთებია, რომ ზეცა პატარა ჩანს... მთებია ბუმბერაზი. მთებია გოლიათი. ზედ ვერცხლის ქამრებივით ჰკიდია ჩანჩქერები... შორს, შორს ჩანან შიშველი, კლდოვანი საჯიხვეები, უფრო შორს - თეთრი, სპეტაკი მყინვარები. კარგია, ძალიან კარგია მწვანე, ციცაბო მთები, უფრო კარგია საჯიხვეები, მაგრამ მყინვარი მთლად ისეა, როგორც ზღაპარში...“

ოტია იოსელიანი

ნაწყვეტი მოთხრობიდან „ცხრა მთას იქით“



IX-X საუკუნეების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია სვანეთში, სოფ. უშგულში



ლეგენდა უშბასა და თეთნულდზე

ლეგენდის თანახმად, ღარიბ უშბასა და მდიდარ თეთნულდს ერთმანეთი შეჰყვარებიათ. ეს ამბავი არ მოსწონებია თეთნულდის ოჯახს და ქალიშვილისთვის ღარიბ უშბასთან უთიერთობა აუკრძალავს.

დამწუხრდნენ უშბა და თეთნულდი, ასეთ ყოფაში დიდხანს ვეღარ გაუძლიათ. თეთნულდი საპატარძლო კაბაში გამოწყობილა და ღმერთისთვის შეუთხოვია: ღმერთო, რაკი მე და უშბას ერთად ყოფნა არ გვინერია, ისე მაინც გაგვაქვავე, რომ ერთმანეთის ყურებაში ხელი არავინ შეგვიშალოსო.

(ნაწყვეტი)

ლაჰილზე ისევ დიდებული და
სავსე მთვარეა...

და ყველაფერი ზღაპრული და
იდუმალია -

ძველი მურყვამი, უშბა, თეთნულდი
და ლამარია...

ლაჰილზე ისევ დიდებული და
სავსე მთვარეა...

ანა კალანდაძე

ლაჰილი - სვანეთის ქედის უმაღლესი წერტილი. სიმაღლე 4008 მ. მწვერვალი პირველად დაიპყრო ჯონ კოკინმა 1887 წელს.

მურყვამი - დაკიდებული მყინვარი საქართველოში.

ჯანსაღი ცხოვრების საიდუმლო




დედამინის „ლურჯი ზონები“

ჰუნზას ტომის ამოუხსნელი ფენომენი

ჯანსაღი ცხოვრების წესი



კომპიუტერი და ჯანმრთელობა



როგორ გავხდეთ უკეთესები?



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- ინტერაქცია ჯანსაღი ცხოვრების გარშემო;
- გარემოს აღწერა (რა არის? როგორია? სად მდებარეობს?); შედარებითი დახასიათება; ადამიანების აღწერა-დახასიათება;
- არგუმენტირებული მსჯელობა მანვე ჩვევების გარშემო; საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და პოზიციის გამოხატვა და სხვების პოზიციების შეფასება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და მათი გაგება-გააზრება;
- სურათებზე დაყრდნობით მარტივი ამბის შექმნა - ამბის სიუჟეტური ხაზის (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასასრული) დაცვა; მოვლენათა და მოქმედებათა თანმიმდევრობის გამოხატვა...
- შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულება - ნართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი, გაგება/გააზრება და მისი ფუნქციური გამოყენება.

1. დააკვირდით ფოტოებს და დაასახელეთ, თქვენი აზრით, რა აკავშირებთ ამ გეოგრაფიულ ადგილებს ერთმანეთთან.



2. გაცანით მოცემულ ინფორმაციას და შეადარეთ თქვენს ვერსიებთან.

პლანეტაზე არსებობს რეგიონები, სადაც ადამიანები იმაზე დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე სხვა ადგილებში. ამ ტერიტორიებზე სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 90-100 წლამდე აღწევს. ასეთ რეგიონებს ამერიკელმა მოგზაურმა და მკვლევარმა დენ ბიუტნერმა „ლურჯი ზონები“ დაარქვა.

ბიუტნერამდე პირველ „ლურჯ ზონას“ ბელგიელმა დემოგრაფმა მიშელ პულენმა და იტალიელმა ექიმმა ჯანი პესმა მიაგნეს იტალიურ სარდინიაზე. ამერიკელმა მკვლევარმა დენ ბეტნერმა კი მოგვიანებით ასეთი კიდევ ოთხი ზონა იპოვა: ოკინავა (იაპონია), იკარია (საბერძნეთი), ლომა ლინდა (აშშ, კალიფორნია) და ნიკოია (კოსტა-რიკა).

დედამინაზე განსაკუთრებული ადგილების გამოვლენის მიზნით, დენ ბიუტნერი კვლევებს 5 წლის განმავლობაში ატარებდა National Geographic-ის მხარდაჭერით. ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგები დაფიქსირებულია წიგნში „ლურჯი ზონები“, სადაც დენ ბიუტნერი ყვება დედამინაზე ყველაზე ჯანმრთელი ადამიანების ცხოვრების წესისა და მარტივი და ეფექტური ჩვევების შესახებ.

3. დაუბრუნდით ტექსტს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) თავიდან უპასუხეთ პირველი დავალების შეკითხვას, რა აკავშირებს ამ რეგიონებს ერთმანეთთან?
- ბ) საიდან ვიცით, რომ ამ რეგიონებში ადამიანები ყველაზე დიდხანს ცხოვრობენ?
- გ) ვინ განახორციელა ეს კვლევა და სად დაფიქსირდა ამ კვლევის შედეგები?
- დ) პლანეტის რომელ რეგიონებში ცხოვრობენ ადამიანები ყველაზე დიდხანს, კვლევების მიხედვით?
- ე) ვინ აღმოაჩინა პირველი „ლურჯი ზონა“ და რომელია ის?
- ვ) რა პროფესიის იყვნენ მიშელ პულენი, ჯანი პესი და დენ ბეტნერი?
- ზ) სად ცხოვრობენ და სადაურები არიან ისინი?

4. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული ჩვენი ჯანმრთელობა? შეასრულეთ მოცემული დავალებები.

ა) დაასახელეთ, ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან რომელი ახდენს ყველაზე დიდ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე?

- ა) გენეტიკა
- ბ) სამედიცინო მომსახურება
- გ) ჯანსაღი ცხოვრების წესი
- დ) საკვები

ბ) შეავსეთ მოცემული ტექსტი.

15%-ით 70%-ით 15%-ით

ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას _____ სამედიცინო მომსახურება განსაზღვრავს, _____ გენეტიკა, _____ კი ის დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების წესისა და კვებაზე.

გ) გაეცანით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებს და შეადარეთ თქვენს ვერსიას (იხ. დანართი, გვ. 238). მიუთითეთ, რა იყო თქვენთვის მოულოდნელი, დაუფერებელი? ეთანხმებით თუ არა ამ მონაცემებს?

ჰუნზას ტომის ამოუხსნელი ფენომენი

1. გაეცანით ინფორმაციას და შეასრულეთ მოცემული მითითება.

„დედამინაზე არის ერთი ადგილი, რომელსაც „ახალგაზრდობის ოაზისს“ უწოდებენ. ამ ადგილებში ადამიანები საშუალოდ 110-120 წელი ცოცხლობენ. ისინი თითქმის არასდროს ავადმყოფობენ და ახალგაზრდულადაც გამოიყურებიან“.

I. ა) ფოტოების დახმარებით აღწერეთ და დაახასიათეთ ჰუნზას ტომელები - როგორ გამოიყურებიან? ჰგვანან თუ არა ისინი ერთმანეთს და რით? ჩანს თუ არა მათი ხასიათი და, კერძოდ, რა? და ა.შ.

ბ) აღწერეთ გარემო, სადაც ისინი ცხოვრობენ.



II. ერთობლივად ჩამოაყალიბეთ თქვენი ვერსიები შეკითხვებზე:

ა) სად მდებარეობს ეს „ახალგაზრდობის ოაზისი?“

ბ) რაში მდგომარეობს ჰუნზას ტომის ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის საიდუმლო - როგორ პირობებში ცხოვრობენ? რით იკვებებიან? როგორია მათი ცხოვრების წესი?



2. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები.

3. წაიკითხეთ ინფორმაცია ჰუნზას ტომის შესახებ (იხ. დანართი, გვ. 238) და შეადარეთ თქვენს ვერსიებს - რა დაემთხვა და რა - არა?

4. როგორია თქვენი ცხოვრების წესი? მონიშნეთ პასუხები და გააცანით ერთმანეთს.

	კი	არა
ა) ცხოვრობ თუ არა აქტიური ცხოვრებით?		
ბ) ხშირად დადიხარ თუ არა ფეხით?		
გ) დიდ დროს ატარებ თუ არა ტელევიზორთან და კომპიუტერთან?		
დ) ვარჯიშობ თუ არა ყოველდღე?		
ე) მისდევ თუ არა სპორტს?		
ვ) იძინებ თუ არა ადრე?		
ზ) იკვებები თუ არა სწორად?		

5. გაიხსენეთ თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე და უპასუხეთ შეკითხვებს.

I. **სად და და როდის:** საუზმობ? სადილობ? ვახშმობ?

როდის / რომელ საათზე:

- ა) იღვიძებ?
- ბ) იძინებ?
- გ) უყურებ ტელევიზორს?
- დ) ზიხარ კომპიუტერთან?
- ე) მეცადინეობ?

გამოიყენეთ!
დილით / შუადღისას / საღამოს
...-ის წინ / შემდეგ (მაგ., ძილის წინ)

II. **რა დროს უთმობ:**

- ა) ტელევიზორის ყურებას?
- ბ) კომპიუტერს?
- გ) მეცადინეობას?
- დ) მეგობრებთან ყოფნას?
- ე) გართობას?
- ვ) წიგნის კითხვას?
- ზ) საოჯახო საქმეს?
- თ) ოჯახის წევრებთან ურთიერთობას?

გამოიყენეთ!
45 წუთი, ნახევარი საათი, ერთი საათი...
მთელი დღე / საღამო...
ყველაზე მეტ / ნაკლებ დროს

6. დაალაგეთ სიხშირის მიხედვით მოცემული აქტივობები.

ტელევიზორის ყურება, კომპიუტერთან ჯდომა, მეცადინეობა,
მეგობრებთან ყოფნა, გართობა, წიგნის კითხვა,
სახლში საქმიანობა, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა.

- არასოდეს _____
- იშვიათად _____
- ხანდახან _____
- ხშირად _____
- ყოველთვის _____

1. გამოიყენეთ წინა დავალება და შეადგინეთ წინადადებები თქვენ შესახებ. საჭიროებისამებრ, დააკონკრეტეთ: სად? როდის? ვისთან ერთად?

ნიმუში: არასოდეს ვუყურებ ტელევიზორს გვიან.

2. შეავსეთ ცხრილი და გააცანით ერთმანეთს. იმუშავეთ რვეულში.

I. ვაკეთებდი, ახლა აღარ ვაკეთებ.	II. არ ვაკეთებდი, ახლა ვაკეთებ.	III. ვაკეთებდი და ახლაც ვაკეთებ.

3. დააკონკრეტეთ I და II სვეტებში მოცემული ინფორმაცია: რატომ აკეთებდით ან რატომ არ აკეთებდით?

ნიმუში:

- ა. ერთი წლის წინ იმიტომ არ დავდიოდი სპორტულ დარბაზში, რომ მეზარებოდა.
- ბ. ახლა იმიტომ არ ვუყურებ ტელევიზორს, რომ დრო აღარ მაქვს.

გამოიყენეთ!

მეზარებოდა, არ მიყვარდა, არ მაინტერესებდა, დრო არ მქონდა...

მეზარება, მიყვარს, მაინტერესებს, ბევრი დრო მაქვს ...

4. შეასრულეთ მოცემული პირობების გათვალისწინებით.

I. წაიკითხეთ და ჩაწერეთ: კი ან არა.

	მე	ჩემი მეწყვილე	✓ = მსგავსება X = განსხვავება
1. ყოველ დღით ვვარჯიშობ.			
2. ვჭამ ბევრ ხილსა და ბოსტნეულს.			
3. ხშირად დავდივარ სასეირნოდ.			
4. დაკავებული ვარ სპორტით.			
5. ერთ საათზე მეტხანს არ ვზივარ ტელევიზორთან და კომპიუტერთან.			
6. ყოველთვის ადრე ვიძინებ.			

II. დაუსვით მეწყვილეებს შეკითხვები მოცემული ნიმუშის მიხედვით: ვარჯიშობ თუ არა ყოველ დღით?

III. შეადარეთ ერთმანეთის პასუხები და ისე მონიშნეთ ცხრილის მესამე სვეტში.

5. ისაუბრეთ ცხრილზე დაყრდნობით: რას აკეთებთ ერთნაირად და რას - არა.

ნიმუში:

ორივე ბევრ ხილს ვჭამთ.

მე არ ვჭამ ბევრ ბოსტნეულს, დათო - ჭამს.

არცერთი არ ვჭამთ ბევრ ბოსტნეულს.

6. შეავსეთ ცხრილი და გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები.

როგორ გესმის:	განმარტე შენი სიტყვებით
1. აქტიური ცხოვრება?	
2. ჯანსაღი კვება?	
3. ჯანსაღი ცხოვრების წესი	

7. ჩანერეთ, რა სიხშირით აკეთებთ (არასოდეს / იშვიათად / ზოგჯერ / ხანდახან / ხშირად / ყოველთვის).

	მე	ჩემი მენჯვილე	√ = მსგავსება X = განსხვავება
1. ვჭამ ჰამბურგერებსა და ჩიფსებს.			
2. ვსვამ კოკა-კოლასა და ყავას.			
3. გვიანობამდე ვუყურებ ტელევიზორს.			
4. მეზარება ადრე ადგომა.			
5. დიდი რაოდენობით ვჭამ ტკბილეულს.			
6. ვზივარ კომპიუტერთან.			

8. შეადარეთ თქვენი პასუხები ერთმანეთს და გააცანით სხვებს.


9. გამოიყენეთ ორივე ცხრილი, შეაფასეთ თქვენი საქმიანობები და ისე გადაანაწილეთ ცხრილში. იმუშავეთ რვეულში.

ცუდია!	კარგია!
--------	---------

ბრძანების გამოხატვა

გულისხმობს ზმნით გამოხატულ მოქმედებასა თუ მდგომარეობაზე კონკრეტულ დამოკიდებულებას - უნდა შესრულდეს (წართქმითი) თუ არ უნდა შესრულდეს (უკუთქმითი).

იყენებს სხვადასხვა მწკრივის ფორმას - ანმყოს, ნყვეტილს, მყოფადსა და II კავშირებითს.



1. გაანალიზეთ მოცემული ფორმები.

გამორთე! ნუ საუბრობ! არ დაყარო! ნუ ბრაზობ! დაჯექი!
 არ იყვირო! დაიძინე! ივარჯიშე! ისეირნე! შეინახეთ! ნუ ჭამ!
 ნუ ლაპარაკობ! ნუ ნერვიულობ! იცინე! არ იტირო! ჭამე!

უნდა შესრულდეს	არ უნდა შესრულდეს

2. შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით.

შეხედე! - არ შეხედო!	შეხედე! - ნუ შეხედავ!
იცინე! - _____	ილაპარაკე! - _____
იმუშავე! - _____	იმუშავე! - _____
დანერეთ! - _____	დანერეთ! - _____
ითამაშეთ! - _____	ითამაშეთ! - _____
ჭამე! - _____	ჭამე! - _____
გააკეთე! - _____	გააკეთე! - _____

დაიმახსოვრეთ!


ნადი!	-	არ ნახვიდე!	-	ნუ ნახვალ!
დაჯექი!	-	არ დაჯდე!	-	ნუ დაჯდები!
ადექი!	-	არ ადგე!	-	ნუ ადგები!
დანექი!	-	არ დანვე!	-	ნუ დანვები!

3. გამოიყენეთ წინა დავალება და შეავსეთ მოცემული ფორმები.

მოდი! - არ _____	მოდი! - ნუ _____
დაჯექი! - ნუ _____	დაჯექი! - არ _____
ადექი! - ნუ _____	ადექი! - არ _____
დანექი! - არ _____	დანექი! - ნუ _____

4. მიუბრუნდით მენწყვილებს შეფასებებს (გვ. 154, 4 - გვ.155, 7) და მიეცით რეკომენდაციები - რა უნდა გააკეთონ ან არ უნდა გააკეთონ მათ (გამოიყენეთ ბრძანებითის ფორმები).

ნიმუში:



1. დაუბრუნდით პლანეტის „ლურჯი ზონების“ თემას. გაეცანით დენ ბიუტნერის 10 წესს და ქვემოთ მოცემული წინადადებები დააკავშირეთ ამ წესებთან.

დაასახელოთ, რომელი წინადადება რომელ წესს ან წესებს შეესაბამება.

10 წესი, რომლებიც რეალურად ახანგრძლივებს სიცოცხლეს:

1. სიცოცხლის ხანგრძლივობა 25%-ით თქვენს გენეტიკაზეა დამოკიდებული და 75%-ით კი სწორი ცხოვრების წესზე.
2. ნაკლები ხორცი, მეტი ყველი და ბოსტნეული!
3. ისწავლეთ ბედნიერი ცხოვრება!
4. თქვენს დღის განრიგში შეიტანეთ დღის ძილი (თუნდაც დასვენების დღეებში)!
5. მეტი დრო გაატარეთ ოჯახთან ერთად!
6. დალიეთ მცენარეული ჩაი!
7. მეტი დრო გაატარეთ მზეზე!
8. გამრავალფეროვნეთ თქვენი კონტაქტები!
9. ნაკლები ინფორმაცია, მეტი დასვენება!
10. იცინეთ მეტი!

- ა) გაზარდეთ ფიზიკური დატვირთვა და ივარჯიშეთ უფრო მეტი!
- ბ) ისეირნეთ ოჯახის წევრებთან ერთად!
- გ) მიირთვით ხორცი კვირაში ერთხელ!
- დ) გააკეთეთ ის, რაც სიამოვნებას განიჭებთ!
- ე) შუადღისას ნახევარი საათით მაინც დაიძინეთ!
- ვ) გაიცანით ახალი ადამიანები!
- ზ) იყავით პოზიტიურები და მხიარულები!

2. წაიკითხეთ და მონიშნეთ სწორი ვარიანტები წინა დავალების მიხედვით.

როგორია მოცემული წინადადებები შინაარსის მიხედვით?

- ა) თხრობითი წინადადება
- ბ) კითხვითი წინადადება
- გ) ბრძანებითი წინადადება

რას გამოხატავს პირველ დავალებაში ხაზგასმული ზმნები?

- ა) ის, რაც უნდა შესრულდეს.
- ბ) ის, რაც არ უნდა შესრულდეს.
- გ) ის, რაც სასურველია, რომ შესრულდეს.

ჯანსალი კვება

3. დააკვირდით სურათებს და დააღაგეთ ისე, რომ ამბავი გამოვიდეს.



4. დააკვირდით სურათებს. სად ხდება, თქვენი აზრით, ეს ამბავი? შემოსაზეთ სწორი ვარიანტი და დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

- ა) ინდოეთში ბ) აფრიკაში გ) აზიაში

1. უპასუხეთ შეკითხვებს სურათების მიხედვით.

ა) რას აკეთებს სპილო I სურათზე? შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

1. ჭამს საჭმელს;
2. ამზადებს საჭმელს;
3. წონის საჭმელს.

ბ) თქვენი აზრით, რატომ აკეთებს სპილო ამას?

1. იმიტომ, რომ მოსწონს ამის გაკეთება;
2. იმიტომ, რომ ერთობა;
3. იმიტომ, რომ დიეტაზეა.

გ) ვინ დაუნიშნა სპილოს დიეტა? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი სურათის მიხედვით.

დ) რა „პროფესიისაა“ ჟირაფი? რატომ ფიქრობ ასე?

ე) სად „მუშაობს ექიმი-დიეტოლოგი“

ვ) კიდევ რომელი ცხოველი წონის საჭმელს სასწორზე?

ზ) რატომ დგას სპილო ყურუბჩამოყრილი ჟირაფის წინ? აირჩიეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტი და განმარტეთ, რატომ ფიქრობთ ასე.

1. ჟირაფი ეჩხუბა სპილოს;
2. სპილოს რცხვენია ჟირაფის;
3. სპილოს არ მოსწონს ჟირაფის დანიშნულება.

2. შეადგინეთ პატარა ზღაპარი, დაასათაურეთ და გააცანით ერთმანეთს. იმუშავეთ პატარა ჯგუფებად.


- მოიფიქრეთ და დაარქვით პერსონაჟებს სახელები;
- დააკონკრეტეთ, სად ხდება მოქმედება;
- მოიფიქრეთ ცალკეული დიალოგები და ჩართეთ ზღაპარში:

ა) სპილოსა და ბეჰემოტს შორის;

ბ) სპილოსა და ჟირაფს შორის;

გ) ტურებ შორის.

- შეარჩიეთ ზედსართავი სახელები პერსონაჟების დასახასიათებლად.
- გამოიყენეთ ზღაპრის განვითარების სქემა:



- შეურჩიეთ ზღაპარს სათაური და გააცანით კლასს.

3. შეადარეთ ერთმანეთის ზღაპრები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ყველაზე სასაცილო
ყველაზე უცნაური

ყველაზე საინტერესო
ენობრივად ყველაზე გამართული

4. ნაიკითხეთ ნათია ჯანაშიას ლექსი „სპილოს დიეტა“ და შეადარეთ თქვენს ამბავთან.

სპილო ძლიერ გასუქდა,
გახდა ათი ტონა.
ანუხებდა ძალიან
თავის ჭარბი წონა.
დიეტოლოგ ჟირაფთან
გადანწყვიტა წასვლა,
– დავიცავო დიეტას
ბეჭემოთის მსგავსად.
გაიკვირვა ჟირაფმა,
გაუხარდა ძლიერ,
– თუკი ღორმუცელობას
და სინარბეს სძლიე,
თუკი არ დაარღვიე
დიეტური კვება,
ჭარბი კილოგრამები
მალე მოგაკლდება!
– ყველაფრისთვის მზადა ვარ!
ბურტყუნებდა სპილო,
– რამდენ ხანში დავიკლებ
სამი ათას კილოს?

– თუკი არ დაიზარებ
და ვარჯიშსაც შეძლებ,
ზედმეტ წონას მოიკლებ
თერთმეტი თვის შემდეგ!

ზანზარებდა მთელი ტყე,
ყველა შიშით კრთოდა,
დილაობით, როდესაც
სპილო ვარჯიშობდა.
ტყეს რომ შემოურბენდა
ძუნძულ–ძუნძულ სამ წრეს,
მერე მოკრძალებულად
მიერთმევედა საჭმელს.

ამასწინათ სპილოზე
ხმა გაეგდოთ ტურებს:
– ისე გახდა, ძლივს ზიდავს
ხორთუმსა და ყურებს!

5. უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს ლექსის მიხედვით.

1. გაეცანით ჯანსაღი კვების პირამიდას და დაასახელეთ, რომელი საკვები პროდუქტებია მასზე გამოსახული.



2. შეავსეთ ცხრილი თქვენ შესახებ.

რა გიყვარს აქედან?	
რა არ გიყვარს აქედან?	
რას ჭამ აქედან?	
რას არ ჭამ აქედან?	
რას ჭამ და სვამ კიდევ?	

3. გაითვალისწინეთ ჯანსაღი კვების პირამიდა და შეაფასეთ თქვენი კვების რაციონი. როგორ ფიქრობთ, სწორად იკვებებით თუ არა?

კომპიუტერი და ჯანმრთელობა

4. უპასუხეთ შეკითხვებს. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება პირადი გამოცდილების მიხედვით.

- საშიშია თუ არა კომპიუტერი ადამიანის ჯანმრთელობისათვის?
- რას იწვევს კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა?
- რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ კომპიუტერმა პრობლემები არ შეგვიქმნას?

5. გაეცანით რჩევებსა და წესებს, რომლებიც საჭიროა, დავიცვათ კომპიუტერთან მუშაობისას.

კომპიუტერთან მუშაობის გრაფიკი:

- კომპიუტერთან დღეში 2 საათზე მეტი არ უნდა გავატაროთ;
- მუშაობის პროცესში ყოველი 40-45 წუთის შემდეგ უნდა შევისვენოთ 20 წუთი;
- შესვენების დროს უნდა შევასრულოთ სპეციალური ვარჯიშები - ავდგეთ, გავიშალოთ მხრებში, გავიარ-გამოვიაროთ, ვამოძრაოთ თავი და თვალები.

რა უნდა ვიცოდეთ მუშაობის წინ:

- ოთახი, სადაც კომპიუტერი დგას, სათანადოდ უნდა იყოს განათებული;
- არ არის სასურველი კომპიუტერის ფანჯარასთან დადგმა;
- კომპიუტერს პირდაპირ არ უნდა ურტყამდეს მზის შუქი;
- მონიტორის ეკრანი ხშირად უნდა გავასუფთავოთ მტვრისაგან;
- უნდა შევარჩიოთ ისეთ სავარძელი, რომ მუშაობისას არც თავი დავხაროთ და მხრებშიც არ მოვიხაროთ.

რა უნდა დავიცვათ მუშაობის დროს:

- თვალსა და მონიტორს შორის მანძილი უნდა იყოს 70 სმ.;
- არ უნდა გამოვიყენოთ მაგიდის სანათი;
- კომპიუტერთან უნდა დავსხდეთ გამართულად, მუშაობისას არ უნდა გადავიხაროთ წინ;
- ყურადღება უნდა მივაქციოთ ეკრანის ფერს - თვალისთვის ყველაზე უვნებელია ღია ფერის ეკრანზე მუქი ფერის ასოები;
- დროდადრო უნდა დავხუჭოთ თვალები;
- ხშირად უნდა მოვაცილოთ მონიტორს თვალი, უნდა გავიხედოთ შორს და ისე ვავარჯიშოთ თვალები.

6. დააკვირდით ხაზგასმულ ფორმებს და დაასახელეთ სწორი ვარიანტები.

- ა) რომელი მწკრივის ფორმებია? - 1) მყოფადი 2) II კავშირებითი 3) ბრძანებითი
ბ) რას გამოხატავს ისინი? - 1) აუცილებელ მოქმედებას 2) ბრძანებას 3) რჩევას

1. გამოიყენეთ ბრძანებითის ფორმები და ისე გადაწერეთ კომპიუტერთან მუშაობის რჩევები და წესები რვეულში.
2. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა ცხრილში - რომელი წესი რას ეხება?

	კომპიუტერთან მუშაობის გრაფიკი	კომპიუტერთან მუშაობის წინ	კომპიუტერთან მუშაობისას
1. არ დაჯდე კომპიუტერთან დღეში 2 საათზე მეტი!			
2. მოაცილე მონიტორს თვალი და შორს გაიხედე!			
3. არ იმუშაო ბნელ ან ნახევრად ბნელ ოთახში!			
4. ადექი და გაიარ-გამოიარე!			
5. ყოველი 40-45 წუთის შემდეგ შეისვენე 20 წუთით და ივარჯიშე!			
6. არ აანთო მაგიდის ლამპა!			
7. გაასუფთავე მონიტორის ეკრანი მტვრისაგან!			
8. არ მოიხარო მხრებში!			
9. არ შეძვრე კომპიუტერში!			
10. არ ჩააბნელო ეკრანი!			
11. მეტი ისეირნე სუფთა ჰაერზე!			

3. გამოიყენეთ წინა გვერდზე მოცემული რჩევები და გააგრძელეთ ცხრილის შევსება ნიმუშის მიხედვით. ნაიკითხეთ და გააცანით ერთმანეთს.

ცუდია, თუ	კარგია, თუ
კომპიუტერთან დღეში 2 საათზე მეტს ვატარებთ.	კომპიუტერს პირდაპირ არ ურტყამს მზის შუქი.

როგორ გავხდეთ უკეთესები?

4. გაინტერესებთ, როგორი ნებისყოფა გაქვთ? შეასრულეთ მოცემული ტესტი და გაეცანით შედეგებს დანართში (გვ. 239).

ტესტის შევსების წინ გაეცანით პირობას:

- ნაიკითხეთ მოცემული კითხვა და სამი სავარაუდო პასუხიდან მონიშნეთ თქვენთვის ყველაზე მისაღები.
- შეკრიბეთ მიღებული ქულები, დაითვალეთ და შესაბამისი შედეგი მოძებნეთ დანართში.

შეამოწმე შენი ნებისყოფა!

I. რომელი უფრო მიესადაგება შენს ხასიათს?

- ა) მზად ხარ, ყველას მოუსმინო. - **3**
- ბ) ხარ ძალიან მშვიდი. შენი გამოყვანა მდგომარეობიდან არავის შეუძლია. - **1**
- გ) ნებისმიერ წვრილმანს შეუძლია, მდგომარეობიდან გამოგიყვანოს. - **2**

II. წარმოიდგინე, რომ უცხო ადამიანმა შემოგთავაზათ დახმარება შენს გარეგნობასთან დაკავშირებით. რას ფიქრობ ამის შესახებ?

- ა) ფიქრობ, რომ ცუდი არ იქნება. - **2**
- ბ) ბოლოს და ბოლოს, დაადგენ, რა უფრო გიხდება. - **3**
- გ) არ აპირებ, რომ მის რჩევას მოუსმინო. - **1**

III. რას ფიქრობ პრინციპული და მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანების შესახებ?

- ა) ისინი აუცილებლად გახდებიან ცნობილი ადამიანები. - **1**
- ბ) რა თქმა უნდა, მათ ძლიერი ხასიათი აქვთ, მაგრამ არ შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება. - **2**
- გ) ისინი მიიღებენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას ნებისმიერ შემთხვევაში. - **3**

IV. მოულოდნელად გაიგე, რომ ხვალ მიდიხარ იმ ქვეყანაში სამოგზაუროდ, რომლის ნახვაზეც დიდი ხანია ოცნებობდი.

- ა) ფიქრობ, რომ ერთ დღეში ვერ მოემზადები. - **3**
- ბ) ჯერ აუცლებელი საქმე გაქვს დასამთავრებელი. - **2**
- გ) არც კი დაფიქრდები, ისე წახვალ. - **1**

V. მოულოდნელად გაიგე, რომ სალამოს აუცილებლად უნდა იყო ზეიმზე, მაგრამ შესაფერისი ტანსაცმელი არ გაქვს.

- ა) ეცდები, რომ შენი ტანსაცმლიდან შეარჩიო რამე. - 2
- ბ) სასწრაფოდ ახალ ტანსაცმელს იყიდი. - 1
- გ) მეგობარს სთხოვ დახმარებას. - 3

VI. ვარჯიშობ თუ არა ყოველდღე?

- ა) დიახ, და ფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგია. - 1
- ბ) დიდი სიამოვნებით ივარჯიშებდი, მაგრამ დრო არ გაქვს. - 2
- გ) არ ვარჯიშობ და არც აპირებ ვარჯიშს. - 3

საერთო ქულების რაოდენობა:



1. შეასრულეთ ქვემოთ მოცემული მითითებები რვეულში.

ა) ჩამონერეთ ცალ-ცალკე და შეადარეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

რა არ მოსწონთ შენში სხვებს?	შენ თვითონ რა არ მოგწონს საკუთარ თავში?
მათ არ მოსწონთ ის, რომ	მე არ მომწონს ის, რომ
მე _____	მე _____
_____	_____
_____	_____

ბ) მოიძიეთ მიზეზი, რატომ ხართ ასეთი და ჩანერეთ ნიმუშის მიხედვით.

როგორი ვარ!	რატომ ვარ ასეთი?
1. მე ვარ ზარმაცი.	1. მეცადინეობაზე მეტად გართობა მიყვარს; კომპიუტერთან რომ ვჯდები, ადგომა მავინწყდება; კითხვა არ მიყვარს...
_____	_____
_____	_____

გ) იფიქრეთ, რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ უკეთესები გახდეთ და ჩანერეთ.

დაიმახსოვრეთ! ყველაფერს მიაღწევთ, თუკი მტკიცე ნებისყოფა გექნებათ!

- ნიმუში:
- 1. აუცილებლად უნდა დავინიშნო დრო მეცადინეობისთვის, გართობისთვის;
 - 2. ეს დრო მკაცრად უნდა ვაკონტროლო;
 - 3. ყოველდღე უნდა წავიკითხო ერთი გვერდი იქიდან, რაც არ მომწონს და არ მაინტერესებს ...

იცით, თუ არა, რომ...

- ითვლება, რომ ზრდასრულ ადამიანს შეუძლია ოციდან ასი ათასამდე სიტყვის დამახსოვრება.
- ადამიანის თავის ტვინის საშუალო წონა 1300-დან 1700 გრამამდე შეადგენს.
- ადამიანის მეხსიერება, აზროვნება და ინტელექტი მისი ტვინის ზომაზე არ არის დამოკიდებული.
- ტვინი ერთადერთი ორგანოა, რომელიც, ასაკის მიუხედავად, მარად ახლდება.
- მოსაზრება, რომ თითქოს ადამიანი ტვინის მხოლოდ 10 %-ს იყენებს, მცდარია.

2. თქვენი აზრით, რა აქვთ ამ ადამიანებს საერთო?



ავსტრიელი კომპოზიტორი
ვოლფგანგ ამადეუს
მოცარტი



გაერთიანებული სამეფოს
პრემიერ მინისტრი
უინსტონ ჩერჩილი



ყველაზე წარმატებული
მხედართმთავარი
ისტორიაში ალექსანდრე
მაკედონელი

3. წაიკითხეთ და შეამოწმეთ პასუხი.

არსებობენ ადამიანები, რომელთაც აქვთ უნივერსალური მეხსიერება. სწორედ ასეთები იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი და უინსტონ ჩერჩილი, რომლებიც უნივერსალური მეხსიერებით იყვნენ დაჯილდოებული. მოცარტი ერთხელ მოსმენის შემდეგ თავად ასრულებდა ნებისმიერ მუსიკალურ ნაწარმოებს და ფურცელზეც გადაჰქონდა ის. მაკედონელმა ყველა თავისი მეომრის სახელი იცოდა. უინსტონ ჩერჩილმა კი ზეპირად იცოდა შექსპირის თითქმის მთელი შემოქმედება.

4. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) ვინ იყვნენ მოცარტი, მაკედონელი და ჩერჩილი პროფესიით?
- ბ) სადაურები იყვნენ ისინი?
- გ) რითი გამოირჩეოდნენ, ტექსტის მიხედვით, მოცარტი, მაკედონელი და ჩერჩილი?

1. რას იტყვით თქვენ შესახებ? როგორი მესხიერება გაქვთ თქვენ? გაეცანით შეკითხვებს, მონიშნეთ პასუხები ფურცელზე და გააცანით ერთმანეთს.

- 1) ადვილად იმახსოვრებ თუ არა ახალ ინფორმაციას?
- 2) როდის უფრო კარგად გამახსოვრდება ინფორმაცია - როცა შენ თვითონ კითხულობ, თუ როცა სხვას უსმენ?
- 3) ყველაზე მეტად რისი დამახსოვრება გიჭირს - ციფრების, უცხო სიტყვების, წარსულში მომხდარი ამბებისა თუ კიდევ სხვა რამის?
- 4) რას აკეთებ იმისათვის, რომ უკეთ დაიმახსოვრო?
- 5) როგორ ეხმარები საკუთარ ტვინს იმისათვის, რომ მან უკეთესად იმუშაოს?

გამოიყენეთ!

- ვერ ვიმახსოვრებ...
- მალე მავიწყდება...
- მეორე ნუთში აღარ მახსოვს...
- ვცდილობ, გავიხსენო...
- ძალიან მეხმარება...
- არ ვიცი, როგორ მოვიქცე იმისათვის, რომ...
- კარგი მესხიერება მაქვს...

2. შეასრულეთ მოცემული ტესტი და შეამოწმეთ თქვენი მესხიერება. შედეგები მოძებნეთ დანართში (გვ. 239).

ტესტის შევსების წინ გაეცანით პირობებს:

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, ჩაწერეთ 1 ქულა, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი - ნული (0).
- შეკრიბეთ მიღებული ქულები, დაითვალეთ და შესაბამისი შედეგი მოძებნეთ დანართში.

შეამოწმე შენი მესხიერება!


1. გიყვარს თუ არა კროსვორდების, რებუსებისა და თავსატეხების ამოხსნა? _____
2. ადვილად იმახსოვრებ თუ არა მეგობრების ტელეფონის ნომრებს? _____
3. გაქვს თუ არა მხედველობითი მესხიერება? ყოველთვის გახსენდება თუ არა მეგობრის დაბადების დღე? _____
4. შეგიძლია თუ არა გადმოსცე რამდენიმე დღის წინ ნაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსი? _____
5. ადვილად იხსენებ თუ არა რამდენიმე წლის წინ მომხდარ ამბებს? _____
6. ადვილად იხსენებ თუ არა საჭირო ინფორმაციას? _____

- 7. შეგიძლია თუ არა 2 წუთის განმავლობაში დაიმახსოვრო და დაწერო თანამიმდევრობით დალაგებული 30 საგნიდან თუნდაც ნახევარი? _____
- 8. გიჭირს თუ არა პრობლემების გადაწყვეტის დროს შენი გამოცდილების გამოყენება? _____
- 9. შეგიძლია თუ არა მიაგნო ადგილს, სადაც ერთხელ უკვე იყავი? _____

საერთო ქულების რაოდენობა:

3. შეასრულეთ მოცემული სავარჯიშოები და გაარკვიეთ, როგორი მეხსიერება გაქვთ - სმენითი თუ მხედველობითი?

სავარჯიშო 1: ყურადღებით მოისმინეთ სიტყვათა წყვილები და დაიმახსოვრეთ. წერილობით აღადგინეთ მოცემული სიტყვების მეორე ცალები და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.



თოვლი - _____, ძროხა - _____,
 ცხენი - _____, თევზი - _____,
 მთვარე - _____.

სავარჯიშო 2: მოისმინეთ სიტყვები და დაიმახსოვრეთ. წერილობით აღადგინეთ მოსმენილი სიტყვები ზუსტი თანამიმდევრობით და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

სავარჯიშო 3: მოისმინეთ ტექსტი და წერილობით აღადგინეთ სიტყვები, რომლებსაც დაიმახსოვრებთ. შეადარეთ, ვინ რამდენი სიტყვა აღადგინა.

სავარჯიშო 4: მოისმინეთ წინადადებები, დაიმახსოვრეთ და გაიმეორეთ ისინი ზეპირად.

სავარჯიშო 5: წაიკითხეთ სიტყვები 20 წამის განმავლობაში და დაიმახსოვრეთ (დანართი, გვ. 239). დაწერეთ, რა დაგამახსოვრდათ და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

სავარჯიშო 6: უყურეთ 20 წამის განმავლობაში და დაიმახსოვრეთ დანართში მოცემული რიცხვები (გვ. 239). აღადგინეთ ეს ციფრები წერილობით და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

სავარჯიშო 7: წაიკითხეთ დანართში მოცემული ტექსტი 1 წუთის განმავლობაში (გვ. 239) და დაიმახსოვრეთ. დაწერეთ, რაც დაიმახსოვრეთ და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

1. დაუბრუნდით თქვენ მიერ შესრულებულ სავარჯიშოებს და შეადარეთ შედეგები. რა უკეთ შესრულეთ - მოსასმენი თუ საკითხავი დავალებები?

თქვენი შედეგების გათვალისწინებით, შემოხაზეთ, რომელი ტიპის მეხსიერება გაქვს უკეთესი.

- ა) მხედველობითი მეხსიერება ბ) სმენითი მეხსიერება

2. შესაძლებელია თუ არა მეხსიერების გაძლიერება და როგორ? ჩამოწერეთ რჩევები და გააცანით ერთმანეთს. შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

3. წაიკითხეთ და შეადარეთ თქვენს რჩევებთან. უპასუხეთ შეკითხვას.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ მეხსიერების გაძლიერებას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს. ესენია: სრულფასოვანი ძილი, ჯანსაღი კვება, სპორტი და ინტელექტუალური თამაშები.

- რას ანიჭებთ თქვენ უპირატესობას - ძილს, კვებას, სპორტსა თუ ინტელექტუალურ თამაშებს?

4. შეადგინეთ ჯანსაღი ცხოვრების გრაფიკი თქვენთვის და გააცანით ერთმანეთს.

დღიურები



11 წლის ბიჭის დღიური

რობინზონ კრუზოს ისტორია


რობინზონ კრუზო და
ალექსანდრო სელკირკი



რობინზონ კრუზოს ჩანაწერები

პროექტი:

დღიურები უკაცრიელი კუნძულიდან



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- დროსა და სივრცეში ორიენტირება - შესაბამისი ენობრივი მარკერების გაგება და ფუნქციური გამოყენება;
- გარემოს / ადამიანების აღწერა-დახასიათება;
- შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟისა და მისი ქცევის/ მოქმედების მიმართ;
- ფაქტებისა და მოვლენების შედარება და მარტივი დასკვნების გაკეთება;
- მსაზღვრელის ფუნქციური გამოყენება;
- შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა - სურვილი, შესაძლებლობა, რჩევა და აუცილებლობა (მეორე კავშირებითი და მისი ფუნქციები);
- წარსულის ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემა;
- ბიოგრაფიული ტექსტების (პორტრეტები, ბიოგრაფიული მონაცემები, მოგონებები, დღიურები...) წაკითხვა და გაგება-გააზრება; მათი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა;
- შემოქმედებითი წერა - მოცემული პირობის მიხედვით ტექსტის შექმნა.

1. გაცანით მოცემულ ტექსტებს და დაასახელეთ:

- ა) რის შესახებ არის საუბარი კონკრეტულ ტექსტში?
- ბ) ვინ არიან ამ ტექსტების ავტორები და ადრესატები?
- გ) რომელია აქედან: 1. წერილი? 2. დღიური? 3. საინფორმაციო ტექსტი?

1

„კარლოსის ხიდს სახელი მეფე კარლ IV-ის საპატივცემულოდ ეწოდა. სწორედ მისი მეფობის დროს, 1348 წელს, დაარსდა ცენტრალური ევროპის პირველი უნივერსიტეტი პრაღაში. კარლოსის ხიდის სიგრძე 520, ხოლო სიგანე 9.5 მეტრია. ის ერთმანეთთან აკავშირებს პრაღის რაიონებს - „სტარო მესტოსა“ და „მალა სტრანას“, რომლებიც მეთოთხმეტე საუკუნეში დამოუკიდებელ ქალაქებს წარმოადგენდა. კარლოსის ხიდის აგებამდე (1357 წ.), მდინარე ვლტავაზე ამავე ადგილას 1170 წლიდან იუდიფეს ხიდი ფუნქციონირებდა, რომელიც 1342 წელს წყალდიდობამ დაანგრია.“

საბავშვო ენციკლოპედია



2

11 აპრილი, პარასკევი, ღამის 10 საათი:

სკოლის შემდეგ კარლოსის ხიდზე გავისეირნეთ. მაქსმა მითხრა, ხიდზე გადასვლისას სურვილს თუ ჩაიფიქრებ, აუცილებლად შეგისრულდებაო. ჰოდა, მეც ჩაიფიქრე. ძალიან მინდა, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს...

ხვალ მე, მაქსი და ირენა ზოოპარკში მივდივართ...

3

გამარჯობა, დედა და მამა!

როგორ ხართ? ლაშა და თაკო როგორ არიან? უკვე ძალიან მომენატრეთ. მე კარგად ვარ. ძალიან გამიმართლა - არაჩვეულებრივ ოჯახში მოვხვდი. ორი შვილი ჰყავთ - მაქსი და ირენა. მაქსი ჩემზე ერთი წლით უფროსია. ერთი კვირის წინ გახდა 12 წლის. ჩემზე მაღალი და გამხდარია. ისიც დადის ფეხბურთზე, თან ჩემსავით მხიარული და ცნობისმოყვარეა. უკვე დავმეგობრდით კიდევ. ირენა თაკოს ხელაა. ძალიან სასაცილო ვინმეა. მშობლებიც ძალიან თბილი და კარგი ხალხია...

გოცნით, ბექა

11 აპრილი

2. მონიშნეთ ცხრილში სათანადო უჯრები. რომელი ტექსტიდან ვიგებთ ამ ინფორმაციას?

	პირველი ტექსტი	მეორე ტექსტი	მესამე ტექსტი
ა) კარლოსის ხიდი პრალაში მდებარეობს.			
ბ) კარლოსის ხიდს სურვილების ასრულება შეუძლია.			
გ) ხიდი მეფე კარლ IV-ის სახელს ატარებს.			
დ) თაკო და ირენა ტოლები არიან.			
ე) ბეჯა გაზაფხულზე იმყოფებოდა პრალაში.			
ვ) ბეჯას ხუთ აპრილს აქვს დაბადების დღე.			

3. გამოიყენეთ ტექსტები, შეავსეთ ინფორმაციით და გააცანით ერთმანეთს.



ვინაობა: ბეჯა

ასაკი: _____

ეროვნება: _____

საცხოვრებელი ადგილი: _____

ოჯახური მდგომარეობა: _____

გარეგნობა: _____

თვისებები: _____

ინტერესები: _____



ვინაობა: მაქსი

ასაკი: _____

ეროვნება: _____

საცხოვრებელი ადგილი: _____

ოჯახური მდგომარეობა: _____

გარეგნობა: _____

თვისებები: _____

ინტერესები: _____

4. დაუბრუნდით ნაწყვეტებს ბეჯას დღიურიდან და წერილიდან და შეადარეთ ერთმანეთს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

1. გაეცანით 11 წლის ბექას დღიურის ჩანაწერებს და შეასრულეთ დავალებები რვეულში.

5 აპრილი, შაბათი

დღის 2 საათი:

დღეს პირველი დღეა, რაც პრალაში ჩამოვფრინდით. დილით ცოტა წვიმდა. ახლა კარგი, მზიანი ამინდია და თბილა. აეროპორტიდან მამაჩემს ველაპარაკე. უკვე ძალიან მომენატრა ყველა.

მე მაქვს ჩაპეკის ოჯახში ვცხოვრობ. მაქსი ჩემზე ერთი წლით უფროსია. მას ჰყავს პატარა და, ირენა. მაქსის მშობლები ძალიან თბილი და კარგი ხალხია.

6 აპრილი, კვირა

დღის 10 საათი:

მე და მაქსი უკვე დავმეგობრდით. ძალიან კარგი ბიჭია. ისიც ჩემსავით მხიარული და ცნობისმოყვარეა. დღეს პრალის დათვალიერებას ვაპირებთ. ძალიან მიხარია.

9 აპრილი, ოთხშაბათი

დღის 3 საათი:

როგორც ყოველთვის, მე და მაქსმა 8-ის ნახევარზე ვისაუზმეთ და სკოლაში წავედით. სკოლა მაქსის სახლთან ახლოსაა, ამიტომ ყოველთვის ფეხით მივდივართ.

ახლა სახლში მარტო მე და მაქსის დედა ვართ. მაქსი ფეხბურთზეა. ის 5 წელია, რაც ფეხბურთზე დადის და, როგორც ამბობენ, ძალიან კარგად თამაშობს.

11 აპრილი, პარასკევი

ღამის 10 საათი:

სკოლის შემდეგ კარლოსის ხიდზე გავისეირნეთ. მაქსმა მითხრა, ხიდზე გადასვლისას სურვილს თუ ჩაიფიქრებ, აუცილებლად შეგისრულდებაო. ჰოდა, მეც ჩავიფიქრე. ძალიან მინდა, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს.

დღეს რამდენჯერმე შეიცვალა ამინდი. დილით წვიმდა. შუადღისას წვიმამ გადაიღო და მზე გამოვიდა. ახლა ისევ წვიმს. იმედი მაქვს, ხვალ კარგი ამინდი ექნება. მე, მაქსი და ირენა ზოოპარკში მივდივართ. ზოოპარკი ქალაქგარეთ არის. ჯერ მეტროთი წავალთ, შემდეგ კი ავტობუსით ვიმგზავრებით.

13 აპრილი, კვირა

დღის 11 საათი:

დღეს გრადის ციხესიმაგრეზე უნდა ავიდე. მაქსმა მითხრა, გირჩევ, რომ ნახო, ამაზე უკეთესი ადგილი პრალაში არ არისო. ერთი სული მაქვს, როდის წავალთ.

საღამოს 8 საათი:

მართლაც საოცარი სანახაობა დევ. ციხესიმაგრის ეზოებში სეირნობისას აღტაცებას ვერ ვმაღლავდი.

18 აპრილი, პარასკევი

დღის 8 საათი:

მაქსის დედამ გვითხრა, დღეს სიურპრიზი გელოდებათო. ერთი სული მაქვს, სკოლიდან როდის მოვალ!

შუადღის 2 საათი:

სახლში მარტო მე და მაქსი ვართ. მგონი, მაქსმა რაღაც იცის, მაგრამ არაფერს ამბობს... აი, მაქსის მშობლებიც მოვიდნენ. სადღაც მივდივართ.

ღამის 11 საათი:

პეტრინის კოშკზე ავედიდ. კოშკი მთაზე დგას. საბაგირო გზაც არის, მაგრამ ჩვენ ფეხით ავიარეთ 299 საფეხური. კოშკიდან მთელი პრაღა ხელისგულივით მოჩანს. მართლაც საოცარი ხედია. ყველა სახლი ერთნაირი, მონითალო კრამიტით არის გადახურული. ისეთი სილამაზე იყო, თავი ზღაპარში მეგონა.

სალამოს კი ყველანი ერთად პატარა კაფეში წავედით და პრაღის უგემრიელესი ტორტი ვჭამეთ.

ხვალ თბილისში ვბრუნდები. ძალიან მომენატრება პრაღა და ჩემი მეგობრის, მაქს ჩაპეკის უსაყვარლესი ოჯახი.

2. რამდენი დღის ჩანაწერები აქვს ბექას? წაიკითხეთ მოცემული რუბრიკები და დააკავშირეთ კონკრეტულ დღესთან. ჩანწერეთ შესაბამისი რიცხვი და დღე.

- ა) ბექას ოცნება. _____
- ბ) მაქს ჩაპეკი. _____
- გ) დაბინავება. _____
- დ) ჩვეულებრივი დღე. _____
- ე) განსაკუთრებული დღე. _____
- ვ) მაქსის არჩევანი. _____

3. წაიკითხეთ და დააკავშირეთ რუბრიკებთან. ჩანწერეთ შესაბამისი რუბრიკა.

- ა) პირველი დღეა, რაც ბექა პრაღაში ჩაფრინდა. _____
- ბ) როგორც ყოველთვის, მ-ის ნახევარზე ისაუბმეს. _____
- გ) ბექა სიურპრიზს ელოდება. _____
- დ) ბექას უნდა, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს. _____
- ე) მაქსი მხიარული და ცნობისმოყვარეა. _____
- ვ) გრაღის ციხესიმაგრე საუკეთესოა პრაღაში. _____

4. დააკავშირეთ ერთმანეთთან. სად იყო და რა გააკეთა ბექამ?

სად იყო?	რა გააკეთა?
1. კარლოსის ხიდი	ა. ქალაქს ზემოდან გადახედა.
2. გრაღის ციხესიმაგრე	ბ. სურვილი ჩაიფიქრა.
3. პეტრინის კოშკი	გ. ისეირნა.

1. დააკავშირეთ ერთმანეთთან და წაიკითხეთ.

- | | |
|---------------------------|-----------------------------|
| 1. ერთი სული აქვს. | ა. ძალიან კარგად ჩანს. |
| 2. აღტაცებას ვერ მაღავეს. | ბ. ვერ ითმენს, ისე უნდა. |
| 3. ხელისგულივით ჩანს. | გ. აღფრთოვანებულია. |
| 4. თავი ზღაპარში ჰგონია. | დ. უცნაურ სამყაროში მოხვდა. |

1. _____ 2. _____ 3. _____ 4. _____

2. უპასუხეთ შეკითხვებს და დაასაბუთეთ თქვენი პასუხები ტექსტიდან.

1. რატომ არის ბექა კარგ ხასიათზე 6 აპრილს, კვირა დღით? **საიდან ჩანს?** მიუთითეთ შესაბამისი ფრაზა.
2. აინტერესებს თუ არა ბექას სიურპრიზი? **საიდან ჩანს?** მიუთითეთ შესაბამისი ფრაზა.
3. მოეწონა თუ არა ბექას პრალა? **საიდან ჩანს?** ამონერეთ მისი ჩანაწერებიდან ყველა ფრაზა, რომლებიც ამაზე მიუთითებს.

3. ჩანერეთ სათანადო ადგილას.

ღირსშესანიშნავი, ციხესიმაგრე, ცნობისმოყვარე, კრამიტი

- ა) კოშკის სახურავს მონითალო _____ ამშვენებდა.
- ბ) ბიჭებმა ძველი _____ დაათვალიერეს.
- გ) ის განსაკუთრებით _____ იყო და ბევრ შეკითხვას სვამდა.
- დ) ტურისტებმა ქალაქში ბევრი _____ ადგილი ნახეს.

4. გამოიყენეთ მოცემული შეკითხვები და ისაუბრეთ მაქს ჩაპეკისა და ბექას შესახებ.

ვინ არიან? სადაურები არიან და სად ცხოვრობენ? ვინ ჰყავთ ოჯახში? რას საქმიანობენ? როგორები არიან გარეგნობით? ბუნებით? რა აინტერესებთ?

ენის სამყაროში

5. წაიკითხეთ და მიუთითეთ, რა არის ქვემოთ მოცემულ წინადადებებში გამოხატული.

- ა) აუცილებელი მოქმედება
- ბ) ფაქტი
- გ) რჩევა
- დ) სურვილი

- ა) გირჩევ, რომ გრადის ციხესიმაგრე ნახო!
- ბ) მე მაქს ჩაპეკის ოჯახში ვცხოვრობ.
- გ) ძალიან მინდა, რომ მაქსი თბილისში ჩამოვიდეს.
- დ) ხვალ თბილისში ვბრუნდებით.
- ე) დღეს ციხესიმაგრეზე უნდა ავიდეთ.
- ვ) ჯერ მეტროთი წავალთ, შემდეგ ავტობუსით ვიმგზავრებთ.
- ზ) დღეს მაქსი საქართველოში უნდა დავპატიჟო.
- თ) გირჩევ, ჯერ ციხესიმაგრეზე ავიდეთ!

6. შეცვალეთ წინადადებები მოცემული პირობების მიხედვით და წაიკითხეთ.

1. ხვალ თბილისში ვბრუნდებით.

- ა) გამოხატეთ აუცილებელი მოქმედება!
- ბ) გამოხატეთ სურვილი!
- გ) გამოხატეთ რჩევა!

2. დღეს ციხესიმაგრეზე უნდა ავიდეთ.

- ა) გამოხატეთ სურვილი!
- ბ) გამოხატეთ რჩევა!
- გ) გამოხატეთ ფაქტი!

1. ამონერეთ დღიურიდან ხაზგასმული ზმნები და შეავსეთ ცხრილი რვეულში. მასწავლებლის დახმარებით დააზუსტეთ თქვენთვის უცნობი ზმნების მნიშვნელობები.

ახლანდელი	წარსული დრო		მომავალი დრო	
ანმყო რას ვაკეთებ?	უწყვეტელი რას ვაკეთებდი?	წყვეტილი რა გავაკეთე?	მყოფადი რას გავაკეთებ?	II კავშირებითი რა (უნდა) გავაკეთო?
	წვიმდა	ჩამოვფრინდით		

2. დაუბრუნდით ცხრილს და შეუწყვეთ პირები ზმნებს.

3. ბექამ ეს ჩანაწერი 11 აპრილს, პარასკევს, ღამის 10 საათზე გააკეთა. დაასახელეთ, რომელ დროში წერს და რომელი მწკრივის ფორმებს იყენებს ბექა.

სკოლის შემდეგ კარლოსის ხიდზე გავისეირნეთ. ხიდზე გადასვლისას სურვილი ჩავიფიქრე. დღეს რამდენჯერმე შეიცვალა ამინდი. დილით წვიმდა. შუადღისას წვიმამ გადაიღო და მზე გამოვიდა.

4. შეცვალეთ წინა დავალების ტექსტი მოცემული პირობების მიხედვით.

ა) წარმოიდგინეთ, რომ 10 აპრილია. რას დანერს ბექა? რა მოხდება ხვალ?

სკოლის შემდეგ _____

ბ) დანერეთ მხოლოდ ტექსტის პირველი აბზაცი. პირველ წინადადებაში გამოხატეთ აუცილებელი მოქმედება, მეორე წინადადებაში კი - სურვილი.

სკოლის შემდეგ _____

პროექტი

5. აირჩიეთ ერთ-ერთი უცხო ქალაქი და შეასრულეთ დავალება: წარმოიდგინეთ, რომ ამ ქალაქში 4 დღით იმყოფებით გაცვლითი პროგრამით. მოამზადეთ მასალა პრეზენტაციისათვის:

I. მოიძიეთ ინფორმაცია თქვენ მიერ არჩეული ქალაქის შესახებ - ნახეთ წიგნებში, ჰკითხეთ მასწავლებელს, მოძებნეთ ინტერნეტში.

1. რომელი ქვეყნის დედაქალაქია (/ქალაქია), სად მდებარეობს?
2. ქალაქის ღირსშესანიშნაობები, სამზარეულო და სხვა.
3. მოიძიეთ შესაბამისი ფოტოილუსტრაცია.

II. გამოიყენეთ მოძიებული მასალა და დაწერეთ დღიური:

პირველი დღე

დღის 4 საათი:

1. რით იმგზავრე და როგორ?
2. სად დაბინავდი და ვისთან?
3. ისაუბრე მათ შესახებ: ვინ არიან, რა ჰქვიათ, რას საქმიანობენ და ა.შ.
4. გადმოეცი შენი ემოციები.

მეორე დღე

დღის 9 საათი:

1. სად ხარ და რას აკეთებ?
2. რას აპირებ ამ დღეს?

სალამოს 8 საათი:

1. ახლა სად ხარ და რას აკეთებ?
2. სად იყავი, რა ნახე და რა გააკეთე?
3. როგორი ამინდი იყო დღის განმავლობაში და როგორია ახლა?

მესამე დღე

შუადღის 3 საათი:

1. რა მოხდა დღით - სად იყავი, რა გააკეთე, რა ნახე, ვისთან ერთად იყავი?
2. რის გაკეთებას აპირებ დღის მეორე ნახევარში და ვისთან ერთად?
3. გადმოეცი შენი ემოციები.

მეოთხე დღე:

ღამის 10 საათი:

1. რა მოხდა დღის განმავლობაში?
2. გადმოეცი შენი შთაბეჭდილებები.
3. როდის ბრუნდები და რით?

გაითვალისწინეთ!

1. დღის რომელ მონაკვეთში და რომელ საათზე წერ.
2. შესაბამისად, სწორად შეარჩიე ზმნის დრო და მწკრივის ფორმა.
3. შეასრულე ყველა მოცემული პირობა.

III. გააფორმეთ თითოეული დღე მოძიებული ფოტოილუსტრაციით.


IV. მოემზადეთ და წარადგინეთ თქვენი პრეზენტაციები.

რობინზონ კრუზოს ისტორია

1. გაეცანით მოცემულ სიტყვებს და დააზუსტეთ თქვენთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობები მასწავლებლის დახმარებით.

აბობოქრებული ზღვა უკაცრიელი კუნძული მეზღვაური მეკობრე
 მოგზაურობა საშინელი გრიგალი გემი ხმელეთი წყალი სასმელი წვიმა
 საჭმელი იარაღი იღბალი ქარი მარტოობა იმედი სიმამაცე შიში
 ქარიშხალი საშიში უიმედობა შტორმი ტივი ნაჯახი ფული

2. დაუბრუნდით პირველ დავალებას. ამონერეთ ის ექვსი სიტყვა, რომლებიც ყველაზე მეტად გახსენებთ რობინზონ კრუზოს. დავალების დასრულების შემდეგ შეადარეთ ერთმანეთის ნამუშევრები.



3. რა იცით რობინზონ კრუზოს შესახებ? წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და მონიშნეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები.

რობინზონ კრუზო იყო:

- ა) მოგზაური
- ბ) მეზღვაური
- გ) მეკობრე

რა შეემთხვა მას?

- ა) მოხვდა უკაცრიელ კუნძულზე.
- ბ) რამდენიმე წელი ცხოვრობდა აფრიკის უდაბნოში.
- გ) დაიხრჩო ზღვაში.

„რობინზონ კრუზოს“ ავტორი არის:

- ა) ჟიულ ვერნი
- ბ) დანიელ დეფო
- გ) არ ჰყავს ავტორი

რობინზონ კრუზოს ამბავი არის:

- ა) მწერლის მიერ გამოგონილი
- ბ) რეალური ისტორია
- გ) ლეგენდა

4. წაიკითხეთ ინფორმაცია დანართში (გვ. 240) და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

5. გადაახარისხეთ პირველ დავალებაში მოცემული სიტყვები მითითებების მიხედვით.

ა) ნივთები / საგნები: _____

ბ) თვისებები / მდგომარეობა: _____

გ) გარემო: _____

დ) ბუნების მოვლენები: _____

6. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

ანტონიმები

სინონიმები

დასახლებული	საშიში
დანყნარებული	იმედიანი
უსაფრთხო	ლაჩარი
მამაცი	აბობოქრებული
სასონარკვეთილი	უკაცრიელი

გრიგალი	მინა
თავსხმა	განგება
ხმელეთი	ქარიშხალი
ბედისწერა	რწმენა
იმედი	თქეში

7. მოძებნეთ წინა დავალებიდან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვა და მიუწერეთ.

- ა) იმედდაკარგული - _____
- ბ) მშიშარა - _____
- გ) მშვიდი - _____
- დ) აღელვებული - _____
- ე) სახიფათო - _____

8. გამოიყენეთ წინა დავალებები და დაახასიათეთ, როგორი შეიძლება იყოს:

- ა) ბუნება? ბ) კუნძული გ) ზღვა დ) ადამიანი ე) მხეცი

9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

- ა) დიდი, კოკისპირული წვიმა (1. თავსხმა 2. ყინყლი)
- ბ) ძლიერი ქარიშხალი ზღვაზე (1. თავსხმა 2. შტორმი)
- გ) კარგი ბედი, კარგი ხვედრი (1. ბედნიერება 2. იღბალი)

1. როგორია რობინზონ კრუზოს კუნძული? გამოიყენეთ მოცემული ფოტოებიც და ისაუბრეთ მის შესახებ.

თქვენი აზრით,

- ა) სად მდებარეობს - რომელ ოკეანეში? რომელ კონტინენტთან? და ა.შ.
- ბ) ცხოვრობს თუ არა დღეს იქ ვინმე?
- გ) როგორია სიდიდით?
- დ) როგორი რელიეფი აქვს? - მთაგორიანი, კლდოვანი, სწორი...
- ე) როგორი ბუნებაა კუნძულზე? - მრავალფეროვანი, ერთფეროვანი, ხრიოკი...
ტყით დაფარული, მთის მდინარეებითა და ჩანჩქერებით მდიდარი და ა.შ.
- ვ) როგორია ზღვა? - ყოველთვის / იშვიათად ... წყნარი, კამკამა, ბობოქარი...
- ზ) როგორი კლიმატია კუნძულზე? - ტროპიკული, სუბტროპიკული, ზომიერი, მშრალი, ნოტიო ჰავა, მუდმივად ნისლში გახვეული, ცივი, ცხელი, თბილი, ცვალებადი, ქარიანი, უქარო...



2. წაიკითხეთ ტექსტი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

კუნძული მას-ა-ტერა, რომელსაც მე-20 საუკუნის 70-იანი წლებში ოფიციალურად ეწოდა რობინზონ კრუზოს სახელი, წყნარ ოკეანეში, ჩილეს ნაპირებიდან, დაახლოებით, 670 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ის შედის ხუან ფერნანდესის არქიპელაგში, სადაც სულ 3 ასეთი ვულკანური კუნძულია, ესენი: მას-ა-ტერა (ესპანურად ითარგმნება, როგორც „ნაპირთან ახლოს“, 1966 წელს მას რობინზონ

კრუზო უწოდეს), მას-ა-ფუერა („ნაპირიდან შორს“, დღეს ის ალექსანდრო სელკირკის სახელს ატარებს) და სანტა კლარა.

კუნძულ რობინზონ კრუზოს სიგრძე 23 კმ-ია, სიგანე კი – 8 კმ. რელიეფი მთაგორიანია. მისი უმაღლესი მწვერვალის, მთა იუნკეს სიმაღლე ზღვის დონიდან 1000 მ-ია. კუნძულის დაბლობ ადგილებში გვიმრები და პალმის ჭალები გვხვდება, ხოლო მთის ფერდობები ტყეებითაა დაფარული. კუნძული მუდმივად ნისლშია გახვეული.


აქ შეხვდებით კუს, ზღვის ლომებს, სელაპებსა და სხვა თევზებს. კუნძულის ბინადარია აგრეთვე თხა, რომელიც აქ 1563 წელს ჩამოიყვანა ხუან ფერნანდესმა.

კუნძულზე ერთადერთი დასახლებული პუნქტია - სან-ხუან-ბატისტა, რომლის მოსახლეობა სულ რაღაც 900 კაცს შეადგენს. ტურისტებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს „სელკირკი-რობინზონის გამოქვაბული“.



3. მოძებნეთ რუკაზე ხუან ფერნანდესის არქიპელაგი და მიუთითეთ, რომელია რობინზონ კრუზოს კუნძული.

4. გადაიტანეთ სქემა რვეულში და შეავსეთ საჭირო ინფორმაციით.



5. გამოიყენეთ სქემა და ისაუბრეთ მის შესახებ.

1. გაეცანით რობინზონ კრუზოს შესახებ ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.



რობინზონ კრუზო
კუნძული „რობინზონ კრუზო“ (ჩილე)

დაბადების თარიღი: 1632 წელი

დაბადების ადგილი: ქალაქი იორკი (ინგლისი)

ოჯახი: მამა - გვარად კრეიცნერი, ყოფილი ვაჭარი ბრემენიდან (გერმანია); დედა - გვარად რობინზონი, იორკელი

გატაცება: ზღვაზე მოგზაურობა

ხასიათი: ჯიუტი, მიზანმიმართული...

საქმიანობა: ვაჭარი და მეზღვაური

მოგზაურობები: I. 1651 წ. 1-ლი სექტემბერი, ლონდონისკენ, გემი შტორმში მოხვდა და ჩაიძირა; II. გვინეისაკენ, გახდა გვინეელი ვაჭარი და მეზღვაური; III. გვინეისაკენ, მეკობრეებმა ტყვედ აიყვანეს; IV. გაიქცა ტყვეობიდან, პორტუგალიელი კაპიტნის დახმარებით ბრაზილიაში ჩააღწია და თამბაქოს პლანტაცია გააშენა; V. გვინეისაკენ, გემი კვლავ შტორმში მოხვდა. დაიღუპა მთელი ეკიპაჟი, კრუზო კი უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდა, სადაც 28 წელი გაატარა.

- ა) სად და როდის დაიბადა რობინზონ კრუზო?
- ბ) სადაურები იყვნენ მისი მშობლები?
- გ) რა გვარი იყო რობინზონ კრუზო სინამდვილეში?
- დ) რა იყო მისი ოცნება და აისრულა თუ არა?
- ე) რით გამოირჩეოდა რობინზონ კრუზო?

2. შეაესეთ ცხრილი და შეაფასეთ, როგორი იყო ეს მოგზაურობა - იღბლიანი თუ უიღბლო?

№	მიმართულება	შედეგი (რა მოხდა?)	შეფასება
1.			
2.			
3.			
4.			
5.			

3. როგორ ფიქრობთ, რამდენად ზუსტად ასახა დანიელ დეფომ ალექსანდრო სელკირკის ისტორია რობინზონ კრუზოს თავგადასავალში?

4. წაიკითხეთ და შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები.

- ა) სელკირკი ალექსანდროს ნამდვილი გვარი არ იყო.
- ბ) რობინზონ კრუზოს მსგავსად, წარმოშობით შოტლანდიელი ალექსანდროც ინგლისში ცხოვრობდა.
- გ) ორივე მეზღვაური იყო და პარალელურად ვაჭრობასაც მისდევდა.
- დ) კრუზო მეზღვაური და ვაჭარი იყო, სელკირკი კი - მეკობრე.
- ე) ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ალექსანდროც აიყვანეს ტყვედ მეკობრეებმა და გაქცევის დროს მასაც სხვა მეზღვაურები დაეხმარნენ.
- ვ) ორივემ 28 წელი გაატარა უკაცრიელ კუნძულზე.
- ზ) ალექსანდრო სელკირკიც ერთადერთი იყო, ვინც შტორმის შემდეგ გადარჩა და უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა.
- თ) გემის კაპიტანმა დასჯის მიზნით დატოვა ის უკაცრიელ კუნძულზე.

5. გაეცანით ალექსანდრო სელკირკის შესახებ ინფორმაციას და შეადარეთ თქვენს ვერსიებს. დაასახელეთ, რომელი იყო მცდარი ინფორმაცია და რომელი - არა.

დაიბადა 1676 წელს, შოტლანდიის ქალაქ ლარგოში. მამამისი მენალე იყო. ალექსანდრო კარგი ხასიათით არასოდეს გამოირჩეოდა. 19 წლის იყო, როცა მშობლებთან გაუთავებელი კონფლიქტის გამო, გვარი გამოიცვალა და სელკირკის გვარით სახლიდან წავიდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ის მეზღვაურად მუშაობდა ინგლისისსამხედრო ფლოტის გემებზე.

1703 წლიდან ის გემ „სენკ პორზე“ კაპიტნის თანაშემწედ მოეწყო და ოქროთი და სხვა ძვირფასეულობით დატვირთული ესპანური გემების ძარცვა დაიწყო.

1704 წლის მაისში გემი მას-ა-ტერას შორიანლოს შტორმში მოხვდა და დაზიანდა. სელკირკის სურვილი იყო, კუნძულზე დარჩენილიყვნენ იმ იმედით, რომ რომელიმე გემი გამოივლიდა და აიყვანდა მათ ბორტზე, მაგრამ არავინ დაუჯერა. ამის გამო კაპიტანთან კონფლიქტიც მოუვიდა.

თომას სტრედლინგის ბრძანებით, სელკირკი უკაცრიელ კუნძულზე გადასვეს და მხოლოდ აუცილებელი ნივთები დაუტოვეს: იარაღი და ტყვიები, დანა, ცული, სათვალთვალო მილი, ცოტაოდენი თამბაქო და საბანი.

1709 წელს ბრიტანულმა ხომალდმა Duke-მ კუნძულზე შემთხვევით აღმოაჩინა ნახევრად გაველურებული ყოფილი მეზღვაური და სამშობლოში ჩაიყვანა.




ალექსანდრო სელკირკი

ქალაქი ლარგო
(შოტლანდია)

1. შეადარეთ რობინზონ კრუზო და ალექსანდრო სელკირკი ერთმანეთს და ისაუბრეთ მათ შესახებ.

2. წაიკითხეთ ნანყვეტი დანიელ დეფოს რომანიდან - „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ და დააკავშირეთ შესაბამის სურათებთან.

ბრაზილიიდან გეზი ჩრდილოეთისკენ აიღეს. დაახლოებით, თორმეტდღიანი მოგზაურობის შემდეგ ეკვატორი გადალახეს. მოყვნენ საშინელ გრიგალში, რომელიც მთელი 12 დღე მძვინვარებდა. გემში წყალი ჟონავდა და სამოგზაუროდ აღარ ვარგოდა. გემის შეკეთების მიზნით, გეზი შეცვალეს და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ინგლისის რომელიმე კუნძულისაკენ გასწიეს.



შტორმი თანდათან უფრო გაძლიერდა. საშინელმა ქარიშხალმა გემი მეჩეჩს მიახეთქა. შუაზე გაბზარულ გემში მთელი ძალით შემოვარდა წყალი. გემმა ჩაძირვა დაიწყო. აბობოქრებულ ზღვაში მეზღვაურები ერთი ნავის ამარა დარჩნენ, მაგრამ მთასავით მაღალმა ტალღამ ისიც გადააბრუნა და ყველანი ღია ზღვაში აღმოჩნდნენ. დიდი წვალეების შემდეგ მხოლოდ რობინზონ კრუზომ მოახერხა ხმელეთზე გამოსვლა.



მოსალამოვდა. ერთადერთი, რაც რობინზონ კრუზოს თან ჰქონდა, ჯიბის დანა იყო. პირველ რიგში, სასმელი წყალი მოძებნა, შემდეგ თავის დასაცავად კომბლის მსგავსი პატარა ჯოხი გამოჭრა, იქვე მახლობლად ერთ ხეზე ავიდა და ძალაგამოლეულს მაშინვე ჩაეძინა.

მეორე დღეს რობინზონ კრუზომ ნახევრად ჩაძირული გემიდან ნივთების გადმოტანა დაიწყო. იგი ცამეტი დღის განმავლობაში თერთმეტჯერ გადავიდა ნაპირიდან გემზე.

3. დაუბრუნდით ტექსტს და დააზუსტეთ თქვენთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობები. შეასრულეთ მასწავლებლის მითითებები რვეულში.

4. სურათზე გამოსახული ნივთების გარდა კიდევ რა გადმოიტანა გემიდან რობინზონ კრუზომ?



5. ნაიკითხეთ და შეადარეთ თქვენს ვერსიას.

ერთი სკივრი საკვებით გავავსე - პური, ბრინჯი, სამი ჰოლანდიური ყველი, თხის ხორცი და ცოტაოდენი მარცვალი, მეორეში კი ტანსაცმელი და იარაღები ჩავაწყე. ეს ყველაფერი ტივზე დავალაგე და ნაპირზე გადავიტანე.

მეორე დღეს ისევ გავცურე გემზე და ახლა სხვა ნივთები წამოვიღე - ნაჯახი, ლურსმნები, გემის იალქანი, ჰამაკი, ლოგინის მოწყობილობა და სხვა. ნელ-ნელა გადმომქონდა ნაპირზე სხვადასხვა აუცილებელი ნივთი - თოკები, პურით სავსე კასრი, შაქარი და ფქვილი. გემიდან გადმოზიდულ ნივთებში იყო აგრეთვე ფული, კალამი, მელანი და ქალაღი, დიდი მაკრატელი, დანა-ჩანგალი და სამართებელი, სამი-ოთხი კომპასი, მზის საათები, რუკები და წიგნები.

6. გადაახარისხეთ ტექსტში მოცემული ნივთები ცხრილში.

ყველაზე აუცილებელი	ნაკლებად აუცილებელი	გამოუსადეგარი

1. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვარიანტები და დაასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილება.

2. ამის შემდეგ რა გააკეთა რობინზონ კრუზომ? მონიშნეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები და დანომრეთ თანმიმდევრულად: რა გააკეთა ჯერ და რა - შემდეგ.

- ა) დაათვალიერა იქაურობა. _____
- ბ) დაბრუნდა სანაპიროზე. _____
- გ) დაიწყო ფიქრი საჭმელზე. _____
- დ) აიღო თოფი და დამბაჩა. _____
- ე) აღმოაჩინა გარეული თხები. _____
- ვ) ავიდა მაღალი მთის წვერზე. _____



3. წაიკითხეთ და შეამოწმეთ. შეადარეთ ტექსტში მოცემული ინფორმაცია რობინზონ კრუზოს კუნძულის ფოტოსთან.

ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი იყო, კარგად დამეთვალიერებინა იქაურობა. ხელი დავავლე თოფსა და დამბაჩას და მთის მწვერვალისაკენ გავემართე. აღმოვაჩინე, რომ კუნძულზე ვიყავი. მინის ნასახიც არსად ჩანდა, გარდა აჩონჩხილი კლდეებისა და ორი მომცრო კუნძულისა. კუნძული მწირი და დაუმუშავებელი იყო. კაცის ქაჭანება არ იყო. არც მხეცები ჩანდნენ, ფრინველები კი აურაცხელი იყო.

ამის შემდეგ იმაზე დავიწყე ფიქრი, სად და როგორ გამეთია ღამე. იმასაც ვფიქრობდი, საჭმელი როგორ მომეპოვებინა. ძალიან მალე გარეული თხები აღმოვაჩინე და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

4. მოძებნეთ ტექსტში მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვა და მიუწერეთ.

- ა) საფიქრელი, სადარდებელი - _____
- ბ) თავმოყრილი, გროვა - _____
- გ) უნაყოფო, მოუსავლიანი - _____
- დ) უთვალავი, ძალიან ბევრი - _____

5. შეავსეთ ცხრილი კუნძულის შესახებ.

	ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით	დანიელ დეფოს რომანის მიხედვით
გარემო		
კუნძულის ბინადარნი		

6. რას ნიშნავს ტექსტში ხაზგასმული სიტყვები? ყურადღება მიაქციეთ კონტექსტს და ისე შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

კაცის ქაჭანება არ იყო, ანუ:

- ა) არცერთი სულიერი არ არსებობდა.
- ბ) არცერთი ადამიანი არ არსებობდა.
- გ) ადამიანების ხმა არ ისმოდა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ანუ:

- ა) სიხარულისგან ხმას ვერ ვიღებდი.
- ბ) სიხარულს ვერ გამოვხატავდი.
- გ) მეტისმეტად გახარებული ვიყავი.

7. დააკვირდით სურათს და აღწერეთ: როგორი სახლია? სად დგას? რა არის სახლის წინ, უკან, გვერდით? და ა.შ.



8. თქვენი აზრით, რა პრინციპით შეარჩია კრუზომ საცხოვრებლად ეს ადგილი? მონიშნეთ თქვენთვის მისაღები ყველა ვარიანტი.

- ა) ახლოს უნდა იყოს სასმელ წყალთან.
- ბ) უნდა იყოს უსაფრთხო.
- გ) არ უნდა იყოს მცხუნვარე მზის ქვეშ.
- დ) იქიდან კარგად უნდა ჩანდეს ზღვა.
- ე) უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უვნებელი.
- ვ) ახლოს უნდა იყოს ზღვის ნაპირთან.
- ზ) უნდა იყოს მთის წვერზე.

1. წაიკითხეთ მორიგი ეპიზოდი დანართში (გვ. 240) და შეამოწმეთ.

2. გაეცანით რობინზონ კრუზოს ჩანაწერებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) რას აკეთებდა რობინზონ კრუზო 10-დან 24 სექტემბრამდე?
- ბ) როდის წვიმდა თითქმის განუწყვეტლივ?
- გ) სად და როდის ნახა რობინზონ კრუზომ კარგი საცხოვრებელი ადგილი?
- დ) რა მოხდა 4 მაისს?
- ე) რას აკეთებდა ის ჩვიდმეტ ივნისს მთელი დღის განმავლობაში?
- ვ) რას ჭამდა ჩვიდმეტ ივნისამდე რობინზონ კრუზო?
- ზ) როდიდან როდემდე მოგზაურობდა კუნძულზე კრუზო?
- თ) რით იკვებებოდა ის კუნძულზე?

30 სექტემბერი, 1659 წელი:

მე, რობინზონ კრუზო, გამოვირიყე კუნძულზე... არც საჭმელი მქონდა, არც სასმელი, არც იარაღი და არც ტანსაცმელი...

სალამო ხანს ხეზე ავედი და იქ დავიძინე, რადგან ნადირის მეშინოდა. მთელი ღამე წვიმდა, მაგრამ მე მაინც მაგრად მეძინა.

10დან 24 სექტემბრამდე:

ეს დღეები მთლიანად გემიდან ნივთების გადმოზიდვას მოვანდომე. მივცურდებოდი გემთან და იქიდან ტივით გადმომქონდა ყველაფერი. ამ ხნის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ წვიმდა.

26 ოქტომბერი:

თითქმის მთელი დღე ნაპირის გასწვრივ დავდიოდი და საცხოვრებლად მოსახერხებელ ადგილს ვარჩევდი. სალამო ხანს მივაგენი მოხერხებულ ადგილს გორაკის ძირში და კარავი დავდგი.

4 მაისი:

ანკესი გავაკეთე - თოკის ნაგლეჯი მოვაბი მავთულს და სათევზაოდ წავედი, მაგრამ ერთი თევზიც ვერ დავიჭირე.

17 ივნისი:

ზღვის ნაპირას დიდი კუ ვნახე. მთელი დღე კუს შეწვა-მომზადებას მოვუწიდი. 60 კვერცხი ჰქონდა. ძალიან მომეწონა. რაც აქ ვარ, მარტო ფრინველისა და თხის ხორცს ვჭამ.

19 ივლისი:

15 ივლისს გადავწყვიტე კუნძულის დათვალიერება. სამი დღის მოგზაურობის შემდეგ მშვენიერი ხილის ბალი ვნახე. დავკრიფე ხილი და სახლში წამოვიღე.

3. დაახასიათეთ რობინზონ კრუზო. რა თვისებებს ამჟღავნებს, როგორია ის?

4. დააკავშირეთ მოცემული რუბრიკები კონკრეტულ თარიღთან. როდის რა მოხდა?

- 1) გადარჩენილი ნივთები _____
- 2) დაბინავება _____
- 3) სამდღიანი მოგზაურობა _____
- 4) უცნაური ღამის გასათევი _____
- 5) უიღბლო თევზაობა _____
- 6) გემრიელი სადილი _____

5. დააკავშირეთ წინადადებები წინა დავალების რუბრიკებთან. ჩანერეთ შესაბამისი ციფრი.

- ა) რობინზონ კრუზომ ღამე ხეზე გაათია. _____
- ბ) მან ნივთები ტივით გადაიტანა ნაპირზე. _____
- გ) მან მოძებნა საცხოვრებელი ადგილი. _____
- დ) რობინზონ კრუზომ ანკესი თვითონ გააკეთა. _____
- ე) მას ძალიან მოეწონა კუს კვერცხები. _____
- ვ) კრუზომ მშვენიერ ბაღს მიაგნო. _____

6. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და გაანალიზეთ ტექსტში მოცემული ხაზგასმული ზმნები.

ანმყო (რას აკეთებს?)	
უნყვეტელი (რას აკეთებდა?)	
წყვეტილი (რა გააკეთა?)	

7. შეუწყვეთ წინა დავალებაში მოცემულ ზმნებს პირები და ისე გადაწერეთ ნიმუშის მიხედვით. იმუშავეთ რვეულში.

ერთპირიანი	ორპირიანი
ავედი მე	

ენის სამყაროში

მიზეზი

რატომ?

იმიტომ, რომ

(გამოხატავს იმას, რაც იყო)

იმიტომ, რომ + აწმყო, უწყვეტელი,
წყვეტილი

- ა) ტირის იმიტომ, რომ სტკივა.
- ბ) ტირის იმიტომ, რომ წაიქცა.

მიზანი

რისთვის?

იმის(ა)თვის, რომ

(გამოხატავს იმას, რაც იქნება)

იმისათვის, რომ + II კავშირებითი

- ა) ტირის იმისათვის, რომ ითამაშოს.
- ბ) წავიდა იმისათვის, რომ ითამაშოს.

1. წაიკითხეთ წინადადებები და უპასუხეთ შეკითხვებს.

(1) ნიკამ არ იცოდა გაკვეთილი **იმიტომ, რომ** წიგნი არ ჰქონდა. (2) ის წავიდა მაღაზიაში **იმისათვის, რომ** წიგნი იყიდოს.

- ა) რომელი წინადადება გამოხატავს **მიზეზს? მიზანს?**
- ბ) **რატომ** წავიდა ნიკა მაღაზიაში? **რისთვის** წავიდა ნიკა მაღაზიაში?

2. დაუბრუნდით რობინზონ კრუზოს ჩანაწერებს და უპასუხეთ შეკითხვებს წერილობით.

- ა) რატომ დაიძინა რობინზონ კრუზომ ხეზე?
-

- ბ) რისთვის გააკეთა კრუზომ ტივი?
-

- გ) როგორ ფიქრობთ, რატომ გადმოვიდა ნივთები?
-

- დ) რისთვის წავიდა სათევზაოდ?
-

- ე) რისთვის დადიოდა მთელი დღე ნაპირის გასწვრივ?
-

- ვ) რისთვის დაკრიფა ხილი?
-

პროექტი

I. ალექსანდრო სელკირკის დღიური

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ალექსანდრო სელკირკი ხართ. გამოიყენეთ მოცემული ინფორმაცია და დაწერეთ რვეულში ერთი კვირის დღიური.

სელკირკმა ხის პატარა ქოხი ააშენა. კუნძულზე მოგზაურობისას მრავალი საკვებად ვარგისი და გემრიელი მცენარე იპოვა. მოგვიანებით თხებიც მოიშინაურა და ზღვის კუეებზე ნადირობა და თევზაობაც ისწავლა. ყოფილი მეზღვაური ცეცხლს ხახუნით აჩენდა, ხოლო ტანსაცმელს თხების ტყავისგან საკუთარი ხელით დამზადებული ლურსმნებით კერავდა. კუნძულზე ცხოვრებისას სხვა სასარგებლო ნივთებთან ერთად სელკირკმა საკუთარი კალენდარიც კი შექმნა.

1. აღწერეთ თქვენი მდგომარეობა;
2. აღწერეთ კუნძული, სადაც მოხვდით;
3. ისაუბრეთ ამინდის შესახებ;
4. გადმოეცით თქვენი ემოციები;
5. სწორად შეარჩიეთ ზმნის დრო და მწკრივის ფორმა.

II. უკაცრიელ კუნძულზე

დაიყავით ჯგუფებად. წარმოიდგინეთ, რომ მოხვდით უკაცრიელ კუნძულზე და არ იცით, რამდენ ხანს მოგიწევთ იქ ყოფნა. გაეცანით ქვემოთ მოცემულ პირობებს და შეასრულეთ დავალებები.

ა) პირველ რიგში, განსაზღვრეთ აუცილებელი ნივთები, რომლებიც დაგჭირდებათ ასეთ დროს.

3. მონიშნეთ, რას წაიღებთ აქედან უკაცრიელ კუნძულზე.



4. სურვილისამებრ, შეგიძლიათ, დაამატოთ სხვა ნივთებიც.

1. დააკავშირეთ ერთმანეთთან. რომელი საგნით რისი გაკეთება შეიძლება?

თოკით	თავის დაცვა
ნაჯახით	საჭმლის ყიდვა
თოფით	გზის გაკვლევა
ასანთით	მორების შეკვრა
კომპასით	ხის მოჭრა
ფულით	ცეცხლის ანთება

2. შეადგინეთ წინადადებები და წაიკითხეთ. რას გააკეთებთ ამ საგნების დახმარებით?

ხის მოჭრა. სახლის აშენება. საჭმლის მომზადება. გზის მოძებნა.
მხეცებისაგან თავის დაცვა. ცეცხლის დანთება. ნავის/ტივის გაკეთება

ნიმუში: თოკით შევკრავ მორებს.

- ა) ნაჯახით _____
- ბ) თოფით _____
- გ) ასანთით _____
- დ) კომპასით _____
- ე) ქვაბით _____

3. ფრჩხილებში მოცემული ზმნის საწყისი ფორმები ჩასვით II კავშირებითში და წაიკითხეთ.

ნიმუში: საცხოვრებელი ადგილი უნდა მოძებნოს (მოძებნა)

- ა) ცეცხლი უნდა _____ (დანთება)
- ბ) ქოხი უნდა _____ (აშენება)
- გ) ნავი უნდა _____ (გაკეთება)
- დ) სასმელი წყალი უნდა _____ (მოძებნა)
- ე) ხე უნდა _____ (მოჭრა)
- ვ) კარტოფილი უნდა _____ (შენვა)

ბ) პირველ რიგში, რას გააკეთებთ კუნძულზე მოხვედრისას?

4. გამოიყენეთ წინა დავალება და დაწერეთ, რას გააკეთებთ უკაცრიელ კუნძულზე პირველად, შემდეგ და ბოლოს. ახსენით თქვენი გადანწყვეტილება.

ნიმუში: პირველად საცხოვრებელ ადგილს მოვძებნით იმიტომ, რომ ...

გამოიყენეთ!

ეს ყველაზე აუცილებელია / მნიშვნელოვანია
ეს ნაკლებად აუცილებელია / მნიშვნელოვანია

პირველად _____

შემდეგ _____

ბოლოს _____

გ) სად მონაცემთ საცხოვრებელს და რატომ? თქვენი გადანწყვეტილების დასასაბუთებლად შეგიძლიათ, დაასახელოთ რამდენიმე მიზეზი.

5. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას, შეარჩიეთ თქვენთვის საუკეთესო ვარიანტები და შეადგინეთ წინადადებები.

სად?

ტყის პირას / ტყეში / მთაზე /
კლდესთან ახლოს / ზღვის ნაპირზე...

რატომ?

ზღვასთან ახლოს ვიქნები
გემს კარგად დავინახავ
იქ ბევრი საჭმელია...

ნიმუში: ვიცხოვრებთ ... იმიტომ, რომ ...

დ) რას შეჭამთ და როგორ მოიპოვებთ საკვებს?

რას?

ხილს / თევზს /
ცხოველს ...

რას გააკეთებთ?

მოვკრეფთ / ავანთებთ / შევწვავთ
/ მოვხარშავთ / მოვამზადებთ /
მოვინადირებთ / დავიჭერთ ...

ე) ფუნქციების განაწილება კუნძულზე

1. გაინაწილეთ ჯგუფის წევრებმა ფუნქციები - ვინ რას გააკეთებს კუნძულზე, გამოიყენეთ თქვენ მიერ ჩანიშნული ყველა ინფორმაცია და დაწერეთ ტექსტი რვეულში.

უკაცრიელ კუნძულზე აუცილებლად წავიღებთ _____

2. მიუბრუნდით შესრულებულ დავალებებს და მათზე დაყრდნობით დაწერეთ დღიური (იმუშავეთ ცალ-ცალკე).

1. აღწერეთ თქვენი მდგომარეობა;
2. აღწერეთ კუნძული, სადაც მოხვდით;
3. დაწერეთ, რა გააკეთეთ კონკრეტულ დღეს, რას აკეთებთ ან რა უნდა გააკეთოთ;
4. ახსენით, რატომ ან რისთვის მიიღეთ ესა თუ ის გადაწყვეტილება;
5. ისაუბრეთ ამინდის შესახებ;
6. გადმოეცით თქვენი ემოციები;
7. სწორად შეარჩიეთ ზმნის დრო და მწკრივის ფორმა.

ჩანაწერები უკაცრიელი კუნძულიდან

თარიღი _____

საღამოს:

თარიღი _____

დილით:

თარიღი _____

შუადღისას:

ფანტაზია და მარჯვე ხელები



ფანტაზიორები და რალისტები

„გოგონა, ღამე რომ შეუყვარდა“

მარჯვე ხელები

ჰერბარიუმი და ექსპერიმენტები



კულინარიული ფანტაზიები

პროექტები:

აპლიკაციები, ექსპერიმენტები



ძირითადი ენობრივი და კომუნიკაციური მიზნები

- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;
- მსაზღვრელის ფუნქციური გამოყენება;
- შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულება - ნართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი, გაგება/გააზრება და მისი ფუნქციური გამოყენება;
- მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციის გაგება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და მათი გაგება-გააზრება;
- შემოქმედებითი წერა - მოცემული პირობის მიხედვით ტექსტის შექმნა;
- კულინარიული რეცეპტის გაგება და შექმნა.

ფანტაზიორები და რეალისტები

1. რა არის ფანტაზია და აქვს თუ არა ადამიანის ფანტაზიას საზღვარი? მონიშნეთ ყველა სწორი ვარიანტი.

ფანტაზია არის:

- ა) ის, რაზეც ოცნებობს ადამიანი;
- ბ) ადამიანის წარმოსახვა, რომელიც არ ასახავს რეალურად არსებულს;
- გ) მოგონილი, შეთხზული, დაუჯერებელი რამ;
- დ) ლიტერატურული ჟანრი, სადაც დაუჯერებელი ამბებია გადმოცემული.

2. დააკვირდით ფოტოებს და დაასახელეთ, რა არის.



3. თქვენ თუ გიძებნიათ ღრუბლებში ან ხეებში სხვადასხვა გამოსახულება?

4. წაიკითხეთ ფრაზები და დააკავშირეთ ფოტოებთან.

- ა) - უჰ, როგორ დავიღალე!
- ბ) - კიდევ ცოტაც და ნაპირსაც მივალწევ!
- გ) - როგორც იქნა, დავეშვით!
- დ) - მოვა, აუცილებლად მოვა!

5. მოიფიქრეთ მსგავსი ფრაზები ფოტოების მიხედვით და გააცანით ერთმანეთს.

6. დაუბრუნდით ფოტოებს და დაასათაურეთ.

7. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) გინახავთ, როგორ ვარდება ვარსკვლავი? სად და როდის ნახეთ? მართლა ვარდება ის ციდან?
- ბ) ამბობენ, როცა ვარსკვლავი ვარდება, სურვილი უნდა ჩაიფიქრო და აუცილებლად აგისრულდებოდეს.
- გ) გჯერათ, რომ ვარსკვლავებს მართლა შეუძლიათ სურვილების ასრულება?
- დ) თქვენ თუ ჩაგიფიქრებიათ სურვილი ამ დროს? აგისრულდათ თუ არა?



8. წაიკითხეთ სათაური და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) როგორ ფიქრობთ, რატომ და რით შეუყვარდებოდა გოგონას ლამე?
- ბ) თქვენ თუ გიყვართ ლამე და რატომ?
- გ) თქვენი აზრით, როგორ ადამიანებს უყვართ ლამე? ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.

9. დაუბრუნდით მოთხრობის სათაურს და გააცოცხლეთ გოგონა თქვენს წარმოსახვაში. აღწერეთ გარეგნულად და დაახასიათეთ, როგორია.

10. წაიკითხეთ I მონაკვეთი და შეადარეთ თქვენს ვერსიას. რა დაემთხვა და რა - არა?

გოგონა, ლამე რომ შეუყვარდა
(რევაზ ინანიშვილის მიხედვით)

I. ისიც თითქმის ჩვეულებრივი პატარა გოგონა იყო, გამხდარი და აქეთ-იქით გაპრეხილწაწაწებებიანი. მხოლოდ ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ ჰქონდა გახეილი, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ და ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა, ვიდრე ჩვენ.

აი, მაგალითად, როდესაც ჩვენ ბაღში მივდივართ და ხეს შევხედავთ, დავინახავთ, რომ ხე ან უძრავად დგას, ან არადა მის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიალებს; ან ჰყვავის, ან ის-ისაა, კოკრები გამოაქვს. ის გოგონა კი ხედავდა, რომ ხის ფოთლებს ნიავი კი არ აშრიალებს, ყუნწებში უღიტინებს და ფოთლები ხტიან, ხითხითებენ, ლამის გული წაუვიდეთ ხითხითისაგან; ის ხედავდა, რომ ხე უბრალოდ კი არ ჰყვავის, ყოველი კვირტი თოთო ბავშვივით იღვიძებს, თვალებს იფშენებს, იზმორება და - ტკაც! - ლიმილით უბრწყინდება სახე.

11. შეავსეთ ცხრილი ტექსტის მიხედვით.

რას ვხედავთ ჩვენ?	რას ხედავს გოგონა?
ნიავი აშრიალებს მწვანე ფოთლებს.	
ხე ყვავილობს, კვირტები გამოაქვს.	

1. შეავსეთ სქემა I მონაკვეთის მიხედვით.

როგორია გოგონას:

გარეგნობა?

შინაგანი სამყარო? - განსხვავებული /
სხვებისგან გამორჩეული

რაში ჩანს?

კონკრეტული მაგალითები:

2. წაიკითხეთ II მონაკვეთი და უპასუხეთ შეკითხვებს.

II. ერთ ზაფხულს გოგონა დედამ და მამამ აგარაკზე წაიყვანეს. აგარაკი ტყეში იყო. პატარა ლამაზი ხის სახლი ვეება შავი ნაძვების ქვეშ იდგა. გოგონა იდგა აივანზე და ცაში იყურებოდა. ცაზე მილიონი დიდი ჩახჩახა ვარსკვლავი ენთო და კრუტუნებდნენ: - კრუ, კრუ, კრუ!.. რა თქმა უნდა, ეს ვარსკვლავები კი არა, ჭრიჭინები, კალიები და სხვა რაღაც ასეთი მწერები კრუტუნებდნენ, მაგრამ გოგონას ასე ეჩვენებოდა!..

ისედაც ფართოდ გახელილი თვალები გოგონას უფრო ფართოდ ჰქონდა გახელილი და თანაც უბრწყინავდა. შესცქეროდა დიდ, ჩახჩახა ვარსკვლავებს და ეჩვენებოდა, რომ ვარსკვლავები კრუტუნებენ, ფისუნებივით ჟუტავენ თვალებს და უცინიან ჩუმ-ჩუმად. მერე აივნიდან ეზოში ჩავიდა. უნდოდა, რომ უფრო მეტი ვარსკვლავი დაენახა. გაშალა წვრილი და გრძელი მკლავები, დატრიალდა და - უუ!.. - მილიონი ვარსკვლავიც თან მიჰყვა ბრუნვითა და სიცილით.

- ა) როგორი იყო აგარაკის სახლი და სად იდგა ის?
- ბ) რას ხედავდა გოგონა ცაზე - რას აკეთებდნენ ვარსკვლავები?
- გ) სინამდვილეში რისი ხმები იყო ეს?
- დ) რა გააკეთა ამის შემდეგ გოგონამ?

3. ნაიკითხეთ შემდეგი აზრები და მონიშნეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტები.

III. უცებ ცას ერთი ვარსკვლავი მოსწყდა და სულ ახლოს, შავი ნაძვების კენწეროების იქით გაუჩინარდა. გოგონა იმ ნაძვებისაკენ გაიქცა. ის ვარსკვლავი ისე ახლოს ჩავარდა, რომ შეჭველად იპოვის! წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერი იქნება, თუ იმ ვარსკვლავს იპოვის! ფართოდ გახელილი თვალები კიდევ უფრო ფართოდ აქვს გახელილი, კიდევ უფრო მეტად უბრწყინავს. სულ ცოტაც, სულ ცოტაც! ვარსკვლავი აქ თუ არა, აი, იმ ბუჩქის უკან მაინც იქნება; აქ თუ არა, აი, იმ ბუჩქის უკან მაინც იქნება აუცილებლად. წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერებაა ვარსკვლავის პოვნა!...

თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?

რა მოხდება რეალურად?	რა მოხდება გოგონას წარმოსახვით?
1) გოგონა შევა ტყეში.	ა) ნაძვები და ფიჭვები სიურპრიზს მოუწყობენ.
2) შეეშინდება ღამის სიბნელის და უკან გამობრუნდება.	ბ) ციციანათელები დაეხმარებიან.
3) არ შეეშინდება ღამის სიბნელის და გზას გააგრძელებს.	გ) მიხვდება, რომ ვარსკვლავს ვეღარ იპოვის და ტირილს დაიწყებს.

4. დაასრულეთ III მონაკვეთი და შეადარეთ თქვენს ვერსიას. უპასუხეთ შეკითხვებს: რა დაემთხვა და რა - არა?

ვეება ნაძვები და მუხები აღტაცებით ეჩურჩულებიან ერთმანეთს:

- პატარა ღამაზ გოგონას ღამის არ ეშინია... პატარა ღამაზ გოგონას ღამაზი კაბა აცვია, ღამაზად აქვს დანნული თმა! ფრთხილად, კაბა არ დავუხიოთ, ნანწავები არ დავუშალოთ! - და ვეება ნაძვები და მუხები შეუმჩნევლად სწევნ ტოტებს, აქეთ-იქით ინვეიან ბუჩქებიც. გოგონა კი გარბის, გარბის...

გოგონა დაიღალა და შეჩერდა. უიმედოდ მიმოიხედა აქეთ-იქით. მიხვდა, რომ ვერც ვერასოდეს იპოვიდა. საშინლად დასწყდა გული. ცრემლებით აევსო ფართოდ გახელილი დიდი ცისფერი თვალები.

ეს დაინახეს ნაძვებმა და ფიჭვებმა, ეს დაინახა თვით მარადნაღვლიანმა ღამემაც, რომელიც უხმოდ ადევნებდა თვალს. ღამე მოხიბლული იყო ამ ღამაზი გოგონათი, რომელსაც საერთოდ არ ეშინოდა მისი. როცა გოგონას ცრემლებით აევსო თვალები, ღამემ დაბალი და ალერსიანი ხმით თქვა:

- ნუ ტირი, პატარა ღამაზო გოგონავ, შენ იმ ვარსკვლავს ვერ იპოვი. იმ ვარსკვლავს ვერავინ იპოვის. ის შორს, ზღვაში ჩაეშვა, უზარმაზარმა ნათელთევზამ დაიჭირა და უკვე თავისი შვილების გასართობად მიაქვს. მაგრამ შენ ამაზე გული არ უნდა დაგწყდეს. აბა, დააკვირდი, რამდენი ღამაზი რამაა შენ ირგვლივ. აბა, აიხედე მალლა!

გოგონამ მიმოიხედა, მერე თავი მალლა ასწია და დიდი, ფართოდ გახელილი თვალები ისევ სიამოვნებით გაუბრწყინდა.

- ა. როდის გაესაუბრა ღამე გოგონას და რატომ? რით მოხიბლა ღამე გოგონათი?
- ბ. რა უთხრა ღამემ გოგონას ვარსკვლავის შესახებ?
- გ. რა დაინახა გოგონამ ისეთი, რომ თვალები ისევ გაუბრწყინდა?

1. წაიკითხეთ შემდეგი აბზაცი და შეადარეთ თქვენს ვერსიას.

IV. მალლა, უზარმაზარი ხმელი ფიჭვის დაგრაგნილ ტოტებს შორის დიდი ყვითელი მთვარე ამოსულიყო. იმ ხმელი ფიჭვის ტოტიდან ტოტზე მხიარული ციყვები ხტოდნენ და ისე მოჩანდა, თითქოს ციყვები მთვარეს ახტებოდნენ ზემოდან. უცებ ციყვებმა გოგონა დაინახეს და ყველანი ერთ ტოტზე გამწკრივდნენ. სხედან ასე მწკრივად და გაოცებული თვალებით მისჩერებიან გოგონას. გოგონამ სალმის ნიშნად ხელი მალლა ასწია და გაულიმა კიდევ. ამან ციყვები გაახარა. იმათაც სტვენითა და თავის ქნევით მისცეს სალამი და მერე ისევ ტოტიდან ტოტზე ხტუნაობა განაგრძეს.

2. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები? კიდევ რას ნახავს და ვის შეხვდება ის ტყეში?



3. დაასრულეთ IV მონაკვეთი და შეადარეთ თქვენს ვერსიას. რა დაემთხვა და რა - არა?

სანამ გოგონა მალლა იყურებოდა და ციყვების თამაშს ადევნებდა თვალს, ციციანათელების მთელი გუნდი მოფრინდა და აქეთ-იქით გაპრეხილ ნაწნავებზე დაასხდა - მწკრივად, მძივივით ლამაზად. გოგონას ფართოდ გახელილი თვალები სიხარულით უბრწყინავს და გრძელი, წვრილი მკლავები თითქოს გასაფრენად აქვს გაშლილი!.. ღამეს თვითონვე მოსწონს თავისი საქციელი, კეთილად ელიმება და კიდევ უფრო ლამაზი რამის მოგონებას ცდილობს.

- ახლა წინ წადი, აგერ, იმ ბუჩქებში გაიარე, - ალერსით ეუბნება გოგონას. და გოგონაც მიდის, მიდის და ციციანათელების მთელი გუნდიც თან მიჰყვება. გადის ბუჩქების იქით და აღტაცებული ჩერდება კამკამა ტბის პირას. ტბა ვარსკვლავებითა და ოქროს თევზებით არის სავსე. ოქროს თევზები სულ მალლა ამოდიან, გაოცებულები შესცქერიან გოგონას, მერე სიხარულით ხტებიან ჰაერში და ტკიცინით ცვივდებიან ტალღებში. ტალღებში მთვარეც ანთია, დიდი, ათახთახებული მთვარე.


- მიდი ახლოს! - ალერსით უთხრა გოგონას ღამემ. გოგონა ფრთხილად მივიდა ტბასთან, ჩაიხედა შიგ და ციციანათელების მძივებით შემკული, თავისი აქეთ-იქით გაპრეხილი ნაწნავები და ფართოდ გახელილი თავისი თვალები დაინახა.

უცებ ეს ფართოდ გახელილი თვალები უფრო მეტად გაუფართოვდა: წყალში ქორბუდა ირემი გამოჩნდა. ასწევს თავს გოგონა და ის ირემიც აიხედავს მალლა. აღტაცებულები შესცქერიან ერთმანეთს. ირემს ოქროს რქები ჰქონდა. გოგონამ ხელი გაუწოდა და ირემიც წელი ნაბიჯით მივიდა მასთან. გოგონამ შუბლზე ჩამოუსვა ხელი, ტუჩები თვალებთან მიუტანა და ლამაზ თვალებში აკოცა.

მერე კისერზე ხელი შემოხვია და მიეხუტა. ირემმა თვალეები მილულა. ციციანათელებმა ახლა ირმის რქებში დაინყეს ტრიალი...

სადღაც სულ ახლოს ბულბულმა წამოიწყო საგალობელი, მარადნაღვლიანმა ღამემ კი სიცილი დაიწყო. ტკბებოდა ღამე ღამაზი პატარა გოგონას მზერით, რომელსაც არ ეჯავრებოდა და არ ეშინოდა მისი...

ირემმა უცებ ყურები აცქვიტა. თვალეები განშორების სევდით ჰქონდა საცხე.



მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე

4. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა შემდეგ? რა იგრძნო ირემმა? ნაიკითხეთ და შეამოწმეთ.

V. - მე უნდა გავიქცე, ადამიანები მოდიან! - უთხრა გოგონას და ორი ნახტომით ტყეს შეერია.

- ჩვენც უნდა დავიმალოთ! - ეუბნებიან გოგონას ციციანათელებიც და ისინიც ერთიმეორის მიყოლებით ტყეს ერევიან.

გაჩუმდა ბულბულიც. დაბლა-დაბლა წავიდნენ თევზებიც. სულ უფრო ახლოდან ისმოდა ადამიანების ხმა.

- მეც უნდა დაგტოვო, ღამაზო პატარა გოგონავ. ხომ არასოდეს შეგეშინდება ჩემი? - სევდიანი ალერსით ეჩურჩულებოდა ღამე და ნელ-ნელა უკან იწევდა. მის ადგილზე კი ფარნების შუქი და დედისა და მამის შესფოთებული ძახილი შემოდიოდა.

- აქა ვარ! - უბრალოდ, მშვიდად უპასუხა გოგონამ. ბალახებზე დიდი მბრწყინავი წვეთები იყო დაბნეული და გოგონა მიხვდა, რომ ეს მისგან წასული დანაღვლიანებული ღამის ცრემლები იყო.

- მე მიყვარხარ შენ, ღამეე!

5. ნაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

მწერალი აღგვიწერს იმ ზღაპრულ სამყაროს:

- ა) რომელიც ღამით ხდება ტყეში;
- ბ) რომელსაც მხოლოდ გოგონას თვალეები ამჩნევს;
- გ) რომელიც გოგონამ სიზმარში ნახა.

1. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) როდის გაქრა გოგონას ზმანება და რატომ?
- ბ) როგორ ფიქრობთ, რა იყო ბალახებზე დაბნეული წვეთები, რომლებიც გოგონამ დანაღვლიანებული ღამის ცრემლებად აღიქვა?
- გ) რატომ შეუყვარდა გოგონას ღამე?

2. დაასრულეთ მოთხრობა და შეასრულეთ დავალებები.

VI. იმ ღამეს მთელ აგარაკზე თითქმის არავის სძინებია. ყველას აინტერესებდა გოგონას ნახვა, რომელიც ტყეში დაიკარგა და ძლივს იპოვეს. ყველას უნდოდა გაეგო, რატომ წავიდა გოგონა ისე შორს ტყეში და ეშინოდა თუ არა იქ. მაგრამ გოგონა არაფერს ამბობდა. დიდი, ფართოდ გახელილი ცისფერი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და არაფერს ამბობდა. იცოდა, რომ თუნდაც ეთქვა - რისთვისაც წავიდა ტყეში და რა ნახა იქ, მაინც არ დაუჯერებდნენ. ის ხომ მართლაც ცოტა სხვანაირად ხედავდა სხვებთან შედარებით! შენ სულ ასე უცნაურად გეჩვენება ყველაფერიო, - ეტყოდნენ და არ დაუჯერებდნენ.

ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, როცა შენ რაღაცის გჯერა და სხვები არ გიჯერებენ.

ა) უპასუხეთ შეკითხვებს.

- 1) რატომ არ ეშინოდა გოგონას ღამის?
- 2) რატომ არ ამბობდა გოგონა არაფერს?
- 3) რატომ ჰქონდა მას თვალები ცრემლებით სავსე?
- 4) ხედავთ თუ არა მსგავსებას თქვენსა და გოგონას შორის და რატომ?

ბ) თავიდან წაიკითხეთ ტექსტი, მონიშნეთ თქვენთვის უცნობი / გაუგებარი სიტყვები და შეავსეთ ცხრილის პირველი სამი სვეტი. საჭიროების შემთხვევაში, იმუშავეთ რვეულში.

უცნობი სიტყვა	კონტექსტი	შენი განმარტება (როგორ გესმის შენ)	სალექსიკონო განმარტება

3. წაიკითხეთ და შეადარეთ სხვების ნამუშევრებთან - ვინ რომელი სიტყვა ამოწერა და როგორ განმარტა, დაემთხვა თუ არა განმარტებები, რა დაემთხვა და რა - არა.

4. მასწავლებლის დახმარებით შეავსეთ ცხრილის ბოლო სვეტი.

ენის სამყაროში

მსაზღვრელ-საზღვრული

მსაზღვრელი ახლავს სახელს და მას გარკვეული ნიშან-თვისებით ახასიათებს: **რომელი? როგორი? რამდენი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რისი?**

ეს (რომელი?)	მეორე (მერამდენე?)	პატარა (როგორი?)	ხის (რის?)	სახლი
ორი (რამდენი?)	თბილისელი (სადაური?)	პატარა (როგორი?)	წითურა (როგორი?)	ბიჭი

5. მოძებნეთ მსაზღვრელ-საზღვრულები და დაუსვით შეკითხვები მსაზღვრელებს ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ხის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიალებს.

რის ფოთლებს? - ხის

რა ფერის ფოთლებს? - მწვანე

ა) ცაზე მილიონი დიდი ჩახჩახა ვარსკვლავი ანთია.

ბ) პატარა ლამაზი ხის სახლი ვეება შავი ნაძვების ქვეშ დგას.

გ) ერთი ჩახჩახა ვარსკვლავი შავი ნაძვების კენწეროების იქით გაუჩინარდა.

1. მოიფიქრეთ მსაზღვრელები და განავრცეთ მოცემული წინადადებები რვეულში.

იყო ორი ბუ. ისხდნენ ფულუროში და ან ეძინათ, ან უბედობაზე ბუზღუნებდნენ. ერთხელ ხმა შემოესმათ. გადასწიეს თავები, ჩაიხედეს ძირს და რას ხედავენ: ბავშვი შემოსულა ტყეში, ხელები თვალებთან მიუტანია და ტირის.

2. წაიკითხეთ თქვენი ნაწერები და შეადარეთ ერთმანეთს - ვინ რა ინფორმაციით განავრცო. დაუსვით მსაზღვრელებს შეკითხვები.

3. დაუბრუნდით ნაწერებს და შეავსეთ ცხრილი თქვენ მიერ მოფიქრებული მსაზღვრელებით. ყურადღება მიაქციეთ კითხვებს. მიუთითეთ, რომელი კითხვები დაგჩაბნათ შესავსები.

მსაზღვრელის კითხვები	მსაზღვრელი
როგორი?	
რომელი?	
რამდენი?	
მერამდენე?	
სადაური?	
როდინდელი?	
ვისი?	
რისი?	

4. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მონაკვეთი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან - „კეთილი ბებერი ბუები“ და შეადარეთ პირველ და მეორე დავალებას. დაასახელეთ მსგავსება და განსხვავება მათ შორის.

იყო ორი ძალიან ბებერი და საბრალობელი ბუ. ისხდნენ ვეება მუხის ფულუროში და ან ეძინათ, ან თავიანთ უბედობაზე ბუზღუნებდნენ. ერთხელ უჩვეულო ხმა შემოესმათ. გადასწიეს დიდი თავები, ჩაიხედეს ძირს და რას ხედავენ: ძალიან ლამაზი პატარა ბავშვი შემოსულა ტყეში, ფუნჩულა ხელები თვალებთან მიუტანია და ტირის.

5. დაუბრუნდით მოთხრობას („გოგონა - ღამე რომ შეუყვარდა“), ამონერეთ მსაზღვრელ-საზღვრულები და მიუთითეთ, რა ნიშან-თვისების მიხედვით ახასიათებენ მსაზღვრელები კონკრეტულ სახელებს.

მარჯვე ხელები!

ცოტა ფანტაზია, მარჯვე ხელები და სასწაულიც იწყება!

6. დააკვირდით ფოტოებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) რა არის მათზე გამოსახული?
- ბ) რა აერთიანებს ამ სურათებს ერთმანეთთან?
- გ) რისგან არის ეს სურათები შექმნილი?



დარია კოსარი
უკრაინელი დიზაინერი და ფოტოგრაფი



ჯუზეპე არჩიმბოლდო
მე-16 ს-ის იტალიელი მხატვარი და
დეკორატორი

7. დაუბრუნდით ფოტოებს და დაასათაურეთ.

8. ნაიკითხეთ ინფორმაცია ჯუზეპე არჩიმბოლდოს შესახებ და უპასუხეთ შეკითხვებს.

XVI საუკუნეში იტალიაში მოღვაწეობდა მხატვარი ჯუზეპე არჩიმბოლდო.

არჩიმბოლდო ბუნების ნობათით ქმნიდა რეალურ პორტრეტებს და შემდეგ გადაჰქონდა ტილოზე. თანამემამულენი აღფრთოვანებულნი იყვნენ არჩიმბოლდოს ორიგინალური ქმნილებებით ცოცხალი ხილისგან, ბოსტნეულისგან და ყვავილებისაგან.

- ა) სადაური იყო ჯუზეპე არჩიმბოლდო?
- ბ) რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ის?
- გ) რით იყო იტალიელი მხატვარი გამორჩეული?
- დ) რისგან ქმნიდა ის პორტრეტებს?

ჰერბარიუმი

1. დააკვირდით აპლიკაციებს და ისაუბრეთ მათ შესახებ: მოგწონთ თუ არა? რა მოგწონთ და რა - არა? რატომ? რისგან არის ეს აპლიკაციები შექმნილი?



2. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.


რა არის ჰერბარიუმი? - შემოხაზეთ სწორი ვარიანტი და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე:

- ა) სპეციალურად შეგროვებული სხვადასხვა ყვავილი;
- ბ) სპეციალურად შეგროვებული და გამხმარი მცენარეების კოლექცია;
- გ) ახლად მოკრეფილი ყვავილების თაიგული.

როგორ ამზადებენ ჰერბარიუმს? - წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

- ა) წიგნის ფურცლებს შორის დებენ და ახმობენ;
- ბ) მზეზე აწყობენ და ახმობენ;
- გ) მაგიდაზე შლიან და ახმობენ.

3. გამოიყენეთ სქემა და ისაუბრეთ ჰერბარიუმის შესახებ.



4. ნაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

შემოდგომაზე, როცა ფოთლები სხვადასხვაფერად შეფერადდება, შეგიძლიათ შეაგროვოთ, გაახმოთ და შემდეგ მათგან ლამაზი სურათები ან მისალოცი ბარათები შექმნათ. ამისთვის აიღეთ სქელი ქალაღი, გადაკეცეთ, ჩადეთ შიგ ფოთლები და შემდეგ წიგნში შეინახეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ფოთლები გახმება. ასევე შეგიძლიათ გაახმოთ ყვავილები ზაფხულში.

ყვავილების ჰერბარიუმისაგან სურათების გასაკეთებლად შეარჩიეთ ნებისმიერი ფორმის ფერადი ქალაღი, უმჯობესია მუქი ფერის ხავერდი, რომელსაც ფონად გამოიყენებთ. ფონზე დაალაგეთ სხვადასხვა ფერისა და ზომის გამხმარი ყვავილები და ფოთლები ისე, რომ ლამაზი ორნამენტი, ცხოველი, თაიგული და ა.შ. გამოვიდეს. როდესაც სასურველ შედეგს მიიღებთ, აწყობილი სურათი მიანებეთ ფონს. ბოლოს სურათს პატარა მუყაოს ჩარჩო გაუკეთეთ და კედელზე დაკიდეთ. ასეთი სურათები შეგიძლიათ მისალოც ბარათებადაც გამოიყენოთ.

მასალა აღებულია ნელი ოქროპირიძის წიგნიდან
„ფანტაზია და მარჯვე ხელები“

5. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

არ არის ნახატი, მაგრამ ნახატს ჰგავს.

- ა) ექსპერიმენტი
- ბ) ფოკუსი
- გ) აპლიკაცია

6. უპასუხეთ შეკითხვებს.

- ა) რა არის საჭირო აპლიკაციისთვის?
- ბ) რაზე უნდა დავალაგოთ ფოთლები და ყვავილები?
- გ) რა ჰქვია ამ ქალაღის ფურცელს აპლიკაციაში?
- დ) როგორ უნდა დავალაგოთ გამხმარი ყვავილები და ფოთლები ფურცელზე?
- ე) რისთვის გვჭირდება წებო?
- ვ) რა შეგიძლია გაუკეთოთ სურათს?

პროექტი

შექმენით აპლიკაციები!

1. წაიკითხეთ მოცემული ინსტრუქციები და დაალაგეთ თანამიმდევრულად - რა უნდა გააკეთოთ პირველად, რა - შემდეგ და რა - ბოლოს.

- ა) განალაგეთ ნახატზე გამხმარი მცენარეები და ნახეთ, მოგწონთ თუ არა. _____
- ბ) დახატეთ ფანქრით ქალაქზე ესკიზი. _____
- გ) აიღეთ ფერადი ქალაქი. _____1_____
- დ) შეარჩიეთ შესაფერისი ყვავილები და ფოთლები. _____
- ე) გაუკეთეთ სურათს მუყაოს ჩარჩო. _____
- ვ) დაანებეთ განლაგებული მასალა სათითაოდ. _____

2. წინასწარ მოამზადეთ ჰერბარიუმი (თუ წელიწადის შესაფერისი დროა, ჰერბარიუმი მოამზადეთ მასწავლებელთან ერთად) და შემდეგ წინა დავალებაში მოცემული ინსტრუქციის დახმარებით გააკეთეთ მსგავსი აპლიკაციები.

კაკლის წერო

შეარჩიეთ თხელნაჭუჭიანი კაკალი და კისრის ადგილას გახვრიტეთ, გაუკეთეთ რკოს თავი და ეკლის ნისკარტი. წკირებისაგან გაუკეთეთ გრძელი ფეხები. წერო ხის ქერქის საყრდენზე დაამაგრეთ. კაკლის ნაჭუჭის ნახევარსფეროს გაუყარეთ ძაფი და წეროს ნისკარტზე ჩამოჰკიდეთ. შიგ პატარა რკოს „ბაია“ ჩაანვინეთ. „ბაიას“ თვალეები და პირი საღებავით დაუხატეთ.

ენის სამყაროში

ბრძანების გამოხატვა

ასეთი ფორმებით გამოიხატება ისეთი მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს, ან არ უნდა შესრულდეს. შესაბამისად, გვაქვს:

- **წართქმითი ბრძანებითი** (რომელიც უნდა შესრულდეს. იყენებს წყვეტილს):
დანერე! მოდი! გააკეთე! ჩამოდი! გაჩუმდი! და სხვა

- **უკუთქმითი ბრძანებითი** (რომელიც არ უნდა შესრულდეს):

არ დანერო! ნუ დანერ! ნუ წერ! არ ნახვიდე! ნუ ნახვალ! ნუ მიდიხარ! და სხვა

იყენებს ანმეოს ფორმას (ნუ წერ!), მყოფადს (ნუ დანერ!) და II კავშირებითს (არ დანერო!)

3. წაიკითხეთ წინადადებები და დაასახელეთ, რას გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედება. ჩაწერეთ შესაბამისი ციფრები და დააკონკრეტეთ.

1. მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას;
2. აუცილებელ, სასურველ ან შესაძლებელ მოქმედებას;
3. წარსულში შესრულებულ ან მომავალში შესასრულებელ ფაქტს.

- ა) შემოდგომაზე შეგიძლიათ შეაგროვოთ და გაახმოთ ფოთლები! _____
- ბ) რამდენიმე ხნის შემდეგ ფოთლები გახმება. _____
- გ) მალე სასურველ შედეგს მიიღებთ. _____
- დ) შეარჩიეთ ნებისმიერი ფორმის ფერადი ქაღალდი! _____
- ე) გამხმარი ყვავილებისაგან ლამაზი აპლიკაცია გამოვიდა. _____
- ვ) სასურველია, შეარჩიოთ მუქი ფერის ხავერდი! _____
- ზ) არ აიღო სქელი ქაღალდი! _____
- თ) უნდა დახატოთ ჯერ ესკიზი! _____

4. გადაიყვანეთ მოცემული წინადადებები წართქმით და უკუთქმით ბრძანებებში. იმუშავეთ რვეულში.

- ა) უნდა მოძებნოთ სხვადასხვა ზომის ნიჟარები!
- ბ) გირჩევთ, წინასწარ მოიმარაგოთ ყველა საჭირო ნივთი!
- გ) ხის ტოტები უნდა იყოს ხმელი!
- დ) სასურველია, გამოიყენოთ წყლის საღებავები!
- ე) ფრთხილად უნდა დაამაგროთ მუყაოს ქაღალდზე!
- ვ) თვალეები შეგიძლიათ, გაუკეთოთ პლასტელინისაგან!
- ზ) შეგიძლიათ მუყაოსგან გამოჭრათ ვარსკვლავები და გააფერადოთ!

5. დააკვირდით და დაწერეთ ინსტრუქცია - როგორ გავაკეთოთ ჩვენი ხელით?



გირჩის კაცუნა



ხის ჩარჩო ქვებითა და ნიჟარებით



ნიჟარის დათუნები

ექსპერიმენტები

1. რა არის ექსპერიმენტი? შემოხაზეთ სწორი პასუხი. ექსპერიმენტი, ანუ:

- ა) ცდა ბ) წესი გ) საქმე

2. გაანალიზეთ ზმნები და წაიკითხეთ. ქმნის / ამზადებს

- ა) მზარეული გემრიელ კერძს _____.
ბ) რეჟისორი ახალ ფილმს _____.
გ) გოგონა საინტერესო აპლიკაციებს _____.
დ) მოსწავლე გაკვეთილებს _____.

3. დააკვირდით სურათს და დაასახელეთ, რა არის და რა დანიშნულება აქვს.



4. წაიკითხეთ და შეამოწმეთ. უპასუხეთ შეკითხვებს.

ეს „ინსტრუმენტი“ ბოთლებისაგან შედგება. ბოთლები ერთ მწკრივად უნდა დაკიდო. შიგ წყალი სხვადასხვა დონემდე უნდა ჩაასხა, რათა მათ სხვადასხვა ხმა გამოსცენ. „ბოთლოფონზე“ ორი ჯოხით უკრავენ. თუ ბოთლებს ორ სართულად ჩამოჰკიდებ, მაშინ მასზე შენს მეგობართან ერთად დაუკრავ.

1. რატომ ჰქვია ამ საკრავს „ბოთლოფონი“?
2. რითი უკრავენ მასზე?
3. რატომ ასხია ბოთლებში წყალი არათანაბრად?

5. დააკვირდით სურათს, გამოიყენეთ წინა დავალების ტექსტი და გააკეთეთ საკუთარი „ბოთლოფონი“.

6. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა წყლიან ჭიქაში სანთლის ანთება? სცადეთ და თქვით, რა მოხდა. გაეცანით ინსტრუქციას წიგნის დანართში (გვ. 241, სანთელი წყალში) და თავიდან გაიმეორეთ ცდა.

კულინარიული ფანტაზიები

„ყველა ადამიანში მიძინებულია მზარეული. ის მხოლოდ უნდა გააღვიძო. უფროსებისაგან განსხვავებით, თითქმის ყველა ბავშვს უნდა მზარეულობა და ამას სიამოვნებით აკეთებს“.

კრისტინა კრაფტი

ნორჩი კულინარების სკოლის
დამაარსებელი გერმანიაში

7. დააკვირდით ნახატს და დაასახელეთ, რა აწყვია მაგიდაზე.



8. გადახაზეთ ზედმეტი.

ა) რომელი არ არის სითხე?

ზეთი წყალი რძე შაქარი ჩაი

ბ) რომელი არ არის რძის პროდუქტი?

მანონი ყველი კარაქი პური არაყანი ხაჭო

9. აირჩიეთ და ჩაწერეთ.

ა) ფხვნილი / ფქვილი:

შაქრის _____

პურის _____

ბ) ვთლით / ვფცქვნით:

ხაზვს _____

კარტოფილს _____


კიტრს _____

ნიორს _____

ბანანს _____

მსხალს _____

1. დააკავშირეთ მოცემული საწყისები შესაბამისი ზმნების ფორმებთან.



- | | |
|------------------|-----------------|
| ფცქვნის - _____ | ჭრის - _____ |
| ათავსებს - _____ | რეცხავს - _____ |
| ხარშავს - _____ | ნაყავს - _____ |
| წონის - _____ | ადუღებს - _____ |
| იკრავს - _____ | ხეხავს - _____ |
| წვავს - _____ | თლის - _____ |

2. აირჩიეთ და ჩაწერეთ.

- ა) დათომ დაჭრა ორი _____ (კბილი / თავი) ხახვი.
- ბ) ბაბუამ გათალა ერთი _____ (თავი / ცალი) ვაშლი და შეჭამა.
- გ) დედამ ანონა ნახევარი კილო შაქრის _____ (ფხვნილი / ფქვილი).
- დ) მან მოხარშა ხუთი _____ (კილო / ცალი) კვერცხი.
- ე) ბებია გაფცქვნა სამი _____ (ცალი / კბილი) ნიორი და დანაყა.
- ვ) მან გახეხა ხუთასი _____ (გრამი / კილო) სტაფილო.
- ზ) მან იყიდა ერთი კილო პურის _____ (ფხვნილი / ფქვილი).

3. უპასუხეთ შეკითხვებს წინა დავალების მიხედვით.

- ა) რამდენი ხახვი დაჭრა დათომ?
- ბ) რამდენი ცალი ვაშლი გათალა ბაბუამ?
- გ) რამდენი კილო შაქარი ანონა დედამ?
- დ) რამდენი კვერცხი მოხარშა მან?

- ე) რამდენი კბილი ნიორი დანაყა ბებიაშ?
- ვ) რამდენი გრამი სტაფილო გახეხა მან?
- ზ) რამდენი კილო ფქვილი იყიდა მან?

4. შეცვალეთ მეორე დავალებაში მოცემული წინადადებები ნიმუშების მიხედვით. იმუშავეთ რვეულში.

ნიმუში 1:

- დათო, **დაჭერი** ორი თავი ხახვი!

ნიმუში 2:

- დათო, **არ დაჭრა** ორი თავი ხახვი!


ნიმუში 3:

- დათო, **ნუ დაჭრი** ორ თავ ხახვს!

5. შეავსეთ ცხრილი სათანადო ფორმებით და წაიკითხეთ.

	ახლანდელი დრო	წარსული დრო	
საწყისი	ანმყო რას ვაკეთებ?	უწყვეტელი რას ვაკეთებდი?	წყვეტილი რა გავაკეთე?
გახეხვა	_____	ვხეხავდი	გავხეხე
გარეცხვა	_____	_____	გავრეცხე
დანაყვა	ვნაყავ	_____	_____
მოხარშვა	_____	ვხარშავდი	_____
შენვა	_____	ვწვავდი	შეწვი
დაჭრა	ვჭრი	_____	დავჭერი
გათლა	_____	_____	გავთალე
გაფცქვნა	ვფცქვნი	_____	გაფცქვენი
შეკვრა	ვიკრავ	_____	_____
მოთავსება	ვათავსებ	ვათავსებდი	_____

1. დააკვირდით ფოტოებს და დაასახელეთ, რა ინგრედიენტებისაგან არის ისინი მომზადებული.



2. გაეცანით რეცეპტს და დააკავშირეთ ფოტოსთან.

მოხარშოთ 500 გ. ქათმის რბილი ხორცი და დავჭრათ წვრილად. გავფრცქვნათ 100 გ. თავი ხახვი, დავასხათ ადუღებული წყალი და გავაჩეროთ 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ გადავწუროთ, გადავავლოთ ცივი წყალი და დავჭრათ წვრილად.

გავთალოთ 500 გ. კარტოფილი. დავჭრათ თხელ ნაჭრებად და შევწვათ ბლომად ზეთში. მოხარშოთ 5 ცალი კვერცხი, გავფრცქვნათ და გავაცალკევოთ ცილა გულისაგან. ცილა გავხეხოთ წვრილ სახეხზე.

დავჭრათ 250 გ. კიტრი წვრილ ზოლებად. წვრილად დავჭრათ 1 კონა მწვანელი. ავურიოთ შემწვარი კარტოფილი (ნაწილი გადავდოთ მოსართავად), გახეხილი კვერცხის ცილა, დაჭრილი კიტრი, ქათმის ხორცი და ხახვი ერთმანეთში. დავაყაროთ გემოვნებით მარილი, დავუმატოთ მაიონეზი და კიდევ ერთხელ ავურიოთ კარგად.

გადავიტანოთ სალათი გაშლილ თევზზე, ზემოდან მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი მწვანელი, გვერდებზე შემოვუწყოთ შემწვარი კარტოფილი და ზემოდან დავანყოთ მოხარშული კვერცხები.

3. მოცემული რეცეპტიდან ცალკე ამონერეთ ინგრედიენტები და გვერდით მიუწერეთ შესაბამისი ზომა და რაოდენობა ნიმუშის მიხედვით. იმუშავეთ რვეულში.

ინგრედიენტები:

ზომა / რაოდენობა:

ქათმის ხორცი _____

500 გრამი _____

4. წაიკითხეთ და დააღაგეთ ქვემოთ მოცემული მოქმედებები სწორი თანამიმდევრობით.

რას ვაკეთებთ ჯერ და რას - შემდეგ?

ა. ვხარშავთ ხორცს. _____

ბ. ვასხამთ წყალს. _____

გ. ვათავსებთ ქვაბში. _____

დ. ვრეცხავთ კარგად. _____

ა. ვუმატებთ მწვანილს. _____

ბ. ვჭრით წვრილად. _____

გ. ვურევთ კოვზით. _____

დ. ვფცქვნით ხახვს. _____

ა. ვჭრით თხლად. _____

ბ. ვწვავთ ტაფაზე. _____

გ. ვყრით ტაფაზე. _____

დ. ვთლით დანით. _____

5. გამოიყენეთ რეცეპტი და შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

რა გავაკეთოთ?	როგორი?
მოვხარშოთ	მოხარშული

1. დააკვირდით სურათს და აღწერეთ.

- ა) ვინ არიან სურათზე გამოსახულნი? რამდენი წლისანი იქნებიან ისინი? როგორ გამოიყურებიან? რა აცვიათ? სად არიან და რას საქმიანობენ? თქვენი აზრით, ვინ არიან ისინი ერთმანეთისათვის?
- ბ) აღწერეთ გარემო: წელიწადის რა დროა? საიდან ჩანს? როგორი ამინდია? სად დგას სახლი? როგორი სახლია, რისგან არის გაკეთებული? რისი სახურავი აქვს და ა.შ.
- გ) როგორ ფიქრობთ, რას ამზადებენ ეს კაცები? მონიშნეთ თქვენი ვარიანტები და ახსენით, საიდან ჩანს?

1. კომპოტს 2. მურაბას 3. ხილფაფას 4. წვენს



2. მოიფიქრეთ თქვენ მიერ შერჩეული ვარიანტის რეცეპტი (ინგრედიენტები და მომზადების წესი) და გააცანით ერთმანეთს. დავალება შეასრულეთ რვეულში.

დასახელება _____

ინგრედიენტები

- 1. _____
- 2. _____
- 3. _____
- 4. _____

მომზადების წესი

- თავიდან _____
- შემდეგ _____
- ამის მერე _____
- ბოლოს _____

3. შეავსეთ ლექსში გამოტოვებული ადგილები (ჩანერეთ შესაბამისი ციფრები) და დაასახელოთ სათაური.

(თამარი ფხაკაძე)

ტყეში ცხოვრობს _____

რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.

ჭამენ

1

რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა

ჟოლოს ჭამენ მუჭა_მუჭა.

მუჭა-მუჭა,

2

ჟოლოს ჭამენ _____

ყვავილს კრეფენ _____

ბლუჯა-ბლუჯა.

3

ყვავილს _____ ჟოლოს _____

რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.

ორი ჯუჯა:

4

უკრეფიათ გუმინ ხენდრო,

მოიტანეს _____

კრეფენ,

5

ერთი ვედრო,

დიდი ვედრო,

მწიფე ხენდრო!

6

სავსე ვედრო,

დატრიალდა სურნელი!

7

ხარშეს, ხარშეს, ურიეს,

მოცვი ახალ-ახალი.

8

ჩაამატეს მაყვალი,

ერთი ვედრო.

9

ჩააყარეს კუნელი,

შაქარი ჩაურიეს.

10

რომ მოხარშეს მურაბა,

გვინილადეს ძმურადა.

4. წაიკითხეთ ლექსი დანართში (გვ. 241) და შეამოწმეთ.

ზმნური ლექსიკონი

ვინიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	ნარსული დრო S O O მან (მას) (ის)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
ანგარიში	ვანგარიშობ / ანგარიშობს (1)	ვიანგარიშე / იანგარიშა	ვიანგარიშებ / იანგარიშებს
არსებობა	ვარსებობ / აესებობს (1)	ვიარსებე / იარსება	ვიარსებებ / იარსებებს
აშენება	ვაშენებ / აშენებს (2)	ავაშენე / ააშენა	ავაშენებ / ააშენებს
აღნიშვნა	აღვნიშნავ / აღნიშნავს (2)	აღვნიშნე / აღნიშნა	აღვნიშნებ / აღნიშნებს
ბანაობა	ვბანაობ / ბანაობს (1)	ვიბანავე / იბანავა	ვიბანავენ / იბანავენს
გაკეთება	ვაკეთებ / აკეთებს (2)	გავაკეთე / გააკეთა	გავაკეთებ / გააკეთებს
გამოცხობა	ვაცხობ / აცხობს (2)	გამოვაცხე / გამოვაცხო	გამოვაცხობ / გამოვაცხობს
გამზადება	ვამზადებ / ამზადებს (2)	გავამზადე / გაამზადა	გავამზადებ / გაამზადებს
განათება	ვანათებ / ანათებს (2)	გავანათე / გაანათა	გავანათებ / გაანათებს
გაყიდვა	ვყიდი / ყიდის (2)	გავყიდე / გაყიდა	გავყიდი / გაყიდის
გაშლა	ვშლი / შლის (2)	გავშალე / გაშალა	გავშლი / გაშლის
გუნდაობა	ვგუნდაობ / გუნდაობს (1)	ვიგუნდავე / იგუნდავა	ვიგუნდავენ / იგუნდავენს
გატარება	ვატარებ / ატარებს (2)	გავატარე / გაატარა	გავატარებ / გაატარებს
გაღვიძება	ვიღვიძებ / იღვიძებს (1)	გავიღვიძე / გაიღვიძა	გავიღვიძებ / გაიღვიძებს
დაბანა	ვიბან / იბანს (2)	დავიბანე / დაიბანა	დავიბან / დაიბანს
დადგმა	ვდგამ / დგამს (2)	დავდგი / დადგა	დავდგამ / დადგამს
დადება	ვდებ / დებს (2)	დავდე / დადო	დავდებ / დადებს
დაკვრა	ვუკრავ / უკრავს (2)	დავუკარი / დაუკრა	დავუკრავ / დაუკრავს
დაპირება	ვაპირებ / აპირებს (2)	დავაპირე / დააპირა	დავაპირებ / დააპირებს
დაძინება	ვიძინებ / იძინებს (1)	დავიძინე / დაიძინა	დავიძინებ / დაიძინებს
დანერა	ვწერ / წერს (2)	დავწერე / დანერა	დავწერ / დანერს
დახატვა	ვხატავ / ხატავს (2)	დავხატე / დახატა	დავხატავ / დახატავს
დახურვა	ვიხურავ / იხურავს (2)	დავიხურე / დაიხურა	დავიხურავ / დაიხურავს
ვანხმობა	ვვანხმობ / ვანხმობს (1)	ვივანხმე / ივანხმა	ვივანხმებ / ივანხმებს
ზეიმობა	ვზეიმობ / ზეიმობს (1)	ვიზეიმე / იზეიმა	ვიზეიმებ / იზეიმებს
თამაში	ვთამაშობ / თამაშობს (2)	ვითამაშე / ითამაშა	ვითამაშებ / ითამაშებს
თევზაობა	ვთევზაობ / თევზაობს (1)	ვითევზავე / ითევზავა	ვითევზავენ / ითევზავენს
ლაპარაკი	ვლაპარაკობ / ლაპარაკობს (1)	ვილაპარაკე / ილაპარაკა	ვილაპარაკებ / ილაპარაკებს

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	წარსული დრო S O O მან (მას) (ის)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
მკურნალობა	ემკურნალობ /ემკურნალობს (1)	ემკურნალე/ემკურნალა	ემკურნალებ/ემკურნალებს
მოკრეფა	ემკრეფ/ემკრეფს (2)	ემკრეფე/ემკრეფა	ემკრეფებ/ემკრეფებს
მოლოცვა	ემლოცავ/ემლოცავს (3)	ემლოცე/ემლოცა	ემლოცავებ/ემლოცავებს
მომზადება	ემზადებ/ემზადებს (2)	ემზადებდა/ემზადება	ემზადებებ/ემზადებებს
მორთვა	ემრთავ/ემრთავს (2)	ემრთე/ემრთო	ემრთავებ/ემრთავებს
მოსმენა	ემსმენ/ემსმენს (2)	ემსმენე/ემსმენა	ემსმენებ/ემსმენებს
მოქარგვა	ემქარგავ/ემქარგავს (2)	ემქარგე/ემქარგა	ემქარგავებ/ემქარგავებს
მუშაობა	ემუშაობ/ემუშაობს (1)	ემუშავე/ემუშავა	ემუშავენ/ემუშავენს
მხიარულება	ემხიარულობ/ემხიარულობს (1)	ემხიარულე/ემხიარულა	ემხიარულებ/ემხიარულებს
სადილობა	ემსადილობ/ემსადილობს(1)	ემსადილე/ემსადილა	ემსადილებ/ემსადილებს
საუზმობა	ემსაუზმობ/ემსაუზმობს (1)	ემსაუზმე/ემსაუზმა	ემსაუზმებ/ემსაუზმებს
სეირნობა	ემსეირნობ/ემსეირნობს (1)	ემსეირნე/ემსეირნა	ემსეირნებ/ემსეირნებს
სიმღერა	ემღერე(ვარ)/ემღერის (2)	ემღერე/ემღერა	ემღერებ/ემღერებს
სირბილი	ემსირბივარ/ემსირბის (1)	ემსირბინე/ემსირბინა	ემსირბინებ/ემსირბინებს
სრიალი	ემსრიალებ/ემსრიალებს (1)	ემსრიალე/ემსრიალა	ემსრიალებ/ემსრიალებს
სწავლა	ემსწავლობ/ემსწავლობს (2)	ემსწავლე/ემსწავლა	ემსწავლებ/ემსწავლებს
ყიდვა	ემყიდულობ/ემყიდულობს (2)	ემყიდე/ემყიდა	ემყიდები/ემყიდის
ყურება	ემყურებ/ემყურებს (2)	ემყურე/ემყურა	ემყურებ/ემყურებს
სწავლა	ემსწავლობ/ემსწავლობს (2)	ემსწავლე/ემსწავლა	ემსწავლებ/ემსწავლებს
ქსოვა	ემქსოვ/ემქსოვს (2)	(ემ)ემქსოვე/ემქსოვა	ემქსოვენ/ემქსოვენს
შეკერვა	ემკერავ / ემკერავს (2)	ემკერე / ემკერა	ემკერავებ / ემკერავებს
შეჭმა	ემჭამ/ემჭამს (2)	ემჭამე/ემჭამა	ემჭამებ/ემჭამებს
შეხვედრა	ემხვდები/ემხვდება (2)	ემხვდი/ემხვდა	ემხვდები/ემხვდება
ჩაცმა	ემიცვამ / ემიცვამს (2)	ემიცვი / ემიცვა	ემიცვამებ / ემიცვამებს
ჩუქება	ემჩუქნი/ემჩუქნის (3)	ემჩუქე/ემჩუქა	ემჩუქებ/ემჩუქებს
ციკვა	ემციკვავ/ემციკვავს (1)	ემციკვე/ემციკვა	ემციკვენ/ემციკვენს
ცურვა	ემცურავ/ემცურავს (1)	ემცურე/ემცურა	ემცურებ/ემცურებს
ცხოვრება	ემცხოვრობ/ემცხოვრობს (1)	ემცხოვრე/ემცხოვრა	ემცხოვრებ/ემცხოვრებს
ციგაობა	ემციგაობ/ემციგაობს (1)	ემციგავე/ემციგავა	ემციგავენ/ემციგავენს
წაკითხვა	ემკითხულობ/ემკითხულობს (2)	ემწაკითხე/ემწაკითხა	ემწაკითხავ/ემწაკითხავს
წოდება	ემწოდებ/ემწოდებს (3)	ემწოდე/ემწოდა	ემწოდებ/ემწოდებს

საწყისი	ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	
	S ის	O (მას)	S ის	O (მას)	S ის	O (მას)
-----	ანთია (1)		ენტო		ენტება	
გაბრაზება	ვბრაზდები / ბრაზდება		გავბრაზდი / გაბრაზდა		გავბრაზდები/გაბრაზდება	
გაგრძელება	გრძელდება (1)		გაგრძელდა		გაგრძელდება	
განსხვავება	განსხვავდება		განსხვავდა		-----	
გართობა	ვერთობი / ერთობა (1)		გავერთე / გაერთო		გავერთობი / გაერთობა	
გაჩერება	ვჩერდები / ჩერდება (1)		გაჩერდი / გაჩერდა		გაჩერდები / გაჩერდება	
გაყიდვა	ვიყიდები / იყიდება (1)		გავიყიდე / გაიყიდა		გავიყიდები / გაიყიდება	
შეცვლა	ვიცვლები / იცვლება (1)		შევიცვალე / შეიცვალა		შევიცვლები / შეიცვლება	
გამოჩენა	მოვჩანვარ / მოჩანს (1)		გამოვჩნდი / გამოჩნდა		გამოვჩნდები/გამოჩნდება	
გაფრენა	მივფრინავ/მიფრინავს (1)		გავფრინდი/გაფრინდა		გავფრინდები/გაფრინდება	
დაბადება	ვიბადები / იბადება (1)		დავიბადე / დაიბადა		დავიბადები / დაიბადება	
დაბრუნება	ვბრუნდები / ბრუნდება (1)		დავბრუნდი / დაბრუნდა		დავბრუნდები / დაბრუნდება	
დანყება	ინყება (1)		დაინყო		დაინყება	
საზღვარი	ესაზღვრება (2)		ესაზღვრებოდა		-----	
-----	ისმის (1)		გაისმა		გაისმება	
ჩამოდინება	ჩამოედინება (1)		ჩამოედინებოდა		-----	

მანიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო		წარსული დრო	
	S	O	S	O
	მას	(ის)	მას	(ის)
მონონება	მომონს/მოსნონს (2)		მომენონა / მოენონა	
სიყვარული	მიყვარს/უყვარს (2)		შემიყვარდა/შეუყვარდა	
დაინტერესება	მაინტერესებს/აინტერესებს (2)		მაინტერესებდა/აინტერესებდა	
მოხერხება	მეხერხება / ეხერხება (2)		მეხერხებოდა / ეხერხებოდა	
ნდომა	მინდა/უნდა (2)		მინდოდა/უნდოდა	
რქმევა	მქვია/ჰქვია (2)		მერქვა/ერქვა	
ქონა	მაქვს/აქვს (2)		მქონდა/ჰქონდა	
ყოლა	მყავს/ჰყავს (2)		მყავდა/ჰყავდა	
გაკეთება	მიკეთია/უკეთია (2)		მეკეთია/ეკეთია	
ჩაცმა	მაცვია/აცვია (2)		მეცვა/ეცვა	
დახურვა	მახურავს/ახურავს (2)		მეხურა/ეხურა	
ძილი	მძინავს/სძინავს (1)		მეძინა/ეძინა	
ღვიძილი	მღვიძავს/ჰღვიძავს (1)		მეღვიძა/ეღვიძა	
შეცემა	მცვივა/სცვივა (1)		შემცვივდა/შესცვივდა	
დაცვენა	მცვივავს/სცვივავს (2)		დამცვივდა/დასცვივდა	
კანკალი	მაკანკალებს / აკანკალებს		მაკანკალებდა / აკანკალებდა	
ცემინება	მაცემინებს / აცემინებს		მაცემინებდა / აცემინებდა	
ხველა	მახველებს / ახველებს		მახველებდა / ახველებდა	
ტკივილი	მტკივავს / სტკივავს (2)		მტკიოდა / სტკიოდა	
შენუხება	მანუხებს / ანუხებს (2)		მანუხებდა / ანუხებდა	

თავისებური ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო			წარსული დრო			მომავალი დრო		
	S	O	O	S	O	O	S	O	O
	ის	(მას)	(მას)	ის	(მას)	(მას)	ის	(მას)	(მას)
ამოსვლა	ამოვდივარ/ამოდის (1)			ამოვედი/ამოვიდა			ამოვალ/ამოვა		
ასვლა	ავდივარ/ადის (1)			ავედი/ავიდა			ავალ/ავა		
გადასვლა	გადავდივარ/გადადის (1)			გადავედი/გადავიდა			გადავალ/გადავა		
გასვლა	გავდივარ/გადის (1)			გავედი/გავიდა			გავალ/გავა		
მისვლა	მივდივარ/მიდის (1)			მივედი/მივიდა			მივალ/მივა		
მოსვლა	მოვდივარ/მოდის (1)			მოვედი/მოვიდა			მოვალ/მოვა		
შესვლა	შევდივარ/შედის (1)			შევედი/შევიდა			შევალ/შევა		
ჩასვლა	ჩავდივარ/ჩადის (1)			ჩავედი/ჩავიდა			ჩავალ/ჩავა		
წასვლა	მივდივარ/მიდის(1)			წავედი/წავიდა			წავალ/წავა		
ჯდომა	ვზივარ/ზის (1)			ვიჯექი/იჯდა			ვიჯდები/იჯდება		
დაჯდომა	ვჯდები/ჯდება (1)			დავჯექი/დაჯდა			დავჯდები/დაჯდება		
დგომა	ვდგავარ/დგას (1)			ვიდექი/იდგა			ვიდგები/იდგება		
ადგომა	ვდგები/დგება (1)			ავდექი/ადგა			ავდგები/ადგება		
დანოლა	ენვები/ნვება (1)			დავწექი/დანვა			დავწვები/დანვება		
წოლა	ენვარ/წევს (1)			ვინექი/ინვა			ვინვები/ინვება		
ყოფნა	ვარ/არის (1)			ვიყავი/იყო			ვიქნები/იქნება		
-----	ცივა			ციოდა			აცივდება		
-----	ცხელა			ცხელოდა			დაცხება		
-----	თბილა			თბილოდა			დათბება		
-----	გრილა			გრილოდა			აგრილდება		
ცქერა	გავცქერი/გასცქერის (2)			გავცქეროდი/გასცქეროდა			-----		
მსგავსება	ვგავარ /ჰგავს (2)			ვგავდი/ჰგავდა			-----		
დანყება	ინყება (1)			დაინყო			დაინყება		
დება	დევს (1)			იდო			იდება		
წყობა	ანყვია (1)			ენყო			დაინყობა		
ბინადრობა	ბინადრობს (1)			ბინადრობდა			-----		
მდებარეობა	მდებარეობს (1)			მდებარეობდა			-----		
მოყოლა	ვუყვები/უყვება (3)			მოვუყევი / მოუყვა			მოვიყვები / მოუყვება		
დაპირება	ვპირდები/ჰპირდება (3)			დავპირდი / დაჰპირდა			დავპირდები/დაპირდება		
შეპირება	ვპირდები/ჰპირდება (3)			შევპირდი / შეჰპირდა			შევპირდები/შეპირდება		
შეკითხვა	ვეკითხები/ეკითხება (3)			შევეკითხე / შეეკითხა			შევეკითხები/შეეკითხება		

საწყისი	ახლანდელი დრო			წარსული დრო			მომავალი დრო		
	S	O	O	S	O	O	S	O	O
	ის	(მას)	(მას)	მან	(მას)	(ის)	ის	(მას)	(მას)
დალევა/სმა	ვსვამ/სვამს (2)			დავლიე/დალია			დავლევ/დალევს		
თქმა	ვამბობ / ამბობს (2)			ვთქვი / თქვა			ვიტყვი / იტყვის		
თქმა	ვეუბნები / ეუბნება (3)			ვუთხარი / უთხრა			ვეტყვი / ეტყვის		
მოვლა	ვუვლი / უვლის (2)			მოვუარე / მოუარა			მოვუვლი / მოუვლის		
მოტანა	მომაქვს/მოაქვს (2)			მოვიტანე/მოიტანა			მოვიტან/მოიტანს		
წაღება	მიმაქვს / მიაქვს (2)			წავიღე / წაიღო			წავიღებ / წაიღებს		
მოტანა	მომაქვს / მოაქვს (2)			მოვიტანე / მოიტანა			მოვიტან / მოიტანს		
მიცემა	ვაძლევ / აძლევს (3)			მივეცი / მისცა			მივცემ / მისცემს		
სიარული	დავდივარ/დადის (1)			ვიარე/იარა			ვივლი/ივლის		
ქროლვა	ქრის			იქროლა			იქროლებს		
წვიმა	წვიმს			იწვიმა			იწვიმებს		
თოვა	თოვს			მოთოვა			მოთოვს		
ყვავილობა	ყვავის (1)			იყვავილა			იყვავილებს		

საწყისი	ახლანდელი დრო		წარსული დრო		მომავალი დრო	
	S	O	S	O	S	O
	მან	ის	მან	ის	მას	ის
ციდნა	ვიცი / იცის		ვიცოდი / იცოდა		მეცოდნება / ეცოდნება	

გრამატიკული გზამკვლევი

კითხვითი სიტყვები

კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად ვსვამთ კითხვას. ამისათვის ვიყენებთ კითხვით სიტყვებს, მაგალითად:

- **ვინ? / რა?** — მიუთითებს საგანს/ადამიანს (*ვინ?* — დაესმის მარტო ადამიანს; *რა?* — ადამიანის გარდა — ყველაფერს);
- **რამდენი?** — მიუთითებს რაოდენობას;
- **როდის?** — მიუთითებს დროს;
- **როგორი?** — ახასიათებს სახელს;
- **რატომ?** — მიუთითებს მიზეზს.

ვინ	არის ცხოვრობს კითხულობს	ეს? აქ? წიგნს?
რა	არის ჰქვია უყვარს	ეს? მას? შენს ძმას?
რამდენი	წლის არის ძმა გყავს სკამია	შენი და? შენ? ოთახში?
როდის	იღვიძებს გაქვს მიდიხარ	შენი და? ქართული? სკოლაში?
როგორი	ჩანთა აქვს ჩიტი ზის ბიჭია	დათოს? ხეზე? შენი მეზობელი?
რატომ	ტირის არ იყავი არ ჭამ	შენი და? სკოლაში? საჭმელს?

- **სად?** — 1. მიუთითებს ადგილს;
2. მიუთითებს მიმართულებას;
- **საით?** — მიუთითებს მოქმედების მიმართულებას.
- **საიდან?** — 1. მიუთითებს ადგილს;
2. მიუთითებს წარმომავლობას;
- **საიდან სად/სადამდე?** — მიუთითებს მიმართულებას სანწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე.

სად	არის მიდის ცხოვრობს	გია? ის ბიჭი? ბიძაშენი?
საით	მიდის	ავტობუსი?
საიდან	არის გამოდის	შენი მეგობარი? ავტობუსი?

სახელის მრავლობითობა

1. თუ სიტყვა **-ო**-ზე, **-უ**-ზე და **—ე**-ზე მთავრდება, მრავლობითში მათ უბრალოდ დაემატება **-ები**.
 თუ სიტყვა **—ი**-ზე და **—ა**-ზე მთავრდება, **-ები**-ს წინ ეს **—ი** და **—ა** აღარ გვექნება.

მხოლოდითი (ერთი)	-ი -ა (ბიჭი)... (მთა)...	-ო -უ -ე (სათამაშო)... (ბუ)... (ხე)...
მრავლობითი (ორი და მეტი) (-ებ-ი)	ბიჭ-ები მთ-ები	სათამაშო-ები ბუ-ები ხე-ები

2. გარკვეულ სიტყვებს შიგნით აქვს: **-ალ-** / **-ელ-** / **-ოლ-** / **-ან-** / **-ენ-** / **-ონ-** / **-ამ-** / **-არ-** / **-ერ-** მარცვალი. ასეთი სიტყვების დიდი ნაწილი მრავლობითში ამ მარცვლიდან კარგავს ხმოვანს.

-ალ- -ელ- -ოლ-

მწერ**ალი** - მწერ**ლ**-ები
 სოფ**ელი** - სოფ**ლ**-ები
 ფოთ**ოლი** — ფოთ**ლ**-ები

-არ- -ერ- -ამ-

მხატვ**არი** — მხატვ**რ**-ები
 ბოკერ**ი** - ბოკერ**ვ**-ები
 კალ**ამი** - კალ**მ**-ები

-ან- -ენ- -ონ-

მოედ**ანი** - მოედ**ნ**-ები
 ყურძ**ენი** - ყურძ**ნ**-ები
 ლიმ**ონი** — ლიმ**ნ**-ები

3. დაიმასსოვრე!

-ორ-

პამიდ**ორი** - პამიდ**ვრ**-ები
 მინდ**ორი** - მინდ**ვრ**-ები

4. ზოგიერთი სიტყვა მრავლობითში კარგავს ერთდროულად ორ ხმოვანს — ერთს შუაში, მეორეს კი - ბოლოში.

პეპ**ელა** - პეპ**ლ**ები
 ქვეყ**ანა** - ქვეყ**ნ**ები
 ფანჯ**არა** - ფანჯ**ვრ**ები

ნაცვალსახელი

არის სიტყვები, რომლებიც სახელის ნაცვლად იხმარება. ამ სიტყვებს ნაცვალსახელები ჰქვია:

ლია სკოლაში სწავლობს.

ის სკოლაში სწავლობს.

ბიჭები ფეხბურთს თამაშობენ.

ისინი ფეხბურთს თამაშობენ.

	პირის	კუთვნილებითი	
მე მქვია გია.	მე	ჩემი	ია ჩემი დაა.
შენ რა გქვია?	შენ	შენი	შენი ძმა სახლშია?
ის არის გია?	ის	მისი	ეს მისი ჩანთაა.
ჩვენ ვართ სახლში.	ჩვენ	ჩვენი	ჩვენი სახლი აქ არის.
თქვენ სად ხართ?	თქვენ	თქვენი	ეს თქვენი სკოლაა?
ისინი აქ არიან.	ისინი	მათი	ეს მათი ბებიანაა.

რიცხვითი სახელი

სახელი შეიძლება იყოს ერთი, ორი, ათი, ასი და ა.შ. რამდენია, ამას მიუთითებს რიცხვითი სახელი.

- ის აკონკრეტებს რაოდენობას — **რამდენი?**
კლასში **დღე** მოსწავლეა.
მე სამი ძმა მყავს.
ჩემი ძმა ადინლისაა.
- გარკვეული სიმრვლიდან (რაოდენობიდან) აკონკრეტებს, რომელია — **მერამდენე?**
მე სამი ძმა მყავს. **მესამე** ჩემზე პატარაა.
დათო **მეხუთე** კლასში სწავლობს.
მე **მესამე** სართულზე ვცხოვრობ.

რამდენი?	მერამდენე?
ერთი ორი... ოცდახუთი...	პირველი მე-ორ-ე... ოცდა- მე-ხუთ-ე...

დაიმახსოვრე!

ერთად იწერება:

- ყველა რიცხვითი სახელი ერთიდან ასის ჩათვლით;
- აგრეთვე: ორასი, სამასი... ათასი

ცალკე სიტყვებად იწერება:

- ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელი: ას თხუთმეტი, ორი ათასი, ათას ცხრაას სამოცდახუთი...

ზედასართავი სახელი

არის სიტყვები, რომლებიც აღწერენ და ახასიათებენ სახელს — როგორია? რომელია? სადაურია?

სპილო **უზარმაზარი** ცხოველია. (როგორი ცხოველი?)
 ნანას **გრძელი** თმა და **ცისფერი** თვალები აქვს. (როგორი თმა/თვალები?)
 მე **წითელი** მანქანა მომწონს. (რომელი მანქანა?)
 ჩემი **საუკეთესო** მეგობარი **თბილისელია**. (როგორი მეგობარი? სადაური?)

ზოგი ზედსართავი სახელები მეტნაკლები ოდენობით გამოხატავენ გარკვეულ თვისებას:

ეს ჩანთა **დიდია**, ეს ჩანთა **მოდიდოა** (/ნაკლებად დიდი), ის ჩანთა კი **უდიდესია** (ყველაზე დიდია).

ოდნავ		ძალიან
↓		↓
მო-წითალ-ო	წითელი	უ-წითლ-ესი
მო-ლურჯ-ო	ლურჯი	უ-ლურჯ-ესი
მო-მწვან-ო	მწვანე	უ-მწვან-ესი
მო-ცისფრ-ო	ცისფერი	უ-ცისფრ-ესი
მო-დიდ-ო	დიდი	უ-დიდ-ესი
მო-მალლ-ო	მალალი	უ-მალლ-ესი
მო-ჭკვიან-ო	ჭკვიანი	უ-ჭკვიან-ესი...

დაიმახსოვრე!

ქერა	მოქერავო	უქერავესი
სქელი	მოსქო	უსქესი
ტკბილი	მოტკბო	უტკბესი
გრძელი	მოგრძო	უგრძესი
კარგი	-----	უკეთესი
ცუდი	-----	უარესი
მოკლე	-----	უმოკლესი

ზმნა

1. გამოხატავს **მოქმედებას**: რას აკეთებს?
 - ბიჭი თამაშობს ფეხბურთს.
 - ის მიდის სკოლაში.
 - ლია ირუჯება მზეზე...
2. გამოხატავს **მდგომარეობას**:
 - ის ზის, მე ვდგავარ.
 - ბებია წევს.
 - ბავშვები სკოლაში არიან...
3. გამოხატავს **გრძნობას, სულიერ მდგომარეობას**:
 - მე მამლის მეშინია.
 - ჩემს ძმას უყვარს ხატვა.
 - დათოს სპორტი აინტერესებს...
4. გამოხატავს **ვინმეს ან რაიმეს ქონას/ყოლას**:
 - მე ორი ძმა მყავს.
 - ჩემს ძმას ველოსიპედი აქვს.
 - მამაჩემს ახალი მანქანა ჰყავს...

მოქმედების შემსრულებელი პირი


მოქმედების შემსრულებელი პირია ის, ვინც მოქმედებს:

მე ვხატავ, ვერთობი, ვდგავარ...	მიყვარს, მაქვს, მყავს...
შენ ხატავ, ერთობი, დგახარ...	გიყვარს, გაქვს, გყავს...
ის ხატავს, ერთობა, დგას...	მას უყვარს, აქვს, ჰყავს...
ჩვენ ვხატავთ, ვერთობით, ვდგავართ...	გვიყვარს, გვაქვს, გვყავს...
თქვენ ხატავთ, ერთობით, დგახართ...	გიყვართ, გაქვთ, გყავთ...
ისინი ხატავენ, ერთობიან, დგანან...	მათ უყვართ, აქვთ, ჰყავთ...

მოქმედების შემსრულებელ პირს სხვადასხვა ზმნაში სხვადასხვა ნიშანი აქვს. ამ მხრივ, ყველა ზმნა ქართულში ორ ჯგუფად ერთიანდება:

1. პირველ ჯგუფში არიან **მოქმედებისა და მდგომარეობის** გამომხატველი ზმნები (*ვწერ, ვხატავ, ვირუჯები, ვერთობი, ვარ, ვდგავარ, ვზივარ...*)
2. მეორე ჯგუფში არიან ზმნები, რომლებიც გამოხატავენ **გრძნობას, სულიერ მდგომარეობას და ქონა/ყოლას** (*მაქვს, მყავს, მომწონს, მიყვარს, მეშინია...*)

დააკვირდი!



დაიმახსოვრე!

1. თუ მე მყავს, მიყვარს, მომწონს, მაინტერესებს..., მაშინ მესამე პირში აუცილებლად იქნება მას (ჰყავს, უყვარს, მოსწონს, აინტერესებს...)
2. თუ მე ვწერ, ვხატავ, ვთამაშობ, ვერთობი, ვდგავარ..., მაშინ მესამე პირში აუცილებლად იქნება ის (წერს, ხატავს, თამაშობს, ერთობა, დგას...)

აქვს თუ ჰყავს?

- თუ სულიერია (ცოცხალია), ვამბობთ – **ჰყავს**.
მე მყავს ერთი ძმა.
ჩემს ბიძაშვილს ჰყავს თუთიყუში.
სოფელში გვყავს ცხენი.
- თუ უსულთა (არ არის ცოცხალი), ვამბობთ – **აქვს**.
მე პატარა და ლამაზი სახლი მაქვს.
რეზოს ფეხბირთის ბურთი აქვს.
შენ გაქვს ფერადი ფანქრები?

დაიმახსოვრე!


ტრანსპორტზეც ვამბობთ – **ჰყავს**.
ჩემს ძმას ვეღოსიპედი ჰყავს.
მამაჩემს პატარა მანქანა ჰყავს.

მაგრამ:
მე ახალი სათამაშო მანქანა მაქვს.

ხანდახან
დროდადრო
იშვიათად
ზოგჯერ + უწყვეტელი
ხშირად
ყოველთვის
მუდამ

ორიენტირება დროში

როდის?



სიხშირის განსაზღვრა დროში

როდიდან – როდემდე?

- გაზაფხულიდან გაზაფხულამდე
- ორშაბათიდან ორშაბათამდე
- პირველიდან ორამდე
- დილიდან საღამომდე

რა ინტენსივობით? / რა სიხშირით?

ხანდახან იშვიათად ხშირად ყოველთვის არასოდეს	დიდი ხანია ცოტა ხანია ერთი წელია ერთი საათია ერთი თვეა მთელი დღეა	ყოველდღე ყოველთვე ყოველ წელს ყოველკვირა ყოველ ორშაბათს ყოველ აგვისტოს ყოველ ზამთარს
---	--	---

ორიენტაცია სივრცეში

მოქმედების ადგილი და მიმართულება


სად?

საით? / საითკენ? საიდან?
სადამდე?


<p>აქ-იქ; წინ-უკან; მარჯვნივ-მარცხნივ; მაღლა-დაბლა; პირდაპირ; გვერდით; ახლოს/შორს... სახლში ზღვაზე ტყესთან სახლთან ახლოს</p>	<p>თბილისისკენ თბილისის მიმართულებით თბილისიდან თბილისამდე სახლამდე სახლიდან შორს</p>
--	---

ზმნისწინი

ზმნას წინ აქვს მარცვალი, რომელიც მიმართულებას უჩვენებს. ეს მარცვალი არის ზმნისწინი.



მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს პირველი პირი – მე



ზმნით გამოხატული მოქმედება

კონკრეტული ზმნის ფორმით გამოვხატავთ კონკრეტულ მოქმედებას კონკრეტულ დროში, მათ შორის:

1. გამოვხატავთ რეალურ ფაქტს სამივე დროში:

ახლანდელი – **ანმყო** - ბავშვი ეზოში **თამაშობს**.

წარსული – **უნყვეტელი** (=მოქმედების პროცესი) - ბავშვი ეზოში **თამაშობდა**.

წყვეტილი (=მოქმედების შედეგი) - ბავშვმა ეზოში **ითამაშა**.

მომავალი – **მყოფადი** - ბავშვი ეზოში **ითამაშებს**.

2. გამოვხატავთ სასურველ და სავარაუდო მოქმედებას, ძირითადად, მომავალ დროში:

II კავშირებითი: რა ქნას? - უნდა, რომ / სასურველია / მინდა / არა მგონია / კარგი იქნება / იქნებ / ნეტავ / შეიძლება / შესაძლებელია / რომ + **გააკეთოს**

მყოფადი: რას იზამს? - თუ + დაწერს, ... ნეტავ / იქნებ / მგონი / იმედია / იმედი მაქვს (რომ) + დაწერს?

3. გამოვხატავთ აუცილებლად შესასრულებელ ან არშესასრულებელ მოქმედებას.

ა. აუცილებლად შესასრულებელი:

მყოფადი - აუცილებლად + **დავწერ**.

წყვეტილი - აუცილებლად + **დაწერე!**

II კავშირებითი - უნდა + **დაწერო!** აუცილებლად უნდა **დაწერო**.

ბ. აკრძალული მოქმედება:

ანმყო - ნუ + **წერ!**

მყოფადი - ნუ + **დაწერ!** არ + დაწერ!


II კავშირებითი - არ + **დაწერო!**

II კავშირებითი და მისი ფუნქციები

გამოხატავს:

- 1. აუცილებლობას:** უნდა ეწვიო სვანეთს!
- 2. შესაძლებლობას:** შეგიძლია, ეწვიო სვანეთს.
- 3. რჩევას:** გირჩევ, ეწვიო სვანეთს!
- 4. სურვილს:** გინდა, რომ ეწვიო სვანეთს?

საწყისი	მომავალი დრო 1	მომავალი დრო 2			
		აუცილებლობა	შესაძლებლობა	სურვილი	რჩევა
ხატვა	დავხატავ	უნდა დავხატო	შემიძლია, რომ დავხატო	მინდა, რომ დავხატო	ის მიიჩნევს, რომ დავხატო
ნასვლა	წახვალ	უნდა წახვიდე	შეგიძლია, რომ წახვიდე	ვინდა, რომ წახვიდე?	გირჩევ, რომ წახვიდე
გართობა	გაერთობა	უნდა გაერთოს	შეუძლია, გაერთოს	თუ უნდა, გაერთოს	ვურჩევ, რომ გაერთოს



ასეთი ფორმებით გამოიხატება ისეთი მოქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს, ან არ უნდა შესრულდეს. შესაბამისად, გვაქვს:

- **ნართქმითი ბრძანებითი** (რომელიც უნდა შესრულდეს):
 1. დროის მიხედვით, მომავალია: *დაწერე! წაიკითხე! დაიძინე! ჭამე! გააკეთე! გაჩუმდი!* და სხვა
 2. იყენებს ნყვეტილის ფორმას (გამონაკლისია ზმნა – (მი)დის): *მოდი! ჩამოდი! ამოდი! წადი! ...*

- **უკუთქმითი ბრძანებითი** (რომელიც არ უნდა შესრულდეს):

1. გამოიყენება **არ** და **ნუ** ნაწილაკები.
2. დროის მიხედვით, შეიძლება იყოს **ახლანდელიც** (*ნუ წერ! ნუ მიდიხარ!*) და **მომავალიც** (*ნუ დაწერ! არ დაწერო! არ წახვიდე! ნუ წახვალ!*)
3. იყენებს:
 - ანმცოს** ფორმას: **ნუ + წერ!**
 - მყოფადის** ფორმას: **ნუ + დანერ!**
 - II კავშირებითის** ფორმას: **არ + დანერო!**

მსაზღვრელი და საზღვრული

ნებისმიერი სახელი რაღაცა ნიშნით, თვისებით არის დახასიათებული. ეს ნიშანი, თვისება არის ამ სახელის მსაზღვრელი:

დიდი სახლი, ორი სკამი, ჩემი ძმის ჩანთა, ქართულის გაკვეთილი...

მსაზღვრელის კითხვები	მსაზღვრელ-საზღვრული
რომელი?	ერთი ადგილი, ეს ქალაქი, ის სახლი...
როგორი?	დიდი ჩანთა, ლამაზი სახლი...
რამდენი?	ათი წიგნი, ბევრი ბავშვი...
მერამდენე?	მეორე სართული, მეექვსე კლასი...
სადაური?	თბილისელი მოსწავლე, ამერიკელი მოგზაური...
ვისი?	მასწავლებლის მაგიდა, ძმის ველოსიპედი...
რისი?	სკოლის ჩანთა, სახლის აივანი...

მიზეზი და მიზანი

1. **გამოხატულია მოქმედების მიზეზი:**

რატომ (რის გამო/რა მიზეზით) ხდება ახლა, მოხდა უკვე ან მოხდება მომავალში ესა თუ ის მოქმედება.

რატომ?	რის გამო?	რა მიზეზით?
იმიტომ / ამიტომ	ამის გამო	ამ მიზეზით
-ისათვის	-ის გამო// -ისაგან	-ის მიზეზით

- მაგალითები:**
1. გიორგის იმიტომ სძინავს, რომ დაღლილია.
 2. იმის გამო ტირის, რომ კბილი სტკივა.
 3. რა მიზეზით აცდენს დათო სკოლას?

2. გამოსატულია მოქმედების მიზანი.

რისთვის (რა მიზნით) ხდება ახლა, მოხდა უკვე ან მოხდება მომავალში ესა თუ ის მოქმედება.

რისთვის?	რა მიზნით?
იმისათვის / ამისათვის	იმ / ამ მიზნით


- მაგალითები:**
1. იმისათვის წავიდა, რომ წიგნი იყიდოს.
 2. გიორგი მისთვის ტირის, რომ ტელევიზორს უყუროს.

დააკვირდი!

იმისათვის, რომ + II კავშირებითი
 მიდის იმისათვის, რომ **იყიდოს** წიგნი.
 იყიდა ბილეთი იმისათვის, რომ **წავიდეს...**

დაიმახსოვრე!

1. **მიზეზი** წინ უსწრებს მოცემულ მოქმედებას: *ჯერ ეტკინა კბილი და შემდეგ იტირა.*
2. **მიზანი** მოსდევს მოცემულ მოქმედებას: *ჯერ წავიდა და შემდეგ იყიდა.*



ციური სხეულები

ტელესკოპის გარეშე ცაში მხოლოდ 6000 ვარსკვლავის დანახვა შეგვიძლია. ისინი უსწრაფესად მოძრაობენ კოსმოსში, ჩვენ კი ვარსკვლავები უძრავი გვგონია. ვარსკვლავები დღისითაც არის ცაში, მაგრამ მათ მზის სიკაშკაშის გამო ვერ ვხედავთ. ვარსკვლავები პატარები იმიტომ ჩანან, რომ ჩვენგან ძალიან შორს არიან.

მზე უზარმაზარი თუ საშუალო ზომის გავარვარებული ვარსკვლავია, რომლის გარშემო ციური სხეულები მოძრაობენ. მზის ზედაპირზე ტემპერატურა 5500 გრადუსია. მზე ყვითელი ვარსკვლავია. მის დაბნელებას იწვევს მთვარის ჩრდილი.

მთვარე ჩვენი დედამიწის ერთადერთი ბუნებრივი თანამგზავრია. ის დედამიწის ირგვლივ ბრუნავს ისე, როგორც დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო. ამიტომაც ვხედავთ მას სხვადასხვა ფორმით - ხან სავსეს, ხან ნახევრად სავსეს, ხანაც ნამგლისებურს. მთვარე დედამიწაზე 4-ჯერ უფრო პატარაა. ის ძალიან განსხვავდება დედამიწისაგან. იქ არც ჰაერია, არც ამინდი და არც სიცოცხლე. დღისით პაპანაქება სიცხეა, ღამით - საშინელი ყინვა. მთვარის დაბნელება მხოლოდ სავსემთვარეობისას ხდება. ამ დროს მთვარე მკრთალი წითელი ფერისაა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ით სამედიცინო მომსახურება განსაზღვრავს, 15%-ით გენეტიკა, 70% კი ის დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების წესსა და კვებაზე.

ჰუნზას ტომი

ინდოეთისა და პაკისტანის საზღვარზე, მდინარე ხუნზას ხეობაში, არის ადგილი, რომელსაც “ახალგაზრდობის ოაზისს” უწოდებენ. ადგილობრივები იქ პრაქტიკულად არ ავადდებიან და ახალგაზრდულადაც გამოიყურებიან.

არსებობს ლეგენდა, რომ ჯუჯა, მთიანი სახელმწიფო, ალექსანდრე მაკედონელის ჯარისკაცებმა დააარსეს, ინდოეთში ლაშქრობის დროს. მათ საკუთარი ენა აქვთ - ბურშასკი (**Burushaski**, რომელიც მსოფლიოს არც ერთ ენას არ ესადაგება, თუმცა ყველამ იცის ურდუს ენა და ბევრმა - ინგლისურიც).

ხუნზას მოსახლეობა, მეზობელი ეროვნებისგან განსხვავებით, ძალიან ჰგვანან ევროპელებს. ეს ბედნიერი ხალხი და ეს ხეობა პირველად შოტლანდიელმა ექიმმა მაკ ჰარისონმა აღწერა.

ამ ტომის წევრების საცხოვრებელი პირობები საკმაოდ მძიმეა. ისინი ცხოვრობენ მთიან რელიეფზე, რომელიც მოკლებულია ნოყიერ ნიადაგს, ტყეებს და წყაროებს. თუმცა, ტყის ნაცვლად აქვთ ხეხილის ბაღები, მინდვრების ნაცვლად ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესები, წყალს კი ოქროს ფასი აქვს და წვიმის დროს აგროვებენ. ძროხები, თხები და ცხვრები ცოტა ჰყავთ. აქ წვიმები იშვიათია, თოვლიც ცოტა მოდის, ამიტომ ტერიტორია უწყლოობას განიცდის.

ზაფხულში ბუნებაში ცხოვრობენ; ზამთარს კი უფანჯრო ქვის სახლებში, ცხოველებთან ერთად ატარებენ. არ აქვთ შეშა, ცეცხლს ხის ტოტებისა და ფოთლებისაგან ანთებენ და მას მხოლოდ საკვების მოსამზადებლად იყენებენ. ჰუნზას მოსახლეობა 15-გრადუსიანი ყინვაშიც კი გაყინულ მდინარეში ბანაობს.

ჰუნზები ბუნებრივ და ჯანმრთელ საკვებს ღებულობენ. ჭამენ ცოტას, მათი საკვები ძალიან დაბალკალორიულია. ზაფხულში ისინი ნედლ ხილსა და ბოსტნეულს, ზამთარში კი მზეზე გამომშრალ ხმელ გარგარს, მარცვალეულსა და ცხვრის ყველს მიირთმევენ. რძითა და ხორციით იშვიათად იკვებებიან. ძირითადად იკვებებიან გარგარით, მარცვლეულით, ალუბლით, ატმითა და ქლიავით. განსაკუთრებით უყვართ გარგარი და მისი კურკები.

ზამთარში მათ ძირითად საკვებს ჩირი წარმოადგენს.

საინტერესოა ისიც, რომ ზაფხულზე, როცა ჯერ კიდევ ხილი არ არის მწიფე, მოსახლეობა 2 თვის განმავლობაში თითქმის არაფერს მიირთმევს. ამ პერიოდში ისინი დღეში ერთხელ გამომშრალი

გარგარისგან დამზადებულ წვენს სვამენ. ასეთ მარხვას ჰუნზას ყველა მაცხოვრებელი მკაცრად იცავს.

ჰუნზელები სიმშვიდით, იუმორით, სტუმართმოყვარეობითა და განსაკუთრებული ოპტიმიზმით გამოირჩევიან. მათი აზრით, აუცილებელია მუდამ კარგ ხასიათზე იყო და ხშირად გაიცინო, მაშინაც კი როცა შიმშილობ. როგორც მაკკარისონმა ტომის შესწავლის შემდეგ განაცხადა: “მათი ნერვული სისტემა განსაკუთრებულია, არასდროს ბრაზდებიან, არ წუნუნებენ, ერთმანეთში არ ჩხუბობენ და ყოველგვარ გასაჭირს როგორც ფიზიკურს, ასევე სულიერს, დიდი სიმშვიდით ეგებებიან”.

ტესტების შედეგები:

შეამოწმე შენი ნებისყოფა!

6-9 ქულა: თუ რამე დაისახე მიზნად, ხელს ვერაფერი შეგიშლის. ეს, რა თქმა უნდა არაჩვეულებრივია, მაგრამ ცოტა საშიშიც.

10-14 ქულა: ჩანაფიქრის განხორციელებისთვის ყველაფერს აკეთებ, მაგრამ თუ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმე გამოგიჩნდა, შენ შეგიძლია, რომ გეგმები ცოტა ხნით გადადო. ეს საუკეთესო მდგომარეობაა.

15-18 ქულა: შეხვდები თუ არა რაიმე პრობლემას, მაშინვე უკან იხევ. მოდი, სცადე და მაშინვე არ დანებდე. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდი მიზანს.

შეამოწმე შენი მეხსიერება!

7 ქულა და მეტი: შენ უჩივი მეხსიერებას?! თავისუფლად შეგიძლია შორეულ წარსულში მომხდარი ამბის გახსენება, დაგროვილი ინფორმაციის გადამუშავება და ანალიზი. კარგი მეხსიერების წყალობით, სულ მალე შეიძლება «ცოცხალი ენციკლოპედიის» სახელიც კი დაიმსახურო.

7 ქულაზე ნაკლები: სამწუხაროდ, კარგი მეხსიერებით ვერ დაიკვებნი, თუმცა ყველაფერი არ არის დაკარგული. პრობლემების გასაღები შენს ხელშია. ყოველდღიური ვარჯიშის წყალობით, წარმატებას სულ მალე მიაღწევ.

სავარჯიშო 5: ავტობუსი, ფეხბურთი, ვიოლინო, ალუბალი, წვიმა, ზღვა, დრო, ფილმი, ფიროსმანი, ნახატი

სავარჯიშო 6: 13 – 65 – 23;
91 – 83 – 94;
46 – 18 – 71

სავარჯიშო 7:

- I. ადამიანმა პირველად ძალი მოიშინაურა. შემდეგ ცხვარი და თხა. ქათამი და სპილო მოიშინაურეს ინდოეთში. ჩრდილოეთის ირემი კი - ევროპის ჩრდილოეთში.
- II. პაპაჩემის სახლი მთის ოდნავ დაქანებულ კალთაზე იდგა. ლობის გასწვრივ დიდი ეზო დაფნის, ბრონეულის, თხილის, ლელვისა და კომშის ხეებით იყო შემორაგული. სახლის უკან ვაზი ჩაეყარათ და ტალავური გაეშენებინათ.

III. ერთ მთვარიან ღამეს, როცა ყველას და ყველაფერს ეძინა, კეთილმა ჯადოქარმა ცხოველებს დიდი ხნის სურვილები აუხსრულა: სპილოს ხორთუმი მისცა, ჟირაფს - გრძელი კისერი, ზღარბს - ეკლიანი ქურქი, მაიმუნს - გრძელი ხელები, კენგურუს მუცელზე ჩანთა დაჰკიდა, ფარშევანგს ულამაზესი ბოლო მისცა, ბულბულს - მომაჯადოებელი ხმა ... არა, დღეს ბევრი ვიპრომე, - დაამთქნარა, ჭალარა წვერზე ხელი მოისვა და დასაძინებლად გაემზადა.

IV. ჯინსი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სამოსია. ჯინსის შარვლები პირველად მე-16 საუკუნეში იტალიაში გაჩნდა და მას იტალიელი მეზღვაურები ატარებდნენ. მეზღვაურებისათვის ეს შარვლები სპეციალურ სამუშაო ტანსაცმელს წარმოადგენდა. მე-19 საუკუნიდან ჯინსები კოვბოებმა და ოქროს მაძიებლებმა ჩაიცვეს. მათთვის შექმნილ ჯინსის შარვლებს სამი ჯიბე (ორი წინ და ერთი უკან) ჰქონდა - ფულის, დანისა და საათისათვის.

პირველი ჯინსი 1 დოლარი და 46 ცენტი ღირდა.

დანიელ დეფო და რობინზონ კრუზო

ინგლისელი მწერალი დანიელ დეფო, სავარაუდოდ, 1660 წელს (ზუსტი თარიღი უცნობია) დაიბადა ლონდონში, ვაჭრის ოჯახში. უმაღლესი განათლება ნიუინგტონის სასულიერო აკადემიაში მიიღო, თუმცა აკადემიის დასრულების შემდეგ სასულიერო კარიერაზე უარი თქვა და კომერციაში ჩაება. სავაჭრო საქმეებზე ხშირად ჩადიოდა საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში, გაეცნო კონტინენტური ევროპის ცხოვრებას, შეისწავლა უცხო ენები. ბიზნესსაქმიანობასთან ერთად დანიელ დეფო მეტად ნიჭიერი ჟურნალისტი და ნაყოფიერი პუბლიცისტიც იყო. გამოსცემდა ჟურნალს და აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სწორედ დანიელ დეფოს გმირია რობინზონ კრუზო, რომელმაც 28 წელი გაატარა უკაცრიელ კუნძულზე. რომანის სრული სახელია «რობინზონ კრუზოს ცხოვრება და თავგადასავალი». მას საფუძვლად უდევს რეალური ამბავი, რომელიც შოტლანდიელ მეზღვაურს, ალექსანდრე სელკირკს გადახდა თავს. გემის კაპიტანმა სელკირკი ურჩობისთვის დასაჯა და უკაცრიელ კუნძულ მას-ა-ტერაზე დატოვა.

რობინზონ კრუზოს საცხოვრებელი

დროებით სადგომად სკივრებითა და ფიცრებით შემოვლობე ადგილი და კარავს დავამსგავსე. კარვის შესასვლელი შიგნიდან ფიცრებით ამოვხერგე, გარედან კი ცარიელი სკივრით გავამაგრე. ამის შემდეგ ბევრი ვიფიქრე, როგორი ბინა მომემზადებინა - მიწაში მომეწყო სადგომი, თუ მიწის ზევით დამედგა კარავი და, ბოლოს გადავწყვიტე - ერთიც მომეწყო და მეორეც. მალე დავრწმუნდი, რომ ის ადგილი, სადაც ვიყავი, საცხოვრებლად არ გამოდგებოდა, რადგანაც ზღვის ნაპირი იყო. თანაც ახლომახლო სასმელი წყალი არ მოიპოვებოდა. გადავწყვიტე, სხვა ადგილი მომეძებნა - უფრო მოხერხებული და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო.

ადგილის ამორჩევისას რამდენიმე საკითხი უნდა გამეთვალინებინა: პირველი - უვნებელი უნდა ყოფილიყო და სასმელი წყალიც ახლოს უნდა მქონოდა; მეორე - მზის გულზე არ უნდა ყოფილიყო; მესამე - დაცული უნდა ყოფილიყო ადამიანისგან თუ მხეცისგან; მეოთხე - ზღვა არ უნდა დამეკარგა მხედველობიდან.

კარგა ხნის ძებნის შემდეგ მოვნახე პატარა მინდორი გორაკის ძირში, რომელიც გორაკის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და მზე მხოლოდ საღამოთი, ჩასვლის წინ შემოანათებდა ხოლმე. თვითონ გორაკი მინდორის მხარეს ციცაბო კლდედ ეშვებოდა და მინდორთან პატარა გამოქვაბული ჰქონდა. სწორედ ამ გამოქვაბულის წინ, მწვანე მინდორზე დავდგი კარავი და გარშემო მაღალი ღობე შემოვაგლე. ღობეზე პატარა კიბე მივაყუდე, რომელსაც ასვლის შემდეგ ვხსნიდი ხოლმე. კარვის უკან გამოჭრილ გამოქვაბულს საკუჭნაოდ ვიყენებდი და იქ ათას რამეს ვინახავდი.

სანთელი წყალში

1. გააცხელე ლურსმანი და ჩაარჭე სანთელში ქვედა მხრიდან ისე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. ლურსმანი ისეთი წონის შეარჩიე, რომ სანთელი თითქმის ჩაიძიროს.
2. ჩადე სანთელი წყლიან ჭურჭელში ისე, რომ პატრუქი (შუაში ამონეული წვრილი თოკი) ზემოდან მოექცეს.
3. აანთე სანთელი. ის მანამდე იქნება ანთებული, ვიდრე სანთელი ბოლომდე არ დაინვება.

ლეონიდ გალპერშტეინი, *“გამარჯობა, ფიზიკა!”*, 1979წ.

მურაბა

(თამრი ფხაკაძე)

ტყეში ცხოვრობს ორი ჯუჯა:
რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.
რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა
ჟოლოს ჭამენ მუჭა-მუჭა.
ჟოლოს ჭამენ
მუჭა-მუჭა,
ყვავილს კრეფენ
ბლუჯა-ბლუჯა.

ყვავილს კრეფენ, ჟოლოს ჭამენ
რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.
უკრეფიათ გუმინ ხენდრო,
მოიტანეს ერთი ვედრო.

ერთი ვედრო,
დიდი ვედრო,
სავსე ვედრო,
მწიფე ხენდრო!

ხარშეს, ხარშეს, ურიეს,
შაქარი ჩაურიეს.
ჩაამატეს მაყვალი,
მოცვი ახალ-ახალი.
ჩააყარეს კუნელი,
დატრიალდა სურნელი!

რომ მოხარშეს მურაბა,
გვინილადეს ძმურადა.

